

ISSN 1987-6890

ეკონომიკასთა გვ.

ECONOMISTI

საქართველოს სამუშაო - ანალიზური ჟურნალი  
*International Scientific - Analytical Journal*

2

2 0 0 9

პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი

# ეკონომისტი

საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი  
გამოდის 2009 წლის იანვრიდან

მარტი  
აპრილი 2 2009

მთავარი რედაქტორი რამაზ აბესაძე

სამეცნიერო-სარედაქციო კოლეგია

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მეცნ-კოორდინაციური გლობალურ აკაკვა, ავთანდილ სილაპაშვილი, ლეო ჩიძავა

ეკონომიკურ მეცნიერებათი დოკტორები:

იური ანანიაშვილი, როზეტა ასათიანი, კლიმენტი აჩელაშვილი, თემურ გერიძე, გიორგი გერულავა, გახტაძე გურჯალი, გახტაძე გურგამე, მიხეილ თოშმაზიშვილი, მურმან კიარაცხელია, ალექსა კურათაშვილი, იაკობ მასხია, ელგუჯა მიჩგაბიშვილი, გიორგი აკაკვა, უშანგი სამადაშვილი, როლანდ სარჩიბელია, ავთანდილ სულაბერიძე, თემურ ჭეგაძე, თინა ჩხეიძე, ნორა ჭითანავა, მიხეილ ჯიგუში.

აკადემიური დოკტორები:

ნატალი არეზაძე, ნანა გიგილაშვილი, მერაბ გველესიანი, ლინა დათვაშვილი, ლია თოთლაძე (ასუშისმებრძელი მდივანი), თომერ კაკულია, ნაზირა კაკულია, თემა ლაზარაშვილი (მთავარი რედაქტორის მოადგილე), იზა ნათელაშვილი, ნორა ხადური, მარუა ზუსკიგაძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე), რეზაზ ჯავახიშვილი.

უცხოული დოკოდები:

ელდარ ისმაილოვი (აზერბაიჯანი), დავით კურთანიძე (აშშ), ანტანას მაშსტაციური (ლიბერი), ვლადიმერ მირზიკოვი (ლატვია), მიხეილ როგვარელიშვილი (აშშ), სლავონირ პატრიცი (აღმორეთი), ლიმიტრი სოროკინი (რუსეთი), ანდრეი პერმანი (პოლონეთი).

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის შეხედულება შესაძლოა არ ემთხვეოდეს ავტორის აზრს და იგი პასუხს არ აგებს ინფორმაციის სიზუსტეზე.

Paata Gugushvili Institute of Economics

# ECONOMISTI

**International Scientific-Analytical Journal  
Published from January 2009**

March  
April  
**2**  
2009

**Editor-in-chief**

**Ramaz Abesadze**

## **SCIENTIFIC-EDITORIAL BOARD**

CORRESPONDING MEMBERS OF THE NATIONAL ACADEMY OF SCIENCES OF GEORGIA:

**Leo Chikava, Vladimer Papava, Avtandil Silagadze**

DOCTORS OF ECONOMIC SCIENCES:

**Klimenti Achelashvili, Iuri Ananiashvili, Roseta Asatiani, Temur Beridze, Giorgi Berulava, Vakhtang Burduli, Vakhtang Burkadze, Nodar Chitanava, Tina Chkheidze, Mikhail Jibuti, Murman Kvaratskhelia, Alfred Kuratashvili, Jakob Meskhia, Elguja Mekvabishvili, Giorgi Papava, Ushangi Samadashvili, Roland Sarchimelia, Temur Shengelia, Avtandil Sulaberidze, Mikhail Tokmazishvili.**

ACADEMIC DOCTORS:

**Nanuli Arevadze, Nana Bibilashvili, Lina Datunashvili, Merab Gvelesiani, Revaz Javakhishvili, Nazira Kakulia, Eteri Kakulia, Tea Lazarashvili (deputy editor-in-chief), Iza Natelauri, Nodar Khaduri, Mamuka Khuskivadze (deputy editor-in-chief), Lia Totladze (executive secretary).**

FOREIGN MEMBERS:

**Eldar Ismailov (Azerbaijan), David Kurtanidze (USA), Antanas Mackstitus (Lithuania), Vladimir Menshikov (Latvia), Slavomir Patritski (Poland), Mikhail Roketlishvili (USA), Dmitri Sorokin (Russia), Andrei Herman (Poland)**

---

The journal follows the principles of free press. The views of editorial board do not necessarily reflect author's option and it accepts no responsibility for the accuracy of information.

## ს ა რ ჩ ვ 3 0

ინტერვიუ

5

### საქართველოს ეკონომიკა

იაკობ მესხია – გლობალური ეკონომიკური კრიზისი და საქართველოს მაკროეკონომიკური სტაბილურობის პრობლემები	8
თეომურაზ მურჯულია – ეკონომიკური უსაფრთხოების ინდიკატორების როლი ბაზრის სახელმწიფო რეგულირების დროს	20

### ეკონომიკური თეორია

როზეტა ასათიანი – გარე ეფექტები და „გადასხმის ხარჯები“	29
ნაზირა კაგულია – ინსტიტუციური გარემოს სახელმწიფო რეგულირების აუცილებლობა პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პირობებში	34
Анзор კურათავილი – Рыночная экономика, социально ориентированная рыночная экономика и институционализм	40

### პოსტკომუნისტური მდგრადი ეკონომიკა

Руслан Гринберг – Глобальный экономический кризис и Россия	43
--	----

### ეკონომიკის გლობალიზაცია და ინტებრაცია

ემირ ეთერია – გლობალიზაცია და რეგიონული ინტეგრაცია: ერთიანობა და წინააღმდეგობრივი სახიათი	47
ზაირა ლუდუშაური, ნანა კაციტაძე, ელია ბალიაშვილი – სამუშაო ძალის მიგრაცია გლობალიზაციის პირობებში	53
მანანა ხარხელი – გლობალიზაცია და მმართველობითი პრობლემები	58
ნინო მიქაელიშვილი – გლობალიზაციის პროცესი, გლობალიზაციის ინდექსი და საქართველო	63
ლალი ჩაგლიშვილი, ლამარა ბერიძე – მენტალური ინტეგრაციის შესაძლებლობები ცენტრალურ კავკასიაში	68

### ეკონომიკური განვითარება

ლია თოთლაძე – ინფლაციის ეკონომიკური მოდელირების მეთოდოლოგიური საკითხები	81
---	----

### რეგიონული ეკონომიკა

მურმან კვარაცხელია – მთის რეგიონის აღორძინების პრობლემები საქართველოში გლობალიზაციის პირობებში	86
---	----

### ინვესტიციები

გიული ქეშელაშვილი – საინვესტიციო პროექტები და სახელმწიფო ინტერესები	90
ხათუნა ბარბაქაძე, ირინე მამალაძე – საინვესტიციო მიმზიდველობა და მისი ამაღლების გზები	94

### დაზღვევა

ნათია ლეხაგა – ქონების დაზღვევის განვითარების ძირითადი მიმართულებები და პერსპექტივები	99
<b>მარკეტინგი</b>	

ნანა კაციტაძე, ალექსანდრე თუშიშვილი – რეკლამის რეგულირების ზოგიერთი ასპექტი საქართველოში	110
	116

ინფორმაცია

## C O N T E N T S

<b>INTERVIEW</b>	<b>5</b>
<b>ECONOMY OF GEORGIA</b>	
<b>Jakob Meskhia</b> – Global Economic Crisis and the Problems of Makroeconomic Stabilization of Georgia	8
<b>Teimuraz Murgulia</b> – Role of Economic Security Indicators in State Regulation of Market	20
<b>ECONOMIC THEORY</b>	
<b>Rozeta Asatiani</b> – Externalities and Abatement Costs	29
<b>Nazira Kakulia</b> – The Necessity of State Regulation of Institutional Environment in the Conditions of Postcommunist Transformation	34
<b>Anzor Kuratashvili</b> – Market Economy, Socially Oriented Market Economy and Institutionalism	40
<b>ECONOMY OF POSTCOMMUNIST COUNTRIES</b>	
<b>Ruslan Grinberg</b> – Global Economical Crizis and Russia	43
<b>GLOBALIZATION AND INTEGRATION OF ECONOMY</b>	
<b>Emir Eteria</b> – Globalization and Regional Integration: Unity and Controversial Character	47
<b>Zaira Gudushauri, Nana Katsitadze, Elza Baliashvili</b> – Labor-force Migration Under the Context of Globalization	53
<b>Manana Kharkheli</b> – Globalization and Management Problems	58
<b>Nino Mikashvili</b> – Globalization Process, Globalization Index and Georgia	63
<b>Lali Chagelishvili, Lamara Beridze</b> – Mental Integration Possibilities in Central Caucasus	68
<b>ECONOMETRICS</b>	
<b>Lia Totladze</b> – Methodological Issues of Econometrical Modelling of Inflation	81
<b>REGIONAL ECONOMY</b>	
<b>Murman Kvaratskhelia</b> – The Problems of the Restoration of Mountainous Regions in Georgia in the Conditions of Globalization	86
<b>INVESTMENTS</b>	
<b>Giuli Keshelashvili</b> – Investment Projects and State Interests	90
<b>Khatuna Barbakadze, Irine Mamaladze</b> – Investment Attraction and the Ways to Make it higher	94
<b>INSURANCE</b>	
<b>Natia Lezhava</b> – The Main Directions and Perspectives of the Property Insurance Developing	99
<b>MARKETING</b>	
<b>Nana Katsitadze, Aleksandr Tushishvili</b> – Some Aspects of Advertisment Regulation in Georgia	110
<b>INFORMATION</b>	
	116

## 05.08.2019

დღეისათვის საზოგადოებაში არაერთმნიშვნელოვანია შეხედულება იმის შესახებ, საპროტესტო გამოსვლები ახდენს თუ არა უარყოფით გავლენას ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე. მეცნიერთა მოსაზრებები ძირითადად ერთმანეთს ემთხვევა, მაგრამ მათ შორის არის გარკვეული განსხვავებები. გთავაზობთ ინტერვიუს ზოგიერთ მათგანთან.

### უშანგი სამადაშეილი ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი თსუ ასოცირებული პროფესორი

ჩემი აზრით, დასაწყისში საპროტესტო აქციებმა გარკვეული დადებითი როლი ითამაშა, ხელისუფლებას დაანახა დაშვებული შეცდომები და მათი გამოსწორების ალტერნატიული გზები. შემდეგ კი აღნიშნული აქციების მიზანშეუწონელმა გახანგრძლივებამ ქვეყანაში შექმნა სტაბილური არასტაბილურობის განცდა. არადა, საქართველოს განვითარებისათვის აუცილებელია არათუ მდგრადი, არამედ პროგნოზირებადი სტაბილურობა, რადგანაც მის გარეშე გრძელვადიან სამამულო თუ უცხოურ ინვესტიციებზე და თანმდევ დადებით ეფექტებზე (ახალი საქონელი და ბაზარი, ახალი და მაღალანაზღაურებადი სამუშაო ადგილები, კონკურენციის ახალი სტანდარტები, შრომის ახალი კულტურა, მოწინავე ტექნიკა-ტექნოლოგია, მენეჯმენტი, მარკეტინგი, ადრიცხვის ახალი სტანდარტები და სხვა) ლაპარაკიც კი ზედმეტია.

საქმე ისაა, რომ ეკონომიკური ზრდა, ანუ საქონლისა და მომსახურების მოცულობის გადიდება, ბიზნესის განვითარებას მოითხოვს. ბიზნესის განვითარება – დამატებით გრძელვადიან ინვესტიციებს, გრძელვადიანი ინვესტიციების მოზიდვა კი – პროგნოზირებად პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტაბილურობას. შევნიშნავთ, რომ სტაბილურობის ნებისმიერი დარღვევა აფერხებს ინვესტიციებს, ინვესტიციების სიმწირე – ბიზნესის განვითარებას. ბიზნესის განუვითარებლობა იწვევს სამუშაო ადგილების, საქონლის წარმოებისა და შემოსავლების შემცირებას, ყოველივე ეს კი – სიღარიბესა და ცხოვრების დონის გაუარესებას. ამგვარად, მომავალში ეკონომიკურად მიზანშეუწონელია ყოველგვარი მადესტაბილიზებელი აქცია.

### ნოდარ ხადური ეკონომიკის დოქტორი თსუ სრული პროფესორი

ცხადია, იმის იღუზია, რომ საპროტესტო გამოსვლები ეკონომიკურ გარემოზე დადგებითად აისახება და, შესაბამისად, ეკონომიკის სტაბილირებას გამოიწვევს, არავის არ აქვს, თუმცა, მეორე მხრივ, არც ის იქნება მართებული ვი-ვარაუდოთ, რომ მხოლოდ საპროტესტო გამოსვლებია საქართველოს ეკონომიკის ერთადერთი პრობლემა. აგვისტოს ომი, დაუსრულებელი საომარი რიტორიკა, გლობალური ეკონომიკური კრიზისი, ხშირ შემთხვევაში არასწორი ეკონომიკური პოლიტიკა, დაუცველი კერძო საკუთრება, სამომხმარებლო ბაზარზე საბაზო ძალაუფლების მქონე სტაბილური სიმრავლე, მძიმე საგადასახადო ტვირთი და არაადგევაზეურად მკაცრი საგადასახადო ადმინისტრირება, დაკარგული

ბაზრები ადგილობრივი საქონლისათვის, არასწორი სატარიფო პოლიტიკის გამო შემცირებული ტვირთნაკადები, ეს არც თუ ისე სრული ჩამონათვალია, რომელიც საქართველოს ეკონომიკის მძიმე მდგომარეობას განაპირობებს. კატასტროფულად იზრდება უმუშევრობა, რაც კიდევ უფრო ძაბავს სიტუაციას.

### **ლეო ჩიხაგა**

*ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი  
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული  
აკადემიის წევრ-კორესპონდენტი*

საქართველოში მიმდინარე საპროტესტო გამოსვლები, ცხადია, უარყოფით გავლენას ახდენს (და მომავალშიც მოახდენს) ეკონომიკურ ზრდაზე, რამდენადაც იგი აფრთხობს ინვესტორებს, აბრკოლებს ინვესტიციების მოზიდვას, ზრდის უმუშევრობას, ხელს უშლის მაღალი ტექნოლოგიების დანერგვას და, საყოველთაო ეკონომიკური კრიზისის გაფლრმავების კვალიბაზე, საერთოდ ნებაზიურად მოქმედებს წარმოების უფექტიანობის მაღლების განმსაზღვრელ ყველა ფაქტორზე. თუმცა, ეს როდი ნიშნავს იმას, რომ საპროტესტო გამოსვლები, თავის მხრივ, უსაფუძვლო და გაუმართლებელია. პირიქით, მას დრმა ფქსვები აქვს, რომელთა გამოვლენა, სიღრმისეული გაანალიზება და უმოკლეს დროში მათი თავიდან აცილებისთვის ქმედით დონისძიებათა განხორციელება ქვეყნის წინაშე მდგარი უმნიშვნელოვანები ამოცანაა.

### **კლადიმერ პაპაგა**

*ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი  
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული  
აკადემიის წევრ-კორესპონდენტი*

საპროტესტო გამოსვლები, როგორც პოლიტიკური არასტაბილურობის შემცველი, უარყოფითად აისახება ეკონომიკაზე, თუმც მას საქართველოში რაიმე დამანგრეველი ძალა საბედნიეროდ არ ექნება, რადგან საპროტესტო აქციების მასშტაბები შედარებით მცირეა. უარყოფითი ზეგავლენა, უწინარეს ყოვლისა, აისახება საინვესტიციო გარემოზე. სწორედ ამიტომ, ქვეყნის ეკონომიკა (და არა მარტო) დიდად რომ არ დაზარალდეს, აუცილებელია ქვეყნის გადაყვანა უფრო სტაბილურ, დემოკრატიულ რეჟიმზე, რაც, უწინარეს ყოვლისა, ხელისუფლების პრეროგატივაა.

### **ავთანდილ სილაგაძე**

*ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი  
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული  
აკადემიის წევრ-კორესპონდენტი*

საპროტესტო გამოსვლები თუ გაგრძელდება, შემდგომშიც გარკვეულ გავლენას, რა თქმა უნდა, მოახდენს ეკონომიკურ ზრდაზე. აქ იგულისხმება როგორც შიდა ინვესტიციების, ისე უცხოური ინვესტიციების შემცირება.

## ქლგუჯა მუქაბიშვილი გკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

რა თქმა უნდა, უარყოფით ზემოქმედებას მოახდენს, რაც უკვე გამოვლინდა. საქართველოში თითქმის შეწყდა ინვესტიციების შემოდინება, რადგანაც არავის არ აქვს სურვილი, გასწოოს გადაჭარბებული რისკი. იმის გათვალისწინებით, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე საქართველოში ინვესტირება უპირატესად საგარეო წყაროებიდან ხდებოდა, ზემოაღნიშნული გარემოება კიდევ უფრო მეტად დაამდიმებს ქვეყნის ეკონომიკის ისედაც რთულ მდგომარეობას. არის იმის რეალური საშიშროება, რომ ეკონომიკურმა კრიზისმა პიკს შეიძლება მიაღწიოს მიმდინარე წლის ბოლოს. არ არის გამორიცხული ბიუჯეტში სერიოზული პრობლემების გაჩენა, რამაც შეიძლება განაპირობოს ხელფასების, პენსიების, სოციალური დახმარებების გაცემაში შეფერხებები და კიდევ უფრო დაძაბოს ქვეყნაში არსებული მძიმე სოციალური ფონი.

აღნიშნულთან ერთად, ჩვენი აზრით, ხაზი უნდა გაესვას, შემდეგ მნიშვნელოვან გარემოებას. საპროტესტო გამოსვლები არ არის ერთადერთი ფაქტორი, რომელიც უარყოფით ზეგავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე. არანაკლებ მნიშვნელოვანია მთავრობის სუსტი და ზოგიერთი მიმართულებით არასწორი ეკონომიკური პოლიტიკა. ასევე მნიშვნელოვანია გლობალური ფინანსურუნი კრიზისის ზემოქმედებაც.

## მიხეილ თოქმაზიშვილი გკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

საპროტესტო გამოსვლებით დაზარალდა:

- ამ ტერიტორიაზე არსებული ბიზნესობიექტები. რამედნიმე თვეა ისინი ვერ მუშაობენ;
- ის მიმწოდებლები, ვინც ამ ობიექტებს ამარაგებდა და დაკავშირებულნი იყვნენ მათთან ლირქბულების ზრდის მთელი პროცესით.

პოლიტიკური გაურკვევლობის შედეგად ინვესტორები თავს იკავებენ ინვესტიციებისაგან და შესაბამისად დაზარალდნენ ის მცირე და საშუალო მეწარმეებიც, რომლებიც ამ ინვესტიციებთან იყვნენ დაკავშირებულნი.

## საქართველოს ეკონომიკა

თაშა მესხია

გკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

### ბლოგალური ეკონომიკური პრიზისი და საქართველოს მაკროეკონომიკური სტაბილურობის პრობლემები

დღეს კაცობრიობა ფაქტის წინაშე დადგა. მეცნიერთა პროგნოზები ახდა. 2007 წლიდან ნელ-ნელა დაიწყო მსოფლიოს ცალკეული ქვეყნების ეკონომიკური განვითარების ტემპების დაცემა და იყო იმის მოლოდინი, რომ კრიზისი რომელიმე განვითარებულ ქვეყანაში უცრად იქნდა თავს. ძირითადი უურადღება აშშ-სკენ იყო მიმართული, რადგან თითქმის ყველა ეკონომიკური კრიზისის სამშობლო ეს ქვეყანა იყო. აშშ-ზე ხომ მთელი მსოფლიო მშპ-ს 20 პროცენტზე მეტი მიდის. ისტორია კვლავ გამოიწყო. 2008 წლის დასაწყისში ამერიკაში თავი იჩინა იპოთეკურმა კრიზისმა, რის შედეგადაც კრახი განიცადეს სუპერბანკებმა, მსგავს პრეცედენტს ადგილი არ ჰქონია დიდი დეპრესიის შემდეგ 80 წლის განმავლობაში. აშშ-ში აღმოცენებულმა იპოთეკურმა და შემდგომ საბანკო სექტორში გადახრდილმა კრიზისმა ევროპის განვითარებულ ქვეყნებშიც გადმოინაცვლა. მოკლე დროში დაისურა ათობით უმსხვილესი ბანკი, უმუშევარი დარჩა 200 ათასზე მეტი „თერთსაყელოინი“ საბანკო მოხელე, ბანკებმა დაკარგეს ლიკვიდობა.

მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის გადრმავებამ თავისი ნებატიური მხარეები მკაფიოდ გამოავლინა. კრიზისმა გადაინაცვლა თითქმის ყველა კონტინენტზე. შეირყა საბანკო სექტორები აზიის უდიდეს ქვეყნებში – ჩინეთში, ინდოეთში, იაპონიაში, აგრეთვე მსხვილ ქვეყნებში – ბრაზილიაში, რუსეთში, კანადაში და ა.შ. კრიზისმა მასშტაბურობამ და გავრცელების სისწრაფემ მთავრობების დაბნეულობა გამოიწვია. თავიდანვე თითოეული სახელმწიფო ცდილობდა, დამოუკიდებლად შებრძოლებოდა კრიზისულ პროცესებს, მაგრამ, შემდგომ თითქმის ყველასათვის ნათელი გახდა, რომ ავტონომიურ რეჟიმში კრიზისის დაძლევა შეუძლებელი იყო. ყველაზე მეტად აშშ-ს ხელისუფლება დაიბნა, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ ერთგაროვანი ბრძოლების გადაწყვეტის მეთოდებს და ფორმებს იგი წამდაუწუმ ცვლილი, რის გამოც ბიზნესმა დაკარგა მთავრობისადმი რწმენა. აშშ-ს ფინანსთა მინისტრის (პოლსონის) გეგმამ, 700 მილიარდი დოლარის ბიუჯეტიდან გამოყოფის შესახებ, დააგვიანა და სასურველი შედეგი არ გამოიღო. საბანკო სექტორისადმი ფინანსური მხარდაჭერის პროგრამები სხვა ქვეყნებმაც შეიმუშავეს, მაგრამ კრიზისის შერბილება მაინც ვერ მოხერხდა.

მდგომარეობა გართულდა ტოკიოს, ლონდონის, მოსკოვის, ნიუ-იორკის სუბონდო ბირჟებზე – იაყდება ცნობილი კორპორაციების აქციები, იმის გამო, რომ ძალას იკრებს რეცესია. აშშ-ში იქლო ვაჭრობამ, შემცირდა საცხოვრებელი სახლების მშენებლობის მოცულობა. მსხვილმა ბანკებმა გასული წელი ზარალით დაასრულეს, გაპოტრდა ასობით ბანკი და სადაზღვევო კომპანია, გაიზარდა ქვეყნის ბიუჯეტის დაფიციტი. ამერიკის ხელისუფლება ეძებს კრიზისის დაძლევის ახალ გზებს, თუმცა ჯერჯერობით შედეგები არადამატაყოფილებელია. მსოფლიო გიგანტმა „ჯენერალ მოტორსმა“ მოედი რიგი მარკის მანქანების წარმოება შეამცირა ან შეწყვიტა. „კოკა-კოლა“-ს წარმოების მოცულობა 30%-ით შემცირდა და ა.შ. უმუშევრობის ღონებ აშშ-ში 6,7%, შეადგინა, ყოველთვიურად 200 ათასი სამუშაო აღილი უქმდება. აშშ-ს ახლად არჩეული პრეზიდენტი ბარაკ ობამა აპირებს საგადასახადო ტვირთის შემცირებას და 2,5 მლნ სამუშაო ადგილის შექმნას. მისი ინიციატივით კრიზისის დასაძლევად და-

მატებით გამოიყო 786 მლრდ დოლარი, თუმცა არსებითი ხასიათის პოზიტივი ჯერჯერობით არ ჩანს.

კრიზისის წარმოშობის ადგილი რომ აშშ-ია, ამაზე პირველმა რუსეთმა განაცხადა და ამ საკითხზე დისკუსია არც დაწყებულა, რამდენადაც უკეთა ქვეყანა მას ეთანხმებოდა. მაგრამ, ჯერჯერობით სადისკუსიოა კრიზისის გამომწვევი ფაქტორები და პირობები. ამერიკელები თვლიან, რომ მთავარი მსოფლიო კრიზისის წარმოშობის მიზეზი აშშ-ს მიერ გატარებული მეტისმეტად ექსპანსიური ფულადი პოლიტიკაა, აგრეთვე მსოფლიო ეკონომიკაში ჩამოყალიბებული დისბალანსი, კერძოდ კი ჩინეთის საგარეო ვაჭრობაში მეტისმეტად მაღალი პროფიციტი და აშშ-ს მეტისმეტად მაღალი საგაჭრო დეფიციტი. ასევე ამერიკელებს მიაჩნდათ, რომ მსოფლიო კრიზისის ერთ-ერთი მიზეზია აგრეთვე აშშ-ს იპოთეკური დაკრედიტების გაუმჯვირვალობა და სუსტი ზედამხედველობა. მიზეზებს შორის სახელდება კომპანიების Freddy mac და Fanny May-ს (სადაც შეიქმნა კრიზისი) მეტისმეტად მცირე კაპიტალი. ამავე დროს, არსებობს სხვა ვერსიებიც, რომელთა შორის საყურადღებოა შემდეგი:

1. ფინანსური აფიორები. მსოფლიო საბანკო სისტემის ტურბულენტობის გამომწვევი მიზეზია მაქინაციები, აფიორა და სხვა კანონდარღვევები.

ამერიკის ახალი პრეზიდენტის მიერ დანიშნულმა აშშ-ის ისტორიაში პირველმა შავგანიანმა გენერალურმა პროკურორმა, იმავე იუსტიციის მინისტრმა ერთ ჰოლდერმა დაიწყო გამოძიება იმ პირთა მიმართ, რომლებმაც თავიანთი ფინანსური აფიორებით მსოფლიოში კატასტროფული ვითარება შექმნეს. მისი აზრით, პასუხი უნდა აგონ უოლ-სტრიტის იმ ფინანსისტებმა, რომელთა სპეციალიზაციამ და აფიორულმა ქმედებამ ეკონომიკურ ქაოსში გაახვია მთელი სამყარო. ამერიკის მთელი საზოგადოება აღშფოთებულია იმასთან დაკავშირებით, რომ სახელმწიფო ხაზინიდან ხელისუფლების მიერ ბანკების გადასარჩენად გაცემული ფულიდან ტოპ-მენეჯერები მილიონობით ხელფასებს და ბონუსებს იღებენ (18 მილიარდი დოლარი). ამასთან დაკავშირებით ბარაკ ობამამ ადნიშნა: „ეს დიდი უასეუსტისმებლობა და სირცხვილა“.

2. ვატიკანის ვერსია – კარდინალ ტარხინიო ბერტონის აზრით, რომელიც ვატიკანის სახელმწიფო მდივანი და №2 კაცია, კრიზისის გამომწვევი მიზეზია სწრაფი სწრაფი გამდიდრებისა და მოკლევადიანი მოგების მიღებისაკენ, რაც ქრისტიანულ მორალს ეწინააღმდეგება.

3. ომი ერაყში. ერაყი ნავთობის მარაგით მეორე ქვეყანა მსოფლიოში (120 მლრდ ბარედი). მისი ნავთობი იაფია – 1 ბარედი 1 ამერიკული დოლარი (რუსეთში 10 ამერიკული დოლარი – საუბარია თვითდირებულებაზე). ომამდე ამერიკა ერაყიდან შეუამავლების მეშვეობით იღებდა ნახევარ მილიონ ტონა ნავთობს დღეში. ახლა პირდაპირი გზით მიაქვს 1 მილიონი იაფი ნავთობი დღეში. შეუამავლების მეშვეობით კიდევ ამდენი, ანუ დღეში მოპოვებული 2,7 მილიონი ბარედი ნავთობიდან ამერიკას მიეწოდება თითქმის 90 %. სანამ ამერიკა თავის ნავთობსაცავებს ავსებდა, ფასი ყოველდღე მატულობდა, ხოლო როგორც კი შეავსო – ფასები დაეცა.

ერაყი „ოპერა“ არ ემორჩილება, ზრდის მოპოვებას, ითვისებს ახალ-ახალ საბაზოებს და აპირებს ყოველდღიურ მოპოვებას 4,5 მილიონ ბარედამდე, რაც ნავთობს კიდევ უფრო გააიაფებს. ამით რუსეთი და ვენესუელა იძირება. ეს, რა თქმა უნდა, პროგნოზული მოსაზრებაა.

4. აშშ დოლარის ჭარბწარმოება. ცნობილია, რომ 1971 წელს დოლარის ოქროსთან მიბმა მოიხსნა. აქედან დაწყებული, ადგილი აქვს დოლარის განუსაზღვრელი რაოდენობით მოჭრას. ყველამ როდი იცის, რომ აშშ-ს ფედერალური სარეზერვო სისტემა, იგივე ამერიკის ეროვნული ბანკი (1907) კერძო კომერციული ორგანიზაციაა, რომელიც ეკუთვნის 20 კერძო ბანკს. ფულის მოჭრა მათი მთავარი ბიზნესია. 1971 წლიდან 2008 წლამდე დოლარის მასა მსოფლიოში

გაიზარდა 10-ჯერ და მეტად, ანუ გაცილებით მეტად, ვიდრე მთლიანი შიდა პროდუქტი.

აშშ 1971 წლიდან ცხოვრობს უფრო მეტად არა საკუთარი, არამედ დანარჩენი მსოფლიოს ხარჯზე. აშშ აწარმოებს მსოფლიო მშპ-ის 20 % (სადაცო), მაგრამ მოიხმარს მსოფლიო მშპ-ის 40 %-ს. ვინ იხდის ამ 20-25 %-იან სხვაობას? ის ქვეყნები, რომლებიც „ჩაშენდნენ“ დოლარში, მაგრამ მათ არანაირი ბერკეტები არ გააჩნიათ დოლარის ემისიის გასაკონტროლებლად. მოკლედ რომ ვთქვათ, ჭარბად წარმოებული ფულით ამერიკა ყიდულობს სხვა ქვეყნების ეკონომიკას. ამერიკაში ყველა პარგად ცხოვრობს (კარგი მანქანა, კარგი ბინა და ა.შ.), მაგრამ ყველა ცხოვრობს გრძელვადიანი კრედიტებით. აქ კი წნდება ემისიის აუცილებლობა, ემისიისა, რომელიც ეკონომიკურად არაა უზრუნველყოფილი. ეს კი კრიზისის წარმოქმნელი ფაქტორია.

5. **დავოსის, ანუ იგივე პუტინის ვერსია.** ფინანსური რეგულირების დაბალი ხარისხი, დისბალანსი მოთხოვნასა და საკრედიტო რესურსებს შორის, კეთილდღეობის არათანაბრად განაწილება როგორც ქვეყნებს შიგნით, ასევე მსოფლიო რეგიონებს შორის.

6. **სურგატული ფულის შეჭრა საფინანსო სისტემაში.** ყველაზე ნებატიური როლი შეასრულა დერივატებმა, რომლებიც თავისი შინაარსით არის ვირტუალური, წარმოებული ფული. ესპერტები დერივატის მსოფლიო ბაზარს აფასებენ 600 ტრილიონ დოლარად, რაც 10-ჯერ მეტია მსოფლიო მშპ-ს ჯამურ წლიურ მოცულობასთან. დერივატებმა (ოფციონი, სკოპი, ფორვარდი, გარანტი და ა.შ.), რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული ამერიკულ იპოთეკურ ობლიგაციებთან, გამოიწვია ფინანსური კრიზისი. აშშ-ს ბანკებმა მოქალაქებზე გასცეს იპოთეკური კრედიტები და მათ შესაბამისად „გამოუშვეს“ წარმოებული, ვირტუალური ქაღალდი, რომელიც იყიდებოდა, გადაიყიდებოდა, მაგრამ მსესხებლებმა მათი რეალური დირებულება დროზე ვერ დაფარეს, რის შედეგადაც დაიწყო ჯაჭვური რეაქცია. დერივატივის დირებულება იცვლება საპროცენტო განაკვეთის, საქონელზე ან ფასის ქაღალდზე ფასის, გაცვლითი კურსის, საკრედიტო რეიტინგის და ა.შ. ცვლილების შესაბამისად. მისი მიზანია ფასთამორისი სხვაობიდან მოგების მიღება, მაგრამ ეს პერაცია არ შედგა, პირიქით, მან კრიზისს ჩაუყარა საფუძველი.

დღეისათვის, მსოფლიოში მიმდინარე კრიზისის ანალიზიდან გამომდინარე, შეიძლება გავაკეთოთ შემდეგი ზოგადი დასკვნები და განზოგადებები:

- მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების მთავრობებმა აღიარეს, რომ კრიზისის დაძლევა ავტონომიურ რეჟიმში შეუძლებელია, ამიტომ მიიღეს გადაწყვეტილება მის წინააღმდეგ ერთობლივი, გაერთიანებული ძალებით ბრძოლის შესახებ. ამასთანავე, აღიარეს, რომ სახელმწიფოს ჩარევის გარეშე კრიზისის დაძლევა შეუძლებელია. ამ კუთხით დიდი როლი შეასრულა ვაშინგტონსა და ლონდონში G20 ქვეყნების ლიდერების შეხვედრამ. დღეისათვის ანტიკრიზისული დონისძიებებისათვის მსოფლიოში დახარჯულია 10 ტრილიონამდე დოლარი. ამ მხრივ ლიდერობენ დიდი ბრიტანეთი, აშშ, გერმანია, რუსეთი, ჩინეთი. დონდონის სამიტის გადაწყვეტილებით, დამატებით დაიხარჯება 5 ტრილიონი დოლარი.
- მსოფლიოს ზოგიერთმა ქვეყანამ ვერ გაუძლო კრიზისის ზეწოლას და დეფოლტის წინაშე დადგა. ამ მხრივ ყველაზე მწვავე მდგომარეობაში აღმოჩნდებ ისლანდია, პაკისტანი, არგენტინა, უნგრეთი, ბალტიის ქვეყნები, უკრაინა, ეკვადორი;
- დღის წესრიგში დადგა მსოფლიოს ახალი ფინანსური არქიტექტურის მშენებლობის ამოცანა, აგრეთვე საკრედიტო-საგალუტო სისტემის რეფორმირება და ბრეტონ-ვედისის სისტემის ტრანსფორმაციის აუცილებლობა;
- კრიზისმა გამოივლინა, რომ მეცნიერული კვლევის შედეგებს მთავრობები სათანადო დონეზე არ იყენებენ, ხოლო ბიზნესი აქცენტირებულია მხოლოდ

- მოგებაზე და მეცნიერულ დასკვნებს და წინადადებებს ნაკლებ უურადღებას აქცევს. კრიზისმა დაანახა მსოფლიოს, რომ საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოები (Fitch, Standard & Poor's, Moody's) ვერ უზრუნველყოფენ საიმედო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას. გამოვლინდა მათი საეჭვო და მიკერძოებული ინტერესები, რაც იქიდან ჩანს, რომ ამერიკულ კომპანიებს და, მათ შორის ისეთებს, რომლებმაც კრიზისს ჩაუკარეს საფუძველი (მაგალითად, Lehman brot hers), გაკოტრდნენ, ხოლო სააგენტოები მათ მაღალ რეიტინგს ანიჭებდნენ.
- კრიზისმა დღის წესრიგში დააყენა აშშ ვალუტის – დოლარის მსოფლიო ვალუტად გამოყენების პრობლემა. ჩამოყალიბებული ისტორიული რეალობიდან გამომდინარე, მსოფლიო გახდა აშშ-ს ვალუტის ტკუ. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, მსოფლიო ვალუტის ფუნქციას ასრულებდა აშშ დოლარი, რომელიც მიბმული იყო ოქროს სტანდარტობი, ხოლო მისი 1970 წლებში გაუქმდის შემდეგ აშშ-ს ხელისუფლებამ საკუთარი შეხედულებით დაიწყო დოლარის ქმისი და მიმოქცევაში გაშვება. უკანასკნელ წლებში აშშ-ს მიერ წარმოებულმა ომმა ერაყში ტრილიონობით გაზარდა ქვეყნის ხარჯები, რის გამოც ძალის ბიუჯეტში წარმოიშვა უზარმაზარი დეფიციტი. ამასთან, ამერიკის ხელისუფლებამ უურადღების მიღმა დატოვა სხვადასხვა სახის სუროგატული „საპნის ბუშტების“ ტირაჟირებაზე ზედამხედველობა, რამაც ლიკვიდურობის გლობალური კრიზისი გამოიწვია. ამან კი როგორც ამერიკის ხელისუფლებისადმი, ასევე ვალუტისადმი ნდობის კრიზისი წარმოიშვა. მსოფლიოს ცალკეული ქვეყნები და რეგიონული გაერთიანებები დღის წესრიგში აყენებენ დოლარის სხვა ვალუტებით ჩახაცვლების საკითხს.
  - მსოფლიოს ბევრი ქვეყნა შემობს, რომ შესაძლებელია ფინანსური კრიზისი და რეცესია გადაიზარდოს პოლიტიკურ კრიზისში. ამის დიდი ალბათობა არსებობს იმ ქვეყნებში, სადაც მოსახლეობის ცხოვრების დონე დაბალია, განსაკუთრებით კი გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში, მათ შორის რუსეთში, რომლის ეკონომიკა ძირითადად სახედლეულო რესურსების ექსპორტზეა ორიენტირებული, ხოლო ამ უკანასკნელთა ფასი მსოფლიო ბაზარზე დაცემის ტენდენციით ხასიათდება.

მსოფლიო ეკონომიკის განვითარების პროგნოზი პესიმისტურია. საერთაშორისო სავალუტო ფონდის განცხადებით, 2009 წლს განვითარებულ ეკონომიკებში ზრდა ნულთან მოახლოებული იქნება. გლობალური რეცესია გარდაუვალია. 2009 წლის მეორე ნახევრიდან დაიწყება ფინანსური კრიზისის შემდიღება და ეკონომიკა ძალიან მცირედ, მაგრამ მაინც დაიწყებს უმნიშვნელო ზრდას.

ბუნებრივია, ისმება ლოგიკური კითხვა: როგორ აისახება საქართველოს ეკონომიკაზე მსოფლიოში მიმდინარე ფინანსური კრიზისი და რეცესიული პროცესები?

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ მაშინ, როდესაც მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის მთავრობები შეშფოთებულია მოსალოდნელი კატაკლიზმების გამო და გამუდმებით ექცევნ გამოსვლის გზებს და ღონისძიებებს, საქართველოს მთავრობა ოლიმპიურ სიმშეიდგს ინარჩუნებდა. არადა, ფაქტორივად, საქართველოში აღგილი აქეს როგორც ფინანსურ კრიზისს, ასევე ეკონომიკურ რეცესიას. აღნიშნული ნეგატიური ეკონომიკური პროცესები ძირითადად შემდეგი სამი მიზეზითაა განაპირობებული: მსოფლიო კრიზისის ექო, აგვისტოს ცნობილი მოვლენები და სუსტი სახელმწიფო ეკონომიკური შენეჯმენტი.

საქართველოს ეკონომიკის განვითარების მოკლევადიანი პროგნოზები პესიმისტურია. როგორც გაეროს, უკროპაგმირის და მსოფლიო ბაზის კვლევები გვიჩვენებს, 2009 წელს საქართველოში გაიზრდება სიღარიბის დონე და 100 ათასი ერთეულით შემცირდება სამუშაო ადგილი. იმისათვის, რომ კრიზისის გავლენა დამანგრევებელი არ აღმოჩნდეს ქვეყნისათვის, უცხოელი ექსპერტები მო-

უწოდებენ საქართველოს ხელისუფლებას, გაააქტიურონ ძალისხმევა შემდეგი მიმართულებებით: პოლიტიკური სტაბილურობის მიღწევა უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად; სოციალური დახმარების სისტემის სრულყოფა; სასამართლოს დამოუკიდებლობის მიღწევა; სამაუწყებლო მედიისათვის თავისუფლების ხარისხის გაზრდა; კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება; საარჩევნო სისტემის დახვეწა-სრულყოფა.

საქართველოში ფინანსური საფრთხეები მსოფლიო კრიზისამდე დაფიქ-სირდა, თუმცა იგი მნიშვნელოვნად გაღრმავდა აგვისტოს მოვლენების შემდეგ. ქვეყნის ხელისუფლებამ დაგვიანებით, მაგრამ მაინც აღიარა, რომ „ერთი წლის წინ ბევრად უფრო აღვილი ცხოვრება გაქონდა“, თუმცა შექმნილი ვთარების შეფასება მაინც არ ხდება ობიექტურად. ფაქტობრივი მდგომარეობა შემაშვოთებელია: საკრედიტო ბაზარი თითქმის პარალიზებულია, კომერციული ბანკების უმეტესობას ლიკვიდურობის პრობლემა გააჩნია, ისტრდება ურჩ კრედიტორთა რიცხვი, გარედან თანხების მოზიდვა გართულებულია, ბანკებიდან დათხოვნილია 6 ათასამდე თანამშრომელი და ეს პროცესი კვლავაც გაგრძელდება, თუ არ გატარდება რადიგალურად ანტიკრიზისული ღონისძიებები.

საბანკო სექტორში მიმდინარე ნებატიურმა პროცესებმა პრობლემები შეუქმნა ქვეყნის ეკონომიკის თითქმის ყველა სფეროს, განსაკუთრებით კი მშენებლობის სექტორს. ახალი მშენებლობები თითქმის გაჩერდა, აშენებული ბინების რეალიზაციის მაჩვენებელი მკვეთრად დაეცა, დეველოპერულ კომპანიებს სერიოზული ფინანსური პრობლემები შეექმნათ, იწყება უძრავ ქონებაზე ფასების დაცემის პროცესი, ამ სფეროში კრიზისმა აშკარად გამოკვეთილი სახე მიიღო.

რთული მდგომარეობაა ტურიზმის სფეროში. გლობალურმა კრიზისმა აღნიშნული სფერო მთელ მსოფლიოში დააზარალა, მათ შორის, საქართველოშიც. პრობლემები შეექმნა მატერიალური წარმოებისა და არასაწარმოო სფეროს თითქმის ყველა დარგს, რაზეც მეტყველებს შემდეგი ფაქტები: გაჩერებულია ან შემცირებულია წარმოების მასშტაბები რუსთავის მეტალურგიულ კომპინატში, აზერის ქარხანაში, ზესტაფონის ფეროშენადნობში, ჭიათურის მარგანეცში, ქსნის მინის ქარხანა გაჩერდა და ა.შ. ფასები გაიზარდა წიგნებზე, ტან-საცმელზე, წამლებზე, კვების პროდუქტებზე, ავეჯზე და ა.შ. ლარის გაუფასურებამ მოსახლეობის დიდი ნაწილი აზარალა. უცხოეთიდან გადმორიცხული თანხის მოცულობა (დახმარება) მნიშვნელოვნად შემცირდა, უმუშევართა რიცხოვნობა იზრდება, შემცირდა გაყიდვების მოცულობა თითქმის ყველა სფეროში, სავაჭრო ობიექტების საგმაოდ დიდი ნაწილი დაისურა ან დახურვის პირასაა. ყველაფერი ეს სამწუხარო რეალობაა, რომლის მაკროეკონომიკური ციფრებით და მახასიათებლებით შელამაზება მხოლოდ ზიანის მომტანია. რეალობას თვალებში უნდა შევხედოთ და სწორი დასკვნები გავაკეთოთ. ამ მხრივ, ხელისუფლებამ პირველი ნაბიჯები უკვე გადადგა, ვარდისფერ ეკონომიკურ წარმატებებს ფერი ოდნავ გაუმჯდა. ამის ნიშანია, რომ დაიწყო ფიქრი და მოქმედება ანტიკრიზისული პროგრამის შემუშავების მიმართულებით. პარლამენტში შეიქმნა ანტიკრიზისული საბჭო, მთავრობამაც გააკეთა განცხადება ანტიკრიზისული პროგრამის შემუშავების შესახებ. სახელისუფლებო განცხადებებში ხშირად მოიხსენიება ანტიკრიზისული ღონისძიებების ფრაგმენტები, მაგრამ დღემდე ოფიციალური ფორმით შედგენილი არანაირი სახის სახელისუფლო ანტიკრიზისული პროგრამა ბუნებაში არ არსებობს. როგორც ჩანს, დღის წესრიგში დადგება ქვეყნის კომპლექსური ანტიკრიზისული პროგრამის სასწრაფო შემუშავების საკითხი. სწორედ ამ მიზნით ვთავაზობთ დაინტერესებულ ხელისუფლებას და საზოგადოებას ჩვენს მოკრძალებულ მოსაზრებებს ანტიკრიზისული პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებით.

ანტიკრიზისული პროგრამის შედგენას წინ უნდა უძღვდეს მისი რეალიზაციის უზრუნველმყოფელი თეორიულ-მეთოდოლოგიური პაკეტის გააზრება. იგი უნდა იყოს გაძედული, აგრესიული და უკომპრომისო, რაც ნიშნავს დადგენილი საბაზრო ნორმებიდან გადახვევას და, საჭიროების შემთხვევაში, ნებისმიერი

ეკონომიკური ურთიერთობების დონეზე სახელმწიფოს ჩარევას.

ანტიკრიზისულ პროგრამაში სახელმწიფო ადმინისტრირების წინა პლანზე წამოწევა უნდა იყოს მოკლევადიანი და მისი მოქმედების ვადა უნდა ვრცელდებოდეს მხოლოდ კრიზისის დაძლევამდე, ხოლო მის შემდეგ ეკონომიკა უნდა დაუბრუნდეს ლიბერალურ საბაზრო ურთიერთობებს.

ანტიკრიზისული პროგრამის შედეგნას წინ უნდა უძღვდეს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თანამედროვე მდგრმარეობის სიღრმისეული ანალიზი, უნდა გამოვლინდეს მწვავე, გადაუჭრელი პრობლემები, რომლებიც ხელს უწყობს კრიზისის გადრმავებას, აგრეთვე, ამ ანალიზის საფუძველზე დაპროგნოზდეს მოსალოდნელი შედეგები უახლოესი და შორეული პერსპექტივისათვის. უპირველეს ყოვლისა, უნდა დადგინდეს კრიზისის ომედე ფორმასა და სტადიასთან გვაქვს საქმე. უურადდება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ ფინანსური კრიზისი, როგორც წესი, ეკონომიკურ კრიზისში გადაიზრდება ხოლმე. რაც შეეხება რეცესიას, ის თავისი ბუნებით და ეკონომიკის ციკლური განვითარების პრინციპებიდან გამომდინარე, კანონმდებლის პროცესია, მაგრამ იგი ხშირად გამოდის კონტროლიდან და შეუმჩნევლად გადაიზრდება კრიზისში.

ამგვარი ანალიზის შემდგომ ეტაპზე უნდა დადგინდეს ფინანსური, ეკონომიკური კრიზისების და რეცესიის გამომწვევი ობიექტური და სუბიექტური ფაქტორები (მიზეზები).

მიმდინარე ეტაპზე საქართველოში შექმნილი და უახლოეს პერიოდში მოსალოდნელი სიციალურ-ეკონომიკური მდგრმარეობის ანალიზისა და შეფასების საფუძველზე შეიძლება გამოიკვეთოს ის ძირითადი ფაქტორები, პირობები და პრობლემური სფეროები, რომლებიც მაღალი ალბათობით შეიძლება აისახონ ანტიკრიზისულ პროგრამაში. კერძოდ, მსოფლიო ფინანსური კრიზისის საქართველოს ეკონომიკაზე გავლენის, აგრეთვე, აგვისტოს მოვლენებისა და ეკონომიკის სახელმწიფო მენეჯმენტის უარყოფითი შედეგების ნიველირების მიზნით, ანტიკრიზისულ პროგრამაში უნდა აისახოს როგორც მაკროეკონომიკური, ისე მიკროეკონომიკური, ორგანიზაციულ-მმართველობითი და, ზოგადად, ქვეყნის ეკონომიკური მოწყობის ტრანსფორმაციული ღონისძიებები, რომელთა შორის, ჩემი აზრით, უურადღება უნდა გამახვილდეს შემდეგ ძირითად საკითხებზე:

\* ანტიკრიზისულ პროგრამაში, მსოფლიო გლობალური კრიზისის გაფლენის თავიდან აცილების ან შერბილების მიზნით, პრიორიტეტული ადგილი უნდა მიენიჭოს ქვეყნის ეკონომიკური დამოუკიდებლობის ხარისხის ამაღლებას. გლობალური კრიზისის პირობებში, ბუნებრივია, თითოეული ქვეყანა თავის ეკონომიკურ ურთიერთობებში უპირატესობას ანიჭებს საერთო ეროვნულ ინტერესებს და, საჭიროების შემთხვევაში, ზღუდავს სხვა ქვეყნებთან ტრადიციულ საფინანსო-ეკონომიკურ ურთიერთობებს. გამომდინარე აქციან, შედარებით მწვავე ეკონომიკური საფრთხეები ექმნებათ იმპორტიორ ქვეყნებს, რისი თავიდან აცილების უველავე საუკეთესო და შედეგიანი საშუალებაა იმპორტ შემცვლელი საქონლის და მომსახურების ადგილზე წარმოება. უნდა ითქვას, რომ ასეთი მიდგომა გამართლებულია უველა შემთხვევაში (არა მხოლოდ კრიზისის დროს), რადგან იგი მნიშვნელოვნად ზრდის ქვეყნის ეკონომიკურ დამოუკიდებლობას და შესაბამისად უსაფრთხოებასაც.

როგორც ცნობილია, საქართველოში დღვენდელ ეტაპზე მოხმარებული პროდუქციის დაახლოებით 70-75 პროცენტი იმპორტულია, ანუ საქართველო ცალმხრივად შეიძლობა ინტეგრირებული მსოფლიო ეკონომიკასთან. ცალმხრივად იმიტომ, რომ ექსპორტი იმპორტს 4-5-ჯერ ჩამორჩება. უფრო მეტიც, საქართველო გარე სამყაროსთან მეტწილად დაკავშირებულია სტრატეგიული პროდუქციის (ხორბალი, ნავთობპროდუქტები, გაზი და ა.შ.) იმპორტირების აუთისთ, ხოლო ექსპორტის პოზიციებიდან ჩვენი ქვეყნის პროდუქცია არაა პირველი, აუცილებელი მოხმარების, განსაკუთრებით კრიზისულ სიტუაციაში (დგინო, ხილი, ციტრუსი და ა.შ.).

შემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ანტიკრიზისულ პროგრამაში პრიორიტეტ-

ტული ადგილი უნდა განექუთვნოს ადგილობრივი წარმოების შენარჩუნება-განვითარებას. უფრო მეტიც, სახელმწიფომ უნდა შექმნას ხელსაყრელი მაკრო-ეკონომიკური და ბიზნესგარემო იმ პროდუქციის საწარმოებლად, რომელიც დღესათვის უცხოეთიდან შემოდის და მისი ადგილზე წარმოებისთვის საჭირო ბუნებრივი პირობები და სათანადო ადგილობრივი რესურსები არსებობს. საქართველოს პირობებში ასეთი სფეროა აგროსაწარმო კომპლექსი – სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება, დამზადება და საწარმო გადამუშავება. მიუხედავად ამისა, სხვა ქვეყნებიდან შემოტანილი აგროპროფილის პროდუქცია საქართველოში თითქმის 2-ჯერ ადგმატება ადგილზე წარმოებულს. ამით საქართველო ხელს უწყობს უცხოეთის ქვეყნებში სამუშაო ძალის დასაქმების და, შესაბამისად, ადგილზე უმუშევრობის ზრდას. ამ მხრივ ანტიკრიზისულმა პროგრამამ რადიკალურად უნდა შეცვალოს სიტუაცია, საქართველოს ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე.

გარდა ამისა, ანტიკრიზისულ პროგრამაში პრიორიტეტული ადგილი უნდა მიეკუთვნოს ასევე ადგილობრივი რეალური სექტორის აღორძინება-გადარჩენა-განვითარებას, კერძოდ სამრეწველო წარმოებას, მშენებლობას, მომავალეობელ დარგებს, გადამამუშავებელ მრეწველობას და ა.შ.

\* ანტიკრიზისულ პროგრამაში პრიორიტეტული ადგილი უნდა დაეთმოს აგრეთვე ინვესტიციური პოლიტიკის ეფექტიან გამოყენებას. კრიზისის დროს ყველაზე სწრაფად ფრთხებიან ინვესტორები. ამ დროს უფლის მოძრაობა ნელ-დება და შესაბამისად სუსტდება ეკონომიკური აქტივობა. კრიზისისადმი განსაკუთრებით მგრძნობიარენი ხდებიან უცხოელი ინვესტორები რისკფაქტორების ზრდის გამო და ეს ბუნებრივი პროცესია. საქართველო არ იყო განებიყრებული უცხოური ინვესტიციებით (2007 წელს მან 1,7 მლრდ ლარი შეადგინა), მაგრამ აგვისტოს მოვლენებისა და გლობალური ფინანსური კრიზისის შედეგად იგი მნიშვნელოვნად შემცირდა და პროგნოზებიც პესიმისტურია. დღეისათვის საინვესტიციო შიმშილმა დაისადგურა. არის გარევეული გამონაკლისებიც. მაგალითად, გასული წლის მიწურულს საქართველოს მთავრობამ არაბულ კომპანია „რაკ ინვესტმენტს“ 65 მილიონ აშშ დოლარი ინვესტიციის საფასურად გადასცა ფოთის ნავსადგური (სახელმწიფოს მფლობელობაში დარჩენილი 49 პროცენტი), რითაც მთლიანად დაკარგა კონტროლის მექანიზმი. ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების პოზიციებიდან გაუაზრებლად და სპონტანურადაა მთელი რიგი სტრატეგიული ობიექტები პრივატიზებული იმ მიზნით, რომ მოზიდულიყო უცხოური ინვესტიციები. არადა, ცნობილია, რომ დღეს მსოფლიოში მომრავლებულია არაკეთილსინდისიერი ინვესტორები, რომლებიც ოფშორულ ზონებში სახელდახელოდ გახსნილ კომპანიებს ამოფარებულები, შავი ფულის გარეცხვით არიან დაკავებულები. ინვესტიცია დღეს ქვეყნის ეკონომიკური დამოუკიდებლობის ხარისხის შემცირებისა და, შეიძლება ითქას, ქვეყნის ეკონომიკური (და პოლიტიკურიც) დაპყრობის ერთ-ერთ ძლიერ ინსტრუმენტად იქცა. ამიტომაცაა, რომ მთელი რიგი ქვეყნები (გერმანია, საფრანგეთი, იტალია და ა.შ.) უცხოურ ინვესტიციებზე საკმაოდ დაბალ კვოტებს აწესებენ, რათა ხელიდან არ გაუშვან ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოება.

განსაკუთრებით საშიშია კრიზისის დროს უცხოური ინვესტიციის მოძალება. კეთილსინდისიერი ინვესტორი მაღალი რისკის პირობებში თავს არიდებს საკუთარი სახსრების უცხო ქვეყნებში გადაადგილებას. არაკეთილსინდისიერი ინვესტორი კი კრიზისის დროს სარგებლობს ინვესტიციური შიმშილით და თავის სახსრებს თავისუფლად მიმართავს არაკეთილსინდისიერი მიზნების სარეალიზაციოდ.

გამომდინარე ზემოადნიშნულიდან, ანტიკრიზისულმა პროგრამამ განსაკუთრებული ყერადღება უნდა მიაქციოს ინვესტიციების წარმომავლობას, მის დივერსიფიკაციას და არ უნდა დაუშვას ერთი ქვეყნისგან ან ქვეანათა ერთი ჯგუფისგან ინვესტიციების უპირატესი მოზიდვა. ინვესტიცია დღეს პოლიტიკურ ელფერს იღებს. მოქმედბა ხელისუფლებამ არ უნდა დაუშვას ნებისმიერი ინვეს-

ტიციის ნებისმიერი ქვეყნებიდან შემოდინება იმ მიზნით, რომ მან გაზარდოს თავისი პოლიტიკური დივიდენდები მიმდინარე ეტაპზე, ხოლო მომავალ ხელისუფლებას და ხელისუფალთ შეუმნეველი „პომბი“ დაახვედროს.

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, ჩემი აზრით, ინვესტიციურმა პოლიტიკამ კრიზისის პირობებში გარკვეული, თავდაცვითი სახე უნდა მიიღოს. ამასთან, მთავარი აქცენტი უნდა გაკეთდეს საკუთარ, შიდა კერძო და სახელმწიფო ინვესტიციებზე, განსაკუთრებით იმ სფეროებში, რომლებსაც ქვეყნისათვის სტრატეგიული მნიშვნელობა გააჩნიათ.

\* ანტიკრიზისული პროგრამის ერთ-ერთი მთავარი ქაუკუთხედი უნდა გახდეს სახელმწიფო ბიუჯეტი და საერთოდ ქვეყნის საბორუპეტო სისტემა. კრიზისი და ბიუჯეტი ერმანეტოან კაუზალურ ურთიერთქმედებაში იმყოფებიან. ერთი მხრივ, ეკონომიკური კრიზისი ამცირებს საბიუჯეტო, განსაკუთრებით საგადასახადო შემოსავლებს, ხოლო, მეორე მხრივ, საბიუჯეტო ხარჯების გონივრული მანევრირება ეკონომიკური კრიზისის ნეგატიური სოციალურ-ეკონომიკური შედეგების შერბილების საშუალებას იძლევა. მთავარია სწორი ხარჯვითი პოლიტიკის გატარება, რომელიც თავისუფალი იქნება პოლიტიკური იდეოლოგიისგან და ოპტიმალურად იქნება მიმართული როგორც საზოგადოების სოციალური სტანდარტების უზრუნველყოფის, ასევე ეკონომიკის განვითარების სტანდარტებისკენ.

როგორც დღევანდები მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის პრაქტიკა გვიჩვენებს, ყველა ქვეყნის მთავრობის მთავარი ეკონომიკური ბერკეტი კრიზისის წინააღმდეგ საბრძოლველად საბიუჯეტო სახსრები აღმოჩნდა. საბოლოო ჯამში, კრიზისის დასაძლევად სხვადასხვა ქვეყნების ბიუჯეტიდან დღეისათვის გამოყოფილია თითქმის 8 ტრილიონამდე ლოდარი, განსაკუთრებით საბანკო, სადაზღვეო და სამშენებლო სექტორების გადასარჩენად.

საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი თავისი სტრუქტურით და შინაარსით არსებითად არ განსხვავდება წინა წლის ბიუჯეტისაგან და მას არც შეიძლო და არც გარე ეკონომიკური კრიზისის კვალი არ ამჩნევი. შემოსავლები 2008 წელთან შედარებით უმნიშვნელოდ – 46,5 მლნ ლარით შემცირდა, ხარჯები კი – 285 მლნ ლარით, მაგრამ მნიშვნელოვნად გაიზარდა დეფიციტი და მან 660 ლარი შეადგინა. უმნიშვნელოდ შემცირდა და კრიზისის პირობებისათვის გაუმართდებლი დარჩა ხარჯები საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაზე (1,4 მლრდ ლარი). გაუგებარია, როთა გამოწვეული „იაფი კრედიტის“ პრივატისათვის თანხის 20 მლნ-მდე შემცირება (2008 წელს იყო 49,5 მლნ) მაშინ, როდესაც პრეზიდენტის ფონდი და მთავრობის ფონდი 10-10 მლნ-ით გაიზარდა და 50:50 მილიონი ლარი შეადგინა. მოკლედ რომ ვთქვათ, ბიუჯეტს ანტიკრიზისული სახე ნამდვილად არ გააჩნია.

რა თქმა უნდა, ბიუჯეტში კრიზისის წინააღმდეგ საბრძოლველად საქართველოდ და რეზერვი არსებობს. ბიუჯეტში მრავლადაა ისეთი პროგრამული ხარჯები, რომელთა გაწევა კრიზისის პირობებში მხოლოდ ფუფუნებაა, ხოლო მათი ერთი ნაწილი საერთოდ უმიზნო და ნაკლებად სახელმწიფოებრივი მნიშვნელობისაა, მეტიც, შეიძლება ითქვას, კორუფციული ალბათობის მატარებელია. გაურკვეველია 2008 წელს რა მიზნით იქნა აღებული ხელისუფლების მიერ ეკრობლიგაციებით ნახევარმილიარდიანი საგარეო ვალი და სად გაქრა ეს თანხა.

უველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩემი აზრით, შესაძლებელია განიხილოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ხელახალი „გადაწერის“ საკითხი იმ მიმართულებით, რომ დაახლოებით 2 მილიარდი ლარით შემცირდეს სახელმწიფო მმართველობაზე, თავდაცვაზე, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასა და სხვა ღონისძიებებზე გამოყოფილი ასიგნებები და იგი წარიმართოს რეალური სექტორის მხარდასაჭერად. ამ მიზნით შეიქმნას „კრიზისის დაძლევის ფონდი“, საიდანაც დაბადი საპროცენტო განაკვეთებით სესხები გაიცემა ეკონომიკის სისტემაწარმომქმნელ სფეროებზე (საბანკო სექტორი, სამშენებლო სექტორი, ტუ-

რიზმი, მოპოვებითი და გადამამუშავებელი მრეწველობა და ა.შ.).

გასული წლის ოქტომბერში ბრიუსელში დონორთა საერთაშორისო კონფერენციაზე, საქართველოსთვის გამოყოფილი 4,5 მლრდ დოლარის (2 მლრდ გრანტი და 2,5 მლრდ სესხი) უმეტესი ნაწილი უნდა წარიმართოს ქვეყნის რეალურ სექტორში, აგრეთვე ინფრასტრუქტურის (მათ შორის საწარმოო ინფრასტრუქტურის) აღდგენა-განვითარებაზე (უნერგეტიკა, გზები, საბიუჯეტო დახმარება). პროგრამაში უნდა გაიწეროს ამ თანხის რეციპიენტების ჩამონათვალი, თანხის მიღების სავარაუდო ვადები და მოსალოდნებელი შედეგები. თანხის ხარჯების კანონიერებაზე, მიზნობრიობასა და ეფექტიანობაზე ევროპავშირთან ერთად კონტროლი უნდა დააწესოს ქვეყნის მაკონტროლებელმა უწყებებმა და სამოქალაქო საზოგადოებამ (მასმედის, არასამთავრობოები და ა.შ.).

უნდა აღინიშნოს, რომ საკმაოდ დიდი მოცულობის საერთაშორისო ფინანსური დახმარება, ეკონომიკასთან ერთად, დიდი დადებითი ფსიქოლოგიური მუხტის შემცველია, თუმცა იგი გარკვეულ რისკსაც შეიცავს, რადგან მომავალი 3 წლის განმავლობაში ამ თანხის ტრანშებად მიღება-არმილების საკითხი ბევრადაა დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ სახეს მიიღებს გლობალური ფინანსური კრიზისი.

\* კრიზისის პირობებში რეალური სექტორის სტიმულირებისთვის მაქსიმალურად უნდა იქნეს გამოყენებული საგადასახადო სისტემა. ამასთან, აქცენტი უნდა იყოს აღებული არა მხოლოდ საგადასახადო განაკვეთების შემცირებაზე, არამედ, აგრეთვე, საგადასახადო ტგირთის ოპტიმალურ გადანაწილებაზე მწარმოებლებს, მომხმარებლებს და კაპიტალს შორის, პირდაპირ და ირიბ გადასახადებს შორის.

ეკონომიკური კრიზისის პირობებში, დღევანდველ ეტაპზე, თითქმის კველა ქვეყანამ მიმართა გადასახადების შედარებით ლიბერალიზაციას. არც საქართველო გამონაკლისი. საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი 25 პროცენტიდან შემცირდა 20 პროცენტამდე, რაც, რა თქმა უნდა, ანტიკრიზისული კუთხით წინ გადადგმული ნაბიჯია. მაგრამ აქ ერთ გარემოებას უნდა გაესვას ხაზი. ხელი-სუფლების განცხადება იმის შესახებ, რომ საშემოსავლო გადასახადების შემცირების შედეგად 250 მილიონი ლარი ეკონომიკას დარჩა და ინვესტიციურ აქტივებას შეუწყობს ხელს, გაუაზრებელი და უსაფუძვლო. აღნიშნული თანხა დასაქმებულთა ფულად შემოსავალს ემარტება და თითოეულ დასაქმებულზე იგი იმდენად მცირება, რომ მისი ინვესტიციასთან დაკავშირება აზრსმოკლებულია. ამასთან, გაუგებარია, რა შეუძირა ამ თანხის ეკონომიკაში დატოვება. უაზრო პიარი კრიზისის დაძლევაში მიუღებელია.

ჩემი აზრით, ანტიკრიზისულ პროგრამაში სრულად უნდა აისახოს საგადასახადო სისტემის შესაძლებლობანი კრიზისის დაძლევის საქმეში. ეკონომიკური კრიზისის დაძლევაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საგადასახადო მექანიზმის ოპტიმიზაციას, გადასახადების ფისკალურ და მასტიმულირებელ ფუნქციებს შორის რაციონალური თანაფარდობის დამყარებას. კრიზისის პირობებში, საგადასახადო განაკვეთების ოპტიმიზაციის პარალელურად, დიდ მნიშვნელობას იქნეს საგადასახადო პრეფერენციების სისტემის შემუშავება და პრაქტიკული რეალიზაცია.

\* ანტიკრიზისული რეგულირების ერთ-ერთი სტრატეგიული მექანიზმია ფულად-საკრედიტო პოლიტიკა. მართალია, ეროვნული ბანკის ფუნქციები მნიშვნელოვნად შეიზღუდა და მისი საქმიანობა ძირითადად ფასების სტაბილურობის შენარჩუნებამდე იქნა დაყვანილი, მაგრამ იგი მაინც ვერ გაექცევა ეკონომიკის სტიმულირების ფუნქციას, რომელიც ლოგიკურადაა მასთან მიბმული. კრიზისის პირობებში მონეტარული პოლიტიკა სახელმწიფო ჩარევისაგან არ იქნება თავისუფალი და ეს ობიექტური აუცილებლობაა, მაგრამ აქ საჭიროა გარკვეული დისტანციის დაცვა და კრიტიკული ზღვრის დადგენა, რომლის იქით ჩარევა დაუშვებელია. მონეტარული პოლიტიკა უნდა გახდეს მაქსიმალურად გამჭვირვალე საზოგადოებისა და ბიზნესისათვის. არ უნდა იქნეს დაშვებული

ეროვნული ვალუტის კურსის არც მყისიერად ხელოვნურად გამყარება და არც გაუფასურება. ეროვნულმა ბანკმა უნდა განსაზღვროს ის „ოქროს შუალედი“, რომელიც უზრუნველყოფს, ერთი შერივ, ფასების სტაბილურობას (დაბალ ფასებს), ხოლო, მეორე მხრივ, სტიმულს მისცემს კომერციულ ბანკებს, ხელი შეუწყონ ეკონომიკის, განსაკუთრებით კი რეალური სექტორის აღორძინება-განვითარებას.

ეროვნულმა ბანკმა საბაზო (სააღრიცხვო) განაკვეთების რეგულირებით დადგებითი როლი ითამაშა კომერციული ბანკების ლიკვიდურობის შენარჩუნებაში. ამ (მისი შემცირების) მიმართულებით მუშაობა კვლავაც უნდა გაგრძელდეს. ამასთან, სახელმწიფო, ეროვნული ბანკის მეშვეობით, კრიზისის პერიოდში პირდაპირ უნდა ჩაერიოს საკრედიტო განაკვეთების ფორმირებაში, გამომდინარე იქიდან, რომ კომერციული ბანკები, გამოდევნებული არიან რა ზემოგების მიღებას, მიუხედავად ქვეყანაში შექმნილი მძიმე მდგომარეობისა, კრედიტებზე ინარჩუნებენ გაუმართდებლად მაღალ განაკვეთებს. კომერციულმა ბანკებმა უნდა გააცნობიერონ, რომ მათი მდგომარეობის და გადარჩენის ერთადერთი საფუძველია ეკონომიკის განვითარება და, შესაბამისად, დასაქმების ზრდა.

მისაღებია კანონი საბანკო დეპოზიტების დაზღვევის შესახებ. ეს პრაქტიკა ფართოდ გამოიყენება განვითარებულ ქვეყნებში და იგი ერთ-ერთ მნიშვნელოვან ანტიკრიზისულ მექანიზმად ითვლება. მაგალითად, მიმდინარე გლობალური კრიზისის დროს პონკონგის მთავრობამ მთლიანად იყისრა დეპოზიტების სახელმწიფო ეკონომიკი გარანტიები, ხოლო ავსტრალიამ, ირლანდიამ, საბერძნეთმა, გერმანიამ, ავსტრიამ და სხვა ქვეყნებმა მნიშვნელოვნად გაზარდეს დაზღვეული დეპოზიტების თანხობრივი მოცულობა, რუსეთის ფედერაციაში იგი 100 ათასი რუბლიდან 700 ათასამდე გაიზარდა.

კომერციულმა ბანკებმა კრიზისის პერიოდში უნდა დათმონ მოგების (რომლის მარტა საკმაოდ მაღალია) გარკვეული ნაწილი, შეამცირონ საკრედიტო განაკვეთები (ზოგიერთ ქვეყანაში სახელმწიფო იძულების წესით მოახდინა) და, პირველ რიგში, უზრუნველყონ იპოთეკურ და რეალურ სექტორზე ინვესტირების კუთხით გაცემული კრედიტების რესტრუქტურიზაცია, მათი გადახდის ვადების გადაწევა და საჯარიმო სანქციების განულება.

დღევანდელ ეტაპზე კომერციულ ბანკებში კრედიტების დაბრუნების მწვავე პროცესში დგას. „ურჩ“ გადამხდელთა რიცხვი 175 ათასამდე გაიზარდა, რამაც, რა თქმა უნდა, ბანკებს ლიკვიდურობის პროცესში შეუქმნა. მიუხედავად ამისა, დაუშვებელია კრიზისის პირობებში სესხების დაბრუნების კუთხით ყველა კრედიტორის მიმართ ერთნაირი იძულებითი წესის გამოყენება (საუბარია აგვისტოს მოვლენების შედეგად დაზარალებულებზე და ა.შ).

დღის წესრიგში რჩება ინფლაციის პრობლემა. ამ მხრივ საჭიროა მეცნიერებული არგუმენტირებული მეთოდიკის შექმნა და ინფლაციის შეულამაზებელი მაჩვენებლების გაანგარიშება.

\* პროგრამაში საჭიროა ისეთი მექანიზმის შემუშავება, რომელიც მოაწეს-რიგებს ქვეყანაში შრომის ანაზღაურების სისტემას. ხელფასების ოპტიმიზაციას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კრიზისის პირობებში. არასამართლიანია, რომ სამეურნეო სუბიექტებიდან ითხოვენ მუშაკებს, ხოლო, იმავდროულად, ხელმძღვანელ მუშაკთა და დარჩენილ თანამშრომელთა ხელფასებს ზრდიან. საყურადღებოა აშშ-ს პრეზიდენტის ბარაკ ობამას წინადაღება. მან ამერიკული კომპანიების ხელმძღვანელებს ურჩია, რომ მუშაკთა დათხოვნის შემთხვევაში თვითონ შეიმცირონ ხელფასები და ბონუსები.

საქართველოს საბიუჯეტო სექტორში სახელფასო სისტემა სრულიად უსისტემო და ქაოსურია. არაფერს ვამბობ იმაზე, რომ სხვადასხვა, თითქმის უსაქმურ, მარეგულირებლებს ქვენის პრეზიდენტზე რამდენჯერმე მაღალი ანაზღაურება აქვთ. მაგრამ, ყოვლად დაუსაბუთებელია ის, რომ კრიზისულ სიტუაციაში, როდესაც მოსახლეობის ცხოვრების დონე ეცემა და დარიბთა რიცხვი მატულობს, ბიუროკრატიული უწყებების ხელფასის ფონდი იზრდება. ამ მხრივ

2009 წლის ბიუჯეტმა რეკორდიც კი დაამყარა – მან 1 მილიარდ ლარს გადააჭარბა და წინა წელთან შედარებით 119,8 მილიონით გაიზარდა.

საბიუჯეტო ხარჯების ოპტიმიზაცია, როგორც კრიზისის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი უფექტიანი მეთოდი, ფართოდ გამოიყენება მთელ რიგ ქვეყნებში. მაგალითად, ლატვიამ, რომელიც, 90-იანი წლებიდან ეკონომიკური ზრდის მიხედვით, ყველაზე წარმატებულ ქვეყნად ითვლებოდა, 2009 წლის ბიუჯეტში შეიტანა ცვლილებები და ხარჯები შეამცირა 10 პროცენტით (დაახლოებით 1,2 მილიარდი ლარით). ხარჯების შემცირება შექეთ ძირითადად მართველობით სფეროს და გამოთავისუფლებული სახსრები კრიზისის დასარეგულირებლად იქნა გადასრულილი. საბიუჯეტო სფეროს მუშაკებს ხელფსები შეუმცირდათ ეპროპის განვითარებულ ქვეყნებშიც, რაც სამართლიანობისა და დემოკრატიის თვალსაჩინო ნიმუშია. საქართველოში კი პირიქით – სახელისუფლებო სტრუქტურებმა ხელფასები გაიზარდეს, რაც, აღმართ უფრო გამოუცდელობის ან კიდევ კრიზისის მასშტაბების გაუცნობიერებლობის გამო მოხდა. უფრო მეტიც, არსებითი ცვლილებები არ განუცდია წარმომადგენლობით, სამივლინებო და სხვა ხარჯებს, რაც ანტიკრიზისული პროგრამის ფარგლებში სათანადო დარეგულირებას მოითხოვს. კრიზისი ხელისუფლებას იმ დონით თუ არ შექეთ, რაც მოსახლეობას, შეიძლება ამან ნებატიური სოციალური ფონი შექმნას ქვეყანაში.

• პროგრამაში უნდა აისახოს სახელმწიფო კანონების შესრულებაზე **საკონტროლო-საზედამხედველო** სისტემის ტრანსფორმაციის საკითხები. დღევანდელ სახელმწიფო და საფინანსო კონტროლის სისტემა არაუფლებიანია. გაუმართავია კონტროლის ფორმები და მეთოდები. სუსტია მომთხოვნელობა და პრინციპულობა. ამსთან, რადიკალურ ცვლილებას საჭიროებს საშემსრულებლო დისციპლინა. სახელმწიფო კონტროლი გაიგივებულია ფინანსურ კონტრლობან, რის გამოც სახელმწიფო დაწესებულებების მიერ კანონების შესრულებაზე მონიტორინგი ყურადღების მიღმა დარჩენილი. დაუშვებელია, სახელმწიფო ორგანიზაციების მუშაობის ხარისხი მათი ხელმძღვანელების ტელეკონაერებზე არცთუ იშიათი გამოჩენით ფასდებოდეს. ჩემი აზრით, საქოროა საქართველოს პრეზიდენტთან შეიქმნას მცირერიცხოვანი საკონტროლო-საზედამხედველო სამსახური, რომელიც მუდმივ ზედამხედველობას დააწესებს როგორც პრეზიდენტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობაზე, ასევე სახელმწიფო ორგანიზაციების კანონშესაბამის საქმიანობაზე.

• რადიკალურადა შესაცვლელი საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს საქმიანობა. უპირველეს ყოვლისა, იგი უნდა დაუბრუნდეს ეროვნულ ბანკს. რაც შეეხება საბიუჯეტო სახსრების ხარჯვასა და სახელმწიფო ქონების გამოყენებაზე ფინანსური კონტროლის სისტემას, რომელიც დღეისათვის პარალიზებულია, რადიკალურ ტრანსფორმაციას საჭიროებს.

\* ანტიკრიზისულ პროგრამაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებას. საქართველო, კორუფციის აღქმის ინდექსის მიხედვით, ერთ-ერთ საუკეთესო ადგილის იმყოფებოდა სულ ორიოდე წლის წინ, მაგრამ, 2008 წლის მონაცემებით, იგი 180 ქვეყანას შორის 67-ე ადგილზე აღმოჩნდა, რასაც ადასტურებს Transparency International-ის ბოლო გამოკვლევები. საქართველოში კორუფციამ ტრანსფორმაცია განიცადა, შემცირდა კორუმინისტულობა რიცხვი, შეიცვალა კორუფციის სახეები და მან ძირითადად ელიტარული სახე მიიღო.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ანტიკრიზისულ პროგრამაში უნდა აისახოს ისეთი პრობლემური კორომიკური საკითხების დარეგულირების მექანიზმები, როგორიცაა ექსპორტ-იმპორტის თანაფარდობა, რეგიონული განვითარების გათანაბრება, მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა, ანტიმონიპოლიტიკური რეგულირება, სტატისტიკური ინფორმაციის სამედობისა და გამჭვირვალობის ხარისხის ამაღლება, კორომიკური პროგნოზირებისა და პროგრამების პრაქტიკის დანერგვა და ა.შ.

**Jacob Meskhia**

*Doctor of Economic Sciences, Professor*

## **GLOBAL ECONOMIC CRISIS AND THE PROBLEMS OF MACROECONOMIC STABILIZATION OF GEORGIA**

### **Summary**

The article pays specific attention to the analysis of factors and causes of origin of world financial crises. Is studied the anatomy of world crisis, which began to develop in 2007 in the USA and spread all over the world in a year. The author holds the opinion of western experts who believe that the main cause of global economic crises is the overproduction of primary world currency – USA dollar. To the author's mind a direct cause of the crisis is a very gentle monetary policy of the USA as a result of which credits and especially mortgage have become easily accessible. Among the reasons of world economic crisis is also considered the war in Iran, low quality of regulation and disbalance between the increased demand on credit resources and the sources of their payment.

Financial crisis in Georgia began before the world financial crisis and Georgian – Russian war in august 2008. The slowing down of the rate of economic growth, the bank sector crisis, the collapse of construction industry, the recession of tourist business and leading branches of real sectors, the decrease of foreign investments and other negative factors will be the cause of deepening of economic crisis in Georgia.

The article gives the recommendations and proposals for the formation of anticrisis program. In particular, the author has proposed concrete measures to strengthen financial security, increase the level of economic independence of the country, increase the flow of foreign investments and their efficient use, make anticrisis state budget, liberalize tax system, transform monetary-credit system, improve the system of remuneration of labor in budgetary organizations, strengthening of state financial control and decrease the level of corruption.

**თეიმურაზ მურდულია**  
გეონომიკის აკადემიური დოქტორი,  
გეონომიკის პრობლემების კვლევის ცენტრი

**ეპონომიკური უსაფრთხოების ინდიკატორების როლი ბაზრის სახელმწიფო  
რეგულირების დროს**

გეონომიკის პრობლემების კვლევის ცენტრმა, ფრიდრიხ ებერტის ფონდის ფინანსური მხარდაჭერით, განახორციელდა პროექტი „ეპონომიკის მარეგულირებელი ორგანოების განვითარება საქართველოში“. პროექტის ფარგლებში გეონომიკის ექსერტებმა შეისწავლეს დამოუკიდებელი მარეგულირებელი კომისიების საქმიანობა, ბაზრის რეგულირების მექანიზმების ფაქტობრივი გაუქმებით გამოწვეული შედეგები, ეპონომიკური უსაფრთხოების ინდიკატორების როლი ბაზრის რეგულირებაში და შეიძლება შესაბამისი რეკომენდაციები.

2008 წლის მსოფლიო ფინანსური კრიზისის შედეგად, ორთოდოქს მემარჯვენებსაც კი, ნებისით თუ უნებლივით, მოუწიათ პოზიციების დათმობა და ეპონომიკაში სახელმწიფოს როლის აღიარება. თავისუფალმა ბაზარმა კიდევ ერთხელ აჩვენა თამაშის წესების სწორად განსაზღვრისა და მათი დაცვის აუცილებლობა. იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული წესები მეურნე სუბიექტების რაც შეიძლება ფართო სპეციალისტების უნდა იყოს სასარგებლო, ციფრიზაციამ ჯერ ვერ შეძლო მოექცნა უზენაესი არბიტრაჟის სხვა სუბიექტი, თუ არა სახელმწიფო, როგორც, იდეაში, საზოგადოებრივი პოზიციის აბსოლუტური ფორმა.

სხვადასხვა სახელმწიფოების კრიზისთან ბრძოლის სამოქმედო გეგმების მიმოხილვა გვიჩვენებს, რომ, უმეტეს შემთხვევაში, აღილობრივმა სელისუფლებამ ვერ შეძლო თავი დაედგინა „საჭესთან“ დადგომის, ან საკუთარი შეცდომების ოპერატორების გამოსწორების ცდუნებისათვის, რის შედეგადაც მივიღეთ ნაციონალიზაციის, რეგაბიტალიზაციის და საბიუჯეტო თუ სარეზერვო სახსრების არაეფექტური სარჯვის მრავალი სხვადასხვა პროექტი.

ნათელია, რომ, კრიზისის პირობებში, ხელისუფლებას არჩევანის გაკეთება ცუდსა და უარესს შორის უწევს, მაგრამ ასევე ფაქტია, რომ იაფი რესურსის პირობებში დაწყებული ეკონომიკური ბუმის ფონზე, აშშ-ში, მაგალითად, უურადების მიღმა დარჩა ეკონომიკური უსაფრთხოების მნიშვნელოვანი ინდიკატორის – შინამეურნეობებში დაგროვების დონის მაჩვნებლის – მნიშვნელოვანი შემცირება და 2005 წლის ბოლოსათვის უარყოფითი ბალანსის სალდოც კი. ამიტომ, ძალიან მნიშვნელოვანია, სახელმწიფო მობილიზებული და ქმედითი იყოს პრევენციის და არა მკურნალობის ეტაპზე.

ეპონომიკური უსაფრთხოება, თავისთავად, არ არის მკაცრი დისციპლინა. ყველა ქვეყანა თავის სპეციფიკიდან გამომდინარე განსაზღვრავს უსაფრთხოების კრიტერიუმებს. ზოგიერთ ქვეყანაში ძირითადი აქცენტი კეთდება ეკონომიკის ჯამურ სიმძლავრეზე, ზოგან – გარე შოკებისადმი მდგრადობაზე, ზოგან – სოციალურ ასპექტებზე და ა.შ. მაგრამ, ამასთან ერთად, თემატური ლიტერატურის კვლევა გაზისვნებს, რომ ყველა, მეტ-ნაკლებად განვითარებული, ქვეყანა განიხილავს ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფას, როგორც რეალური სუვერენიტეტის ფუნდამენტურ ფაქტორს.

როგორც უპვე აღნიშნებო, ეკონომიკური უსაფრთხოების პოლიტიკა ეფუძნება გარკვეულ კრიტერიუმებს, რომლებიც, თავის მხრივ, განიშლება მიზნობრივი ინდიკატორების ერთობლიობად. ამ უკანასკნელის მთავარ ატრიბუტს წარმოადგენს ზღვრული მნიშვნელობა, რომლის დარღვევა საგრძნობი რისკის ფაქტორია სახელმწიფოს სოციალური და ეკონომიკური სტაბილურობისათვის.

სამწუხაროდ, უნდა ვაღიაროთ, რომ დღეისათვის საქართველოს არ ვააჩნია ეკონომიკური უსაფრთხოების ჩამოყალიბებული ხედება, კრიტერიუმებისა და

შესაბამისი ინდიკატორების საკუთარი სისტემა. იმ ინდიკატორების მიხედვითაც კი, რომლებიც საერთაშორისო მეთოდოლოგიით გაითვლება, არ არსებობს ფორმალიზებული პოლიტიკა. არადა, მისი არსებობა, სულ მცირე, რეფორმების ურთიერთოავსებადობის კონტროლისთვის არის საჭირო, რათა ერთ პრობლემაზე რეაგირების შედეგებმა მეორე არ წარმოშვას.

ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ ბაზრის რეგულირების პოლიტიკა არსებით გავლენას ახდენს უსაფრთხოების ისეთ კრიტერიუმებზე, როგორიცაა:

- 1.ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა;
- 2.საფრთხეებისა და შოკებისადმი მდგრადობა;
- 3.რესურსების მართვის ეფექტუანობა.

ემპირიულმა გამოცდილებამ აჩვენა, რომ თავისუფალი და კონკურენტული ბაზარი მხოლოდ დიდი და ძლიერი ეკონომიკის პირობებშია შესაძლებელი. ამასთან, დიდი სულაც არ ნიშნავს ტერიტორიულად დიდს. იაპონიის ეკონომიკა ტერიტორიის ერთ კვადრატულ კილომეტრზე თითქმის 12 მილიონი დოლარის მშპ-ს გენერაციას ახდენს (PPP მეთოდით), საქართველო, ჯერჯერობით, მხოლოდ - 300 ათასის.

სხვა შემთხვევაში, ბაზარზე აუცილებლად წარმოიქმნება შემდეგი სახის პრობლემები:


1. მონოპოლიზაციისა და ტრესტული შეთანხმების რისკები;
- 2.ინფორმაციის სისტემური ასიმეტრიულობა შესაბამისი საშუალო ბიზნესების განუვითარებლობის ფონზე.

ამ მოცემულობის გათვალისწინებით, ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა ცალსახად არის დამოკიდებული სახელმწიფოს მხრიდან თამაშის ადგავატური წესების დადგენაზე. ბუნებრივია, ყოველთვის რჩება კონკრეტული საჯარო უწყებების არაერთგვარის და არაეფექტური და არაეფექტური ქმედებების რისკი, მაგრამ განვითარებულ ქვეყნებში ამ პრობლემას უწყების საქმიანობის სრულყოფით ებრძინა. საქართველო ამ მხრივ უნიკალური ქვეყნაა, სადაც პრობლემების უმეტესობა მაკედონელის პრინციპებით, გორდიას კვანძის გადასრუით წყდება და არა გახსნით. ამ შემთხვევაშიც, ლიკვიდაცია ანტიმონოპოლიური სამსახურის არაეფექტურობის მოვარეების საუკეთესო გზად იქნა მიჩნეული. ფაქტია, რომ ეკონომიკის მთელ რიგ სექტორებში მონოპოლიური მდგომარეობის და განსაკუთრებით ტრესტული შეთანხმების შედეგებმა (რაც სპეციალური გამოძიების გარეშე ძნელი დასამტკიცებელია) მას შემდეგ იმდენად იზინა თავი, რომ დღის წესრიგში შესაბამისი მარკელირებელი სამსახურის აღდგნის საკითხი ისევ დადგა.

მონოპოლიები და ტრესტები, სახელმწიფოს მიერ სათანადო კონტროლის დეფიციტის პირობებში, წარმოშობენ ისეთ საბაზრო ძალებს, რომლებიც ხელს უშლიან ინვესტიური ბიზნესის განვითარებას და მნიშვნელოვნად აზარალებენ ქვეყნის კონკურენტუნარიანობას.

საქართველოში იმთავითვე არ შედგა დემპინგისა და ეკონომიკური ინტერესებისაგან დაცვის ინსტიტუტები. ანტიმონოპოლიურ სამსახურს, სანამ იგი ჯერ კიდევ არსებობდა, პქონდა ფორმალური საშუალება, ამ კუთხით ემოქმედა, მაგრამ ამჟამად, ეს თემა საერთოდ ყურადღების გარეშეა დატოვებული. მიღებული შედეგის საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს უსარმაზარი აგრარული პოტენციალის მქონე ქვეყნაში სურსათის ექსპორტ-იმპორტის დინამიკა (იხ. დიაგრამა 1).


**დიაგრამა 1. სურსათის ექსპორტ-იმპორტის მოცულობა მეოთხე კვარტლების  
მიხედვით (მლნ აშშ დოლარი)**



წყარო: საქართველოს ხტატისტიკის დეპარტამენტი

კიდევ უფრო საინტერესოა იგივე მონაცემები წილობრივ ჭრილში (იხ. დიაგრამა 2).

**დიაგრამა 2. სურსათის ექსპორტ-იმპორტის მოცულობა მეოთხე კვარტლების  
მიხედვით (%) ბრუნვასთან)**



წყარო: საქართველოს ხტატისტიკის დეპარტამენტი

სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციის სტრუქტურისა და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ფორმატის გათვალისწინებით, ძნელია უსაფრთხოების მეტად მნიშვნელოვანი ინდიკატორის – ქვეყანაში მოხმარებულ სასურსათო ოროლუქციაში იმპორტის წილის ზუსტად გათვალა, მაგრამ იმპორტ-ექსპორტის დინამიკა ნათლად აჩვენებს დემპინგისა და ეკონომიკური ინტერესების ბლოკირების მექანიზმების აუცილებლობას, მთო უმეტეს, რომ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წესდებით, ასეთი მექანიზმების შექმნის უფლება ყველა ქვეყნისათვის არის გათვალისწინებული.

რესურსების მართვის ეფექტუანობის ინდიკატორთა მთელი სისტემა უკავშირდება ენერგომატარებლებზე დამოკიდებულების ხარისხს და მათ წილს საბოლოო ოროლუქტის (განსაკუთრებით სურსათის) თვითდირებულებაში. ამ ინდიკატორების მაჩვენებლები ძალიან საყურადღებოა, რადგან ენერგომატარებლების ფასის კონტროლით შესაძლებელია ქვეყნის განვითარების ტემპის რეგულირება როგორც პოზიციური, ასევე ნეგატიური მიზნებით. ამ ფონზე, რა თქმა უნდა, ჩნდება კითხვა, ბუნებრივი გაზის 100%-ით იმპორტიორ ქვეყანაში, პრაქტიკულად

მონოპოლიური დისტრიბიუციით, თუ რა მიზნებს ემსახურება გაზის ტარიფის ფაქტობრივი დერეგულაცია (ფაქტობრივი, რადგან ფორმალურად იგი ნაწილობრივ დერეგულირებულად ითვლება. თუმცა, ისიც უცნობი დარჩა, რა პრინციპით მოხდა დიფერენციაცია).

ამ და ბიზნესის სხვა სფეროების შემთხვევაშიც, სახელმწიფომ უნდა გაითვალისწინოს, რომ ძალიან მნელია ნაციონალური ქსელებისათვის კონკურენციის გაწვეა. თუ ბაზარზე შემომსვლელი ახალი მოთამაშე აირჩევს ეტაპობრივი ექსპანსიის გზას, ნაციონალურ ქსელს შეუძლია კონკურენტის სამოქმედო არეალში მოახდინოს დემპინგი დანარჩენი რეგიონების ხარჯზე, ხოლო თუ კონკურენტი შეეცდება ერთიანად შეიყვანის ქსელი მწყობრში, ექსპლუატაციის დაწყებისათვის მონოპოლისტს უკვე ექნება რესურსების მნიშვნელოვანი უპირატესობა, რათა განახორციელოს მოდერნიზაცია ან დასწიოს ფასები. ამ ჩაკეტილი წრის გარღვევა, როგორც წესი, მხოლოდ ინოვაციური პროდუქციით ან მომსახურებით არის შესაძლებელი, რაც ფიქსირებული ხარჯების ნაწილში საკმაოდ ძვირია და პატარა ბაზარზე ნაკლებად მოსალოდნელი.

ამის ნათელი დასტურია კომუნიკაციების სფეროში შექმნილი ვითარება. ფიქსირებული სატელეფონო სერვისების პროგაიდერების რიცხვის ზრდა დღემდე მხოლოდ ადმინისტრაციული რესურსის ხარჯზე ხდებოდა, რაც, ბუნებრივია, დადებითად არ ასახულა კონკურენტულ გარემოზე. პირველი რეალური კონკურენტები ამ დარგის მონოპოლისტებს მხოლოდ მას შემდეგ გაუჩნდა, რაც მომხმარებლამდე ფართოზოლოვანი ინტერნეტის მიყვანის სატელეფონო კაბელისაგან განსხვავებული ტექნოლოგიები შემოვიდა ქვეყანაში ოპტიკური, საკაბელო და უკაბელო არხების ფორმით, რომელშიც სატელეფონო ზარის გატარება პრობლემას არ წარმოადგენს.

თავის მხრივ, არაერთგვაროვანი სიტუაცია შეიქმნა ინტერნეტის მომწოდებელთა სეგმენტშიც. ჯერ მომხმარებლები უზიოდნენ კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში მონოპოლისტ პროგაიდერს, რომ იგი არ იცავდა ხელშეკრულების პირობებს, შემდეგ უკვე იგივე მონოპოლისტი იყო იმულებული, შეკლა ეთხოვა, როცა მის ქსელს კონკურენტი ფიზიკურად ანადგურებდა. ამ სფეროში არაეფექტური პოლიტიკის შედეგად, მსოფლიო ეპონომიკური ფორუმის „გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის“ ფარგლებში საქართველოს ინტერნეტის მომხმარებლთა ფარდობითი რაოდენობის მიხედვით 102-ე, ხოლო ტექნოლოგიებისადმი წვდომის დონით - 116-ე ადგილი უკავია, რაც, ეკონომიკური უსაფრთხოების შესაბამისი ინდიკატორების მიხედვით, სერიოზული ხარვეზია.


განსაკუთრებით საყურადღებოა მობილურ პაკშირგაბმულობაში შექმნილი სიტუაცია. მსოფლიო პრაქტიკა აჩვენებს, რომ საქართველოს ზომის ქვეყნებში, როგორც წესი, ორი ნაციონალური ოპერატორი მოქმედებს. ჩვენთან, მობილური კავშირგაბმულობის ტარიფების სფეროში პროგრესის ხანგრძლივმა შეჩერებამ რაღაც ეტაპზე ბაზარზე ახალი ოპერატორის შემოსვლას მისცა სტიმული, მაგრამ, სისმირული სპექტრის თავისებურების გამო, მას ამ ეტაპზე არ აქვს ტექნოლოგიური სრულყოფის რესურსი.

თავის მხრივ, არსებული ოპერატორები ტექნოლოგიური პროგრესის ავანგარდში არიან, მაგრამ რენტაბელობის მიმდინარე, საქართველო მაღალი დონე, სამწუხაორდ, არ უბიძებს მათ უფრო მეტი უცრადღება დაუთმონ ინოვაციური სერვისების დანერგვას. ამ მხრივ განსაკუთრებით საგანგაშოა ქვეყანაში სწრაფი და დაუყოვნებელი გადახდების სისტემების განუვითარებლობა, რაც, მობილურ ოპერატორებთან ერთად, კომერციული ბანკების ბრალიცაა, რომლებიც, იაფი საერთო რესურსის პირობებში, ნაკლებად ზრუნავდნენ ახალი ტექნოლოგიების დანერგვაზე. შედეგად, საქართველოში ჯერ კიდევ შეუძლებელია ინტერნეტ მაღაზის ან სერვისების დაუყოვნებელი გადახდის ბიზნესის იმავე სიადვილით დაწყება, როგორც ეს განვითარებულ ქვეყნებში ხდება.

აღნიშნული საგადახდო სისტემები, რამდენად ტექნიკური არ უნდა ჩანდეს მათი ფუნქცია, მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ფულის ბრუნვის სიჩქარე-

ზე, რომელიც ასევე ეკონომიკური უსაფრთხოების ინდიკატორს წარმოადგენს. წლების მანძილზე, M2-ის ბაზის ზრდასთან ერთად, საქართველოში სტაბილურად მცირდებოდა მისი ბრუნვის სიჩქარე (იხ. დიაგრამა 3). ეკონომიკური ზრდის პირობებში, აღნიშნული პრობლემა, როგორც მრავალი სხვა, არ იქცევდა სათანადო ყურადღებას, მაგრამ, კრიზისის პირობებში, როცა ფულის დეფიციტი იჩენს თავს, მისი ბრუნვის დაჩქარების ტექნოლოგიებსა და ინსტრუმენტებზე მოთხოვნა ძალიან იზრდება.

### დიაგრამა 3. მონეტარული აგრეგატი (2) და ფულის ბრუნვის სიჩქარე (2) პერიოდის ბოლოს



წერო: საქართველოს ეროვნული ბანკი [www.nbg.ge](http://www.nbg.ge)

მაკროეკონომიკური ხასიათის ბევრი მაჩვნებელი და მათი ფუნქციის მნიშვნელობები ავტომატურად ატარებს ეკონომიკური უსაფრთხოების ინდიკატორის ფუნქციას. საბაზო მონეტარული აგრეგატებისა და კოეფიციენტების აბსოლუტური უმრავლესობისათვის არსებობს ზღვრული მნიშვნელობები, რომელთა დარღვევის მიმართ მაღალია როგორც ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის, ასევე საფრთხეებისა და შოკებისადმი მდგრადობის კრიტერიუმების მგრძნობელობა.

ეკონომიკური უსაფრთხოების სისტემაზე კომპლექსურ გავლენას ახდენს ასევე საბუდალტრო აღრიცხვის და აუდიტის რეგულირების ჩვენს ქვეყანაში მივიწყებული და იგნორირებული სეგმენტი. ოუმცა, ეს ის შემთხვევაა, როცა სახელმწიფო რეგულირების მნიშვნელობა დღესავით ნათელია. კერძოდ, ევროპარლამენტის 2006 წლის 17 მაისის 2006/43/EC დირექტივით „სავალდებულო აუდიტის შესახებ“, ევროკავშირის ქვეყნებს ევალებათ, შექმნან აუდიტურ საქმიანობაზე ზედამხედველობის ინსტიტუტები. „ენრონის“ და „არტურ ანდერსენის“ ცნობილი საანდალის შემდეგ, ანალოგიური ინსტიტუტების შექმნა დაიწყო აშშ-შიც. ფინანსურ ბაზრებზე საჯარო ინტერესების დაცვის ხარისხის კონტროლის ეს ფორმა პირდაპირ კავშირშია დაგროვების დონის იმ ინდიკატორთან, რომელიც უკვე ვასესენთ, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობასთან (თუმცა მხოლოდ ინსტიტუციური, რადგან სპეციალური ინვესტორები ინფორმაციის სხვა წეროებით სარგებლობები) და საფრთხეებისადმი მდგრადობის კრიტერიუმის შესაძლო სხვა კომპონენტებთან.

კიდევ უფრო გლობალურია სოციალური რეგულირების სეგმენტი. ფაქტორივად, სოციალური სტაბილურობისა და კონფლიქტების პრევენციის თემაზიკა, კიდევ ერთ – მეოთხე კრიტერიუმად შეგვიძლია ჩამოვაჟალიბოთ, რომელსაც ძალიან ბევრი ინდიკატორი ემსახურება, მათ შორის:


1. შემოსავლების დიფერენციაციისა და კონცენტრაციის კოეფიციენტები;

2. ეკონომიკური კეთილდღეობის მაჩვენებლები;
3. უმუშევრობის მაჩვენებლები;
4. სიღარიბის მაჩვენებლები.

განსაკუთრებით საყურადღებოა დასაქმების პოლიტიკა, სადაც, ერთი მხრივ, ძალიან დიდია სახელმწიფოს მასტიმულირებელი ფუნქცია და, მეორე მხრივ, ვიწროა წევალგამყოფი, რომელიც ამ სფეროში წარმატებებს და წარუმატებლობებს აშორებს.

2003 წლიდან 2008 წლამდე საქართველოში საწარმოებსა და ორგანიზაციებში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი მთელი ეკონომიკის მიხედვით გაიზარდა, მაგრამ შემოსავლები კვლავ ძალიან დიფერენცირებულია ეკონომიკის სხვადასხვა სფეროებში. ამასთან, იზრდება მოსახლეობის შემოსავლების სხვაობა დეცილური ჯგუფების მიხედვით (იხ. დიაგრამა 4).

#### **დიაგრამა 4. შემოსავლების სხვაობა ბოლო და პირველ დეცილს შორის (ლარი თვეში)**



წერო: საქართველოს ხტატიტიური დეპარტამენტი


ცალკე განხილვის საგანს წარმოადგენს ბაზრის რეგულირების გარკვეულწილად „არაოფიციალური“ სეგმენტი სტანდარტიზაციისა და რეგლამენტირების პოლიტიკის სახით. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს ამ ფუნქციაზე არასდროს კეთდება სათანადო აქცენტი, რესურსების მართვის უფექტიანობის ინდიკატორების უმეტესი ნაწილი პირდაპირ ან ირიბად მასთან არის დაკავშირებული. სტანდარტიზაციისა და რეგლამენტირების პოლიტიკა სახელმწიფოს ხელში ქირურგიული იარაღის მსგავსია. მისი საშუალებით ბევრის გაკრებაც შესაძლებელია და გაფუჭებაც.

განათლების, მეცნიერების, წარმოების დარგში სტანდარტიზაცია და რეგლამენტაცია ეფექტიანობის კრიტერიუმის ფარგლებში ქრიტიკულია, რადგან, არასწორი პოლიტიკის პირობებში, შეუძლია, ეკონომიკის რესურსების უყარათო ხარჯვა გამოიწვიოს. როგორც უკვე აღნიშნეთ, ეკონომიკურ სუბიექტების ძალიან დიდი ტეირო დააწვება, თუ შეეცდება საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობა.

განათლებაზე ასიგნებათა შეფარდება მშპ-სთან, ექსპორტში მაღალტექნოლოგიური პროდუქციის წილი და სასურსათო უსაფრთხოება – ამ სეგმენტში ხვდება ერთმანეთისგან განსხვავებული, მაგრამ ქვეყნის მდგრადი განვითარებისთვის აუცილებელი ინდიკატორები.

საინტერესო სურათს მივიღებთ, თუ შევადარებთ საქართველოში განათლებასა და თავდაცვაზე ასიგნებათა შეფარდებებს მშპ-თან.

## დიაგრამა 5. განათლებასა და თავდაცვაზე საბიუჯეტო ასიგნებათა წილი მშპ-ში



ბოლო 200 წლის მანძილზე მნიშვნელოვნად დაპატარავებულ მსოფლიოში უკვე საქმარისი არ არის მხოლოდ განვითარება – ოუ ჩვენი მხგავსი, გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნის განვითარების ტემპი და სტრუქტურა არ სჯობია ცივილიზებული ქვეყნებისას, იგი ერთმნიშვნელოვნად განწირებულია სტაბილური აუგსაიდერობისათვის.

თუმცა, მცირე ეკონომიკის მქონე ქვეყანა გაცილებით უფრო მოქნილია განვითარების სტრატეგიაში და სხვა თანაბარ პირობებში მისი როლი გაცილებით მაღალია.

ამ კუთხით საინტერესოა მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ შემუშავებული ეკონომიკის განვითარების 5 საფეხურიანი სკალა, რომელშიც 3 საბაზო საფეხურია: 1. გარემოებებით მართული; 2. ეფექტიანობაზე ორიენტირებული; 3. ინვაციურად მართული; ხოლო ორი, მათ შორის გარდამავალი, 1>2 და 2>3.

დღეისათვის საქართველოს მინიჭებული აქცეს 1>2 გარდამავალი საფეხური. თუმცა, ქართული ეკონომიკური რეფორმების სპეციფიკა უფრო პირველ საფეხურთანაა ახლოს, ვიდრე მეორესთან. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეფექტიანობაზე ორიენტირებულ სტადიაზე გადასასვლელად ძალიან მნიშვნელოვანია რეფორმების სწორი თანაწყობა, რასაც, თავის მხრივ, შესაბამისი ინფორმაციული ბაზისი სჭირდება.

ჩვენი მიმოხილვის მიზანია სახელმწიფოში შეიქმნას ეკონომიკური უსაფრთხოების სრულყოფილი და, ამავდროულად, მოქნილი სისტემა, რომელიც დაეყრდნობა რეალურ მონაცემებს და ხელისუფლებისათვის გადაწყვეტილების მიღების პროცესში იქნება ეფექტიანობისა და ეფექტურობის აღეკვაზური საზომი.

ასეთი პროექტის რეალიზაციისათვის დღეს მთავარ დაბრკოლებას წარმოადგენს შესაბამისი კრიტერიუმების არარსებობა. ინდიკატორების ის ნაწილი, რომელიც მსოფლიო ანალოგიების გასაშუალებით გაითვლება (მაგ., ჯინის კოფიციენტი), არ არის საქმარისი ეკონომიკური უსაფრთხოების პოლიტიკის სრულფასოვანი რეალიზაციისათვის.

შესაბამისად, აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან ამ პრობლემების დანახვა და სამუშაოს შესასრულებლად საჭირო რესურსის მობილიზაცია.

ერთი შეხედვით, ეკონომიკის რეგულირების შემოთავაზებული ფორმები „ამძიმებს“ სახელმწიფოს, მაგრამ ამ შემთხვევაშიც სახეზე გვაქვს შექმნის ფასესა და ფლობის ფასს შორის კლასიკური წინააღმდეგობა. ემპირიული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში, ბიზნესისათვის სახელმწიფოს „ფლობის“ ხარჯები გაცილებით დაბალია, როგორც საკუთარი კაპიტალიზაციის სტაბილურობის კუთხით (მაგალითისათვის, აშშ ფინანსური კრიზისის შედეგად 2009 წლის თებერვალში დოუ ჯონსის ინდექსი

33%-ით, ექვსი წლის წინანდელ დონემდე დაეცა), ასევე საოპერაციო ხარჯების ოპტიმიზაციიდან გამომდინარე (ეს ნაწილი ქართული ბიზნესისათვის უფრო კარგადა ნაცნობი დამატებითი ხარჯების მთელი სპექტრით – საგადასახადო დავებიდან დაწყებული, განვითარებულ ბაზრებთან პროდუქციის ინდივიდუალურად ჰარმონიზაციის პრობლემებით დამთავრებული). უკვე დამდგარი ფინანსური კრიზისის პირობებშიც კი, გაონომიკური უსაფრთხოების პოლიტიკაზე მუშაობა უდროო არ არის. მით უმეტეს, რომ ინდიკატორების უმტკიცების მდგომარეობა ისევე მნიშვნელოვანია კრიზისიდან გამოსვლის ძიების პროცესში, როგორც მისი პრევენციისას.

მსოფლიოში განვითარებული ფინანსური კრიზისის მიზეზების ანალიზი ნათლად გვიჩვნებას, რომ სახელმწიფო კვლავაც რჩება ეკონომიკური პროცესების საკვანძო სუბიექტად.

საქართველოში ლიბერტარიანიზმის ეგიდით განხორციელებული რეფორმების წარუმატებლობის ერთ-ერთი უმთავრესი მიმანიშნებელი ისიც იყო, რომ ხელისუფლებას ხშირად უწევდა და ახლაც უწევს მემარცხენე გადაწყვეტილების მიღება (მაგალითად, საწვავისა და სასუქის დარიგება, მოსახლეობის 1/4-ის სოციალურ დახმარებაზე აყვანა, ნაკლებევექტური სამედიცინო დაზღვევა) ამ რეფორმების ნებატიური სოციალ-ეკონომიკური შედეგების ნიველირებისათვის.

დღეს ქართულ ეკონომიკაში შექმნილი პრობლემების მნიშვნელოვანი ნაწილი პირდაპირ არის დაკავშირებული ეკონომიკის რეგულირების პოლიტიკაში ეკონომიკური უსაფრთხოების ფაქტორების იგნორირებასთან.

ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა სახელმწიფოს ექსკლუზიური უფლებამოსილებაა და მსოფლიოს აბსოლუტურად კველა განვითარებული ქვეყანა განსაკუთრებულ კურადღებას უთმობს ამ საკითხს. სხვადასხვა ქვეყნები იყენებენ ინდიკატორების განსხვავებულ სახეებს, მაგრამ ძნელად მოიძებნება საქართველოს მსგავსი ქვეყანა, სადაც ეკონომიკური უსაფრთხოების თემა სახელმწიფო პოლიტიკის დონეზეა იგნორირებული.

ეკონომიკური ზრდის პირობებში არასწორი ეკონომიკური პოლიტიკის ნებატიური შედეგები გარკვეულწილად ვუალირებული იყო (თუმცა არა ნიველირებული), ხოლო პირველივე შეკის პირობებში ძალიან ნათლად იჩინა თავი.

ჩვენ არგუმენტირებულად წარმოვაჩინეთ, რომ სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა მნიშვნელოვანად უნდა ექვარებოდეს ეკონომიკური უსაფრთხოების ინდიკატორების კონტროლს. მაგალითად, ენერგომატარებლებისა და პირველადი მოხმარების საგნების ფასების ამოვარდნა საბაზრო კონიუნქტურიდან სერიოზულ დარტყმას აყენებს ეკონომიკური ზრდის ტემპს. ასეთ დროს სახელმწიფომ უნდა მიიღოს ზომები სიტუაციის გამოსწორებისათვის. რა თქმა უნდა, დაუშვებლად მიგვაჩნია ეკონომიკაში ჩარევის აღმინისტრაციული ფორმა, რაც კრიზისის პირობებში განვითარებულ ქვეყნებშიც კი დაფიქსირდა, მაგრამ, გარკვეული პროცედურული ან საგადასახადო კუთხით, ასეთ შემთხვევაში სახელმწიფოს მხრიდან რეაგირება აუცილებელია.

ჩვენ განვიხილავთ ეკონომიკური უსაფრთხოების კრიტერიუმების სამ ძირითად ფორმას. ესენია:

1. ეკონომიკის კონკურენტუნარინობა;
2. საფრთხეებისა და შოკებისადმის მდგრადობა;
3. რესურსების მართვის უფლებითანობა.

კიდევ ერთი, სოციალური უსაფრთხოების სფერო უშუალოდ არის დაკავშირებული ეკონომიკური პოლიტიკის სწორად წარმართვასთან.

შესაბამისად, საქართველოში, სხვა ქვეყნების მსგავსად, ადგილობრივი სპეციულიკის გათვალისწინებით უნდა შეიქმნას ეკონომიკური უსაფრთხოების ინდიკატორთა სისტემა, ერთგვარი „ხელსაწყოთა დაფა“, რომელიც საბაზისო

ინფორმაციული წევარო იქნება სახელმწიფოს მიერ ეკონომიკის რეგულირების პროცესში. ასეთი სისტემის არსებობა იმისთვისაც არის მნიშვნელოვანი, რომ თავიდან იქნეს აცილებული გამოწვევებზე რეაგირების სამწუხარო პრაქტიკა, როდესაც კონკრეტული პრობლემის მოგვარება ხდება იმის გაუთვლელად, თუ რა გავლენას მოახდენს ასეთი „გადაწყვეტა“ სხვა სფეროებზე.

*Teimuraz Murgulia  
Academic Doctor of Economics,  
The Centre for Economic Problems Research*

## ROLE OF ECONOMIC SECURITY INDICATORS IN STATE REGULATION OF MARKET

### Summary

The Centre for Economics Problems Research has implemented project "Development of Economic Regulatory Institutes in Georgia" with the financial support of Friedrich Ebert Foundation. One of the major research issues was Role of economic security indicators in market regulation.

Several indicators proved that reforms implemented under the aegis of libertarianism in Georgia were unsuccessful. Nowadays, most problems in the Georgian economy are directly related to ignoring the economic security factors in the economic regulation policy. Assurance of economic security is exclusive authority of state and all the developed countries around the world pay special attention to this issue.

In these conditions for economic growth, the negative results of an incorrect economic policy were veiled (but not levelled) to a certain extent but they became obvious even at the first shock.

We consider three main forms of economic security criteria. They are:

1.      Competitiveness of the economy;
2.      Resistance to dangers and shocks;
3.      Effectiveness of resource management.

Besides, the social security field is directly related to the correct management of economic policy.

Respectively, in Georgia, similarly to other countries, there shall be created a system of economic security indicators with consideration of local specific requirements. This system shall be a kind of "board of tools". It shall function as the base source of information for economic regulation processes by the state. Existence of such a system is also significant for avoiding regretful practice of responding to provocation - when after a particular problem is solved without forecasting the influence of this "solution" on the other fields.

## ეპონომიკური თეორია

როზეტა ასათაინი  
ემდ, პროფესორი

### გარე ეფექტები და „გადასხმის ხარჯები“

ადამიანთა საქმიანობას ახლავს თანამდევი გარე ეფექტები (ექსტერნალიუმი), რომლებიც არ აისახება ფასების სისტემაში. ისინი ეპონომიკურ აგენტთა საქმიანობის საბოლოო შედეგების გარკვეული მხარეა, რომელთა დირგბულებითი ფორმით გამოხატვა შეუძლებელია. გარე ეფექტების გაზომვისათვის ფართოდ გამოიყენება ნატურალური მაჩვენებლები.

გარე ეფექტების მრავალფეროვანი ხასიათი და სპეციფიკა პრაქტიკულად შეუძლებელს ხდის ეპონომიკური საქმიანობის რიგ სფეროებში საბაზო ეპონომიკის იმ ძირითადი პრინციპების გამოყენებას, რომელებიც დანახარჯებისა და კომერციული ეფექტის შედარებას გულისხმობს. ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება გარე ეფექტების სწორ შეფასებასა და, აქედან გამომდინარე, ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღებას.

გარე ეფექტებს შეიძლება პქნონდეს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი გამოხატულება. დადებითი დაკავშირებულია სარგებლობასთან, სარგებლიანობასთან, ხოლო უარყოფითი – ხარჯთან. ეს არის ფასში აუსახველი ხელსაყრელობა ან ხარჯი და „გარე“ ეწოდება იმიტომ, რომ ეხება არა მხოლოდ კონკრეტულ საქმიანობაში მონაწილე ეპონომიკურ აგენტებს (სამუშაო სუბიექტებს), არამედ ვლინდება მათ გარეთ მიმდინარე პროცესებშიც. გარე ეფექტების გამოვლენის არეალი ზოგჯერ ძალზე მასშტაბურია და მთელ საზოგადოებაზე ვრცელდება. იგი თანამდევი ხარჯია, „გადასხმის“ ხარჯია. მას მიეკუთვნება თანხმელები სოციალურ-ეკონომიკური ეფექტები, რომლებიც გამოვლინდება კონკრეტული ეპონომიკური საქმიანობის გარეთ და აისახება შრომის როგორც დადებით, ისე უარყოფით შედეგებში.

ბაზარს არ შეუძლია მისთვის ნიშანდობლივი ფასწარმოქმნის მექანიზმის მეშვეობით შეაფასოს ადამიანთა საქმიანობის გარე ეფექტები, რომლებიც იმის მიხედვით, დადებითია თუ უარყოფითი, შესაბამისად, გამოიხატება ეკოლოგიური წონასწორობის დაცვასა თუ დარღვევაში, ესთეტიკურ ფასეულობათა, კულტურის ძეგლთა, ბუნებრივი ლანდშაფტების შენარჩუნებასა თუ ნგრევაში, მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობისა და აქტიური საქმიანობის პერიოდის გადიდებასა თუ შემოკლებაში, დაავადებათა შემცირებასა თუ გაზრდაში, პოროგების შემოქმედებითი პოტენციალის ზრდასა თუ დაქვეითებაში, მოსახლეობის ფიზიკური განვითარების დონის, მოქალაქეობრივი კულტურის ამაღლებასა თუ დაცემაში და ა.შ. მაგალითად, გარემოს დაცვის, ან კიდევ, ინფექციური დაავადებების თავიდან აცილების მიზნით სასმელი წყლის სანაციის პროგრამის განხორციელებას თან ახლავს უაღრესად დადებითი გარე ეფექტი – ეკოლოგიური და სანიტარული ნორმების დარღვევისა და მისგან გამოწვეული მრავალმხრივი ზარალის თავიდან აცილება, ხოლო გარემოს გაჭუჭყიანება წარმოშობს უაღრესად უარყოფით გარე ეფექტებს, რაც განაპირობებს გარეშე პირების ან, შესაძლოა, მთელი მოსახლეობის ხარჯების ზრდას. კერძოდ, თუ ეპონომიკური საქმიანობით რომელიმე სამუშაო სუბიექტი აჭუჭყიანებს მდინარეს, მაშინ „გადასხმის“ ხარჯს გაიდებენ ამ მდინარით მოსარგებლე პირები ან, ზოგჯერ, მთელი საზოგადოებაც (თუ მისი წყალი სასმელად გამოიყენება). ამრიგად, ეპონომიკური საქმიანობის საფუძველზე გარემოს გაჭუჭყიანების შედეგად წარმოიშობა ხარჯი, რომელსაც ფარავს არა თვით მწარმოებელი, არამედ მოცემულ წარმოებასთან დაუკავშირებელი სხვა პირი ან მთელი საზოგადოება. ამის გამო, გარემოს გამჭუჭყიანებელ-მწარმოებლის პროდუქციის ფასში გაცილებით ნაკლები ხარჯია ასახული, კიდრე სინამდვილეში იქნა გაწეული.

გარე ეფექტების საილუსტრაციოდ არაერთი მაგალითის მოყვანა შეიძლება საქართველოს ბოლოდროინდელი მოვლენებიდან.

დავიწყოთ ოუნდაც იმით, რომ გლობალური ფინანსური კრიზისის დაწყებამდე საქართველოში შემოდიოდა საქმაოდ მნიშვნელოვანი შემოსავლები ფულადი გზავნილების სახით, რომელსაც დაახლოებით 300 ათასამდე მიგრანტი აგზავნიდა საზღვარგარეთიდან. ეს გზავნილები წელიწადში დაახლოებით 300 მლნ ლოდარს აღწევდა, რაც მთლიანი შიდა პროდუქტის 6%-ს შეადგენდა და 6-ჯერ ადგმატებიდა ბაქო-თბილისი-ჯეიპანის ნავთობსადენიდან მიღებულ შემოსავლებს [1, გვ. 80]. ამას ემატებოდა საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების კრედიტები, დონორების დახმარებები და ა.შ. ბუნებრივია, კველა ეს შემოსავალი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია და საქართველოსთვის, არსებული სუსტი ეკონომიკის პირობებში, მათ უდიდესი პოზიტიური დატვირთვა აქვს. გარდა ამისა, ქვეყანაში არსებული უმუშევრობის მაღალი დონის პირობებში, ემიგრანტები არაპირდაპირი გზით დადებით გავლენას ახდენებ შრომის ბაზარზე, ვინაიდან მათი ქვეყნიდან გადინებით მცირდება უმუშევრობა, ამასთან, გარკვეულწილად, სიღარიბის დონეც ეცემა. მაგრამ ამ პორცესს პოზიტიურთან შედარებით, გაცილებით უფრო დიდი ნებატიური გარე ეფექტები ახლავს თან, რაც გამოიხატება შემდეგში: ამ ტენდენციამ, სხვა მიზეზებთან ერთად, საქართველოს ეკონომიკა წარმოებაზე ორიენტირებულის ნაცვლად შემოსავალზე ორიენტირებულ ეკონომიკად აქცია, ხოლო საზოგადოება – არა მწარმოებელ, არამედ მომსმარებელ საზოგადოებად. ისმის კითხვა: ხელსაყრელია კი ქვეყნისთვის „განვითარების“ ეს კურსი? ანდა, რა შედეგებს მოუზანს მცირერიცხოვან საქართველოს შრომითი რესურსების ქვეყნიდან გადინება?

ემიგრანტები ძირითადად ახალგაზრდა ასაკის ადამიანები არიან, ამიტომ ისინი დანაკარგებად ითვლებიან შობლიური ქვეყნისთვის [1, გვ. 81]. უმაღლესი განათლების მქონე ეკალიფიციური კადრების ემიგრაცია უცხო ქვეყნებში ინტელექტურის გადინებას ნიშნავს. შობლიურმა ქვეყანამ მათ აღზრდასა და განათლებაზე გარკვეული სოლიდური ხარჯი გასწია, სხვა ქვეყანამ კი მათი გამოყენებით, ყოველგვარი ხარჯის გაწევის გარეშე, მოგება მიიღო. ამრიგად, ამ თვალსაზრისით, მიგრაცია დანაკარგად ითვლება ემიგრანტის შობლიური ქვეყნისთვის და უდიდესი უარყოფითი გარე ეფექტის მატარებელია.

კიდევ ერთი: საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის (განსაკუთრებით ბოლო წლების) ერთ-ერთ მთავარ მიზნად უცხოური ინვესტიციების მოზიდვაა აღიარებული, მაშინ, როდესაც გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი იქნებოდა მთავრობის მთელი ძალისხმება მიმართულიყო ქვეყნის შიგნით დანაზოგებისა და კაპიტალის მობილიზების ალტერნატიული საშუალებების წარმოქმნაზე. როგორც „დია საზოგადოება –საქართველოსა“ და „ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის“ ექსპერტები სავსებით სამართლიანად აღნიშნავენ, „უცხოური პირდაპირი და პორტფელური ინვესტიციები უნდა განიხილებოდეს მხოლოდ როგორც ქვეყნის შიდა დანაზოგების დეფიციტის შევსების წყარო და არა ეკონომიკური განვითარების მამოძრავებელი ძალა“ [2].

ასეთმა პოლიტიკამ, დადებითობან ერთად, გამორავლინა უაღრესად უარყოფითი გარე ეფექტი, რაც, პირველ ყოვლისა, გამოიხატა საქართველოს შიდა დანაზოგების დეფიციტში. ამასთან, საბანკო სისტემა, რომელიც დამოკიდებულია კაპიტალის საერთაშორისო ბაზრების დინამიკაზე, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების შიდა მოთხოვნის უზრუნველსაყოფად საკმარისი რაოდენობის სასესხო კაპიტალს არ ფლობს. ეს, ბუნებრივია, ნეგატიურად აისახება ეკონომიკურ საქმიანობაზე, ქვეყნის რეალურ სექტორზე და, მრავალ სხვა უარყოფით გარე ეფექტობან ერთად, საქართველოს საექსპორტო პოტენციალის (მაგალითად, სოფლის მეურნეობის) საბანკო დაფინანსების გარეშე დატვირთვებას განაპირობებს. ამის საილუსტრაციოდ საქმარისია შემდეგი სტატისტიკური მონაცემებიც: სოფლის მეურნეობის საბანკო სესხით დაფარვის მაჩვენებელი 2003 წელს იყო

0,96%, 2004 წელს – 0,85, 2005 წელს – 0,76, 2006 წელს – 1,32 და 2007 წელს – 5,14% [3].

გარე ეფექტების არსებობა განაპირობებს კერძო და სოციალური დანახარჯებისა და შედეგების გამიჯვნის აუცილებლობას. კერძო დანახარჯები და შედეგები ასახავს საბაზრო ურთიერთობას, ხოლო მათი ცვლილება – საბაზრო წონასწორობას. სოციალური დანახარჯები და შედეგები შეიძლება იყოს კერძოზე მეტი ან ნაკლები. ამას განსაზღვრავს გარე ეფექტის ხასიათი – დადგბითია ის თუ უარყოფითი. მათი ტოლობა გამოხატავს ფსევდოსაბაზრო წონასწორობას. მხოლოდ ბაზარს არ შეუძლია ფსევდოსაბაზრო წონასწორობის დამყარება. იგი დგინდება სახელმწიფოსა და მოთხოვნა-მიწოდების მექანიზმის ერთობლივი ძალისხმევით. იქ, სადაც უძლეურია ბაზარი, „ბაზრის ჩავარდნებით“ გამოწვეული პრობლემების გადასაჭრელად აუცილებელია სახელმწიფოს ჩარევა [4]. სახელმწიფო თავის თავზე იღებს გარე ეფექტების გაზომვასა და სახელმწიფო ბიუჯეტის მექანიზმის მეშვეობით შემოსავლების გადანაწილების ორგანიზაციას, რაც კონკრეტულ გამოხატულებას სპეციალურ დაბეგვრაში პოვებს. უარყოფითი გარე ეფექტების ნეიტრალიზაცია, როგორც ცნობილია, განვითარებული ქვეყნების საგადასახადო პრაქტიკაში „პიგუს გადასახადის“ გამოყენებას უკავშირდება.

ქემბრიჯის სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელი არტურ პიგუ (1877–1959) მოითხოვდა უარყოფითი ექსტერნალიების გამომწვევ საქმიანობაზე ექსტერნალური დანახარჯების სიდიდის ტოლი ჯარიმების დაწესებას, ხოლო დადგბითი ექსტერნალიების გამომწვევი საქმიანობის წახალისებას – ექსტერნალური სარგებლის ტოლი სიდიდის სუბსიდიებით [4].

განვითარებულ ქვეყნებში დიდი ხნის განმავლობაში მიმდინარეობდა დავა გარე ეფექტების სახელმწიფო რეგულირების აუცილებლობის აღიარების შესახებ. მუდმივად მზარდ მოთხოვნასა და მოგებაზე ორიენტირებული საბაზრო ძალები, როგორც ცნობილია, სულ უფრო მეტ ბუნებრივ რესურსს აქცევენ ეკონომიკურ ბრუნვაში, რაც ზიანს აქცევს გარე ბუნებას, განაპირობებს რეგიონულ დისპროპორიციებსა და დიდი ქალაქების პრობლემების გამწვავებას. განვითარებულ ქვეყნებში, განსაკუთრებით გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან, ეკოლოგიური სიტუაციის სერიოზულმა გაუარესებამ გამოიწვია საბაზრო კონკურენციის ნებაზიური სოციალური „ამონაბოლქვების“ ლიკვიდაციის სპეციალური სახელმწიფო რეგულატორების შექმნა. ეკოლოგიური საფრთხის თავიდან აცილების მიზნით, ფართოდ გავრცელდა საინვესტიციო პროექტების წინასწარი სახელმწიფო ექსპერტიზა და „პიგუს გადასახადის“ ტიპის საბიუჯეტო პროცედურები [5]. უარყოფითი გარე ეფექტების მქონე ეკონომიკური საქმიანობის შესაზღვდად და დადგებითი გარე ეფექტებელი მატარებელი წარმოების გასაფაროებლად აუცილებელი გახდა მათი გარდაქმნა შიდა ეფექტებად, როდესაც უკვე სოციელდება ზღვრული კერძო ხარჯის დახმარებება ზღვრულ სოციალურ ხარჯთან. ა. პიგუმ ამ პრობლემის გადასახადულებით კორექტირებადი გადასახადისა და კორექტირებადი სუბსიდიის გამოყენების აუცილებლობა. კორექტირებად გადასახადს იხდის უარყოფითი გარე ეფექტის მქონე წარმოება, რომლის მიზანია ზღვრული კერძო ხარჯის გაზრდა ზღვრული საზოგადოებრივი ხარჯის დონემდე. კორექტირებადი სუბსიდია არის დადგებითი გარე ეფექტის მქონე წარმოების სტიმულირებისათვის გამიზნული სუბსიდია. მისი მიზანია ზღვრული კერძო გარებელიანობის მიახლოება საზოგადოებრივ ზღვრულ სარგებლიანობასთან.

კორექტირებადი გადასახადები და სუბსიდიები ნაწილობრივ წავეტენ გარე ეფექტებთან დაკავშირებულ პრობლემებს, რაც აისხება იმით, რომ, ჯერ ერთი, პრაქტიკაში ძალზე ძნელია ზღვრული ხარჯისა და სარგებლიანობის ზუსტი განვითარიშება და, მეორე, კორექტირებადი გადასახადები ყოველთვის ვერ აღწევს მიზანს. ამ გარემოებამ განაპირობა აღნიშნული პრობლემის გადაჭრის ახალი გზების ძიება.

ამასთან დაკავშირებით, ინგლისელმა ეკონომისტმა, ნობელის პრემიის ლაურეატმა (1991) **რონალდ ქოუზმა** წამოაყენა პიათეზა, რომლის მიხედვით, უარყოფითი გარე ეფექტები არ იწვევს რესურსების არარაციონალურ აღოკაციას, თუმცა არ არსებობს ტრანსაქციური ხარჯები – შეთანხმების დადებისა და მისი განხორციელების პროცესში წარმოქმნილი (ინფორმაციის მოპოვების, მოლაპარაკებისა და კონტრაქტების დადგების, საკუთრების უფლების და ეკონომიკური საქმიანობის სპეციფიკისა და ა.შ.) ხარჯები, გაწეული მოლაპარაკების მონაწილე მხარეთა მიერ [6].

რ. ქოუზის აზრით, რომელიც მან განავითარა სტარიაში „სოციალური დანახარჯების პრობლემა“ (1960), ექსტერნალიებს აქვთ ურთიერთგანმაპირობებები, ანუ სიმეტრიული ბუნება. თუ A-ს საქმიანობა ზიანს აყენებს B-ს, მაშინ შემდგომი შეზღუდვები A-ს საქმიანობაში B-ს დაცვის მიზნით, ავნებს A-ს. ამიტომ სოციალური პრობლემა სიტუაციის ოპტიმალურ გადაწყვეტაში მდგომარეობს.

ამრიგად, ასეთ სიტუაციაში არჩევანი უნდა გადაიხაროს იმ გადაწყვეტილებისკენ, რომელიც საზოგადოებისათვის უმცირეს დანახარჯებს გამოიწვევს. პარეტოს ოპტიმუმი კი მიიღწევა სახელმწიფოს ჩაურევლად, საკუთრების უფლების მყარი გარანტიებით მხარეებს შორის შეთანხმების საფუძველზე [7]. ჩვენი აზრით, საქართველოში მოჭარბებული უარყოფითი გარე ეფექტების პირობებში, გასათვალისწინებელია კეთილდღეობის ახალი ეკონომიკური თეორიის ძირითადი პოსტულატები.

### გამოყენებული ლიტერატურა

- სამსონი ი. განვითარების გზის ძიება: საქართველოს ამოცანები. „საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები.“ კვარტალური მიმოხილვა. GEPLAC. მარტი, 2006.**
- საქართველოს ეკონომიკური საფრთხეებისა და მთავრობის კრიზისისგან დაცვის სტრატეგიის ანალიზი და რეკომენდაციები. ანგარიშები, ანალიზი, რეკომენდაციები. კოალიცია „გამჭვირვალე ფინანსური დახმარება საქართველოს“. თბ., თებერვალი, 2009, გვ. 12.**
- www.georgia.gov.ge – საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური საიტი.**
- Pigou A. A study in public finance. London, 1949.**
- ასათიანი რ. მომსახურება და საბაზო სისტემა. თბ., „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 1993, გვ. 41.**
- Coase R. The problem of social cost. "Journal of Law and Economics". Vol. 3, 1960, p. 17.**
- ასათიანი რ. თანამედროვე ეკონომიკის განმარტებითი ლექსიკონი. თბ., საგამომცემლო ფირმა „სიახლე“, 2009, გვ. 241, 364.**
- აბესაძე რ. საქართველოს ეკონომიკა XX–XXI საუკუნეების მიჯნაზე. „ეკონომისტი“, №1, 2009.**
- პაპაფილიაშვილი ა. მდგრადი ეკონომიკური ზრდის რისკები საქართველოში. „საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები“. კვარტალური მიმოხილვა. GEPLAC, თებერვალი, 2008.**
- ჭითანავა ნ. საქართველოს ეკონომიკის განვითარების ტენდენციები და ორიენტირები. „შრომები“. IV ტომი. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია. თბ., საგამომცემლო ფირმა „სიახლე“, 2004.**
- Надель С. Социальные факторы экономического роста. М., "МЭиМО", № 5, 2005.**
- Папава В. Проблема зомбирования посткоммунистической некроэкономики. "Вестник Института Кеннана в России". Выпуск 15. М., 2009.**

13. Papava V. State, public sector and Theoretical Prerequisites to a model of an "Economy without taxes". "International Journal of social Economics". Vol. 27, № 1-2, 2000.

*Rozeta Asatiani*  
*Doctor of Economic Sciences, Professor*

## EXTERNALITIES AND ABATEMENT COSTS

### Summary

Externalities have positive as well as negative expressions and are not reflected in the set of prices. Positive expression is connected with interest while negative one – with expenses. Sometimes the area of manifestation of externalities is very wide and is spread on the whole society. Not one example from the recent developments in Georgia can be presented as an illustration. Namely, at present the attraction of foreign investments is considered as one of the main objectives of economical development of Georgia while it would be much more important to direct the whole effort of government to create alternative means of savings and capital mobilization within the country. Foreign investments should be considered only as the source of replenishment of internal savings deficit of the country and not as the motive power of economical development. Such policy, alongside with positive effects, revealed particularly negative externalities which were, in the first place, manifested in the deficit of internal savings of Georgia. At the same time, banking system which depends on the dynamics of international markets of capital has not sufficient amount of loan capital to provide internal demands of country's economical development. This is negatively reflected on economical activity, on country's real sector and, together with many other negative effects, leaves export potential (e.g. agriculture) of Georgia without bank financing. This is the reason that the index of bank loan settlement for agriculture in 2007 was just 5.14%, although earlier, for example, in 2005 it was only 0.75%.

ნაზირა ქაჯულია  
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

**ინსტიტუციური გარემოს სახელმწიფო ობიექტების აუცილებლობა  
პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პირობებში**

კომუნისტურმა რეჟიმმა, სამწუხაროდ, იმდენად ხანგრძლივი სიცოცხლის-უნარიანობა გამოავლინა, რომ მისი ფესვების აღმოფენა და ახალი ნიადაგის შექმნა აუცილებლად საზოგადოებრივი ცხოვრების ინსტიტუციური საფუძვლების ახალ საფეხურზე, საზოგადოების ახალ ეკონომიკურ აზროვნებასა და იდეოლოგიაზე გადასვლით უნდა წარიმართოს.

ადსანიშნავია ის ფაქტი, რომ კომუნისტურ სივრცეში არსებულ სახელმწიფოთა შორის საქართველო ყველაზე ნაკლებად იყო იმ ჩარჩოების მატარებელი, რომელსაც საგეგმო-ცენტრალიზებული სისტემა წერგავდა.

უმთავრესი პრობლემა, რომელიც აუერხებდა საქართველოში ეკონომიკის, კერძოდ კი მიკროკლიმატის ჩამოყალიბებას, მდგომარეობს იმაში, რომ, საბაზრო გარნიმიკაზე გადასვლის საწყის ეტაპზე, სახელმწიფომ, სამწუხაროდ, ვერ მოახერხა, განესაზღვრა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სტრატეგია და შეემუშავებინა სათანადო სამოქმედო გეგმა [1].

სწორედ ეკონომიკური სტრატეგიისა და კონკურენტული სამოქმედო გეგმის არქონამ, რასაც დაერთო პირადი, ჯგუფური ინტერესები, განაპირობა მახინჯი ფორმით ჩატარებული პრივატიზაციის პროცესი, რომლის შედეგადაც არსებულ საწარმოთა უმეტესობის მფლობელი გახდნენ მათი ყოფილი ხელმძღვანელები (დირექტორები) და აღმინისტრაციის წარმომადგენლები. მათი დიდი ნაწილი, ტიპური, ძველი ყაიდის ფუნქციონერი იყო და არ გააჩნდა თანამედროვე ბიზნესის წარმოების უნარ-ჩვევები. შესაბამისად, მათ ვერ შეძლეს, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირობებში, საკუთარ დაქვემდებარებაში მყოფ საწარმოთა წარმატებული ფუნქციონირება. საწარმოთა მფლობელები, რომლებიც უმეტესწილად, თავადვე იყვნენ კომპანიის მენეჯერები, თავს „ირჩენდენ“ საკუთარი საწარმოს აქტივების პერმანენტული გაყიდვით.

ეკონომიკური ფუნქციონირების მკაცრი სახელმწიფო კონტროლიდან გათავისუფლების შედეგად, ძველი ყაიდის ფუნქციონერები ჩაებნენ ფორმირებადი საბაზრო სტრუქტურების ჩამოყალიბებაში, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ შეძლეს ძველი ბიუროკრატიისაგან ნორმალური საბაზრო ტიპის მეწარმის ჩამოყალიბება, რადგანაც ამ ფენამ შემოინახა მჟიდრო სოციალური და ფსიქოლოგიური კაგშირები სახელმწიფოსთან და არ აღმოჩნდა მზად ამ კაგშირების გასაძიებებად, იგი მასში ხედავდა მატერიალური და სოციალური სტატუსის მნიშვნელოვან საყრდენს. რაც უფრო სუსტდებოდა აღმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემა, და, შესაბამისად, საწარმოები სულ უფრო დამოკიდებული ხდებოდნენ, მათი ხელმძღვანელობის წინაშე დგებოდა საკუთარი საწარმოს გადარჩენის საკითხი ეკონომიკური კრიზისის გაღრმავების პირობებში.

საწარმოების დამოუკიდებლობის გაზრდისას არ შეიძლებოდა იმ დონისძიებების დაგვიანება, რომლებიც წარმოების ფინანსურ გამოჯანსაღებასა და ფას-წარმოქმნის რეფორმებს შეუწყობდა ხელს. ყოველივე ამის შედეგად სამომარებლო ბაზრის დაშლამ გამოიწვია ჩრდილოვანი ეკონომიკის აყვავება. ზედაპირულმა და მხოლოდ ვიზუალურმა ცვლილებამ რეფორმების ეს გარდამტები პერიოდი დაამახინჯა და, ამასთანავე, გაწელა დროში.

ტრანსფორმაციის პერიოდის ანალიზისას აუცილებელია „ახალი ინსტიტუციური ეკონომიკის“ თეორიაზე დაყრდნობა [1;5]. დუგლას ნორტის განმარტებით – ინსტიტუციური თეორია ინსტიტუტების ქვეშ გულისხმობს მხოლოდ აღმიანური საქმიანობის წესებსა და ნორმებს. ამ თეორიაზე დაყრდნობით, ჩვენ შეგვიძლია ჩავწვდეთ ინსტიტუტების, როგორც ასეთის, არსს, აუცილებელია

შევისწავლოთ ინსტიტუტების სტრუქტურა, რომლებიც გარკვეული პერიოდის განმავლობაში ადამიანთა ქცევის გარკვეულ საზღვრებს აყალიბებს [13].

არაფორმალური შეზღუდვები მოიცავს მოქმედების ნორმებს (რომლებიც მიღებულია საზოგადოებაში), ქცევის დაუწერელ კანონებს. თვით შეთანხმებები უფრო მოიცავს იძულებას. მოქმედების წესები და ნორმები იმ შემთხვევაში ერთგება მოქმედებაში, თუკი მეორე მხარე არ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს. ასეთ სიტუაციაში უნდა არსებობდეს რომელიდაც მესამე პირი, რომელიც გამოიყენებს თავის ძალაუფლებას და მიიღებს სოციალური ტიპის სანქციებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მოქმედების ნორმების ეფექტიანობა და მოკიდებულია იძულების მექანიზმების ეფექტიანობაზე [5].

ამისათვის, სულ ცოტა, აუცილებელია ეფექტური საკანონმდებლო და სამართლებრივი სისტემა ფორმალური ინსტიტუტების დასაცავად, სოციალური სანქციები მოქმედების ნორმების დასაცავად და ძლიერი სტანდარტები თვით მოქმედების კოდექსების ხელშეწყობისათვის.

ცნობილი პერუელი საეციალისტის ერნანდო დე სოტოს აზრით, პოსტკომუნისტურ და განვითარებად ქვეყნებში ფორმალური ინსტიტუტების შემადგენლობაში არსებული ვაკუუმი საკუთრების სამართლებრივი გაფორმების არარსებობაში გამოიხატება, რაც კაპიტალის შექმნის უმთავრესი შემაფერხებელი ფაქტორია და შედეგად ამ ქვეყნების ეკონომიკურ ჩამორჩენილობაში აისახება [8].

პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პირობებში საბაზრო ინსტიტუტების შექმნა უშეალოდ სახელმწიფოს პრეროგატივად. თუ სახელმწიფო შეაყვანების ინსტიტუტების ჩამოყალიბების პროცესს, არსებული ვაკუუმი მაინც შეივსება შესაბამისი ნაკლებად სასურველი სტრუქტურებით. რეფორმების საწყის ეტაპზე სწორედ სახელმწიფოს შესუსტებული როლით იქნა გამოწვეული დაშვებული შეცდომები რესტრუქტურიზაციის პროცესის არასწორ პოლიტიკაში [4]. ამის მიზეზები არ არის მხოლოდ სახელმწიფოს შენელებული მოქმედებები, იგი უნდა ვეძებოთ საგეგმო პერიოდში ჩამოყალიბებული სტრუქტურის საფუძლებში.

გეგმური ეკონომიკის პირობებში, რომელიც მკაცრი ფორმალური ინსტიტუტებით ხასიათდებოდა, მნიშვნელოვნად გაიზარდა არაფორმალური ინსტიტუტების სისტემა (დეფიციტი, დისკროპორციები, შემაფერხებელი წინააღმდეგობები), რომელიც ფარულ, არალეგალურ შეთანხმებებში აისახებოდა. ასეთი შეთანხმებები არ იყო გამქარებული კონტრაქტების უფლებით, მოქმედებდა ფარულად და მთლიანად ეწინააღმდეგებოდა ლეგალურ ნორმებს [6].

არაფორმალური ინსტიტუტები (რომელთა არსებობასაც ხელისუფლება ხელს არ უშლიდა) საგრძნობლად რთულად ექვემდებარებიან ცვლილებებს, ძალიან ხელი ტემპებით ამსხვერებენ ტრადიციებით გამყარებულ წარმოდგენებებს.

არაფორმალური ინსტიტუტები ეხება არა მხოლოდ პიროვნების, არამედ იგი არსებობს ფირმების, ორგანიზაციებისა და ხელისუფლების სტრუქტურაშიც. ინსტიტუციურ თეორიაში ამ ინსტიტუტების არსებობას უწოდებენ „რუტინას [3;4].

ტრანსფორმაციის პირობებში არსებული სინხელეების აღმოსაფეხველად, უწინარეს ყოვლისა, უნდა მივაღწიოთ ეფექტიან მესაკუთრეთა ჩამოყალიბებასა და მათი მეშვეობით კონკურენციის ხელსაყრელი პირობების უზრუნველყოფას. ეფექტიანი მესაკუთრის შექმნაში იგულისხმება, რა თქმა უნდა, გადასახადების გადახდა, სამუშაო ადგილის შექმნა, საწარმოების რესტრუქტურიზაციის გზით წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის ინვესტიციების მოზიდვა. მაგრამ, ხშირ შემთხვევაში, ჩვენ ვერ მივიღეთ ეფექტიანი მესაკუთრე ძველი მენტალიტებით აზროვნებისა და ცოდნის უკმარისობის გამო, ამასთან, სახელმწიფოს სათანადო ღონისძიებების არასწორად გატარების შედეგად ვერ ჩამოყალიბდა კონკურენტული, ინგესტიციური გარემო. არსებული პრობლემები ტრანსფორმაციის შემთხვევაში მეტა-ნაკლები სიძლი ეტაპზე მეტ-ნაკლები სიძლიერით დომინირებს და, ბუნებრივია,

ექვემდებარება ცვალებადობას. არასტაბილური სიტუაციის გამომწვევი მიზენების შესწავლა, ისევე, როგორც მისი აღმოფხვრა, დროებით მოვლენად არის მიჩნეული და თოთოველი ეტაპის სერიოზული მონიტორინგის აუცილებლობაში გამოიხატება.

ასევე ფიქრობენ, რომ კონკურენცია საშუალებას იძლევა, თავიდან ავიცილოთ წამგებიანი საწარმოები. მაგრამ ამ სიტუაციაშიც ყველაფერი თეორიულ დონეზე რჩება და პრაქტიკაში სულ სხვა მასშტაბებს იღებს, კონკურენციის სიმწვავე არ ამცირებს საწარმოების მიღრებილებას, გამოუშვან წამგებიანი პროდუქცია. ერთადერთი, შეინიშნება გავლენა წამგებიანობის სარისხეზე. რაც უფრო მწვავეა კონკურენცია, მთავრებია წამგებიანი პროდუქციის რაოდენობა. ეს საშუალებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ, რა თქმა უნდა, სიტუაცია პარადოქსულია, მაგრამ სრულიად აბსურდული არ არის.

მიკროდონებულება ერთ-ერთ მიზეზად შეიძლება სპეციფიკური თვისებების მქონე მეწარმეთა „კლასის“ წარმოშობა დავასახელოთ. რიგი პარამეტრებით, ისინი ახლოს არიან საბაზრო ტიპის მეწარმეებთან, მაგრამ, მათგან განსხვავებით, მოგება არ წარმოადგენს მირითადს მათ ფუნქციონირებაში.

მიმდინარე რეფორმების რიგი წარუქმატებლობა მაინც სახელმწიფოს ეკისრება, რომელმაც უნდა უზრუნველყოს საბაზრო ინსტიტუტების დაცვის მექანიზმების ჩამოყალიბება, რაც არსებული ინსტიტუტების გარდაქმნასა და ახლის დაუყოვნებლივ შექმნაში გამოიხატება.

საფინანსო ინსტიტუტები, რომლებიც აუცილებელია საბაზრო სისტემაში ნორმალური ფუნქციონირებისათვის, ყალიბდება დროში. ეკონომიკაში, ისევე, როგორც ნებისმიერ ახალ საწარმოს სჭირდება ადაპტაცია, ასევე, ახალი ინსტიტუტების შექმნა საჭიროებს დროს. ინსტიტუტების იმპორტირება დასავლეთის ქვეყნებიდან არანაირ შედეგს არ იძლევა. საზოგადოებამ, მეწარმეებმა თვითონ უნდა გაითავისონ ის ახრი, რომ ინსტიტუტების ადაპტაციის პერიოდი ისეთივე ბუნებრივი და გარდაუვალი პროცესია, როგორც ახალი პროდუქციის ან ახალი ტექნოლოგიების შეგუების პროცესი შესაბამისად წარმოებრივ თუ საბაზრო გარემოსთან [11].

მიუხედავად შეგუებისათვის აუცილებელი დროითი პერიოდისა, სახელმწიფოს აუცილებლად მართებს პროცესის დაწერება, რომელიც დროის უმოკლეს პერიოდში მიიყვანს ტრანსფორმაციის პროცესს სასურველ შედეგებამდე.

გარდამავალი პერიოდის საწარმო განსაკუთრებული ტიპის ფირმას წარმოადგენს (ის არც სოციალისტურია და არც კაპიტალისტური), რომლის უმთავრესი მიზანია გაუკრევებლობის პირობებში ნებისმიერი გზით გადარჩენა.

სამრეწველო საწარმოების დირექტორები, რომლებიც წლების მანძილზე თავის სასარგებლოდ ძალიან ზედაპირულად იყენებდნენ საკუთრების უფლებას, ყოველნაირად ეწინააღმდეგებიან სამართლებრივი ნორმების გამკაცრებას. ამ მიმართულებით ძალზე მნიშვნელოვანია ოლივერ უილიამსონის და მისი მიმდევრების ტრანსაქციური ხარჯების თეორიის გამოყენება. ტრანსაქციური ხარჯები გარდამავალ პერიოდში მართლაც, რომ ძალიან დიდია. ინფორმაციის არარსებობისა და მისი ძნელად მოპოვების პირობებში შეუძლებელია უზრუნველყო კონტრაქტის ლგაბალური გზით შესრულება (არ არსებობს სასამრთლო გადაწყვეტილებათა შესრულების საიმედო მექანიზმი). ყოველივე ზემოაღნიშნული ხელს უწყობს არალეგალური გზის გამოყენებას, რომელიც, ბუნებრივია, დაკავშირებულია დიდ ფინანსურ ხარჯებთან.

ნებისმიერი ჩამოყალიბებული ინსტიტუტი ეფუძნება საზოგადოებაში გავრცელებულ ტრადიციებსა და ქცევის არაფორმალურ ნორმებს.

საკუთრების უფლების ანალიზისადმი თანამედროვე მიღგომა გულისხმობს ისეთი ეკონომიკის არსებობას, რომელშიც არსებობს არა მარტო კარგად ჩამოყალიბებული საკონტრაქტო შეთანხმებათა სტრუქტურა, არამედ ათეული წლებით ჩამოყალიბებული „საკონტრაქტო კულტურა“ [12].

საკონტრაქტო და საგუთრების უფლებათა „ინფორმაციის“ მექანიზმების ეფექტური ფუნქციონირება გულისხმობს ამ პროცესის (საუბარია ეკონომიკურ პროცესებზე) მონაწილეობა დარწმუნებას არსებული მექანიზმების სამყლოობაში. დუგლას ნორტის მიხედვით, ასეთი მდგომარეობა შეიძლება შევაფასოთ, როგორც ვალდებულება, რომელიც იწვევს ნდობას“ [13]. ფართო გაგებით, იგი სახელმწიფოს მხრიდან ჩარევის შეზღუდვასა (ხშირ შემთხვევაში, სახელმწიფო თვითხელურად უზრუნველყოფს საგუთრების უფლებას გრძელვადიანი ინვესტირებისათვის. ასეთი შემთხვევები უფრო დამახასიათებელია ტრანსფორმაციის პერიოდისათვის) და კაპიტალის ბაზებზე ტრანსაქციური ხარჯების საქმაოდ დაბალ დონეს უკავშირდება.

გლობალიზაციის პროცესი უშეალოდ ზემოქმედებს ცალკეული ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე. თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკაში ეროვნული ეკონომიკის განვითარების დონის ამაღლება წარმოუდგენელია გლობალურ ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრაციის გარეშე, რაც მოიცავს როგორც შესაძლებლობებს, ისე გარკვეულ საფრთხეებს.

ასეთი საფრთხეების და შესაძლებლობების მატარებელია გლობალიზაციისათვის დამახასიათებლი ისეთი პროცესი, როგორიცაა მოსახლეობის მიგრაცია (აქ და შემდეგაც ვგულისხმობთ ნებაყოფლით მიგრაციას და არა იძულებით გადაადგილებას).

თანამედროვე მსოფლიოში მიგრაციის 3 ტენდენცია შეინიშნება:

1. მიგრაციის რიცხვის ზრდა;
2. მიგრაციის გლობალიზაცია;
3. მიგრაციის არა მსოფლიო განვითარებული, არამედ განვითარებადი ქვეყნების ფეხომენად გამოცხადება.

თუ მიგრანტების რიცხვი 80-იანი წლების ბოლოს 80 მლნ კაცს შეადგენდა, 2000 წელს იგი 100 მლნ კაცს გაუტოლდა. 1980 წლიდან 2000 წლამდე უცხოელ რეზიდენტთა რიცხვი 3-ჯერ გაიზარდა გერმანიაში, 1 მლნ-ით იტალიაში, 700000-ით დიდ ბრიტანეთში. განსაკუთრებით ინგლისიური გახდა მიგრაცია 1995-2000 წლებში. მაგალითად, აშშ-ში ამ პერიოდში უცხოური სამუშაო ძალა 14083 ათასი კაციდან 17384 ათას კაცამდე, შევედეთში 186-დან 205 ათას კაცამდე, დიდ ბრიტანეთში 1011-დან 1220 ათას კაცამდე, იტალიაში 100-დან 246 ათას კაცამდე გაიზარდა.

მიგრაციის გლობალურობა იმაში გამოიხატა, რომ აფრიკელი ემიგრანტები მიემზავრებიან ევროპაში, აზიელები – ახლო აღმოსავლეთში და ავსტრალიაში, ევროპელები ჩრდილოეთ ამერიკაში და ა.შ.

მიგრაციის მე-3 ტენდენციის არსი იმაშია, რომ ჩამორჩენილი, განვითარებადი, ანუ შრომითი რესურსების ექსპორტიორი ქვეყნებიც იღებენ მიგრანტებს. ეს ჩანს საქართველოს მაგალითიდანაც. საქართველოდან ქართველები გადიან უცხოეთში სამუშაოდ, საქართველოში კი ჩამოდიან ჩინელები, კორელები, ვიეტნამელები, თურქები და სხვები.

საერთო დონის ეკონომისტები სამუშაო ძალის მიგრაციას განიხილავნ, როგორც წარმოების ერთ-ერთ ფაქტორს – საერთო შორისო გაცვლას, რომელსაც ორმხრივი სარგებლობა მოაქვს [2, გვ. 577]. ჯონ კენეტ გელბრეითი, რომელიც თავისუფალი ბაზრის მგზნებარე მომხრეა, მიგრაციას აღწერს, როგორც პროცესს, რომელიც ეხმარება “მათ, ვინც მიდიან, იმათ, ვისაც ტოვებენ, და კიდევ იმათ ვისთანაც მიდიან” [3, გვ. 200].

ჯონ კენეტ გელბრეითის მსგავსი მოსაზრებები აქვს ფრანგ მკვლევარ ა. სოვოს [4, გვ. 409]. იგი მიგრაციას განიხილავს მიგრაციების ინტერესებიდან, იმ ქვეყნის ინტერესებიდან, რომელიც იღებს მიგრანტებს და, აგრეთვე, იმ ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, საიდანაც გადიან მიგრანტები, ა. სოვოს მიაჩნია,

რომ მომუშავეთა ემიგრაციას ძირითადად იწვევს დასაქმების პრობლემები, ხელფასის დონე ვიდრე განვითარებად ქვეყნებში). შრომითი რესურსების იმპორტით ქვეყნის სარგებელი და ინტერესი იმაშია, რომ იგი ყოველგვარი მატერიალური, შრომითი და სხვა სახის დანახარჯების გაწევის გარეშე იღებს იაფ სამუშაო ძალას. ისინი ამით კოლოსალურ ეკონომიას აპეტებს შრომითი რესურსების მომზადებაში. მნიშვნელოვანი სარგებელი აქვთ შრომითი რესურსების ექსპორტით ქვეყნებსაც. მისი მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც ქვეყანაში რჩება, ძირითადად იმ ფულადი გზავნილებით ცხოვრობს, რომელსაც იგი ემიგრანტებიდან იღებს. მარტო 2006 წელს საქართველოში უცხოეთიდან 1492 მლნ ლარის ფულადი გზავნილი შემოვიდა [5. გვ 61]. ასევე ხდება შრომითი რესურსების ექსპორტი სხვა ქვეყნებშიც – თურქეთში, კორეაში, ესაკანეთში, იტალიაში, იუგოსლავიაში და სხვაგან. ასეთმა გზავნილებმა დიდი როლი შეასრულა ამ ქვეყნების მოქალაქეების ცხოვრების დონის ამაღლებაში, მათ საერთო ინტელექტუალურ წინსვლაში.

მაგრამ არიან განსხვავებული აზრის მქონენიც, რომელთაც ანტიგლობალისტები ეწოდებათ. ისინი არიან ცალკეული ქვეყნების პოლიტიკური და პადგენიური წრეების წარმომადგენებები, რომლებიც ხაზს უსვამენ გლობალიზაციის წინააღმდეგობრივ ხასიათს ეროვნულ, რეგიონულ და გლობალურ დონეზე, რაც სავსებით დოგიკურია გლობალიზაციის მრავალსპეციალისტების ხასიათიდან გამომდინარე.

ანტიგლობალისტური მოძრაობის წარმომადგენლები გლობალიზაციას “ადანაშაულებებ” ქვეყნებს შორის შემოსავლების არათანაბარ განაწილებაში, მდიდარ და ღარიბ ქვეყნებს შორის უფსკრულის ზრდაში, არასამართლიან ვაჭრობაში, კაპიტალის შეუზღუდვავი მოძრაობის დამანგრეველ ზემოქმედებაში სუსტი ქვეყნების ეკონომიკაზე, განუვითარებელი და განვითარებადი სიღარიბის დონის ზრდაში, სოციალური დამაბულობის ზრდაში, მსოფლიოს “ამერიკანიზაციაში”, დასავლური ლინებულებების თავს მოხვევაში, ეროვნული ტრადიციებისა და განვითარების თავისებურებების უგულებელყოფაში და ა.შ. მათი ერთი ნაწილის, კერძოდ ნეომარქისტების, აზრით “გლობალიზაცია, როგორც ტერმინი, ცვლის ტერმინს – იმპერიალიზმი” [6, გვ 213-214].


ანტიგლობალისტური მოძრაობა სხვადასხვა ფორმებს იღებს, დაწყებული საპროცესტო გამოსვლებით, დემონსტრაციებით (სიეტლიში, გენუაში, “დიდი 8-იანის შეხვედრისას”, დავოსსა და მელბურნში, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მსვლელობისას, გაშინგტონში, პრაღაში, მსოფლიო ბანკის და საგალუტო ფონდის სხდომებისას და ა.შ.), რომელიც მიმართულია გლობალიზაციის როგორც ცალკეული სახელმწიფოების, ისე მოსახლეობის გარკვეულ ჯგუფებზე გლობალიზაციის უარყოფითი შედეგების შერბილება-ნეიტრალიზებისაკენ, დამთავრებული გლობალიზაციის სრული მიუღებლობით, რომელიც ხშირად განიხილება, როგორც დასავლური კულტურის ექსპანსია, ანუ ე.წ. მსოფლიო ვესტერნიზაცია, რომელიც ვნებს არადასავლური ცივილიზაციის ქვეყნებს.

ადანიშნავია, რომ ანტაგონისტურ მოძრაობას მხარს უჭერენ შრომატევადი პროდუქციის წარმოებაში დასაქმებული ადამინები, ანუ “ტრადიციული ეკონომიკის” წარმომადგენლები (განსხვავებით, ცოდნის ეკონომიკის, ანუ “ახალი ეკონიმიკის” წარმომადგენლებისაგან, რომლებიც ნაკლებ კრიტიკულად არიან განწყობილნი გლობალიზაციის მიმართ). ასეთ ეკონომიკაში კი მსოფლიო მოსახლეობის 70% ცხოვრობს [7, გვ 159].

ასე რომ, მიუხედავად იმისა, რომ გლობალიზაციის, ანუ საერთაშორისო წესრიგის ფორმირების პროცესი დაწყებულია, იგი მტკიცნეულად მიმდინარეობს. მას მოწინააღმდეგები ჰყავს განვითარებად ქვეყნებშიც და განვითარებულშიც, მათ შორის აშშ-იც, რომლის მოსახლეობის გარკვეული ნაწილი ეწინააღმდეგება აშშ-ს ჰეგემონურ პოზიციას მსოფლიოში. რაოდენ გასაკირიც არ უნდა იყოს, ინდოელი წარმოშობის ამერიკელი მეცნიერის ჯაბკაგვატის გამოკვლევით,

ანტაგონისტური განწყობა ჭარბობს ჩრდილოეთის განვითარებულ ქვეყნებში (მას მხედველობაში ჰყავს აშშ, კანადა, ინგლისი, სკანდინავიის ქვეყნები) მაშინ, როცა სამხრეთის დარიბი ქვეყნების მოსახლეობის დიდი ნაწილი გლობალიზაციას შედარებით პოზიტიურ მოვლენად განიხილავს [8, გვ. 12]. ეტყობა ჯაბპაგვატს ინდოეთი და ინდოეთის ვექტორზე (და მის ქვევით) მდგრად ქვეყნები ჰყავს მხედველობაში, რაც შეეხება საქართველოს (და ალბათ მთელ კაგასიას) მოსახლეობას (მთავრობაში ახლა მყოფი პოლიტიკოსების გარდა), მათი განწყობა აშკარად ანტიგლობალისტურია. ისინი მიღიან სამუშაოდ საზღვარგარეთ, მაგრამ არა სიხარულით, არამედ უკიდურესი გაჭირვებიდან გამოსავლელად, რომ იტყვიან, ლუგმაპურის საშოფელად. მათ რომ ადგილზე ჰქონდეთ სამუშაო, ოუნდაც საარსებო მინიმუმის ტოლი ხელფასით, ისინი არ დატოვებდნენ სამშობლოს, რადგან ქართველი ძნელად ეგუება ემიგრაციას. დიახ, ემიგრირებული ქართველების აქ დარჩენილი ოჯახებიც იღებენ მნიშვნელოვან ფულად გზავნილებს, მაგრამ ეს ფული ფაქტორივად უცხოეთში გადახვეწილი თუ შვილიშვილის განწირვის ტოლფასია, რადგან ის შვილი თუ შვილიშვილი ან საერთოდ აღარ დაბრუნდება საქართველოში, ან, თუ დაბრუნდება, დაბრუნდება შეცვლილი, არაქართული ფსიქოლოგიით, შეიძლება ითქვას “გადაბრუნდებული ტვინით”. ამით იმის თქმა გვინდა, რომ შრომითი რესურსების მიგრაცია ეკონომიკური თვალსაზრისით შეიძლება სასარგებლობა მასში მოხაწილე მხარეებისთვის, მაგრამ პოლიტიკურად, სოციალურად, დემოგრაფიულად და კულტურულად გაუმართლებელია შრომითი რესურსების ექსპორტიორი ქვეყნებისათვის.

მეცნიერთა ჯგუფმა მსოფლიო პირობითად დაყო სამხრეთ და ჩრდილოეთ რეგიონებად და შეიმუშავა მოდელი [2, გვ. 58], რომელზეც მოხანს, თუ რა მასშტაბისაა ეკონომიკური სარგებელი (ხელფასის სახით), რომელიც ეძლევა სამუშაო ძალის იმ პარტნიორ (ძირითადად ჩრდილოეთის) და ექსპორტიორ (ძირითადად სამხრეთის) ქვეყნებს და თვით მიგრანტებს (იხ. ნახ.).



სამუშაო ძალის მსოფლიო მიწოდება

ნახაზიდან ჩანს, რომ მიგრაციის უფექტი ასე განისაზღვრება:

- სამხრეთის იმ მუშების ხელფასი, რომლებიც სახლში რჩებიან და არ მიგრირებენ, მაღლდება OsW\*-დონემდე და მათი საერთო შემოსავალი შეადგენს W\*ERWs.
- ჩრდილოეთის მუშებს უმცირდებათ ხელფასი WNW\*-ის სიდიდით და შედეგად კარგავნ W\*CAWN-ს სიდიდის შემოსავალს. მიგრირებული სამხრეთის მუშები, რომლებიც თავიდან იდებდნენ WNW\*-ით ხელფასს, ახლა გამოიმუშავებენ OsW\*-ხელფასს და იდებენ ECBR- შემოსავალს;
- სამხრეთ რეგიონის დამქირავებლებმა დამატებით თავის მუშა-მოსამსახურებს უნდა გადაუხადონ W\*ERWs-. პროდუქციის გამოშვების შემცირებით ისინი კარგავნ EBR-ის ტოლ მოგებას.
- ჩრდილოეთის რეგიონის დამქირავებლები ხელფასის დონის შემცირებით მიიღებენ W\*CAWN-ის სიდიდის მოგებას. დამატებით ისინი იდებენ ACE მოგებას იმ პროდუქტიდან, რომელსაც ემიგრანტები აწარმოებენ.
- გლობალური კეთილდღეობა იზრდება სამკუთხედი ABR-ს ფართის სიდიდით. მასში CEA კურუნის ჩრდილოეთს, CEB კი – სამხრეთს.

ამ მოდელის შემუშავებლები აღიარებენ, რომ ორივე რეგიონში – სამხრეთშიც და ჩრდილოეთშიც როგორც მოგებული, ისე დაზარალებული, იქნებიან ადამიანები, მაგრამ დაზარალებულების ზარალის გადაფარვა მოხდება შემოსავლების გადანაწილებით. და, ბოლოს, ამ მეთოდის შემუშავებლები აკეთებენ დასკვნას, რომ გლობალური თვალსაზრისით ის უფასტიანია, რადგან იწვევს საერთო კეთილდღეობას [2, გვ 582].

ამ მოსაზრების ავტორებისადმი ჩვენი, როგორც სამხრეთ რეგიონის, ანუ სამუშაო ძალის ექსპორტიორი ქვეყნის, კერძოდ საქართველოს, წარმომადგენლების პასუხი ასეთია:

1. ხელფასი ყველაფერი როდია. არსებობს ხელფაზე მაღალი დირებულებები, კერძოდ, ეროვნული ცნობიერება, ენა, სარწმუნოება, ეროვნული ტრადიციები, ეროვნული თვითმყოფადობა და ა.შ. რომელთათვისაც გლობალიზაცია დიდ საფრთხეს წარმოადგენს;
2. ხშირად მიგრანტები არიან განათლებული, დიპლომიანი პროფესიონალები, რომელთა მომზადებაზე საქართველომ კოლოსალური რესურსი დახარჯა. ასეთი ადამიანების ქვეყნიდან გასვლით საქართველო 10-ჯერ მეტს კარგავს, ვიდრე იგებს. არადა, სწორედ ასეთ ადამიანებზეა დიდი მოთხოვნა მაღალგანვითარებულ ქამენებში. ამან გამოიწვია “ტენინგის გაღინება” სამუშაო ძალის ექსპორტიორი ქვეყნებიდან და მათ შორის საქართველოდანაც. ასეთ ვითარებაში ქვეყანა მსოფლიო ბაზრებზე კარგავს კონკურენტუნარიანობას, რადგან მას აღარც სიახლეების შემქმნელები ჰყავს და აღარც მისი რეალიზაციები. ჩვენ კი ვიციო, რომ თუ ქვეყანაში სიახლეები არ იქმნება და პროგრესი არ არის, იგი საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი ვერ იქნება.
3. სამუშაო ძალის ექსპორტიორ ქვეყანას და, მათ შორის, საქართველოს დასჭირდება იმ მიგრანტების პენსიების დანიშნვა და სოციალური შემწეობის მიცემა, რომლებიც სამშობლოში სიბერის დროს დაბრუნდებიან. ეს კი მნივნელოვანი ხარჯი იქნება ქვეყნისათვის.
4. დასასრულ, გლობალიზაცია გლობალურ კეთილდღეობას ჰქმნის შხოლოდ გრძელვადიან პერიოდში, რომელიც შეიძლება დადგეს 50-100 წლის შემდეგ. თუ საქართველოს მთავრობამ ამ პერიოდში არ შეიმუშავა მიგრაციის სპეციალური მეცნიერი პროგრამა და ქვეყნაში ცხოვრების პირობები არ გაუმჯობესდა, იქამდე საქართველოში ერთი ქართველიც აღარ დარჩება, ასე რომ, აღარც საქართველო გვექნება და აღარც საქართველოს კეთილდღეობა.

ამასთან, უნდა აღნიშნოთ, რომ გლობალიზაციის პროცესიადმი, სამუშაო ძალის მიგრაციისადმი ჩვენი კრიტიკული დამოკიდებულება გამოწვეულია

საქართველოს დღევანდელი მდგომარეობით და მომავალში მოვლენების განვითარების ხედით, რამაც შეიძლება სავალალო როლი შეასრულოს ქართველი ერის ისტორიაში. ამიტომ მიგვაჩნია, რომ საქართველო ფრთხილად უნდა ჩაერთოს ამ პროცესში. მას შემუშავებული უნდა ჰქონდეს გლობალიზაციის პირობებში სამუშაო ძალის გადაადგილების ეროვნული პროგრამა და პრაქტიკულად ახორციელებდეს მას.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ОЕСДБ, Trends in International Migration, Paris, 2002.
2. Д. Макализ. Экономика бизнеса, М., БИНОМ, 2007, с.577. Ерси Л., Росситер Дж.Р. Реклама и продвижение товаров. "Питер", М., 2003
3. J. K. Gabbraith. The Nature of mass poverty (Cambridge, MA: Harvard University press, 1979, p. 200).
4. Сови А. Общая теория населения, пер. С французского, М. Прогресс, 1979, с. 409.
5. საქართველოს სტატისტიკური წლიწადებული, თბ., სტატისტიკის დეპარტამენტი, 2007, გვ. 61.
6. Теория международных отношений, М., 2006 с.213-214.
7. Мунтян М.. Урсул А. Глобализация и устойчивое развитие, Б.. 2003. с.1592003
8. Бхагвати Дж. В защиту глобализации, М.,2005, с.12.

*Zaira Gudushauri*

*Associated Professor,*

*Nana Katsitadze*

*TSU Associated Professor,*

*Elza Baliashvili*

*Associated Professor,*

## LABOR-FORCE MIGRATION UNDER THE CONTEXT OF GLOBALIZATION

### Summary

In the Article – “Labor-force Migration under the context of Globalization”, the labor-force migration process is discussed as a part of the globalization: it also outlines the latest tendencies, emerged in the process of migration.

Here is given the views of several sciences', that the migration is included in all side of this process – it gives the economical benefit to the migrant him/herself, his/her country and to the recipient country; Here is also given the schematic model.

The authors of the article have critical attitude, toward this model of economical benefit and have controversial point of view - economical benefit is not everything, Georgia has other, far more important values, which can be damaged by the globalization process, which causes the flow of highly skilled specialists outside the country and the final, inevitable result is the death of science and of the progress itself. The welfare given by the globalization process will bear yield after 50-100 years and meanwhile, unless the life condition isn't improved and the labor-force movement controlled, Georgia will soon be without Georgians.

## გლობალიზაცია და მრავთველობითი პროგლობი

გლობალიზაცია დღითი დღე უფრო თვალსაჩინო და მასშტაბური ხდება. გლობალიზაციის ჩასახვა, მისი დღის წესრიგში დაყენება და მსოფლიო მნიშვნელობის პრობლემად ქცევა თანამედროვე მსოფლიო წესრიგმა განაპირობა. ეს წესრიგი სწოდება არა მხოლოდ მსოფლიოს პოლიტიკურ სივრცეს, არამედ ეკონომიკურსაც, ამასთან, მაკროეკონომიკურსაც და მიკროეკონომიკურსაც.

როდესაც ლაპარაკია ახალ მსოფლიო წესრიგზე, ეს ძირითადად იმას ნიშავს, რომ იქმნება და ვითარდება ისეთი მიდგომები, ნორმები, ვალდებულებები, პასუხისმგებლობები, სტრატეგია და ურთიერთობათა ეთიკა, რომელიც გლობალურად კრცელდება მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაზე, ამრიგად, მსოფლიოს ახალმა წესრიგმა და მისმა შეუქცევადობამ ინტეგრირების მასშტაბები გლობალიზაციის პროცესად ჩამოაყალიბა და ამჟამად გლობალიზაცია თავად მსოფლიო წესრიგსაც გულისხმობს. ასე რომ, როდესაც ვამბობთ „გლობალიზაციას“, უპვე იგულისხმება, რომ საქმე გავაქს თანამედროვე მსოფლიო წესრიგთან, უფრო ზუსტად მისით განპირობებულ და მის შესაბამის მოვლენებსა და პროცესებთან.

ყველივე ზემონათქვამიდან გამომდინარე, გლობალიზაცია მთელი სიგრძე-სიგანით დგას დღეს მსოფლიოს ყველა ქვეყნის და, მათ შორის, საქართველოს წინაშე. „გლობალიზაცია წარმოადგენს არა მარტო აღნიშნული ქვეყნების, რეგიონების (იგულისხმება დასავლეთ ევროპა და აშშ. – მ.ხ.), არამედ ყველა ქვეყნის და რეგიონის განვითარების იმანგრიურ პროცესს [1, გვ. 45].

საქართველო, ისე, როგორც სხვა ქვეყნები, გლობალიზაციის წრედშია მოქცეული და მან როგორც სახელმწიფოებრივ, ისე ბიზნესსუბიექტების დონეზე ზე, მის მოთხოვნებს უნდა უპასუხოს. გლობალიზაცია არის მსოფლიოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მიმდინარე ობიექტური პროცესი, რომელსაც ვერ აიცდენს ვერც ერთი ქვეყანა, ერთ, სახელმწიფო. აქედან გამომდინარე, თითოეული ქვეყნისათვის, სახელმწიფოსათვის აუცილებელია მსოფლიოში მიმდინარე გლობალური პროცესების ღრმად შესწავლა და მისი გათვალისწინება პოლიტიკასა და ეკონომიკაში.

ამ მხრივ განსაკუთრებული სიფრთხილე მართებთ ისეთ პატარა ქვეყნებს, როგორიც საქართველოა, მსოფლიო გლობალიზაციის მორეგული რომ არ შთაინოქას და მაქსიმალურად გამოიყენოს მისი პოზიტიური ენერგია. მით უფრო სიფრთხილე მართებთ მის სამეურნეო სუბიექტებს, რომ ისინი არ შთანთქან ტრანსაციონალურმა კომპანიებმა, რომელთა სიდიდე და სიმძლავრე რამდენიმე ათეულჯერ მეტია, ვიდრე საქართველოს მსხვილი საწარმოებისა. თანაც საქართველო მდიდარი ბუნებრივი და ეკონომიკური შესაძლებლობების ქვეყანაა, საქმაოდ წონადი გამოგონებებითა და მეცნიერული მიღწევებით, დიდად საინტერესო და ყველასთვის საშური გეოპოლიტიკური სივრცით. ასეთი პირობების ქვეყანა ბევრისთვის დასახარებელ ობიექტს წარმოადგენს და ბევრი არც მოერიდება რამენაირი ხერხით – ზნეობრივით თუ უზნეობით – ჩაიგდოს იგი ხელში. ამიტომ, როგორც სახელმწიფო, ისე ბიზნესსუბიექტების დონეზე, გლობალიზაციის საფრთხეების სწორი განჭვრებაა საჭირო. გლობალიზაციასთან ურთიერთობაში ყველთვის უნდა გვახსოვდეს: ვისთან, სად, როდის, როგორ და რისთვის.

წინამდებარე სტატიაში გლობალიზაციის არსესა და მის ნეგატიურ და პოზიტიურ მხარეებზე იმიტომ გავამახვილეო ყურადღება, რომ ეს ფენომენი ახალია, ნაკლებშესწავლილია, მას აქვს საფრთხეებიც და დიდი პოზიტიური შესაძლებლობებიც. ამიტომ საქართველოს და მისი ბიზნესსუბიექტების ყოველი

ნაბიჯი მასში ჩასართველად, ანდა პირიქით, მისგან განსაცალკევებლად, დრმად უნდა იყოს მოფიქრებული და აწონილ-დაწონილი.

დღეს ადარავის შეუძლია გარე სამყაროდან იზოლირება, მაშინაც კი, თუ ფირმა თითქოს მოწყვეტილია გარე სამყაროს და ჩაქტილია ერთი ქვეყნის, ერთი ქალაქის ფარგლებში. ერთ მშვენიერ დღეს იგი შეიძლება შთანთქას მისთვის სრულიად უცხო ქვეყნის უცხო ფირმამ.

მენეჯმენტის დარგის ცნობილი ამერიკელი მეცნიერი ო. დაფტი წერს, რომ „თუ თქვენ საერთაშორისო მასშტაბით არ აზროვნებთ, ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენ ვერ ერავვით მენეჯმენტში“ [2, გვ. 144].

ტექნოლოგიების და კომუნიკაციის საშუალებათა სწრაფმა განვითარებამ მნიშვნელოვნად აამაღლა გარე გარემოს საერთაშორისო განზომილებების მნიშვნელობა. მაგალითად, კომპანიის შტაბბინა შეიძლება იმყოფებოდეს ერთ ქვეყანაში, ხოლო მისი წარმოება, კვლევითი ცენტრი და დისტრიბუციები სხვა ქვეყნებში. ფირმა „მაკლინალდსის“ დისტრიბუციები და გაყიდვები საქართველოშიცაა და სხვა ქვეყნებშიც, შტაბბინა კი – ამერიკაში. ასევე „კოკა-კოლა“-ც, ამის გარდა, საქართველოში მრავალი ფილიალი აქვთ საფრანგეთის (ბანკი „რესპუბლიკა“), გერმანიის (ბანკი „პროგრედიტ ბანკი“), უკრაინის („ტაოპრივატ ბანკი“) და სხვა ქვეყნების ბანკებს. გერმანიის კომპანია „BMW“ ავტომობილებს აწარმოებს სამსრულ კაროლინაში, იაპონური ფირმა „Toyota“ – კენტუკში, შვეიცარიული ფირმა „ABB“-ს ელექტროსადგურები აქეს ჩინეთში, სამსრულ კორეასა და ინდონეზიაში [3, გვ. 89].

ყოველივე ეს მეტყველებს იმაზე, რომ კომპანიების საქმიანობა ვეღარ ეტევა ერთი ქვეყნის ჩარჩოებში. 90-იან წლებში წარმოშობილმა ორმა ფენომენმა – გლობალიზაციამ და ინტერნეტმა დიდი რევოლუციური ძერები მოახდინა ბიზნესუბიექტების ცხოვრებაში. გლობალიზაციამ რეგიონული (ლოკალური) ფირმები ჩართო საერთაშორისო კონკურენციაში, ხოლო ინტერნეტის მსოფლიო ქსელმა (World Wide Web) საერთაშორისო კომუნიკაციები გახადა მარტივი და ჩქარი [4, გვ. 48].

გლობალიზაციის პროცესში კომპანიის განვითარება გადის ოთხ სტადიას:

1. შიდა; 2. საერთაშორისო; 3. მულტიეროვნული; 4. გლობალური.

შიდა ეტაპზე კომპანიის საბაზრო პოტენციალი ისაზღვრება კომპანიის შიდა ბაზრის ტევადობით.

საერთაშორისო ეტაპზე იზრდება კომპანიის ექსპორტის ხელირითი წილი.

მულტიეროვნულ ეტაპზე კომპანიის მარკეტინგული და საწარმოო სიმბლავრეები სხვადასხვა ქვეყნებშია გაფანტული და პროდუქციის გაყიდვის 30%-იც სხვა ქვეყნებზე მოდის.

გლობალურ ეტაპზე კომპანია არც ერთ ქვეყანაზე (მ.შ. მშობლიურ ქვეყანაზე) არ არის მიბმული. ამ ეტაპზე კომპანიის საკუთრება, კონტროლი და უძალესი სელმძღვანელობა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებშია მიმოფანტული.

კომპანიების განვითარების ამ ეტაპებთან მიმართებაში საქართველოში მოქმედ ფირმებს გავლილი აქვთ (ან იმყოფებიან) პირველი ეტაპი, ზოგიერთი იმყოფება მეორე ეტაპზე (მაგ., ზესტაფონის სს „ფერო“, მაღნებულის კომპინატი სს „საქართველოს მინერალური წყლები“ და სხვა). საქართველოს არც ერთი ფირმა განვითარების მესამე და მეოთხე ეტაპზე, კი. მულტიეროვნულ და გლობალურ ეტაპზე არ არის გადასული.

ამის მიუხედავად, როგორც თვით გლობალიზაცია, ისე კომპანიების სელა განვითარების ამ ეტაპებისკენ შეუქცევადი პროცესია და ადრე თუ გვიან ეს ეტაპები მათ დაუდგებათ. ამიტომ საქართველოს ფირმებმა და მათ მენეჯერებმა გლობალური ჩვევების და კავშირების შეძენა და შექმნა ახლავე უნდა დაიწყონ. ამასთან, მათ უნდა იცოდნენ, რომ გლობალური მენეჯერი უნდა იყოს ახალგაზრდა, ნიჭიერი ადამიანი, კომუნიკაბელური, გულისხმიერი, აზროვნებდეს მასშტაბურად, იცოდეს სულ მცირე თრი ენა ა. შ. უნდა აღვნიშნოთ, რომ, როცა

საქართველოს ფირმებს გლობალური მენეჯერების საჭიროება დაუდგებათ, მაშინ მათი მოძებნა ადვილი არ იქნება (მათზე დიდი დეფიციტია მთელ მსოფლიოში), ამიტომ მათ თადარიგი ახლავე უნდა დაიჭირონ (ეს განსაკუთრებით ეხება საგარეო ბაზრებზე ორიენტირებულ ფირმებს).

გლობალიზაციას ახასიათებს ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ტენდენცია, რომელიც პრობლემებს უქმნის მენეჯერებს [4, გვ. 482-483]:

1. ზრდის ბიზნესის სხვადასხვა სახეებსა და სხვადასხვა ქვეყნებს შორის კოორპერაციის და კორდინაციის საჭროებას;
2. რადგან შლის ქვეყნებს შორის საზღვრებს და აძლიერებს ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულებას, ამით ხახს უსფამს ხალხებს შორის არსებულ განსხვავებებს.

ასე რომ, ერთი მხრივ, ეროვნული ეკონომიკის განვითარება წარმოუდგენელია გლობალურ-ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრაციის გარეშე და, მეორე მხრივ, ამ სივრცეში ინტეგრირებული ქვეყნები, სამეურნეო სუბიექტები და იქ დასაქმებული ადამიანები სხვადასხვა კულტურის არიან და, აქედან გამომდინარე, მენეჯერებისგან მათ სხვადასხვანაირი მიღგომა სჭირდებათ.

როგორც აღნიშნეთ, საქართველოში ჯერჯერობით არ არსებობს განვითარების მულტიეროვნულ ან გლობალურ ეტაზზე მყოფი კომპანიები, მაგრამ მათ უმრავლესობას სხვა ქვეყნებში ჰყავთ პარტნიორები, რომლებთანაც აქვთ კონტაქტები. ეს კონტაქტები ქართველი მენეჯერებისგან მოითხოვს, იცოდნენ პარტნიორი ქვეყნების კულტურული თავისებურებები, მათთან ურთიერთობა რომ არ გაუჭირდეთ, ამასთან, ისწავლონ მათგან და მათაც ასწავლონ.

ცხადია, ქართული კომპანიების მენეჯერებს არ დასჭირდებათ პარტნიორი ქვეყნების კველა კულტურული თავისებურების ცოდნა. მათ, ძირითადად, ბიზნესზე ზემოქმედ ტრადიციებსა და ჩვენებზე დაკირვება და მუშაობაში გათვალისწინება მოუხდებათ. მათ შორის კველაზე მნიშვნელოვანია ავტორიტეტისადმი დამოკიდებულება, სტიმულები, ჯილდოები, რიტუალები და ტაბუ [4, გვ. 498].

**ავტორიტეტისადმი დამოკიდებულება.** ადამიანები სხვადასხვანაირად აღიქვამენ იერარქიას. მაგალითად, ჩინელი სახალხოდ არ აკრიტიკებს თავის მენეჯერს, თუ იგი მასზე ასაკით უფროსია, ტაილანდი უცხო ქვეხო ქვეყნის წარმომადგენელს თავის „ბოსზე“ რეალურ ნეგატიურ ინფორმაციას არ მიაწვდის და ა.შ.

სტიმულები და ჯილდოები. ზოგ ხალხში მეტად ფასობს შრომის ფულადი ანაზღაურება, ზოგში კი – კარიერული წინსვლა.

**რიტუალები და ტაბუ.** სხვადასხვა ხალხებს სხვადასხვა ცერემონიალური რიტუალები აქვთ, ზოგიერთ საკითხზე (ქცევაზე) კი ტაბუა დადგებული. მაგალითად, დიდ ბრიტანეთში არ არის მიღებული საზოგადოებრივ ადგილებში მოღუშელი ყოფნა, პარტნიორისთვის ძირიადლირებული საჩქრის მირთმევა, მისაღმების დროს ქალის ხელზე კოცნა და სხვა, გერმანიაში – პარტნიორებისადმი სახლით მიმართვა, ომის თემაზე საუბარი და ა.შ. ჩინეთში – ეგზოტიკურ კერძებზე უარის თქმა და ა.შ.

ყოველივე ამის ცოდნა მენეჯერებს უადვილებს საერთაშორისო კავშირების წარმატებით განხორციელებას და თუ ამ ქვეყნებში ფილიალებიც აქვს – მათ ეფექტურ მართვას.

ამ თავისებურებათა შესასწავლად მრავალი ლიტერატურა არსებობს კვალა ქნაზე.

ქართველ მენეჯერებს ამ საკითხში განსაკუთრებით დაეხმარებათ პროფესორ გ. ჯოლიას ნაშრომი „ბიზნეს ეტიკეტი და მოლაპარაკების ხელოვნება“ (თბ., ინოვაცია, 2006).

დასასრულ, თავს უფლებას მივცემთ, პრაქტიკოს მენეჯერებს შემოგთავაზოთ ტესტი, რომელიც თქვენ დაგეხმარებათ იმის გარკვევაში, რამდენად მზად ხართ გლობალური მენეჯერის კარიერისთვის:

კითხვები	კითხვების პასუხების შეფასება ქულებით									
	უმაღლესი 10 ქულა	9 ქულა	8 ქულა	7 ქულა	6 ქულა	5 ქულა	4 ქულა	3 ქულა	2 ქულა	უძლისადან 1 ქულა
1. გაქვთ თუ არა ქაფშირი სხვადასხები ქვეყნების წარმომადგენლებითან										
2. ხშირად ესწოებით საერთაშორისო ოქმებზე გამართულ ლექციებსა და სემინარებს										
3. მიგანიათ, რომ საზღვარგარეთ ქალები არინაკლებ კარგად იმუშავებინ ვიდრე მამაკაცები										
4. თქვენ იცნობთ არა მხოლოდ ოქმენი ქვეყნის, არამედ სხვა ქვეყნების ცხოვრებასაც										
5. თქვენ შეგიძლიათ მოუსმინოთ სხვა ხალხთა წარმომადგენლებს და იყოთ გულისხმიერი მათ მიმართ										
6. თქვენ თუ კვირაზე მეტი გაატარეთ უცხო ქვეყანაში (მივლინებით ან ტურისტული საგურით)										
7. თქვენ უცხო ქვეყნის წარმომადგენლებან მუშაობდით (სწავლობდით, ისკვნებდით ერთ გუნდში და არ გაგიჭირდათ მათთან შეგუება)										
8. იცით უცხო ენა (ენები)										
9. იცით რომელ ქვეყნებს აქვთ მსგავსი ეკონომიკა და სოციალურული ფასეულობები										
10. თქვენ იცით სხვადასხვა კულტურებში ძალაუფლების, გაურკვევლობის არ მიღების, ინდივიდუალიზმის და კოლექტიულობის შეფასება										
ქველების ჯამი										
საბოლოო ქულა										

საბოლოო ქულის შეფასება ასეთია:

- თუ მოაგროვეთ 81-დან 100 ქულამდე, თქვენ ფლობთ გლობალური მენეჯერის ყველა თვისებას;
- თუ მოაგროვეთ 61-დან 81 ქულამდე, თქვენ ზოგიერთ სფეროში ჩვევების ნაკლებობა გაქვთ (მთავარია, ეს არ იყოს უცხო ენის უცოდინრობა და ქვეყნის წარმომადგენლებისადმი არაგულისხმიერი დამოკიდებულება);
- თუ მოაგროვეთ 61 ქულაზე ნაკლები, ეს ნიშნავს, რომ თქვენ დღეს არ ხართ მზად ამ კარიერისთვის და სერიოზული ძალისხმევა გჭირდებათ გლობალური მართვისთვის თქვენი პოტენციალის ასამაღლებლად.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. გ. კოერია, გლობალიზაცია და ანტიგლობალისტური მოძრაობა, შრომების კრებული, გლობალიზაცია და საქართველოს ეკონომიკური განვითარება: გამოწვევები და შესაძლებლობები, საქართველოს გლობალიზაციისა და რეგიონული ინტეგრაციის კვლევის ცენტრი, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2008, გვ. 45.
2. Римард Л. Дафт, Менеджмент, Москва, Питер, 2008, с.144.
3. Стивен П. Роббинз, Мери Коултер. Менеджмент, Москва – Санкт-Петербург, Киев, Вильямс, 2007, с.89.
4. Курс MBA по Менеджменту, под ред. Аллена Р.Коэна, М., „Алпина бизнес букс”, 2007, с. 481.

**Manana Kharkheli**  
TSU Assistant Professor

## GLOBALIZATION AND MANAGEMENT PROBLEMS

### Summary

The article “Globalization and managerial problems” deals with the problem of global manager training. Since globalization is irreversible process, it means that some time or other all countries including Georgia will live according to this new world order.

Georgia is already involved in globalization circuit. the country has an open economy and its business-subjects are open as well. Though Georgian companies are still at initial stage of globalization (first or second at most) their marching towards the third and fourth stages is irreversible, so they have to start at once the training of global managers.

The article analyses the qualities characterising global managers, where and how to raise their skills, how and why to study the culture of other countries etc.

The article shows the test of self appraisal for global management.

**ნინო მიქაელიძე**  
გეონომიკის აკადემიური დოქტორი, თხუ ასოცირებული პროფესიონალი

**გლობალიზაციის პროცესი, გლობალიზაციის ინდექსი და საქართველო**

თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი თავისებურება ერთიანი ეკონომიკური, საინფორმაციო და კულტურული სივრცის თანაბრძობით გაფართოებაა. უფრო მეტიც, თუ სიტუაცია მომწიფებულია, საერთო პოლიტიკური სივრცეც კი იქმნება. ამ პროცესის სეღვებით განვითარება, რაც გლობალიზაციის საფუძველი ხდება. შესაბამისად, აქტუალურია როგორც ქვეყნის, ასევე რეგიონისა და მსოფლიო მასშტაბით, აქტუალურია გლობალიზაციის კვლევის საკითხები. გლობალიზაცია განსაკუთრებით ყურადსაღებია საქართველოსთვის, რომელსაც ეკონომიკური და კულტურული განვითარების მრავალსაუკუნოვანი ისტორია გააჩნია.

გლობალიზაციის პროცესს აჩქარებს: ერთიანი საინფორმაციო და საკომუნიკაციო სისტემის განვითარება, გლობალური საინფორმაციო ცენტრის ჩამოყალიბება, ტრანსნაციონალური კორპორაციების ფუნქციების ზრდა და სხვ.

ტრანსნაციონალური კორპორაციები, არცოუ იშვიათად, სახელმწიფოს ძირითად ფუნქციებსაც ითავსებენ. ქვეყნებს, უპირატესად, მოქალაქეთა დაცვისა და ეროვნული ვალუტის მომსახურების ფუნქციებსდა უტოვებენ. გლობალიზაცია, რომელიც ეროვნულ საზღვრებს „ჭამს“, შიდა ეკონომიკას, კულტურას, ტექნოლოგიას, მმართველობასაც კი ახალ წარმონაქმნად აქცევს, სადაც კვლა ერთმანეთზეა დამოკიდებული, შესაბამისად, თვითმყოფადობის შენარჩუნება სულ უფრო რთულდება.

გლობალიზაციის კვლევა ბოლო ათწლეულებში ინტენსიურად მიმდინარეობს. რაც შექება გლობალიზაციის ხარისხს, მისი დახასიათება ინდექსის საშუალებით შევიცარის ეკონომიკის ინსტიტუტი (Institute Konjunktur fors chungs stelle-KOF) განახორციელა. ბოლო სარეიტინგო სია 1970-2006 წლების პერიოდისთვის 158 ქვეყანას მოიცავს, მათ შორისაა საქართველოც. კვლევის პროცესში 2006 წლის მონაცემებია ადგებული, რადგან დეტალურ გაანგარიშებებს ორწლიანი მუშაობა მაინც სჭირდება. თავად ინდექსი 2002 წლიდან ანგარიშდება. 2009 წლისთვის განახლებული ვერსია შემუშავდა.

KOF ინდექსის (KOF Index of Globalization) საშუალებით ქვეყნები გლობალიზაციის მიხედვით ჯგუფდება. მისი საშუალებით დგინდება ქვეყანა გლობალური არხებით რამდენადად დაკავშირებული გარე სამყაროსთან, როგორაა ინტერაციულ პროცესებში ჩაბმული და რა კავშირები აქვს ეკონომიკურ, სოციალურ, ტექნოლოგიურ და კულტურულ სფეროებში.

გლობალიზაცია მუშაბად შეიძლება მივიჩნიოთ: მოსახლეობა, ინფორმაცია, კაპიტალი, საქონელი, იდეები და ა.შ. ინდექსის გაანგარიშების დროს აღნიშნული გარემოება მეტნაკლებად გათვალისწინებულია, საერთო ინდექსთან ერთად, ცალ-ცალქეა მოცემული ეკონომიკური და პოლიტიკური გლობალიზაციის ხარისხი.

თითოეული ქვეყანა სარეიტინგო სიაში ინდექსის შესაბამის აღგილს იკავებს. ინდექსი 0-დან 100-მდე მერყეობს. რაც მეტია ის, მით მაღალია ამ ინდექსის მქონე ქვეყნის გლობალიზაციის ხარისხი. 2009 წლის მონაცემების მიხედვით [4], ზოგადად გლობალიზაციის მხრივ, საქართველო 90-ე ადგილზეა 60,01 ინდექსით, ეკონომიკური გლობალიზაციით – 51-ე ადგილზე **69,43** ინდექსით, სოციალური გლობალიზაციით 83-ე ადგილზე 58,94 ინდექსით, პოლიტიკურით კი – 138-ე ადგილზე 46,08 ინდექსით.

გლობალიზაციას აქვს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები, რომელებიც სახელმწიფოს ეროვნული ინტერესებისთვის საფრთხის შემცველია. იგი რთული და წინააღმდეგობრივი პროცესია. ერთი მხრივ, გლობალიზაცია ამარტივებს სახელმწიფოებს შორის სამყურნეო კავშირურთიერთობებს, ქმნის

პირობებს კაცობრიობის უახლესი მიღწევების დასანერგად, უზრუნველყოფს რესურსების ეკონომიას, სტიმულს აძლევს მსოფლიო პროგრესს. მეორე მხრივ, შეიძლება მნიშვნელოვანი დანაკარგი პქონდეთ იმ ქვეყნებს, რომლებიც ეწ. „ოქროს მილიარდში“ (ანუ განვითარებული ეკონომიკის მქონე მოსახლეობაში, რომელთა რაოდენობა დაახლოებით 1 მილიარდია) არ შედიან, ასევე მოხდეს მცირე ბიზნესის განვითარების შეფერხება ან გაპოტრება, შიდა რესურსების განკარგვაზე უფლების დაკარგვა, ცხოვრების დონის შემცირება და ა.შ.

სასურველია, მსოფლიო საზოგადოებამ ამოცანად დაისახოს გლობალიზაციის დადებითი მხარეების რაც შეიძლება მეტი ქვეყნისთვის ხელმისაწვდომობა, რათა განვითარების დონეებს შორის არსებული დისტანციის უფრო არ გაღრმავდეს.

საქართველოსთან მიმართებაში ინდექსი რეალურად შეიძლება მივიჩნიოთ. ნათლად ჩანს, რომ გლობალიზაციის დადებით მიმართულებებში ქვეყანას, სამწუხაროდ, დაბალი მაჩვენებლები აქვს. გლობალიზაციის პროცესებში მაღალი ხარისხით ჩართულ ქვეყნებს პოლიტიკური თავისუფლებისა და ეკონომიკური კეთილდღეობის შედარებით მაღალი ღონე აქვთ. შესაბამისად, იზრდება ქვეყნის შიგნით ეკონომიკური აქტივობა, რაც ეკონომიკურ ზრდასა და ცხოვრების ხარისხის ამაღლებაში აისახება. გლობალიზაციის დადებითი მხარეების ეროვნული ინტერესების შესაბამისად მომართვას სახელმწიფო დონეზე საქმაო ძალისხმევა და მიზანმიმართული საქმიანობა სჭირდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათი მიღება და, მთი უმტტეს, გათავისება ნაკლებად მოხდება.

გლობალიზაციის უარყოფითი მომენტების შეთვისება, სამწუხაროდ, ითლად ხდება. იგი განსაკუთრებით კულტურულ, ისტორიულ, სამეურნეო, რელიგიურ თვითმყოფადობას ეხება. გლობალიზაცია ამ თვალსაზრისით საფრთხის შემცველია. კულტურულ-მასობრივი ცნობიერების პიარ-ტექნოლოგიის გლობალიზაციაში საქართველოს საქმაო წინსვლა აქვს. ფაქტობრივად გამოდის, რომ გლობალიზაციაში ჩართვა პირუტკუ მოხდა.

გლობალიზაციის საერთო თუ სუბინდექსის მიხედვით, ქვეყნების პირველი სამეცნი ასე გამოიყურება (ცხრილი 1):

### ცხრილი 1 გლობალიზაციის ინდექსის ლიდერები

	ქვეყანა-	ქვეყანა-	ქვეყანა-	ქვეყანა-
ადგილი	საერთო	ეკონომიკური	სოციალური	პოლიტიკური
I	ინდექსი	ინდექსი	ინდექსი	ინდექსი
	ბელგია	-	სინგაპური	ლუქსემბურგი
	91,51	96,67	93,87	98,03
II	ირლანდია	-	ლუქსემბურგი	შვეიცარია
	91,02	-	93,43	93,85
III	პოლანდია	-	ირლანდია	ირლანდია
	89,92	92,63	-	91,96 ბელგია - 97,01

საქართველოსა და მისი მეზობლებისთვის გლობალიზაციის ინდექსი ასე ჩამოყალიბდა (ცხრილი 2):

## გლობალიზაციის ინდექსი საქართველოსა და მისი მეზობლებისთვის

ქვეყანა	ადგილი – საქართველო	ადგილი – ეკონომიკური ინდექსი	ადგილი – სოციალური ინდექსი	ადგილი – პოლიტიკური ინდექსი
საქართველო	90 – 60,01	51 – 69,43	83 – 58,94	138 – 46,08
თურქეთი	57 – 66,42	60 – 67,15	105 – 50,70	19 – 91,72
რუსეთი	61 – 65,24	91 – 57,04	70 – 61,89	43 – 84,60
სომხეთი	81 – 61,19	52 – 69,11	72 – 61,56	136 – 47,36
აზერბაიჯანი	102 – 57,37	76 – 62,16	94 – 55,31	124 – 52,82

საერთო თუ სუბინდექსის მიხედვით, ვერც საქართველო და ვერც მისი მეზობლები თცემულში ვერ მოხვდნენ, გამონაკლისია თურქეთი, რომელმაც პოლიტიკური ინდექსის მიხედვით მე-19 პოზიცია დაიკავა. შესაბამისად, საქმაო ძალისხმევა სჭირდება ხუთივე ქვეყნის მთავრობებებს, რათა გლობალიზაციის პროცესი ისე განავითარონ, რომ დადგებითი მხარეების მნიშვნელოვან უპირატესობას მიაღწიონ.

აღნიშნული ინდექსის გაანგარიშებისას, როცა 2008 და 2009 წლების მონაცემები მოხვდება, შეიძლება ნაკლებსახარბიელო რეალობა ჩამოყალიბდეს, ყოველ შემთხვევაში საქართველოსთვის მაინც.

შევიცარიის ეკონომიკის ინსტიტუტის კვლევის შესავალში აღნიშნულია, რომ ამა თუ იმ კონკრეტული ქვეყნისა და ზოგადად მსოფლიოს გლობალიზაციის ხარისხი ადნიშნული სამი კრიტიკული ხასიათდება. თუმცა საერთო ინდექსის გამოთვლისას სხვა კრიტიკულმანის გათვალისწინებაც ხდება.

კონკრეტული გლობალიზაციის ინდექსი მოიცავს საქონლის, კაპიტალის, სამომხმარებლო სფეროს პროდუქციისა და ინფორმაციის მოძრაობის ნაკადებს. იგი ორი სიდიდით განისაზღვრება. ესენია: მიმდინარე ნაკადები და ვაჭრობასა და კაპიტალზე დაწესებული შეზღუდვები. პროცესი მათგანი მოიცავს მონაცემებს: ვაჭრობის, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (FDI), პორტფელური ინვესტიციების შესახებ, მეორე კი – დაფარულ საიმპორტო ბარიერებს, სატარიფო განაკვეთებს, საერთაშორისო ვაჭრობაზე გადასახადს, როგორც მიმდინარე საბიუჯეტო შემოსავლის ნაწილს და კაპიტალის კონტროლის ინდექსს. მონაცემები აკუმულირებულია მსოფლიო ბანკის, ვაჭრობისა და განვითარების შესახებ გაეროს კონფერენციის (UNCTAD), მსოფლიო სავალუტო ფონდის (FDI), მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის (WEF) მიერ.

თავად ეკონომიკური გლობალიზაცია გამოიხატება: კაპიტალის გადაადგილების ტემპისა და მასშტაბის მკვეთრ ამაღლებაში, საერთაშორისო ვაჭრობის წინმეტრებ ზრდაში მეტის ზრდასთან შედარებით, დროის რეალურ მასშტაბში მსოფლიო სადაცდამისო საფინანსო ბაზრის ჩამოყალიბებაში. გლობალურმა საინფორმაციო სისტემებმა ფინანსური კაპიტალის სწრაფი გადაადგილების უნარი გააძლიერა, რაც არსებული ეკონომიკური სისტემის შეცვლის საწინდარი შეიძლება გახდეს.

ეკონომიკის გლობალიზაცია მსოფლიო განვითარების ერთ-ერთი კანონზომიერებაა. ქვეყნებს შორის ეკონომიკურ ინტეგრაციასთან შედარებით იგი გაცილებით დრო და ყოვლისმომცველია. ფაქტობრივად ახალი ეკონომიკური სივრცე იქმნება, სადაც დარგობრივი სტრუქტურა, ინფორმაციისა და ტექნოლოგიის გაცვლა, წარმოების ფაქტორების განლაგების გეოგრაფია და სხვ. მსოფლიო კონიუნქტურის გათვალისწინებით ხდება, ხოლო ეკონომიკური აღმავლობა და დაცემა მსოფლიო მასშტაბის სახეს იღებს.

პოლიტიკური გლობალიზაციის ინდექსი საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანებით, მართვის ორგანოების შტოთა სიმრავლითა და მათი გავრცელის ხარისხით განისაზღვრება. იგი მოიცავს: საელჩოების რაოდენობას ქვეყანაში, საერთაშორისო ორგანიზაციების წევრობას, საერთაშორისო ხელშექრულებებს, გაეროს უშიშროების საბჭოში მონაწილეობას.

სოციალური გლობალიზაციის ინდექსი სამ კატეგორიას მოიცავს. პირველი მათგანი აშექებს პერსონალურ კონტაქტებს (სატელეფონო კავშირების, ტრანსფერების, საერთაშორისო ტურიზმის, უცხოელი მოსახლეობის, საერთაშორისო მიმოწერის მიხედვით), მეორე – ინფორმაციულ ნაკადებს (ინტერნეტის, ტელევიზორის, გაზეთის მომხმარებლების მიხედვით), ხოლო მესამე ზომავს კულტურულ სიახლოებს (მაკლონალდის რესტორნების, Ikea-ს (ავეჯის მწარმოებელი) მაღაზიათა ქსელისა და გაყიდული წიგნების მიხედვით). ვაქტობრივად, მისი საშუალებით დგინდება იდეებისა და შეხედულებების გავრცელის ხარისხი.

თანამედროვე მსოფლიოში გლობალიზებულია ფინანსები, საფინანსო სისტემა, ინფორმაცია, ამ პროცესით ხასიათდება პოლიტიკური სისტემაც, გარკვეული სტანდარტია ჩამოყალიბებული დემოკრატიაზე, ანუ მოცემულია პირობები, რომლისკენაც სამყარო ისტრაფის და რომელთა სრულყოფაც მუდმივად მიმდინარეობს.

საქართველოში გლობალიზაციის საკითხის გააქტიურებას ათწლიანი ისტორიაც კი არ აქვს. ამა თუ იმ სახელმწიფოს ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ გლობალიზაციაში ჩართვა თავისთავად გულისხმობს ქვეყანაში ამ სფეროების წარმატებულ ფუნქციონირებას. გლობალიზაციის პრინციპებში ჩართვა ქვეყნის განვითარების ერთ-ერთ განმსაზღვრელ ფაქტორად მიიჩნევა.

გლობალიზაცია ძირითადად ნიშანებს ძალზე მჭიდრო ეკონომიკურ კავშირებს, ურთიერთზემოქმედების სფეროებს. ჩაპეტილი ეკონომიკა დიდი ხანია წარსულს ჩაბარდა, ამიტომ, შეუძლებელია, ქვეყანა გარე სამყაროსგან დამოუკიდებლად განვითარდეს. საქართველოში კი თითქმის არ არის კონკურენტული გარემო. ეკონომიკა მძიმე მდგომარეობაშია. სტრატეგიულ ობექტებსა და ნედლეულზე სახელმწიფო კონტროლი ეფექტური არაა ან საერთოდ არ ხდება. პრინციპში, ჯერჯერობით გლობალიზაციაში ჩართვა მხოლოდ ინგესტიციების ჭრილშიდაა შესაძლებელი. რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ ინგესტიციების მოცელობაც მნიშვნელოვნად შემცირდა. ამდენად, შედეგის სასიკეთო მიმართულებით შეცვლისთვის დიდი და გონივრული ძალისხმევაა საჭირო.

პოლიტიკური გლობალიზაციის მხრივაც რთულადაა საქმე. იგი ძნელად წარმოსადგენია მაშინ, როცა ბოლო წლებში ქვეყანაში პერმანენტულად დგას რიგგარეშე არჩევნების საკითხი.

სოციალურ სფეროს რაც შეეხება, გაეროს მონაცემებით, უმუშევრობის მხრივ საქართველო პოსტსაბჭოურ ქვეყნებში პირველ ადგილზეა და პრაქტიკულად ძალიან დაბალ ღონებზეა ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების სფეროები, ველური კაპიტალიზმის პრინციპები იგრძნობა ფარმაცევტულ ქსელში და ა.შ. მდგომარეობას ისიც ართულებს, რომ სახელმწიფო სტრუქტურებში ეკონომიკური სტრატეგიის განმსაზღვრელი სპეციალისტების დაუცილებია, მკვლევარ-ეკონომისტთა უმრავლესობა ხელისუფლების ოპოზიციაა.

გლობალიზაცია გულისხმობს იმპორტსა და ექსპორტს იმ სფეროებში, რომლებიც უახლოეს ტექნილოგიებს განსაზღვრავს. საქართველოს იმპორტი ხელოვნურად მოყვანილი ბოსტნეული და „მეორადი“ ავტომობილებია... ესაა გლობალიზაცია, რომელიც საქართველოში შემოდის, რაც ცხადია, არ უნდა აქმაყოფილებდეს ქართულ სახელმწიფოსა და მის მოსახლეობას. სწორედ ამიტომ, როგორც სამთავრობო, ასევე საზოგადოებრივ დონეზე, შესამუშავებელია ის პრინციპები და წინადაღებები, რომელთა გათვალისწინებითაც ქვეყანა ინტეგრაციულ პროცესებშიც ჩაერთვება და ეროვნულ თვითმყოფადობასაც არ დაკარგავს.

განსაკუთრებული ყურადღება განათლების სფეროს უნდა მიექცეს. ამ მომართულებით ყურადსალებია ევროპის მაგალითი, რომელმაც წარმოება თითქმის მთლიანად აზიაში გადაიტანა და ახლა ცოდნას ჰყიდის. განათლება ნივთი არაა, რომ გაცვდეს. იგი მუდმივი ფასეულობაა, თუ სიახლისა და სრულყოფის მიმართულებით განვითარდება. ცოდნა არის და მომავალში უფრო მეტად იქნება მკლავები და ეფექტური ინვესტიცია.

გლობალიზაცია, რომელიც ერთიანი ეკონომიკური სისტემის, კულტურისა და სხვა კომპონენტების ერთიანობას გულისხმობს, განსხვავებულობას გამორიცხავს, მთლიანობა კი თავის თავში გულისხმობს როგორც ერთიანს, ისე განსხვავებულსაც. თანაც მთლიანობის პრიციპიდან გამომდინარე, ყოველი ერთული მთლიანობით უნდა განისაზღვრებოდეს. განსხვავებულობის ანულირებით მთლიანობა დაირღვევა. მათებატიკა ყველაზე კარგად ასახავს, თუ რა არის მთლი. საქართველომ ქვეყნის მთლიანობის უზრუნველყოფა უნდა მოახერხოს, რომელიც ერთიანობისა და განსხვავებულობის სინთეზის შედეგი იქნება.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. Jagdish B.. In Defense of Globalization. Oxford, New York: Oxford University Press. 2004
2. Holton R.J. Globalization and the Nation-State. New York, Macmillan press. 1998.
3. Waters M. Globalization. New York, Routledge. 1995.
4. <http://globalizacion.kof.ethn.ch/static>
5. <http://www1.worldbank.org/economicpolicy/globalization>
6. Долгов С.И. Глобализация Экономики: новое слово или новое явление. Москва, «Экономика». 1998.
7. Урсул А.Д., Романович А.Л. Глобализация, Устойчивое Развитие и Безопасность: Системно-Синергетический Подход.  
<http://spkurdyumov.narod.ru/D11UrsulRomanovich.htm>

*Nino Mikashvili  
Academic Doctor of Economics, TSU Associated Professor*

## GLOBALIZATION PROCESS, GLOBALIZATION INDEX AND GEORGIA

### Summary

The KOF Index of Globalization measures the three main dimensions of globalization: economic, social and political. Globalization is conceptualized as a process that erodes national boundaries, integrates national economies, cultures, technologies and governance and produces complex relations of mutual interdependence. The 2009 index introduces an updated version of the original index, employing more recent data than has been available previously.

According to Globalization Index, Georgia is on the 90-th position (51<sup>st</sup>-Economic Globalization, 83<sup>rd</sup>-Social Globalization, 138<sup>th</sup>-political Globalization). These data show real situation in the country. Georgian government must provide special measures for: strengthening economic and democracy, increasing social activity and simultaneously, preservation national originality.

**ლალი ჩაგელიშვილი  
თუმცირებული პროფესორი  
ლამარა ბერიძე  
ემდ, თუმცირ სრული პროფესორი**

**მანტალური ინტებრაციის შესაძლებლობები ცხონტრალურ პაპკასიაში<sup>1</sup>**

მენტალობას მოიაზრებენ, როგორც ეთნოსის, სოციუმის, კულტურის თავისებურ სოციოფსიქოლოგიურ მდგომარეობას. ესაა კულტურის მრავალდღინიანი მატრიცა, რომელიც მოიცავს სხვადასხვა მასშტაბებსა და მახასიათებლებს კულტურული არქეტიპებიდან სტერეოტიპებამდე. როგორც წესი, თვლიან, რომ იგი ქმის იმ სოციოკულტურულ აზრობრივ სივრცეს, სადაც წარმოიქმნება ადამიანის, როგორც პიროვნების მენტალური სფერო.

ამ საკითხთან დაკავშირებით არსებობს მრავალი თეორია და კონცეფცია. მათ შორის მნიშვნელოვანია ლ. ს. ვიგორდსკის ინტერიორიზაციის და დ. გ. მიდის ინტერნალიზაციის კონცეფციები. კ. გ. იუნგის მიდგომაში კი თეორიულად, პრაქტიკულად და ფსიქოთერაპულად გამოვლენილია კულტურული სიმბოლოებისა და მითების ტრანსფორმაცია ფანტაზიაში.

სხვა სიტყვებით რომ ვთქათ, ამ შემთხვევაში ურთიერთდამოკიდებულებაში არიან ეთნოსის მენტალური კულტურა და ადამიანის ეიდეთიკა. ეიდეთიკური შესაძლებლობებისა და მენტალურ გამოცდილებათა გადაკვეთაზე წარმოიშობა წარმოდგენათა, შეხედულებათა, დადგმების, მითების, სცენარების, ფასეულობათა თრიენტაციის, პიროვნების მენტალური ცხოვრების მრვალფენიანი, დინამიური პარტიტურების მრავალფეროვნება სოციოკულტურულ მასშტაბში.

პიროვნულობათა შეხვედრების პარტიტურები წარმოიქმნებიან მენტალურ ჰიპერსივრცეში, რომელიც ადვილი გასახებია პირადი განცდების სემანტიკურ და დინამიურ სივრცეთა კოორდინაცია გაერთიანებისას. სემანტიკური სივრცის კლასიფიკაციის მახასიათებელია „თვითწვა“, რომელიც ძალზე ბევრ ფაქტორზე, სიტუაციებსა და მდგომარეობაზე დამოკიდებული.

მენტალობა ადამიანის კულტურის განვითარების მახასიათებელია და მისი პიროვნული ზრდის შედეგს წარმოადგენს. პიროვნულობის ზრდა და განვითარება კი – საზოგადოების განვითარების ისტორიულ და ფსიქოლოგიურ სივრცესთან მნიშვნელოვნადაა დაკავშირებული.

ცივილიზაციის სხვადასხვა პერიოდში მენტალობასა და ადამიანის კულტურულ მახასიათებლებზე ზეგავლენის ფაქტორები მრავალფეროვნებით არ გამოიჩეოდა, განსხვავებით დღევანდელობისაგან, როცა გლობალიზაციის თანამედროვე ტექნებმა საზოგადოების მენტალობაში მრავალფეროვანი ელემენტები შემოიტანა. ისინი როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი შედეგებით ხასიათდებიან და მათი აღწერისათვის მიზანშეწონილ მიგვაჩნია მენტალობის განვითარებისა და ჩამოყალიბების თანმიმდევრულ ისტორიულ ჭრილში განხილვა.

კულტურის ფენომენზე საუბრისას ყურადღება უნდა გამახვილდეს მის ორასეკტზე:

1. კულტურა, როგორც კაცობრიობის უნივერსალური მახასიათებელი;
2. კულტურა, როგორც ცალკეულ საზოგადოებათა შორის არსებული განსხვავებებისა და მიჯნების ძირითადი საფუძველი.

პირველი გულისხმობს, რომ კულტურა არის *Homo sapiens*-ის, როგორც ბიოლოგიური სახეობისა და სოციალური არსების უნიკალური უნარის შედეგი. სწორედ ამ ნიშნით განსხვავდება ეს სახეობა ყველა სხვა ბიოლოგიური არსებისაგან. ადამიანში გენეტიკურადაა (ბიოლოგიურადა) დეტერმინირებული პოტენცია – იყოს კულტურის შემოქმედი, კვლავმწარმოებელი და გადამცემი. მაგ-

<sup>1</sup> სტატია შეხრულებულია ქართველობით, პუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფონდის GNSF/ST № 027 ფარგლებში.

რამ, ამ პოტენციის რეალიზება მხოლოდ სოციალურ გარემოშია შესაძლებელი, რაც აუცილებელ პირობად ითხოვს კავშირს წინა თაობებიდან გადმოცემული სოციალური ცხოვრების გამოცდილებასთან და მთლიანად დამოკიდებულია სოციალიზაციის პროცესზე.

როგორც რ. ბერედიქტი აღნიშნავდა: „კულტურა არ ეძლევა ადამიანს დაბა-დებიდან, არ არის ჩადებული ჩანასახოვან უჯრედებში როგორც კრაზანებთან ან ჭიათურებთან, არამედ ათვისებული უნდა იქნეს ყოველი ახალი თაობის მიერ უფროსთაგან შესწავლის გზით“ [1, გვ.24].

ანთროპოლოგ ე. ჰიობელის განსაზღვრებით, კულტურა არის „ინტეგრირუ-ბული სისტემა ქცევის შესწავლითი მოღელებისა, რომლებიც დამასასიათებე-ლია საზოგადოების წევრთაოვის და რომლებიც არ წარმოადგენენ ბიოლოგი-ური მქანიზმების შედეგას“ [1, გვ.22].

ე. ტაილორი, რომელიც კულტურის ცნების პირველი მეცნიერული გან-საზღვრების ავტორადაა მიჩნეული, ხახს უსვამს კულტურის სოციალურ ბუნე-ბას. მისი სიტყვებით: „კულტურა შედგება ცოდნის, რწმენა-წარმოდგენების, ხე-ლოვნების, ზნეობის, კანონების, ზნე-ჩვეულებებისა და ზოგიერთი სხვა უნარ-ჩვევისგან, რომლებიც შექნილია ადამიანის, როგორც საზოგადოების წევრის მიერ“ [1, გვ.22].

კულტურა შეიძლება მივიჩნიოთ ასევე დირებულებათა, ქცევის ნორმათა და სტანდარტთა ერთობლიობად, რომელიც არეგულირებს ადამიანთა ურთიერ-თობებს ერთმანეთთან, საზოგადოებასა და ბუნებასთან.

ამდენად, ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, უდავოა, რომ კულტურა – ესაა შემოქმედება საზოგადოებასთან, ბუნებასთან ურთიერთდამოკიდებულება-ში, სადაც ადამიანი ყალიბდება, როგორც პიროვნება, იგი ქმნის საკუთარ თავს.

კულტურის მეორე ასპექტი გულისხმობს, რომ ადამიანის, როგორც კულ-ტურის შემოქმედის, მატარებლისა და გადამცემის უნარი სხვადასხვა საზო-გადოებაში განსხვავებულად რეალიზდება. აღნიშნული დამოკიდებულია ამა თუ იმ სოციალური ჯგუფის არსებობის სპეციფიკურ პირობებსა და განვითარ-ისტორიულ პროცესებზე. სხვადასხვა კულტურაში ადამიანები განსაკუთრებუ-ლად აღიქამენ სამყაროს, საზოგადოებას და ადამიანს მათთან მიმართებაში. ყოველ კულტურას აქვს დირებულებათა და ნორმათა განსხვავებული სისტემა, ქცევის წესები, იდეალები და ყოველივე ის, რაზეც ჭ. ტაილორი მიუთითებდა. კულტურა, ასეთ შემთხვევაში, ხდება იდენტიფიკაციის საფუძველი, ის, როთაც ადამიანი განსაზღვრავს „თავისიანსა“ და „უცხოს“.

ამდენად, კულტურა არის ის ძირითადი მახასიათებელი, რის საფუძველ-ზეც ემიჯნებიან ერთმანეთს სხვადასხვა საზოგადოების წარმომადგენლები, რი-თაც ისინი თავს განარჩევენ სხვებისაგან და რითაც სხვები განარჩევენ მათ დანარჩენებისაგან. აქედან გამომდინარე, კულტურა შეიძლება განვიხილოთ, რო-გორც:

1. სოციალური ქცევის დეტერმინანტი;
2. სუბიექტური ცოდნისა და ინტერპერეტაციების დეტერმინანტი;
3. თვითიდენტიფიკაციის მექანიზმი;
4. სოციალური ცხოვრების რეგულატორი;
5. სოციალური გამოცდილების ტრანსლატორი;
6. საადაპტაციო მექანიზმი;
7. შენტალობის მულტიპლიკატორი.

საზოგადოების მენტალური განვითარების განხილვისას, ჩვენი აზრით, მე-ტად მნიშვნელოვანია კულტურათა ურთიერთქმედების საკითხი, რომელიც ყა-ლიბდება, სულ მცირე, ორ კულტურას, აგრეთვე, ამ ურთიერთობათა შედეგად წარმოშობილ გავლენებსა და ორმხრივ ცვლილებებს შორის. კულტურათა ურ-თიერთქმედების პროცესში გადამწევტი მნიშვნელობა აქვს ფასეულობათა, თვი-სებათა, კულტურული იქტიონის ფორმების შეცვლას, ახალი ორიენტირების გაჩენას, რაც გარედან მომდინარე იმპულსების გავლენით ხდება. კულტურათა

ურთიერთქმედება, როგორც წესი, ხანგრძლივი პროცესია (არანაკლებ რამდენიმე ათეული წლისა).

კულტურათა ურთიერთქმედების შესწავლისას მნიშვნელოვანია მისი დონე ების მიხედვით განხილვა: 1) ეთნიკური დონე – ურთიერთობა ეთნოსებს, ისტორიულ-ეთნოგრაფიულ, ეთნოკონფესიურ და სხვა ჯგუფებს შორის; 2) ეროვნული დონე, სადაც რეგულაციურ ფუნქციას მნიშვნელოვანაზე და სახელმწიფო პოლიტიკური სტრუქტურები ასრულებენ; 3) ცივილიზაციური დონე.

კულტურათა ურთიერთქმედების პროცესში განარჩევენ კულტურა-დონორს და კულტურა-რეციპიენტს. პირველი მეტს გასცემს, ვიდრე იდებს, მეორე – პირი-ქით. ისტორიული პერიოდის მანძილზე ეს როლები შეიძლება იცვლებოდეს.

კულტურული ურთიერთქმედების შედეგები არაერთგვაროვანია, მათი შეფასების კრიტერიუმების მოძებნა მნელია. შესაბამისად, მნელია საუბარი ცალსახად დადებით ან უარყოფით შედეგებზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ერთი კულტურა იწყებს აშკარა დაქვეითებას, მეორეში გათქვეფას ან უკალოდ ქრება. ასეთი შედეგის თვალის მიღევნება კვლებაზე უკეთ შეიძლება რელიქტური ან არქაული კულტურების მაგალითზე, რომლებიც თავიანთი ისტორიის რომელიდაც პერიოდში თანამედროვე ტიპის კულტურებს შეეჯახნენ და მზად არ აღმოცენდნენ, ათვისეს მათ მიერ შეთავაზებული კულტურული ფორმები.

უფრო რთულია მსჯელობა იმ კულტურათა ურთიერთქმედებაზე, რომლებიც ძირეულად არ განსხვავდებიან ტიპილოგიური მასასიათებლებით. გამოიყოფა კულტურათა ცივილიზაციათაშორისი ურთიერთობის სამი ძირითადი ტიპი:

1. კონფრონტაცია,
2. სიმბიოზი,
3. სინთეზი.

კონფრონტაცია ემყარება უცხო რეალობის სრულ უარყოფას, სულიერი გამოცდილების სხვა, „საკუთარისაგან განსხვავებული“ ფორმების ტოტალურ მიუღებლობას. ამ შემთხვევაში ადგილი აქვს მენტალობის დაბალ ხარისხს, რომელიც, ჩვენი აზრით, კულტურათა ურთიერთქმედების შედეგად შეიძლება შთანთქას.

სიმბიოზის დროს თითოეული ურთიერთობაში მხარე ინარჩუნებს საკუთარ სახეს, არ წარმოიშობა ახალი კულტურული თვისებრიობა, მაგრამ კონტაქტში მყოფ კულტურულ რეალობათა შორის ჩნდება სისტემური კავშირი. „გარეშე“ კულტურული რეალობა კონტაქტის მონაწილეთა მიერ ბუნებრივად აღიქმება; ამასთან, თითოეული მხარე მეორეს აღიქვამს, როგორც „უცხოს“. ე.წ. „მოსული“ კულტურის ელემენტები არსებობენ ცნობიერების პერიფერიაზე, დამთავრებული მდგომარეობით, როცა მსოფლმხედველობის დერძად ფასეულობათა „მოტანილი“ სისტემა გვევლინება.

სინთეზს ადგილი აქვს მაშინ, როცა კონტაქტის ზონაში ჩნდება თვისებრივად ახალი, განსხვავებული კულტურული რეალობა. ამ შემთხვევაში ითვლება, რომ რაც უფრო ცივილურია საზოგადოება და მისი მენტალობა, მით უფრო მისაღებია მისთვის ახალი კულტურის დადგილით ელემენტების დამტკიცებული სიმბიოზი.

ცივილიზაციათა სხვადასხვა ეტაპზე ადგილი აქვს კულტურათა კონფლიქტების პიროვნებებს, ჯგუფებს, პიროვნებასა და ჯგუფს, პიროვნებასა და საზოგადოებას, ჯგუფსა და საზოგადოებას, სხვადასხვა ჯგუფსა და კოლიციას შორის დირქებულებათა, ორიენტაციათა, პოზიციათა წინააღმდეგობის კრიტიკულ სტადიას. კულტურათა კონფლიქტი განპირობებულია მონაწილე მხარეთა სოციალური გამოცდილების განსხვავებულობით.

უველავ კონფლიქტი დინამიურია და მოიცავს წინააღმდეგობათა დაძლევას, მოლაპარაკებათა გზით მათი გადაჭრის, მხარეთა შორის ახალი კონტაქტების დამყარებისა და კომპრომისის მონახვის სტადიებს.

მენტალური გლობალიზაციის განხილვისას არსებითი მნიშვნელობა ეძლევა კულტურის დიფუზზიას – საზოგადოების კულტურული მასასიათებლების ურთიერთშეღწევასა და ურთიერთგამდიდრებას კულტურის გავრცელება-მოძრაობის გზით, რომელიც აუცილებლად არ გულისხმობს მიგრაციულ პროცესებს.

კულტურული დიფუზიის საშუალებებად მიიჩნევა ტურიზმი, მისიონერთა მოღვაწეობა, საგაჭრო ურთიერთობანი, ომი, სამეცნიერო კონფერენციები, გამოფენები, სტუდენტებისა თუ სპეციალისტების გაცვლითი პროგრამები და ა.შ. მაგალითად, საქართველოში მოღვაწე ეკროპელი მისიონერები აქ არა მარტო თავიანთ რელიგიურ კოდექსს ამკვიდრებდნენ, ისინი სხვა სამყაროს „კულტურის ელემენტები“ იყვნენ ჩვენს ქვეყანაში.

კულტურის დიფუზია შეიძლება განხორციელდეს არა მარტო ხალხებსა და ქვეყნებს, არამედ ჯგუფებს და კლასებს შორის. აქედან გამომდინარე, განარჩევენ ორ მიმართულებას:

1) კულტურის დიფუზია ეთნოსებს, გარკული სტატუსის მქონე ინდივიდების ჯგუფებს შორის (მაგ., პოლიციელების მიერ ქურდული სამყაროს ლექსიკის აქტიური ხმარება);

2) კულტურული ელემენტების ვერტიკალური გავრცელება არათანაბარი სტატუსის მქონე სუბიექტებს შორის. ასეთ პროცესს უწოდებენ სტატიფიკატორულ კულტურულ დიფუზიასასაც, რომელიც შეიძლება ორი – აღმავალი და დამავალი – ფორმით განვითარდეს (მაგ., არისტოკრატის მიერ მდაბიური საუბრის სტილის ელემენტების გადმოღვა ან ფუფუნების საგნების საყოველთაოდ ქცევა) [2, გვ.11].

მარტინიელი ფრანგულენოვანი მწერალი, მთარგმნელი და ფილოსოფოსი ედუარდ გლისენი კულტურათა და ხალხთა ურთიერთშეხვედრასა და შეღწევაში ხედავს კაცობრიობის არსებობის ახალ ფორმას. მსოფლიოში არსებულ სიტუაციას იგი აღნიშნავს ტერმინით „კრეოლიზაცია“; მისი აზრით, ეს არის მუდმივი პროცესი, რომელიც განაპირობებს იდენტურისა და განსხვავებულის წარმოშობას. გლისენის აზრით, ამ დროს არც ერთი მხარე არ დაკარგავს საკუთარ ბუნებას და არ გაითქვიფება კულტურულ მაგმანში.

გლობალიზაციის კულტურულ დონეზე გაშლამ განსხვავებულ საზოგადოებებში უაღრესად საინტერესო და ურთიერთსაპირისპირო პროცესების წარმოშობა გამოიწვია.

თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარეობს გლობალიზაციის პროცესი. მოდერნიზაცია იქცა განვითარების მიმართულებად, რომელიც მსოფლიოს სხვადასხვა კულტურამ სხვადასხვაგარებად აღიქვა და, აქედან გამომდინარე, განსხვავებული რეაქცია პქონდა. მოდერნიზაცია თანამედროვეობის გამოწვევაა; ზოგიერთი არადასავლური ქვეყნისათვის მოდერნიზაცია იგივეგება ვესტერნიზაცია-ამერიკანიზაციასთან, ანუ ისინი მიიჩნევენ, რომ თუკი საზოგადოებას სურს მოდერნიზაციის პროცესში ჩართვა, აუცილებელი და გარდაუვალია დასავლური, კონკრეტულად, ამერიკული კულტურით საკუთარი კულტურის ჩანაცვლება, ანუ გარდაუვალია ამერიკანიზაცია. ეს უკანასხველი კი ორიგინალური კულტურების წარმომადგენელთათვის მიუღებელია; ამან ხელი შეუწყო საკუთარი კულტურისაკენ მიბრუნებას, ანუ ლოკალიზაციას. ზოგიერთი კულტურისათვის კი, მოდერნიზაცია, ანუ გათანამედროვეობა ამერიკანიზაციის გარეშეც მისაღწევია; და კიდევ მესამე – გლობალიზაციის პროცესში მოდერნიზაციის მიღწევა შესაძლებელია სრულიად უმტკიწეულოდ, ორი კულტურის ელემენტთა შერევით [2, გვ.55].

გლობალიზმი – ეს არის მსოფლიო ბაზრის ბატონობის გაგება. მას გლობალიზაციის მრავალმხრივობა (პოლიტიკური, კულტურული, ეკოლოგიური და სხვა) დაჰყავს მხოლოდ სამეურნეო განზომილებამდე და სხვა დანარჩენს მხოლოდ მის დაქვემდებარებაში წარმოადგენს.

გლობალიზაცია დამყარებულია სხვადასხვა საზოგადოებათა ურთიერთობაზე. ესე იგი, როცა საუბარია გლობალიზაციაზე, იგულისხმება ამა თუ იმ საზოგადოების ღირებულებათა გასაყოველთაოება. ხოლო საზოგადოებამ თავისი ღირებულებები საყოველთაოდ რომ აციონს, საჭიროა იგი სხვა საზოგადოებებს გააცნოს და გაუთავისოს, რისოვისაც საჭიროა კონტაქტი. ლოგიკურად

მივედით დასკვნამდე, რომ გლობალიზაციის პირველი აუცილებელი პირობა სხვადასხვა საზოგადოების, სხვადასხვა კულტურული ერთობის ურთიერთობაა.

კულტურის გლობალიზაციის პრობლემების კვლევას არაერთმა მეცნიერმა მიუძღვნა თავისი ნაშრომი. 1999 – 2002 წლებში ბოსტონის უნივერსიტეტის და ეკონომიკური კულტურის შემსწავლელი ინსტიტუტის (ISEC) მკვლევართა ჯგუფებმა, პიტერ ლ. ბერგერისა (სოციოლოგი, ISEC-ის დირექტორი) და სამუშავ პ. პანთიგრონის (პოლიტოლოგი, პარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი) ხელმძღვანელობით მსოფლიოს ათობით ქვეყანაში ჩატარეს დაკირვება კულტურის გლობალიზაციის დინამიკაზე.

ჩატარებული სამუშაოს შედეგად პიტერ ლ. ბერგერმა გამოყო თხი მიმართულება, რომლის საშუალებითაც ვრცელდება გლობალური კულტურა, ესენია:

1. დავოსური კულტურა, ანუ საერთაშორისო ბიზნესკულტურა;
2. „მაკრეოფლიო“ კულტურა, ანუ მასობრივი სამომხმარებლო კულტურა;
3. ინტელექტუალთა საერთაშორისო საკლუბო კულტურა;
4. ახალი რელიგიური მოძრაობები.

კულტურის გლობალიზაციის კვლევისას საერთაშორისო გამოკვლევათა ცენტრის დირექტორი ა. ი. უტკინი გვთავაზობს გლობალიზაციის პროცესის ორ ეტაპად დაყოფას. XX საუკუნის 70-იან წლებში გლობალიზაციის მეორე ტალღას, უტკინის აზრით, საფუძველი დაუდო შეთანხმებამ, რომელიც ცნობილია „ვაშინგტონის კონსენსუსი“ სახელით.

1980-იან წლებში, სამი ყველაზე ძლიერი ეკონომიკური ინსტიტუტი, აშშ ფინანსთა სამინისტრო, საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი მიყიდნენ შეთანხმებამდე, რომ საერთაშორისო ვაჭრობის ძირითადი ხელშემწლელი პირობა იყო საბაჟო სისტემები. „ვაშინგტონის კონსენსუსი“ მოიცავს მსოფლიო ვაჭრობის რეორგანიზაციის ათ რეკომენდაციას, რომელიც შეიუშავა ეკონომისტმა ჯ. ვილიამსონმა.

კერძო ბიზნესის რაციონალიზაციის შესაძლებლობის საფუძველზე ჩამოყალიბდა „ოქროს კორსეტის“ წესი, რომელიც ითვალისწინებს სახელმწიფოს მხრიდან გარევეული კანონების მიხედვით მოქმედებას; კერძოდ: კერძო სექტორი იქცევა ეკონომიკის განვითარების, ეკონომიკური აღმავლობის ძირითად საშუალებად; უნდა მოხდეს ინფლაციის დაბალი დონის მხარდაჭერა; შენარჩუნდეს ფასების სტაბილურობა; სახელმწიფოს ბიუროკრატიული აპარატის როლი მცირდება; ასევე, მცირდება იმპორტზე გადასახადი; უცხოურ ინვესტიციებზე შეზღუდვები იხსნება; ხდება სახელმწიფო კუთხით გადასახადი არსებული საწარმოების პრივატიზება; ეს ზრდის იმპორტს; ასევე ადგილობრივი ინდუსტრია გახსნილია მსოფლიოსათვის და სხვა. უტკინის თქმით, „ოქროს კორსეტის“ წესის განსაკუთრებულობა ისაა, რომ იგი ითვალისწინებს „ყველასათვის ერთ ზომას“; უტკინი მიიჩნევს, რომ სწორედ ეს იწვევს სხვადასხვა ქვეყანაზე სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ ზეწოლას, რასაც, თავისთავად, არაერთგაროვანი პასუხები მოჰყვება. მაგრამ კომპენსაციად მიიჩნევა ის, რომ „ოქროს კორსეტის“ მიღების შემთხვევაში იზრდება წარმოება, ეკონომიკური შემოსავალი. ოცი წლის წინ მაღაიზიელის საშუალო შემოსავალი იყო 350 დოლარი წელიწადში, მაგრამ „ოქროს კორსეტში“ ჩატარებული მაღაიზიელი ახლა წელიწადში 5000 დოლარს იღებს [2, გვ.64].

გლობალური კულტურის გავრცელება ხდება, აგრეთვე, მასობრივი კულტურის საშუალებებით (ადიდასი, მაკდონალდსი, ლევისი და სხვა). მას მხოლოდ ზედაპირული სასიათი აქვს. „გლობალიზაცია“ – ეს არის მოვლენა, რომელიც ერთგვაროვანი სამომხმარებლო კულტურის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. ერთგვაროვნება კი მისაღებია „მასისათვის“. „ადამიანი-მასა“ ისაა, ვისაც არ შეუძლია როგორც კარგი, ასევე ცუდი მხრითაც შეაფასოს თავი; ვინც თავის თავს ადიქვამს „ისეთად, როგორიცაა ყველა“ და სულაც არ განიცდის ამას. მას მოსწონს იყოს ისეთი, როგორიცაა ყველა. მაგრამ არსებობს ასევე პეგელის,

კანტისა და ნიცშეს „მასების ამბოხი“; ცალკეული ინდივიდისა და მთლიანად საზოგადოებისათვის მისაღებია ის, რასაც სთავაზობენ მას მანამდე, ვიდრე დაბალია კულტურა და მენტალობაც, მაგრამ როგორც კი კულტურა ცივილურ საზღვრებს აღწევს, საზოგადოებისათვის ბევრი რამ ხდება მიუღებელი, რასაც ის სხვადასხვა ფორმით გამოხატავს.

ნეოლიბერალური მსოფლიური მსოფლიური მსოფლიური ინდივიდის სულიერი და კულტურული მსოფლიურება საერთაშორისო საკომუნიკაციო საშუალებათა ზეწლას განიცდის. ფილმების, შოუებისა და სერიალების გლობალური აუდიტორიის გაჩენა და მათი ზეგავლენა პროგრამების შინაარსზე უპრეცედენტო მოვლენაა. მედია ორიენტირებულია პოპულარულ და მასობრივ კულტურაზე და მასობრივი ცნობიერებიდან დევნის ალტერნატიულ ფორმებს. მაყურებელთა და მსმენელთა რეიტინგისათვის მებრძოლი მედიის საშუალებათა საქმიანობა განსაზღვრულია ეკონომიკური ინტერესით და არა ინტელექტუალური შინაარსით. კულტურა განიხილება, როგორც გლობალური აუდიტორიისა და გლობალური ინფორმაციული საზოგადოების მიღწევის საშუალება.

გლობალური კულტურის ჩამოყალიბების ცენტრშია ინტერნეტი. გარემოცვა, რომელშიც ქვეყანას, კულტურას უხდება არსებობა, დიდ გავლენას ახდენს მის ჩამოყალიბება-განვითარებაზე, რადგან ამა თუ იმ საზოგადოებაში სახელმწიფოს ურთიერთობა აქვს განსხვავებული კულტურის მქონე ერთობებთან. ურთიერთობისას ხდება კულტურულ ლირებულებათა გაცვლა, ერთობის ცნობიერება განიცდის მუდმივ ტრანსფორმაციას.

კაცობრიობამ შეაბიჯა განვითარების ახალ ეპოქაში, ეს არის საინფორმაციო ეპოქა, ინტერნეტი არის მასობრივი კულტურის ფართოდ გავრცელების საშუალება. ინფორმაციულმა ეპოქამ განაპირობა ის, რომ კულტურები დაუხელოვნენ ერთმანეთს; ტრადიციულ სიმბოლოთა გვერდით გაჩნდა ინტერნაციონალური მნიშვნელობის სიმბოლოები და პოპულარული სისტემები. ინფორმაციულმა დაახლოებამ მსოფლოდ მოჩვენებითი გლობალური კულტურა შექმნა, რომელიც მისაღებია მასისათვის. მასას, შესაძლოა, დიდი სურვილიც ჰქინდეს, რომ მიიღოს და იცხოვოს უცხო კულტურისათვის დამახასიათებელი წესებით, მაგრამ ეს ვერ მოახერხოს, რადგან საქუთარი კულტურა არ მისცემს ამის საშუალებას. სწორედ ეს განასხვავებს მასას ელიტისაგან, რადგან ელიტა იღებს არა იმას, რაც სურს, არამედ იმას, რისი მიღებაც მის პიროვნებას შეუძლია. უფრო სწორად, ელიტას იმის მიღების სურვილი უჩნდება, რაც მისი კულტურისათვის არის მისაღები და ამას იგი აკეთებს არა ისე, რომ მოახდინოს საკუთარის, ძირების უარყოფა, რადგან ელიტა თავიდან ბოლომდე შეიგრძნობს კულტურას, მასას კი ეს გრძნობა არ გააჩნია, სწორედ ამიტომ მისთვის გლობალური სამომხმარებლო კულტურა უკვე ნიშნავს მთლიანად კულტურის გლობალიზაციას, რადგან კულტურის მეტი სიღრმე მასას არ აინტერესებს. სწორედ ამის ეშინოდა ს. ორგებას ჯერ კიდევ XX საუკუნის 30-იან წლებში, როდესაც აცხადებდა, რომ გაქრებიან ბეთოვენისა და მოცარტის მსმენელები. ეს შიში დღესაც არსებობს – შიში იმისა, რომ მასების გაძლიერება თავის-თავად მოახდენს კულტურული ორიგინალურობის გაქრობას. მასა მოითხოვს კომფორტს, მას არა აქვს მიზანი, რასაც ცხოვრებას შესწირავს, მისი მიზანია კომფორტული ცხოვრება, მას მხოლოდ ის სურს, რომ იყოს ყველას მსგავსი.

ასევე დიდი როლი ეკისრება გლობალური კულტურის გავრცელებაში ეგანგელისტურ პროტესტანტიზმს. ინგლისელი სოციოლოგი დევიდ მარტინი დიდი ხნის განმავლობაში იკვლევდა ამ საკითხს და დააზუსტა, რომ მსოფლიოში ამ რელიგიის მიმდევარი 250 მილიონამდე ადამიანია. ამ რელიგიის მიღება იწვევს გარკვეულ ცვლილებებს ოჯახურ ურთიერთობებში, სექსუალურ გამოვლინებებში, ბავშვთა აღზრდაში და, რაც ყველაზე მთავარია, საქმისადმი დამოკიდებულებაში, რაც თავისთავად გავლენას ახდენს ეკონომიკაზე საერთოდ. გლობალური კულტურა მიმართულია ადამიანების ინდივიდუალიზაციისაკენ და ტრადიციებისა და ერთობებისაგან მათი დამოუკიდებლობისაკენ. ინდი-

ვიდუალიზაცია უნდა განიხილებოდეს, როგორც სოციალურ-ფსიქოლოგიური პროცესი, რომელიც ემპირიულ გამოხატულებას პოვებს ადამიანის ქცევასა და ცნობიერებაში, დამოუკიდებლად იმ იდეისაგან, რომელიც ამ ადამიანებს შესაძლოა ჰქონდეთ ამის შესახებ. სხვა სიტყვებით, ინდივიდუალიზაცია, როგორც ემპირიული გამოვლინება, აუცილებლად განსასხვავებელია „ინდივიდუალიზმისაგან, როგორც იდეოლოგისაგან. მსგავსი მიღომა მოგებიანია იმდენად, რამდენადაც გვეხმარება ავსენათ, თუ რით არის მიმზიდველი ახალი გლობალური კულტურა. როგორც უკვე ცნობილია, მოდერნიზაცია ანგრევს ტრადიციებისა და კოლექტიური სულის მეფობას და ინდივიდს ხდის უფრო თვითმყოფადს. ეს კი ნიშნავს გათავისუფლებას. ახალ გლობალურ კულტურას ბევრი აქვს საერთო მოდერნიზაციის პროცესთან. დღევანდელ დღეს კი მსოფლიოს მრავალ კუთხეში კიდეც ემთხვევიან ერთმანეთს.

მოდერნიზაციის აღრეულ ეტაპზე ადამიანებს უწნდებათ მეტი თავისუფლებისა და ახალი შესაძლებლობების აღტაცებული გრძნობა. ამიტომ ახალი გლობალური კულტურა მომხიბლავია მათვის, ვინც აფასებს პიროვნულ თავისუფლებას და ცდილობს მის სრულად რეალიზებას. ამით გლობალური კულტურა ძალზე წაგავს ელინიზმის გპოქას, როდესაც გაიზარდა ინდივიდების მისწრაფება „სრულყოფილებისაკენ“.

მკვლევართა ერთი ნაწილის აზრით, არსებობს საზოგადოებები, რომელთათვისაც მოდერნიზაციის პროცესი საშიშროებას არ წარმოადგენს, მათვის გლობალიზაციის გამოწვევები მისაღებიცაა.

ედუარდ გლისენი კულტურათა და ხალხთა ურთიერთშეხვედრისა და შეღწევაში ხედავს კაცობრიობის ახალ ფორმას, დამყარებულს საკუთარ ტრადიციებსა და უკვებზე, ოდონდ გამდიდრებულს სხვა ხალხთა კულტურული ტრადიციებით. მისთვის ამოსავალია „ურთიერთობის“ ცნება, რომელიც უპირის-პირდება კულტურულ დომინირებას ან მულტიკულტურას.

მწერალი გადაჭრით იღაშქრებს ტერმინის „კრეოლური კულტურა“ წინააღმდეგ. მისი აზრით, სიტუაციას მსოფლიოში გაცილებით უფრო შეესაბამება ტერმინი „კრეოლიზაცია“. ეს არის მუდმივი პროცესი, რომელიც განაპირობებს იდენტურისა და განსხვავებულის წარმოშობას. „კრეოლური კულტურა“ კი ის ტერმინია, რომელსაც მულტილინგვიზმი და მულტიეთიზმი საწყისი დოგმისა და ნიმუშის რანგში აკვთს, ამიტომ იგი მიუღებელია ავტორისათვის, რომელიც ყოველგვარი ნიმუშის წინააღმდეგია.

ე. გლისენი თვლის, რომ კაცობრიობის არსებობის თანამედროვე განზომილებანი სცილდება ეროვნულობის ჩარჩოებს, რომელიც წინააღმდეგობის გაწევას ცდილობენ. მისი აზრით, სიახლე პატარა ქვეყნებიდან მოვა, რომელთაც არ აქვთ არც კოლონიური წარსული, არც მკაფიოდ გამოხატული ეროვნული ტრადიციები. მათ ნაკლებად ეშინიათ სტატუსის გაქრობის ან დაკარგვისა. ჩექე უნდა შევეხვიოთ აზრს მსოფლიოს ასეთი ორგანიზაციის შესახებ, სადაც სრულიად განსხვავებული ურთიერთობა იქნება ცენტრსა და პერიფერიას შორის – ევროპი იქნება ერთსა და იმავე დროს ცენტრიც და პერიფერიაც.

ჩექე ვერ დავუთანხმებით ე. გლისენის ამ მოსაზრებას, მით უმტკეს კავკასიის რეგიონის ხალხებისათვის, სადაც ანტიგლობალისტთა დიდი არმია. მიუხედავად გლობალური პროცესებისადმი უარყოფითი დამოკიდებულებისა, ისინი ცდილობენ, მოახდინონ ადგილობრივი და გლობალური კულტურების თავისებურებათა სინთეზი. მათვის სავსებით ცხადია, რომ თანადათანობით ხდება გლობალური და ეროვნული კულტურების თანაარსებობა, მაგრამ ეს უნდა მოხდეს ამ კულტურების მკვეთრი შერევის გარეშე. მიგვაჩნია, რომ საზოგადოების კულტურა და მენტალობა მათი აღზრდისა და განათლების დონის საფუძველზე ვთარებდა. რაც მეტია საზოგადოებაში განათლების დონე (და არა ფარატინა ფურცელი განათლების შესახებ) მით მაღალია მასში კულტურული და მენტალური ფასეულობები. ასეთი საზოგადოება კი ყოველთვის შეძლებს გლობალური ურთიერთობებიდან აიღოს სიკეთის მარცვალი და სრულიად უმ-

ტკივნეულოდ უკუაგდოს მისთვის მიუღებელი რაიმე ფენომენი. კულტურათა მრავალფეროვნება გლობალურ სივრცეში არ ნიშნავს ეროვნული კულტურის შთანთქმას, პირიქით, ის მენტალობის განვითარების ხელშემწყობ ფაქტორად აღიქმება განათლებულ საზოგადოებაში.

დღევანდელი პოლიტიკური რუკის თანახმად, ცენტრალური კავკასიის რეგიონი, ძირითადად, მოიცავს სამ სახელმწიფოს – სომხეთს, აზერბაიჯანს და საქართველოს.

მრავალი ასწლეულის განმავლობაში ყველა კავკასიელი ხალხიდან მხოლოდ ქართველებსა და სომხებს ჰქონდათ მეტნაკლებად მკაფიოდ გაცნობიერებული ეთნონაციონალური იდენტურობა.

შეუ საუკუნეების ქართველებისა და სომხებისათვის იდენტურობა, პირველ რიგში, რელიგიური ტერმინებით გამოიხატებოდა. აღსანიშნავია, რომ თამარის დროს საქართველო წარმოადგენდა მრავალუროვან სახელმწიფოს, რომელშიც შედიოდნენ სომხებიცა და სხვადასხვა მამადიანი ხალხებიც. ქართველებისაგან განსხვავებით, რომლებიც კომპაქტურად ცხოვრობდნენ თავიანთ ისტორიულ ტერიტორიაზე, სამ იმპერიაში (ოსმალთა, სპარსეთისა და რუსეთის) გაფანტული სომხები არსად შეადგენდნენ კომპაქტურ უმრავლესობას, გარდა ერგენის ირგვლივ ტერიტორიისა. კავკასიის გაერთიანება ფაქტობრივად რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მოხდა.

კავკასიელ მკვლევართა ნაწილის აზრით, კავკასიის დაყოფას რუსეთის (ჩრდილოეთ) და არარუსეთის (სამხრეთ) კავკასიად საფუძვლად ედო რუსეთის პოლიტიკოსთა ნება. ასეთი დაყოფის შედეგად ეთნოკულტურულმა ტრადიციებმა კავკასიაში დრმა ტრანსფორმაცია განიცადა [3, გვ.36].

კავკასიურ გენოფონდს სერიოზული ზიანი მიაქვნა რუსეთ-კავკასიის ომმა XIX საუკუნეში, დაანგრია აქ ისტორიულად ჩამოყალიბებული ცხოვრების წესი და რეგიონის ხალხთა უნიკალური კულტურა. შემდგომში არ მომხდარა ცხოვრების ძველი ტრადიციული ფორმების აღდგენა, ცხოვრება მოეწყო იმ რუსული მოდელის მიხედვით, რომელიც ტექნოგენური ცივილიზაციის პრინციპებს ემუსარებოდა და არ იყო საკუთრივ კავკასიური სოციალურ-კულტურული სისტემის ლოგიკური გაგრძელება [4, გვ. 51].

რუსული იმპერიის შედეგებს აღწერს ასევე მ. ბაბუნაშვილი თავის კალეგაში: „აურზაური საქართველოში – რუსეთის იმპერიაში ყოფნისას და მას შემდეგ, ქართველი საზოგადოების ტრანსფორმაცია”, სადაც იგი აღნიშნავს, რომ ქართველ საზოგადოებაში თანდათანობით ისპობა საკუთარი სახელმწიფოებრიობის განცდა, რის შედეგადაც ვიღებთ დაკარგულ ტერიტორიებს, რომელთა დაბრუნებაც არცოუ ისე ადგილი აღმოჩნდა.

ავტორის ამ ნაშრომში რუსეთის ბატონობის პერიოდში მიღებული შედეგები შემდეგნაირადაა წარმოდგენილი: ქვეყანაში დაიწყო კლეპტოკრატული საზოგადოების ჩამოყალიბება-განვითარება. ამ დროს მოხდა:

- რეალურ საზოგადოებრივ ფასეულობათა მქეთრი ცვლა,
- საზოგადოებაში ქურდული მენტალიტეტის დამკვიდრება:
  - სახელმწიფო საკუთრებასთან მიმართებით (ყოველგვარი სახის სახელმწიფო ქონების დაბაცება, საზინის ქურდობა);
  - საზოგადოებრივ ურთიერთობათა დონეზე (საყოველთაო კორუფცია, ნეპოტიზმი);
  - ყოფით დონეზე, მოსახლეობაში (წყლის, ელექტროენერგიის, გაზის და ა.შ. საყოველთაო პარვა).

შედეგად მოხდა:

- ზეობრიობის საყოველთაო დაცვა, სამართალდამცავი, განათლების, ჯანდაცვის და ა.შ. ნაციონალური სისტემების სრული მოშლა.


- ქურდული მენტალიტეტის დამკვიდრება საზოგადოების უმრავლესობის, მათ შორის, ახალგაზრდა თაობების ცნობიერში [5].
- უნდა აღინიშნოს, რომ იმავე შედეგებს ჰქონდა ადგილი ყოფილი საბჭოთა სივრცის ყველა რესპუბლიკაში. გამონაკლისს ბალტიის ქვეყნები წარმოადგენერა, რომლებიც გვიან შევიდნენ საბჭოთა კავშირის გაერთიანებაში, გარკვეული მენტალობა უკვე ღრმად არსებობდა და მისი დანგრევა ვერ მოასწორ მაშინდელმა პოლიტიკურმა იდეოლოგიამ.

კვლევის სათანადო წყაროების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია შემდეგი დასკვნის გაცემება: კავკასიის და მთთ უფრო ცენტრალური კავკასიის (საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი) ქვეყნები არ აღმოჩნდნენ საქმაო მენტალურ დონეზე იმისათვის, რომ რუსულ იდეოლოგიას ამგვარი „მემკვიდრეობა“ არ დაეტოვებინა. კულტურის განვითარება არ ხდებოდა რელიგიასთან სინქრონიზებულად, უფრო მეტიც, კაცობრიობამ გვერდზე გასწია რელიგიური ჰეშმარიტებანი, რამაც უფრო ადვილი გახადა მათი მენტალობის დამანხინჯება და ნგრევა.

უნდა ვივარაუდით, რომ რელიგიის „დეფიციტიდან“ გამომდინარე, საბჭოთა სივრცის დაშლის შემდეგ დაიწყო ინტეგრაციის ახალი ოფისებრივი ფორმებით გამოვლენა. ე. ისმაილოვი და ვ. პაპავა თავიანთ კვლევაში: „ცენტრალური კავკასია: გეოპოლიტიკური ეკონომიკის ნარკვევები“ აღნიშნავენ, რომ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების დამოუკიდებლობის პირველ წლებში შეინიშნებოდა ეთნიკური და რელიგიური პრინციპებით კავშირების ჩამოყალიბების ინიციატივები, კერძოდ სლავურ სახელმწიფოთა კავშირი, თურქულ სახელმწიფოთა გაერთიანება, მართლმადიდებელ სახელმწიფოთა კავშირი და სხვ. [6, გვ.81]. ასეთ ინტეგრაციულ ერთეულთა შექმნა კულტურულ სფეროში თანამშრომლობის გაფართოებით იფარგლებოდა. რეგიონულ დონეზე ევექტიანი ინტეგრაციული კავშირუთიერთობის მოგვარება მხოლოდ სოციალურ-ეკონომიკური პრინციპის ბაზაზე ხდება [6, გვ.81]. აქვე უნდა დავმინოთ, რომ სრულფასოვანი შედეგების მისაღებად საჭიროდ მიგვაჩნია კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური პრინციპების მიხედვით ინტეგრირება, რასაც ჩვენ მიერ ცენტრალური კავკასიის რეგიონში ჩატარებული კვლევაც ადასტურებს.

აღნიშნული პრობლემის გამოსაკვლევად საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში ჩატარდა გამოკითხვა მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებს შორის. სულ გამოკითხულ იქნა 1500-მდე რესპონდენტი.

ცენტრალურ კავკასიაში ეკონომიკური ინტეგრაციის ზეგავლენას ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე დადებითად აფასებს რესპონდენტთა 82,7 პროცენტი. მნიშვნელოვანია, რომ, მიუხედავად არსებული სოციალური, პოლიტიკური და ეთნიკური დაძაბულობისა, რეგიონის 49,6 პროცენტი მხარს უჭერს ცენტრალური კავკასიის ქვეყნებს შორის საგაჭრო ურთიერთობებს; ერთობლივი მეწარმეობის მომსრეა 58,9 პროცენტი, ფინანსური იტეგრაციის მომხრეა 31,2 პროცენტი, 11,8 პროცენტი კი ინტეგრაციის სხვადასხვა ფორმებს იჩევს. ქვეყნების ჭრილში კი ეს სურათი შემდეგნაირად გამოიყურება:



სურ. I ინტეგრაციის ფორმები

სავაჭრო-ეკონომიკური ინტეგრაციის ფორმის მომხრეთა მხრივ ყველაზე მეტი ხელიდრითი წონა უგავია სომხეთს – 90%, ხოლო ყველაზე ნაკლები აზერბაიჯანს – 31,9 პროცენტით, საქართველო 59 პროცენტიან ზღვაზშია. ერთობლივი მეწარმეობის მომხრეთა 58,9 პროცენტიანი მაჩვენებელი მიიღწევა ისევ სომხეთის მაჩვენებლით, სადაც ინტეგრაციის ამ ფორმას მხარს უჭერს რესპონდენტთა 78,3 პროცენტი; შემდეგ მოდის აზერბაიჯანი 69,5%-ით, ხოლო საქართველოს მაჩვენებელი ამ მხრივ მხოლოდ 35,8%-ით განისაზღვრება.

კალეგის შედეგად დადგინდა, რომ ცენტრალური კავკასიის ქვეყნების მხოლოდ 32,1 პროცენტი თვლის, რომ შეიმჩნევა ცენტრალური კავკასიის ქვეყნების დაახლოება და რეგიონში დესტაბილიზაციის გადალახვა; რესპონდენტთა ყველაზე დიდი ნაწილის – 41,5 პროცენტის აზრით, ყველაფერი ერთ ადგილზეა გაყინული, ხოლო 26,4 პროცენტს მიაჩნია, რომ ადგილი აქვს რეგრესიულ ცვლილებებს, განადგურებულია ის ურთიერთობები, რაც საბჭოთა პერიოდში იყო და მისი დაშლის შემდეგ საბჭოთა მემკვიდრეობას წარმოადგენდა. რესპონდენტთა 40,3 პროცენტისათვის ინტერესი ეკონომიკური ინტეგრაციის მიმართ უმნიშვნელოა, 47,0%-ს მიაჩნია, რომ პირადი ინტერესი ეკონომიკური ინტეგრაციული პროცესებისადმი მნიშვნელოვანია, ხოლო 12,7% თვლის, რომ არანაირი ინტერესი ამ პროცესისადმი არ გააჩნია.

საკმაოდ ყურადღესადებია ის ფაქტი, რომ ცენტრალური კავკასიის რეგიონში გამოყითხულ რესპონდენტთა მხოლოდ 9,4% ფლობს ამომწურავ ინფორმაციას იმ სამოქმედო პროგრამებისა და პროექტების შემუშავებას და რეალიზაციის შესახებ, რომელსაც აპირებს ხელისუფლება რეგიონში ეკონომიკური კლიმატის გასაუმჯობესებლად. ინფორმაციას არ ფლობს აღნიშნულ საკითხებზე აზერბაიჯანში რესპონდენტთა 49%, საქართველოში კი – 51,7%. რაც შეეხება სომხეთს, აქ რესპონდენტთა 95,7% ნაწილობრივ ფლობს ინფორმაციას იმ სამოქმედო პროგრამებისა და პროექტების შემუშავებისა და რეალიზაციის შესახებ, რომელსაც აპირებს ხელისუფლება რეგიონში ეკონომიკური კლიმატის გასაუმჯობესებლად, რესპონდენტთა 4,3% კი ფლობს ამომწურავ ინფორმაციას. იგივე დამოკიდებულება აღნიშნება რესპონდენტების მიერ ქვეყნის ხელისუფალთა საქმიანობის შეფასებისას პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილიზაციის მიმართულებით, სადაც სამივე რესპუბლიკის მიხედვით თითქმის იდენტური შეფასებებია. კერძოდ: საქართველოს რესპონდენტთა დაახლოებით 51 %-ს მიაჩნია, რომ ხელისუფლების საქმიანობა პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილიზაციის მიმართულებით ნაკლებად ეფექტურიანია, სომხეთში ეს მაჩვენებელი 62,3%-ის ტოლია, ხოლო აზერბაიჯანში 43,3%-ით ხასიათდება.

კალეგისას რესპონდენტებისადმი შეთავაზებული იყო ცენტრალური კავკასიის ქვეყნების ინტეგრაციის რამდენიმე მოდელი:


➤ საქართველო-სომხეთი-აზერბაიჯანის თანასწორუფლებიანობა;

- სომხეთი-საქართველო;
- აზერბაიჯანი-საქართველო;
- თანასწორუფლებიანობის საფუძველზე ინტეგრაციის მომხრეა სომხეთის რესპონდენტთა 82,6 პროცენტი, სომხეთი-საქართველო და საქართველო -აზერბაიჯანი მოდელებს მხარს უჭერს აზერბაიჯანის რესპონდენტთა 70,9%, ხოლო საქართველოში - 64,2 %.

რეგიონის ქვეყნებს შორის ეკონომიკურ ინტეგრაციას რეალურად მიიჩნევს სომხეთში გამოკითხულთა 90,0%; ამ ფაქტორის მიხედვით, მეორე ადგილზეა საქართველო – 75,8%-ით, ხოლო აზერბაიჯანს 71,6%-ით მესამე ადგილი უჭირავს. ეკონომიკური ინტეგრაცია რეგიონის ქვეყნებს შორის აზერბაიჯანის რესპონდენტთა 28% -ს არარეალურად მიაჩნია.

კვლევის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენდა ეკონომიკური ურთიერთობების რისკების შეფასება, რომელიც ცალკეული ინტეგრაციული ბლოკის მიმართ დაჯგუფდა. პირველი ბლოკი საქართველო-სომხეთია, რომელთა ეკონომიკური ურთიერთობების რისკებს, როგორც მაღალს, აფასებს აზერბაიჯანის რესპონდენტთა 35,5 %, საქართველოს რესპონდენტთა 32,5%-ს, ასევე, მიაჩნია, რომ რისკების დონე მაღალია ამ ბლოკში, ხოლო სომხეთის რესპონდენტთა მხოლოდ 4,3 % მიიჩნევს, რომ აღნიშნული ბლოკის ეკონომიკური ურთიერთობების რისკი მაღალია.

ბლოკ პერიოდში, აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის არსებული პოლიტიკური ვითარების გამო, კვლევისას მეტად მნიშვნელოვანი იყო რესპონდენტების აზრი სომხეთი-აზერბაიჯანის ეკონომიკურ რისკებთან მიმართებაში.



ჩურ. 2. მოდელი: თანასწორუფლებიანობა

ადსანიშნავია, რომ ამ მხრივ წინასწარი მოლოდინი არ გამართლდა. მოცემული საკითხი, როგორც მაღალი რისკების შემცველი, მხოლოდ საქართველოს რესპონდენტების მიერ იქნა აღნიშნული (70,0%), ხოლო, რაც შეეხება აზერბაიჯანსა და სომხეთს, ამ ქვეყნების რესპონდენტების აზრით, მათ შორის ეკონომიკური რისკები, შეფასებულია, როგორც დაბალი რისკების შემცველი (61,7%; 63,8%).

კვლევისას რისკების შეფასება მოხდა ასევე ცალკეული კატეგორიების მიხედვითაც, რომელმაც დაგვანახა, რომ რისკების ყველაზე მაღალი ხევდრითი წონა პოლიტიკურ რისკებზე მოდის. კერძოდ, საქართველოს რესპონდენტთა 56,7%-ს და აზერბაიჯანის – 70,9%-ს საქართველო-აზერბაიჯანის ეკონომიკური ურთიერთობების ეფექტიანად განვითარების ყველაზე ხელშემშლელ რისკად პოლიტიკური რისკი მიაჩნიათ. რაც შეეხება საქართველო-სომხეთის ეკონომიკური ურთიერთობების ეფექტიანად განვითარების ყველაზე ხელშემშლელი რისკების შეფასებას, პოლიტიკურ რისკებზე ოპერირებას აკეთებს საქართველოს რესპონდენტთა 65,0%, ხოლო სომხეთის რესპონდენტების გამოკითხვისას ეს მაჩვენებელი 63,8%-ის ტოლია.

**ჩატარებულმა კვლევამ დაგვანახა შემდეგი:**

I. ინტეგრაციის თანამედროვე ეტაპზე ცენტრალური კავკასიის რეგიონში ქვეყნების დახმარება და რეგიონში დესტაბილიზაციის გადალახვა ნაკლებად შეიმჩნევა. საზოგადოების დიდი ნაწილი არ ფლობს ინფორმაციას ქვეყნის ხელისუფლების მიერ სამოქმედო პროგრამის თაობაზე. შესაბამისად, ინტეგრაციული პროცესების მიმართ მათი პირადი ინტერესი უმნიშვნელოა. აღნიშნული უფრო მეტად აზერბაიჯანის საზოგადოებაში დომინირებდა, სადაც ჯერ კიდევ შემორჩენილია პოლიტიკური მმართველობის ადრინდელი ფორმები, რის გამოც, ჯერ კიდევ დაბალი მენტალობის გამო, საზოგადოება ნაკლებად გახსნილია, არ რისკას საკუთარი აზრის გამოხატვას, თუმცა შეიმჩნევა თანამედროვე ურთიერთობებისადმი სწრაფვა; უფრო მჭიდრო ურთიერთობების სურვილი სხვადასხვა კულტურებსა და რელიგიებთანაც კი. კვლევისას საზოგადოების დიდმა ნაწილმა გამოიჩინა ინტერესი მართლმადიდებლური სარწმუნოებისადმი, რაც უკვე დიდ მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს.

რაც შეეხება სომხეთს, აქ საზოგადოებამ შეძლო ხელისუფლებისათვის ეზექნებინა თავისი ძალა და გარევეული კომპრომისები ყოფილიყო მათ შორის, რის შემდეგაც აქ უფრო ღია და თავისუფალი სივრცე შეიქმნა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პროგრამების ერთობლივი შემუშავებისა და რეალიზაციისათვის.

II. მიუხედავად დღევანდელი პოლიტიკური ვითარებისა, რეგიონის ცალკეული ქვეყნისათვის მისაღებია ეკონომიკური ინტეგრაციის ფორმები, მაგრამ აშკარად გამოიკვეთა ის ფაქტი, რომ როგორც სომხეთის, ასევე აზერბაიჯანის საზოგადოება თვლის, რომ არსებული პოლიტიკური რისკები პოლიტიკოსების გადასასწყვეტია, ხოლო რაც შეეხება სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებს, აქ პარტნიორ კომპანიებსა და ცალკეულ პიროვნებებს შორის ისევ აღრინდელი მეგობრული დამოკიდებულებებია, რაც ხელს არ უშლის მათ საქმიან გარიგებებს, სამეცნიერო ურთიერთობებს და მენტალური ინტეგრაციის შესაძლებლობებს.

III. პოლიტიკური რისკების ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორად უნდა ჩაითვალოს ის, რომ, როგორც აზერბაიჯანის, ასევე სომხეთის საზოგადოების უმეტესობას მიაჩნია, რომ ხელისუფლებამ უნდა შეძლოს პირველ რიგში პოლიტიკური კრიზისების ლოკალურ ჩარჩოებში მოგვარება, ხოლო თუ ეს არ ხერხდება, მაშინ ასეთ ქვეყნებთან ნებისმიერი მოდელის მიხედვით ეკონომიკური ინტეგრირება შეუძლებელია გარდა ერთისა, რომელიც თანასწორუფლებიანობის პრინციპში მდგომარეობს.

IV. ჩატარებული კვლევის საფუძველზე შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ მენტალობა არ არის მუდმივი ფენომენი და იგი წარმოადგენს საზოგადოების, სოციუმების, ეთნოსების ბუნებასთან, რელიგიასა და კულტურასთან ურთიერთობის შედეგს. მენტალური ინტეგრაცია არ უნდა განიხილებოდეს არც ერთი ამ კომპონენტისაგან განცალკევებით. ამასთან ერთად, მიუხედავად სხვადასხვა რელიგიებისა, საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის მრავალსაუკუნოვანი ახლო მეზობლური ურთიერთობები, უკვე საერთო ტრადიციები და უნარ-ჩვევები მყარ საფუძველს წარმოადგენს მენტალური ინტეგრაციისათვის.

ბოლოს აღვნიშნავთ, რომ, მიუხედავად 70 წლიანი საბჭოური მართვისა და დამასინჯებული „მენტალური მემკვიდრეობისა“, გლობალიზაციის თანამედროვე პერიოდში ცენტრალური კავკასიის რეგიონის ქვეყნებში ნათლად შეიმჩნევა სწრაფვა ახალი ფასეულობებისადმი, ურთიერთობებისადმი, ცოდნის, განათლების, კულტურისა და მენტალური ინტეგრაციისადმი.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. კულტუროლოგია (კულტურის ისტორია და თეორია). გვ. 24. ობ., 2003.
2. ივ. წერეთელი, ქ. პაკიტელაშვილი, „კულტურა და მოდერნიზაცია”. გვ. 11. ობ. 2006.
3. Шадже А.Ю. Феномен кавказской идентичности. - Научная мысль Кавказа, Ростов-на-Дону, № 1 (29), с.36, 2002.
4. Дамения О.Н. Кавказская культурная общность: миф или реальность. – Научная мысль Кавказа, Ростов-на-Дону, №1, с.51, 2002.
5. მ. ბაბუნაშვილი, აურჩაური საქართველოში – რესეპტის იმპერიაში ყოფნისას და მას შემდეგ, ქართული საზოგადოების ტრანსფორმაცია. ობ., 2007.
6. ე. ისმაილოვი, ვ. პაპავა, ცენტრალური კავკასია: გეოპოლიტიკური ეპოდის ნარკვევები, გვ. 81. ობ., 2007.

*Lali Chagelishvili*

*Professor of Tbilisi State University of Economic Relations,  
doctor of economic sciences*

*Lamara Beridze*

*Academic doctor of Economics, Professor*

## MENTAL INTEGRATION POSSIBILITIES IN CENTRAL CAUCASUS

### Summary

Here are discussed aspects of mental development, it's connection with the cultural, political and religious factors. Cultural branches of the region of Central Caucasus are analyzed in historical cut;

It's given a research of mental globalization possibilities in this region. On the basis of analyze, it's designated that the society's culture and mentality grows on the ground of its level of upbringing and education. The more education (and not just a piece of paper about education) is in the society, the more is it's cultural and mental values. And the society like this will always be able to take a grain of kindness from the global relations and to throw off any unacceptable phenomenon with ease. Cultural diversity in the global space doesn't mean the absorption of national culture. On the contrary, in the educated society it's considered to be the helping factor of the mentality. Despite the 70 years of Soviet governing and disfigured "mental legacy", in the modern period of globalization, there is clearly observed an aspiration for the new values, relations, knowledge, education, culture and mental integration in the countries of Central Caucasus.

## მკონოგეთრიგა

**ლია თოთლაძე**  
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი  
პაატა გუბენშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის  
უფროსი მეცნიერთანამშრომელი

### 06 ფლატის მკონოგეთრიგული მოდელირების მეთოდოლოგიური საკითხები

არსებობს ურთიერთდაკავშირებულ მაკროეკონომიკურ მაჩვენებელთა სისტემა, რომელიც იძლევა ეკონომიკის განვითარების ეფექტუანტობის შეფასების საშუალებას. მათ რიცხვს განეკუთვნება ინფლაცია და მასზე ზემოქმედი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები. მათ შორის დაბალანსებული დამოკიდებულების არსებობა წარმოადგენს მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის უზრუნველყოფის პირობას, განსაკუთრებით ტრანსფორმირებადი ეკონომიკისათვის.

ინფლაცია უმნიშვნელოვანესი მაკროეკონომიკური მაჩვენებელია, რომლის დინამიკაც არსებით ზეგავლენას ახდენს მთლიანად ეკონომიკაზე. ზოგადად, ინფლაციური პროცესი მსოფლიოს ყველა ქვეყნისათვის დამახასიათებელი მოვლენაა. მნიშვნელოვანი ის არის, რა რაოდენობრივი გამოხატულება აქვს მას. როდესაც ვსაუბრობთ საქართველოში ინფლაციური პროცესების ძირითადი კანონზომიერებების დადგენაზე, უნდა გავითვალისწინოთ ის სპეციფიკა, რაც გარდამავალ ეკონომიკას ახასიათებს. ინფლაციის ანალიზი გვიჩვენებს, რომ იგი ცუდია არა მარტო როგორც თავისთვად პროცესი, არამედ ფასების მომავალი დონის განუზღვრელობის გამო. როგორც წესი, რაც უფრო მაღალია ინფლაციის ტემპი, მით მეტია განუზღვრელობა.

ინფლაციის, როგორც პროცესის შესწავლა კომპლექსურად, მისი ცვლილების კონიუნქტურის ანალიზის საფუძველზე, წარმოადგენს მეტად აქტუალურ საკითხს. ინფლაციის, როგორც დამოუკიდებელი მაკროეკონომიკური მაჩვენებლის, განხილვა არ იქნებოდა სწორი. მისი ვარიაცია დამოკიდებულია მთელ რიგ ფაქტორებზე, რომელთა ცვლილებაც განაპირობებს ინფლაციის დინამიკის ცვლილების ტენდენციას.

ინფლაციური პროცესების შესწავლა, უცხოური და სამამულო ლიტერატურის გათვალისწინებით, გვიჩვენებს, რომ არსებობს მთელი რიგი მონეტარული და არამონეტარული ფაქტორები, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ ინფლაციის დინამიკაზე. მათ შორის აღსანიშნავია: ეროვნული ვალუტის კურსი; ეროვნული ბანკის რეზინანსირების განაკვეთი; მონეტარული აგრეგატები; სამრეწველო პროდუქციაზე მწარმოებელთა ფასების ინდექსი; ფასები ელექტრომატარებლებსა და საწვავზე; ფასების დინამიკა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებზე; სამრეწველო წარმოების მოცულობა; ნომინალური საშუალო ხელფასი; ბიუჯეტის დეფიციტი.

სწორედ ამ ფაქტორთა გათვალისწინება ინფლაციურ პროცესთა ანალიზის დროს უფრო სრულყოფილსა და ეფექტურს გახდის არა მარტო ინფლაციური პროცესების შეფასებას, არამედ მომავალი პერიოდისათვის საპროგნოზო მაჩვენებლების განსაზღვრას.

ინფლაციის რეგულირება წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტულ მიზანს. მისი აქტუალობიდან გამომდინარე, მეცნიერებული მიზანი ინფლაციის მოდელირების საქმაოდ ბევრი მცდელობა იყო. უნდა აღინიშნოს, რომ ინფლაციის ფენომენის ახსნისას მკვლევარები მიდიან პოლიტიკურად განსხვავებულ დასკვნებამდე. ინფლაციური პროცესების ნებისმიერი კონცეფცია, ნებისმიერი ახსნა გულისხმობს ეკონომიკური პოლიტიკის რიგ დონისძიებებს. უმთავრესი კი არის ის, რომ ინფლაცია განხილული უნდა იქნეს ძირითად მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებთან კავშირში.

XX საუკუნის 90-იან წლებში საქმაოდ პოპულარული იყო ფედერალური სარეზერვო სისტემის თანამშრომელთა ო. პოლმანის, რ. პორტერისა და დ. სმოლის მიერ შემუშავებული ე. წ.  $P^*$  მოდელი[6]. ამ მოდელის თეორიულ საფუძველს წარმოადგენს  $MV \equiv PY$  იგივეობა. ამ იგივეობის მიხედვით განისაზღვრება ფასების წონასწორი დონე ( $P^*$ ), რომელიც ტოლია

$$P^* = \frac{M}{Y^*} \cdot V^*,$$

სადაც  $Y^*$  ქვეყნის საწარმოო პოტენციალის სრული გამოყენებით მიღებული პროდუქტის გამოშებაა,  $V^*$  - ფულის “ნორმალური” (სანგრძლივი პერიოდისათვის საშუალო) ბრუნვის სიჩქარე. ეს იგივეობა სრულად შეესაბამება ნეოკლასიკურ კონცეფციას, რომლის მიხედვითაც ფასების დონე მიმოქცევაში არსებული ფულის პირდაპირპორციულია.

სხვაობა ფასების წონასწორ და ფაქტობრივ დონეებს შორის (**price gap**) განსაზღვრავს სწორედ ფასების ფაქტობრივი დონის ცვლილებას: თუ  $P^* > P_t$  მოსალოდნელია ინფლაციის დაჩქარება, ხოლო როცა  $P^* < P_t$  მისი ტემპის შენელება. ეს დასკვნა დამყარებულია იმ დაშვებაზე, რომ ყველა ფაქტორი, რომელიც იწვევს ინფლაციის ფაქტობრივი დონის გადახრას მისი წონასწორი მნიშვნელობიდან, ვლინდება შემდეგი უტოლობებით  $Y_t \neq Y^*$ ,  $V_t \neq V^*$ . რადგანაც სახელმწიფის ეკონომიკური პოლიტიკა და საბაზრო მექანიზმი ეროვნულ მეურნეობას უბიძებს სრული დასაქმებისაკენ (ამ შემთხვევაში  $Y_t \rightarrow Y^*$ ,  $V_t \rightarrow V^*$ ), წარმოიქმნება ამ სხვაობის დაფარვის ტენდენცია.

მიუხედავად მოცემული მოდელის სიმარტივისა და ნეოკლასიკური წარმოშობისა, მასში, მონეტარულთან ერთად, გათვალისწინებულია ინფლაციის არამონეტარული ფაქტორებიც. ფულის მოცემული რაოდენობის პირობებში თანაფარდობა ფასების წონასწორ და ფაქტობრივ დონეებს შორის შეიძლება წარმოვადგინოთ თანაფარდობად საწარმოო სიმძლავრეების გამოყენების ხარისხისა საშინაო მეურნეობების “შევსების” ხარისხთან, თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ  $V^*$  შეესაბამება ფულზე მოთხოვნის ნორმალურ მოცემობას:

$$\frac{P^*}{P_t} = \frac{Y_t}{Y^*} \cdot \frac{V_t}{V^*}$$

წარმოების დანახარჯების, იმპორტის დირებულების და საგადასახადო განაკვეთების ცვლილება აისახება საწარმოო პოტენციალის გამოყენების ხარისხზე. სუფთა მონეტარულ მოვლენად ინფლაცია გვევლინება მხოლოდ მაშინ, როცა  $Y_t = Y^*$ ,  $V_t = V^*$ .

ინფლაცია მრავალფაქტორული მაჩვენებელია, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი ფორმირების პროცესზე მრავალი მოვლენა მოქმედებს. შეუძლებელია სახელმწიფოს მხრიდან ინფლაციის რეგულირება იმ მოვლენათა და ფაქტორთა გათვალისწინების გარეშე, რომლებიც განაპირობენ ინფლაციის ვარიაციას. ეკონომიკაში მიმდინარე პროცესების ანალიზი საშუალებას იძლევა შესწავლილ იქნეს და შეფასდეს ინფლაციის პროცესი. შეფასდეს მასზე ზემოქმედ ფაქტორთა ზეგავლენის ხარისხი. ზეგავლენის გაზომვა და შემდგომი ოპტიმიზაცია შესაძლებელს გახდის შემუშავდეს ინფლაციის რეგულირების დონისძიებათა სისტემა. ინფლაციის ეკონომიკტრიკული მოდელირების პროცესში მნიშვნელოვანია განისაზღვროს სწორედ მაჩვენებლები, რომლებიც მნიშვნელოვანწილად განაპირობებენ ინფლაციურ პროცესებს. ამავდროულად, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ზოგიერთი მათგანის რაოდენობრივი გამოსახვა შეუძლებელია, თუმცა მათი გავლენა ინფლაციაზე შესაძლებელია ძალიან დიდიც იყოს.

უნდა აღინიშნოს რომ, ინფლაციურ პროცესთა ანალიზის თვალსაზრისით შესაძლებელია სხვადასხვა მაჩვენებლის გამოყენება. მათ რიცხვს განეკუთვნება მშპ დეფლატორი, სამომხმარებლო ფასების ინდექსი, ცხოვრების ღირებულების ინდექსი. ამ მაჩვენებლებს განსაზღვრული ეკონომიკური შინაარსი, ღირსება და ნაკლოვანებები გააჩნია. ინფლაციურ პროცესთა მოდელირების დროს უკელაზე ხშირად გამოიყენება სამომხმარებლო ფასების ინდექსი. იგი წარმოადგენს ფასების ცვლილების საკმაოდ თვალსაზრისი მაჩვენებელს. ინფლაციის ეკონომეტრიკული მოდელირებისას მნიშვნელოვანია სწორად განისაზღვროს იმ ფაქტორთა წრე, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ ინფლაციურ პროცესებზე. მეცნიერ-მკლევართა შორის არ არსებობს ერთმნიშვნელოვანი დამოკიდებულება ამ საკითხისადმი.

ზოგიერთი მათგანი განიხილავს მხოლოდ მონეტარულ ფაქტორთა გარეულ ჯგუფს. მაგალითად, ა. მაკედონსკის მიერ აგებულ ინფლაციის ეკონომეტრიკულ მოდელში [7] დამოუკიდებელ ფაქტორ-ცვლადებად განიხილავა ფულის მასა (აგრეგატი M0), სავალუტო კურსი და საბიუჯეტო სისტემის დეფიციტი (ინფლაციურ პროცესებზე ფულის მასის ზეგავლენის შეფასების თვალსაზრისით შესაძლებელია განხილულ იქნეს როგორც M0, ასევე M2 მაჩვენებელიც, მაგრამ იმდენად, რამდენადაც ეს მაჩვენებლები მჭიდრო კორელაციურ კავშირში იმყოფებიან, მიზანშეწონილია ერთ-ერთი მათგანის ჩართვა მოდელში. მკლევართა მიერ ხშირ შემთხვევაში გაითვალისწინება M0 მაჩვენებელი, რაც განპირობებულია ინფლაციის მაჩვენებლად სამომხმარებლო ფასების ინდექსის გამოყენებით. მიმოქცევაში არსებული ნაღდი ფული უშუალო შეხებაშია სამომხმარებლი ფასებთან).

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი მკლევარის აზრით, ბიუჯეტის დეფიციტი ინფლაციასთან მიმართებაში განხილული უნდა იქნეს მხოლოდ, როგორც თვისებრივი მაჩვენებელი, ვინაიდან არ არსებობს მჭიდრო კორელაციური კავშირი ინფლაციასა და ბიუჯეტის დეფიციტს შორის. ბიუჯეტის დეფიციტურობა გარდამავალი ეკონომიკისათვის დამახასიათებელი თანამდევი მოვლენაა. ზოგ შემთხვევაში იგი გვევლინება ინფლაციის წყაროდ. თუმცა ინფლაციის დამოკიდებულება დეფიციტურ ბიუჯეტზე განიხილება უფრო “ხარისხობრივ” ან “თეორიულ” დონეზე. სხვადასხვა ეკონომიკური ფაქტორების ინფლაციაზე ზეგავლენის რაოდენობრივი შეფასება ხშირ შემთხვევაში ამ მაჩვენებლის გათვალისწინების გარეშე ხდება.

ა. მაკედონსკიმ ააგო მრავლობითი წრფივი რეგრესიული მოდელი ზემოაღნიშნულ ფაქტორთა გათვალისწინებით, რომელიც მოიცვდა ათწლიან პერიოდს. აღნიშნული მოდელის გათვლების შედეგად ინფლაციაზე ზემოქმედ უკელაზე მნიშვნელოვან ფაქტორად გამოვლინდა სავალუტო კურსი, ვინაიდან ამ გათვლებით უკელაზე მჭიდრო კორელაცია სწორედ ამ ფაქტორებს შორის დაფიქსირდა.

ინფლაციურ პროცესთა ეკონომეტრიკული ანალიზისას უკრადდება უნდა გამახვილდეს მიზეზშედეგობრივ კავშირებზე ინფლაციასა და მის გამომწვევე ფაქტორებს შორის. ეს იმითავ განპირობებული, რომ ზოგ შემთხვევაში ეს კავშირები არა მხოლოდ პირდაპირია, არამედ ორმხრივიც. მაგალითად, ინფლაციასა და სავალუტო კურსის დინამიკას შორის კავშირი არაერთგვაროვანია და თუ სავალუტო კურსის ვარიაცია ინფლაციურ პროცესთა პროვოცირებას იწვევს, თავის მხრივ, ინფლაციაც მოქმედებს სავალუტო კურსზე.

ამავდროულად, გათვალისწინებულ იქნა დროითი ლაგის საკითხი. არსებობს დროითი ლაგი ფასების დონის ნაზრდასა და ფულის მასის ნაზრდს შორის. იგი შეიძლება იყოს რამდენიმე თვითი (1-დან 6 თვემდე). არ არსებობს ცალსახა განსაზღვრა თუ როგორია ეს პერიოდი ზუსტად. თუმცა არსებობს პიოროგზა, რომლის მიხედვითაც, რაც უფრო მცირეა ინფლაცია, მით უფრო

გრძელია დროითი დაგი. რაც უფრო მაღალია ინფლაცია, მით უფრო მოკლეა იგი.

ინფლაციური პროცესების ანალიზის დროს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ქვეყანაში არსებული საშუალო ხელფასი, მაჩვენებელი, რომელიც გამოხატავს შრომის ანაზღაურების საშუალო სიდიდეს. ამიტომ, ინფლაციის ეკონომეტრიკულ მოდელში ზოგ შემთხვევაში ამსხნელ ცვლადად შესაძლებელია ეს მაჩვენებელიც ჩაირთოს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ არ არსებობს ერთიანი მიღვომა, თუ რამდენადაა საშუალო ხელფასი ამსხნელი ფაქტორი ინფლაციის მოდელირების პროცესში. ზოგი ეკონომისტი მას უმნიშვნელო ფაქტორად მიიჩნევს, ზოგიერთი კი საკმაოდ წონად მაჩვენებლად. ა. ციპლაკოვის მიერ აგებულ ინფლაციის ეკონომეტრიკულ მოდელში [12] ამსხნელ ცვლადებად განხილულია ფულის აგრეგატები (როგორც M0, ასევე M2), საშუალო ხელფასი და ვალუტის ჯურსი. ამ მოდელის გათვლის შედეგად გამოვლინდა, რომ ყველაზე აღმასატური ფაქტორი აღმოჩნდა საშუალო ხელფასის დონე.

უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომეტრიკული მოდელირების პროცესში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეტაპს სტატისტიკური ინფორმაციის ანალიზი წარმოადგენს. მოდელირების შედეგები დიდადაა დამოკიდებული ინფორმაციის საიმედოობასა და სისტორებზე. საქართველოში, სტატისტიკური ინფორმაციის საიმედოობის თვალსაზრისით, დღეს არსებული მდგომარეობა ნაკლებად იძლევა იმის საშუალებას, რომ ინფლაციურ პროცესთა ეკონომეტრიკული მოდელირებით საინტერესო და პრაქტიკული თვალსაზრისით ღირებული შედეგები იქნება მიღებულ. თუმცა შევეცადეთ, ჩვენს ხელთ არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით აგვეგო ინფლაციის მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე (საშუალო ხელფასი, ფულის აგრეგატი M0, საგალუტო კურსი) დამოკიდებულების მრავლობითი რეგრესიის მოდელი. კვლევის პერიოდი მოიცავდა 1996-2008 წლებს. ამავდროულად, გავითვალისწინეთ დროითი დაგის საკითხი და მონაცემები ავიდეთ დროში ერთი თვის წინმსწრები პერიოდისათვის. ინფლაციის მოდელირებისათვის გამოყენებულ იქნა SPSS პროგრამა. მოდელირების შედეგები კიდევ ერთხელ ადასტურებს მოსაზრებას ინფლაციის მრავალფაქტორულობის შესახებ. დეტერმინაციის კოეფიციენტის მნიშვნელობა იმის მტკიცების საშუალებას იძლევა, რომ, ამ ფაქტორთა გარდა, ინფლაციურ პროცესებზე გავლენას ახდენდა სხვა (მათ შორის არამაკროეკონომიკური ბუნების) ფაქტორებიც.

ინფლაციასა და მის განმაპირობებებულ ფაქტორებს შორის კავშირების რაოდენობრივი შეფასება საშუალებას მოგვცემს, განხოგადდეს და კორელაციურდეს გავრცელებული დასკვნები ინფლაციის ბუნებისა და მექანიზმის შესახებ.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. **Бункина М.К., Семенов А. М.** Основы валютных отношений. Москва, ЮРАИТ, 2000.
2. **Гайгер Л.Т.** Макроэкономическая теория и переходная экономика. Пер. с англ.-М.: "ИНФРА-М", 1996.
3. **Илларионов А.** Инфляция и экономический рост. - ж. "Вопросы экономики", №8, ст. 91, 1997.
4. **Кремер Н. Ш., Путко Б. А.** Эконометрика. Москва, ЮНИТИ, 2002.
5. **Лившиц А.** Инфляция (краткий курс) - ж. "Российский экономический журнал", №4, ст. 118-129, 1992.
6. **Линдерт Г.** Экономика мирохозяйственных связей. Москва, 1992.
7. **Македонский Ф. С.** Моделирование инфляции в России в 1992-2002 гг. Москва. 2004.
8. **Моисеев С.Р.** Инфляция: Современный взгляд на вечную проблему. – М.: ООО «Маркет ДС Корпорейшн», – 228с. – (Академическая серия). 2004.

9. Райская Н.Н., Сергиенко Я.В., Френкель А.А. Инфляционные процессы в России (1992-1999гг) тенденции, факторы. М.: ЗАО "Финстатинформ", 2001.
10. Уотшем Т.Дж., Паррамоу К. Количественные методы в финансах. Москва, "Финансы", 1999.
11. Фридмен М. Количественная теория денег. Пер. с англ. -М.: "Эльф пресс", 1996.
12. Цыплаков А.А. Эконометрический анализ процессов высокой инфляции (на примере России). Автореферат на соиск. ст. Кандидата экономических наук. Новосибирск. 1998.
13. Hopkins J. The Theory of Money. London, 1998.
14. Inflation Targeting in Practice: Strategic and Operational Issues and Application to Emerging Market Economies. Ed. by Blejer M. and others.- Washington: IMF, 2000.

*Lia Totladze*  
*Academic Doctor of Economics*  
*Senior Scientific Worker of Paata Gugushvili Institute of Economics*

## **METHODOLOGICAL ISUUES OF ECONOMETRICAL MODELLING OF INFLATION**

### **Summary**

Among other macroeconomic indices of inflation and country development a balanced relationship is the prerequisite of successful development of economy. Hence, the study of quantitative aspects of inflation mechanism by means of econometric modeling of inflation processes is very actual.

In economic literature there exist econometric models of inflation offered by various scientists, which describe qualitative links among inflation and such macroeconomic indices as: mass of money, exchange rate, budget deficit, average wage.

## რეგიონული ეკონომიკა

მურმან ქარაცხელია  
ემდ, პროფესიონალი

### მთის რეგიონის აღორძინების პრობლემები სამართველოში ბლოგალიზაციის პირობებში

საქართველო ოვისი ზედაპირის ხასიათით და რელიეფის ფორმით მეტად მრავალფეროვანია, რაც მის უნიკალურობაში ვლინდება. მაღალმთიანი რელიეფის წილად მოდის ქვეყნის საერთო ფართობის 20%. ამასთან, საშუალო მთიან რელიეფზე მოდის საერთო ფართობის 1/3, დაბალმთიანი რელიეფის წილად კი – 1/4. ვაკე-დაბლობებსა და მთისწინეთის გორაკ-ბორცვებს 23%-ზე მეტი უკავია [1, 43]. აქედან გამომდინარე, ცხადია, გლობალიზაციის პროცესში დიდი უკრადვება უნდა დაეთმოს მთის დიდი უკონომიკური პოტენციალის ეროვნული გაონომიკის სამსახურში ჩაყენებას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქვეყნის მასშტაბით სწორი ეკონომიკური სტრატეგიის ჩამოყალიბება. დღევანდელი ხელისუფლების პირობებში, როდესაც ყველაზე ძირფასი ეროვნული კაპიტალი – მიწა ყიდვა-გაყიდვის ობიექტი ხდება, მნელია ამ სტრატეგიაზე საუბარი, მაგრამ არც უთქმედობა ივარგებს. მართალია, ქვეყნა მრავალფეროვნებით გამოირჩევა, მაგრამ მხოლოდ დედაქალაქის მეგაპოლისად გადაქცევა საქმეს ნაკლებად უშევლის. მხედველობაში გვაქს რეგიონების და, განსაკუთრებით, მთიანი რეგიონის ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ პრიორიტეტულ სტრატეგიად გამოცხადება. უნდა ითქვას, რომ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ეს გლობალური საკითხი მეტად მნიშვნელოვანია დღეს, როდესაც ყველაზე მეტად დეფორმირებულია მისი სამეცნიერო სპეციალიზაცია და სტრუქტურული პოლიტიკა.

ქვეყნის მთიანი ნაწილის აღორძინების პრობლემის გადაჭრა ისეთი საერთო ეროვნული პოლიტიკური საკითხია, რომელ ზედაც ბევრადაა დამოკიდებული არა იმდენად ჩვენი აწმეო, რამდენადაც მომავალი. უკვე დროა, სწორი საერთო-ეროვნული სტრატეგია გამოვიმუშაოთ მთიანი რეგიონების მიმართ. დღევანდელი გადასახელიდან დიდი შეცდომა იქნა დაშვებული თავის დროზე, როდესაც მთის მოსახლეობის ბარში ჩამოსახლების სტიმულირება ხდებოდა. ეს არასწორი სახელმწიფო პოლიტიკით იქო განპირობებული, რისი უარყოფითი შედეგები დღეს უკვე სახეზეა.

უნდა ითქვას, რომ საქართველოს მთის რეგიონების მართლაც რომ გასაოცარი საერთო-ისტორიული, სოციალურ-კულტურული თუ ფსიქიკურ-ეკოლოგიური მრავალფეროვნება მისი პრობლემებისადმი მეტად დიდ პასუხისმგებლობას, მოქნილ და დიფერენცირებულ მიღებას მთითხოვს. აქ მთავარია სპეციალური სამეცნიერო პროექტების შემუშავება. სამწუხაროდ, დღეს ხელისუფლება ნაკლებად ზრუნავს ამ უნიკალური მთიანი რეგიონების პოპულარობისათვის. მარტო ერთი კუთხით ტურიზმის განვითარებისთვის ზრუნვა დიდ შედეგებს არ მოგვიტანს. აქ საჭიროა ინექსტრუქტან ერთობლივად სპეციალური სამეცნიერო პროექტების შემუშავება, მათი დაინტერესება მოგების მიღებაში.

ჩვენი აზრით, ძირეულ გადასინჯვას მოითხოვს აგრეთვე ასეთი მაღალი კაპიტალდაბანდებით დაწყებული გზების სამუშაოებიც. ზამთრის მკაცრ პირობებში გზები არასაიმედო და არაეფექტურიანია ექსპლუატაციაში, დიდად მატერიალურ და ფინანსურ სახსრებს მოითხოვს. თანამედროვე ტრანსპორტს ასეთი გზები ვერ მოემსახურება, გამოსავალი, ჩვენი აზრით, ამ პრობლემის კომბინირებულ გადაწყვეტაშია საძიებელი. იქ, სადაც რელიეფი ამის საშუალებას იძლევა, შეიძლება გავიანილ იქნეს თანამედროვე ავტომაგისტრალებიც, მაგრამ მნელად მისადგომ როტერ რელიეფის პირობებში კურსი უნდა აგილოთ სპეციალურ სამთო-სავიაციო ტრანსპორტსა და განსაკუთრებით კი საბაგირო გზების

მრავალგანშტოებიანი სისტემის შექმნაზე, რომლის გამოცდილებაც დიდია მსოფლიოს მთიან ქვეყნებში.

ვფიქრობთ, ქვეყნის ოვითდაცლის პროცესი, რომელიც დემოგრაფიული სიტუაციის გაუარესების ხელშემწყობი ფაქტორიცაა, ყველაზე მტკიცნეულად დაუძლურებულ, სისხლდაცლილ მთის რეგიონებს ეხება. მისი აღორძინების პროცესების სერიოზული დაწყება ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის წინსვლის გარანტიაც არის.

ჩვენი აზრით, უპრიანი იქნება ორ სრულიად განსხვავებულ ეპოქებს შორის პარალელების გავლება. ეს განსაკუთრებით ეხება მე-20 საუკუნის 30-40-იან წლებს, როდესაც საქართველოში აქტიურად დაიწყო ეჭ. „სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის“ განხორციელება და მის შედეგად კი ურბანიზაციამ ერთიანად დაცალა და გააუქაცრიელა მთა. სამწუხაროდ, დღევანდელ პერიოდში გატარებული „ტოტალური პრივატიზაციის“ პოლიტიკა უარესს თუ არა იმავე პოლიტიკას უწყობს ხელს. მაშინდელი სახელმწიფო ხელისუფლება იმითაც უცხადებდა სოლიდარობას ამ დამდუპველ პროცესს, რომ ერთიანად მოიშალა მთის ტრადიციული სამეურნეო დარგები და ცხოვრების წესი, ძველი თემების ადაოზესები. ეს ხომ ქართული მთის ცხოვრების წესის მოშლაა, მისი სამეურნეო და ყოფაცხოვრებითი ტრადიციების გადაგვარებაა, მე-20 საუკუნის საქართველოს საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი ტრაგიული მოვლენაა და მისი შედეგების ლიკვიდაცია და მთის აღორძინება ახალი, ოცდამეტრთე საუკუნის საქართველოს ერთ-ერთი დიდი სტრატეგიული სოციალურ-ეკონომიკური, დემოგრაფიული და ეკოლოგიური ამოცანა გახდა.

ისტორიულად მთას უდიდესი ფუნქცია აკისრია საქართველოს გადარჩენის საქმეში. ნიშანდობლივია ისიც, რომ საერთო-ისტორიული თვალსაზრისით, მთის რეგიონის მნიშვნელობა არა მარტო მისი მასშტაბურობით განიზომება, არამედ, პირველ რიგში, იმით, რომ ქვეყნის საზოგადოებრივ-ეკონომიკურ განვითარებაში მას ოდითგანვე პირველსარისებრივი როლი ეკისრებოდა. მთა ქართველი კაცის მარჩენალიც კი იყო. ასევე მე-19 საუკუნის ჩათვლით, მთა იყო მეცხოველეობის პროდუქტებით მომარაგების მირითადი წყარო. ამასთან, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ერთ-ერთი გადამწყვეტი სწორედ მთის ფაქტორი იყო, რომ ჩვენი მოსახლეობა ხიზებად არ იქცენ სხვა ქვეყნებში. მართალია, დღეს მთის რეგიონს ვერ მოვთხოვთ აქტიური სამეურნეო განვითარების ფუნქციის შესრულებას, მაგრამ ისიცაა საფიქრებელი, რომ, უახლოესი თუ შორეული მომავლის თვალსაზრისით, მთას კიდევ შეუძლია მწირი ტერიტორიების პირობებში დიდი სამსახური გაუწიოს ქვეყნას. ამიტომ, გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ არა მარტო წმინდა სოციალურ-ეკონომიკური, არამედ საერთო-ისტორიული პერსპექტივის თვალსაზრისითაც, მთის რეგიონის აღორძინება ერთ-ერთ საერთო ეროვნულ პრობლემად უნდა ჩაითვალოს გლობალიზაციის პირობებში.

თანამედროვე მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესის ეპოქაში რეგიონების აღორძინებისა და განვითარების პრობლემა უნდა გადაწყვდეს. ამისათვის მატერიალურ-ტექნიკური და სხვა საშუალებების გამონახვა იმდენად მნელი არ იქნება, ვიდრე ქვეყნის ხელისუფალთა პოლიტიკური ნება. ეს გამოვლინდება საკითხისადმი კომპლექსურ მიღვომასა და ერთიანი გლობალური პოლიტიკის შემუშავებაში. მისი მიზანი შეიძლება გამოიკვეთოს, უპირველეს ყოვლისა, მთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფაში. სათანადო სამართლებრივი ბაზის საფუძველზე უნდა დარეგულირდეს მოსახლეობის სტიქიური თუ იძულებითი მიგრაცია, რაც გულისხმობს ამ რეგიონებიდან დაცლილი და ნახევრად დაცლილი სოფლებისა და თემების აღორძინებას. ეს გამოიწვევს ადგილობრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებას და ამის საფუძველზე წარმოების განვითარებასა და მოსახლეობის დასაქმების დონის ზრდას. აქვე მნიშვნელოვანია თვითმყოფადი ლანდშაფტებისა და ეკოსისტემების შენარჩუნება და მავნე ზემოქმედებისაგან დაცვა.

გარდა ამისა, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანია მეურნეობის თუ რომელ სახეობებს უნდა მიენიჭოს უპირატესობა. პირველ რიგში უნდა განვითარდეს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ისეთი სახეები, როგორიცაა მემარცვლეობა (ეს დარგი, და განსაკუთრებით, მისი წმინდა ქართული ენდემური ჯიშები, დღეს გადაშენების პირასაა მისული. საუკუნეების განმავლობაში ჩვენი წინაპრების მიერ გამოყვანილი ხორბლის უამრავი ჯიში დღეს სხვა ქვეყნების საკუთრებად ცხადდება, რაც ყოვლად დაუშვებელია და დიდ დაფიქრებას მოითხოვს. მისი აღორძინება და განვითარება კი ეროვნული საქმეა, რასაც მომავალი თაობა მადლიერებით დააფასებს), მეცხოველეობა, მებოსტნეობა, მეხილეობა, მეფუტქრეობა, თვეზის მოშენება, სამონადირეო და სატელ მეურნეობა. აქვე უნდა განვითარდეს სამრეწველო წარმოება. პირველ რიგში კი უნდა მოხდეს ადგილობრივი ბუნებრივი სიმდიდრის ათვისება ბუნების მდგრადი განვითარების პრინციპების დაცვით, შინამრეწვის (ეს განსაკუთრებულ პრიორიტეტად მიგვაჩინა მთის რეგიონებში ტრადიციული წარმოების აღორძინების თვალსახრისით), განახლებადი ენერგეტიკის და განსაკუთრებით, მცირე სიმძლავრის პიდროვლებქროსადგურების მშენებლობა. გარდა ამისა, უდიდესი კურადღება უნდა მიექცეს როგორც სტრატეგიულ დარცს საქართველოში – ტურიზმისა და საკურორტო და რეკრეაციული მეურნეობის განვითარებას.

მთის რეგიონისათვის მტკიცე სამეურნეო ფუნქციის დასამკვიდრებლად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ასეთივე მტკიცე და, ამასთან, მუდმივად განვითარებადი ენერგეტიკული ბაზის შექმნას. ამ მნიშვნელოვან სფეროში ბევრი პრობლემაა. მათ გადასაჭრელად გამოსავალის ძებნა მცირე მასშტაბის ლოკალური პიდროვლებქროსადგურების მშენებლობაა, რისთვისაც ხელსაყრელი ბაზაა მთის სწრაფი მდინარეები. ამ მხრივ ბოლო წლებში რიგი ნაბიჯები გადაიდგა სხვადასხვა პროექტების რეალიზაციის ხაზით, მაგრამ ჯერჯერობით მთის რეგიონებში საქმე წინ არ წაწეულა.

საქართველო, როგორც მცირემიწიანი ქვეყანა, დღვევანდელ პირობებში მოითხოვს მის სრულფასოვან ათვისებას ისევ და ისევ ქართველი ხალხის მიერ. სახელმწიფოებს შორის თავისუფალმა მიმოსვლამ ბევრი პრობლემა სააშ-კარაოზე გამოიტანა. ფინანსური რესურსების სიმწირის გამო ჩვენი ქვეყნის მოქალაქეები საზღვარგარეთ მიდიან სამუშაოს საძენებლად, რაც მთავრდება იმით, რომ, ხშირ შემთხვევაში, ეს ადამიანები იმ ქვეყნის მოქალაქეები ხდებიან და, ფაქტობრივად, ჩვენი ქვეყნისათვის დაკარგულად ითვლებიან. ეს კი დემოგრაფიული სიტუაციის კიდევ უფრო გაუარესებას იწვევს.

მთის სოციალურ-ეკონომიკური აღორძინება საქართველოში ტურიზმის განვითარების მოთხოვნებსაც მოიცავს. ეს დარგი შეიძლება სტატეგიულად ჩაითვალოს და იგი, სპორტთან ერთად, სახელმწიფოებრივი და ეროვნული პრესტიჟულობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საზომი ხდება. იგი არა მარტო კულტურულ-ინტელექტუალური ფაქტორებით განიზომება, მას მნიშვნელოვანი ეკონომიკური დანიშნულებაც გააჩნია. ტურიზმის კლასიკური ქვეყნების თანამდებობები განვითარების მაჩვენებლები თვალისწილივ ცხადყოფს ამას.

გლობალიზაციის შეუქცევადმა პროცესებმა მრავალი მნიშვნელოვანი პრობლემის წინაშე დააყენა კაცობრიობა. ეს ეხება, უპირველეს ყოვლისა, ეკოლოგიისა და დემოგრაფიის საკითხებს. აქ ჩვენ, პირველ რიგში, მხედველობაში გვაქს საქართველოს მთის პრობლემები, რომელთა კვლევა და გადაწყვეტა შეუძლებელია ეკოლოგიური და დემოგრაფიული პრობლემების გაუთვალისწინებლად. მიწის სავარგულების საერთო მდგრამარეობით საქართველო კულაზე არასახარბიერებით მდგრამარეობაში იმყოფება: ჩვენთან მოსახლეობის სიმჭიდროვე 6-ჯერ მეტია, მაშინ, როცა სახნავი მიწების ფართობი ასევე 6-ჯერ ნაკლებია პოსტსაბჭოური სივრცის საშუალო მაჩვენებლებზე. და რაც უფრო მთავარი და დამაფიქრებელია: მიწის ფართობი ყოველწლიურად მცირდება ზღვის, მდინარეების, ნიაღვრებისა და ღვარცოფების, სულ უფრო კლებადი ტყის მასივებისა (რა თქმა უნდა, მარტო მისი გაყიდვა-გასხვისება არ გვაქს მხედველობაში) და

მწვანე საფარის, გვალვისა და ქარის უარყოფითი ეკოლოგიური ზემოქმედების შედეგად.

განხილული პრობლემა იმის თქმის საშუალებას გვაძლევს, რომ საქართველო გლობალიზაციის პირობებში უამრავი პრობლემის წინაშე დგას. განვლილი ისტორიული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ქვეყნის საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის პერიოდში ეროვნული ეკონომიკის აღორძინების ერთ-ერთ ძლიერ ფაქტორად მთის რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური აღორძინების პრობლემა იქნება.

სახელმწიფოებრივი ეკონომიკური და ფინანსური პროტექციონიზმი აქტიური ხასიათისა უნდა იყოს მთიანი რეგიონების მიმართ. ამან თავისი გამოხატულება უნდა პოვოს ინვესტიციებისა და ადგილობრივი რესურსების გამოყენების წახალისებით ახალი სამუშაო ადგილების შექმნასა და დასაქმების უზრუნველყოფაში, სპეციალური მიზნობრივი პროგრამების დაფინანსებაში, შედავათიანი კრედიტების გაცემასა და გადასახადების შემსუბუქებაში. ყოველივე ეს ამაღლებს მთიანი რეგიონების როლს ქვეყნის საერთო ეკონომიკურ აღორძინებაში.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს გეოგრაფია. თსუ, 2000.
2. ნ. ჭითახავა, ლ. თაკალანძე, სოციალური ეკონომიკა. თბილისი, 2008.
3. მ. კვარაცხელია, ილია ჭავჭავაძე და ეროვნული ეკონომიკა. თბილისი, 2001.
4. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მასალები.

**Murman Kvaratskhelia**  
*Doctor of Economic Sciences, Professor*

## THE PROBLEMS OF THE RESTORATION OF MOUNTAINOUS REGIONS IN GEORGIA IN THE CONDITIONS OF GLOBALIZATION

### Summary

The diversity of relief of Georgia and the importance of usage of the great economical potency of the Mountain in condition of Globalization is considered in the article. The Restoration of Mountainous regions in Georgia is the general national and political question. Historically, a mountain had a great function to save the country, so it will have a main importance in the future too, as in energetic as in development of tourism and resort economy.

## 0633სტიცივა0


გიული ქეშელაშვილი  
კონომიკის აკადემიური დოქტორი  
თხუ ასისტენტ-პროფესორი

### საინვესტიციო პროექტები და სახელმწიფო ინტერესები

ეროვნული ეკონომიკისა და მის ბაზაზე ეროვნული სახელმწიფოს ფორმირების პროცესის გადაწყვეტა მოითხოვს სწორი ეკონომიკური სტრატეგიის დასახვას ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით. ეს უძანასკნელი კი „ჩეენი თავის ჩვენადვე ყედნების“ საფუძველია. გლობალიზაციის პროცესს თან ახლავს მრავალი საფრთხე მსოფლიო და რეგიონული ოქების, ეკოლოგიური კატასტროფის, ფინანსური კრიზისის თვალსაზრისით. ამიტომ, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელებისას, სახელმწიფო ინტერესების დაცვა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანების პროცესია. მსოფლიო სამეცნიერო სისტემაში მომგებიანი ინტეგრირებისათვის სახელმწიფომ უნდა შექმნას განვითარების ინსტიტუტები, რომელებიც მხარს დაუჭირენ ინვესტიციებს ახალ ინიციატიურ პროექტებში, სტიმულს მისცემენ ინიციატიურ აქტივობას, ხელს შუწყობენ პროგრესულ ტექნოლოგიურ ძრებს, რომელებიც გააერთიანებენ ფინანსურ, შრომით და ინფორმაციულ რესურსებს ეკონომიკური ზრდის პერსპექტიულ მიმართულებებზე.


„ინვესტიციები“ ხშირ შემთხვევაში აღიქმება, როგორც კაპიტალის დაბანდება. უცხოურ ეკონომიკურ ლიტერატურაში ინვესტიციები – ეს არის ფულის დაბანდება შემოსავლის ანდა სოციალური ეფექტის მისაღებად, ეს არის ფულადი სახსრები, ფასიანი ქაღალდები, ქონება, რომელსაც აქვს ფულადი დირგბულება, მათი სამეწარმეო სხვა სახის საქმიანობის ობიექტებში ჩადების ქონებრივი უფლება, მოგების სხვა სასარგებლო ეფექტის მიღების მიზნით.

დღევანდელი საქართველოს გეოპოლიტიკურმა მდებარეობამ განაპირობა მისი სატრანზიტო ქვეყანად ჩამოყალიბება. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის საწარმოო პოტენციალის ზრდას და ამ მიმართულებით ჯანსაღი საინვესტიციო კლიმატის შექმნას. 40-ზე მეტ სახელმწიფოსთან ძალაში შევიდა შეთანხმება ინვესტიციების განხორციელებისა და ურთიერთდაცვის შესახებ, მათ შორის არის აშშ, ჩინეთი, გერმანია, იტალია, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი და ა.შ. ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში შეინიშნება ინვესტიციების ზრდის ტენდენციები. იზრდება ინვესტიციების მოცულობა არასახელმწიფო დაფინანსების წერტილის ხარჯზე, შესაბამისად მცირდება სახელმწიფო ინვესტიციების წილი. 2004-2008 წლებში საქართველოში განხორციელებულმა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ შესაბამისად 499,1; 449,5; 1190,4; 2014,8 და 1293,7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (იხ. ნახ.1).



**ნახ.1. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკა საქართველოში 2004-2008 წლებში (მლნ აშშ დოლარი)**


2008 წლის ბოლოსათვის ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად შემცირდა ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების გამო. ამას ცხადყოფს სტატისტიკის დეპარტამენტის 2008 წლის კვარტალური მონაცემები (იხ. ნახ. 2), რომლის მიხედვით, III–IV კვარტალში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა, I–II კვარტალთან შედარებით, დაახლოებით, 7-ჯერ შემცირდა. ამის ერთ-ერთი მაგალითია 2008 წლის შემოღომაზე ყაზახური კომპანია „ყაზმუნაიგაზის“ მიერ 1 მლრდ აშშ დოლარის დირებულების პროექტის დაწყების შეხერგბა, რომელიც 2006 წელს გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, ბათუმში ეკროპული სტანდარტების შესაბამისი ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის აშენებას ითვალისწინებდა.



**ნახ.2. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 2008 წლის კვარტლების მიხედვით (მლნ აშშ დოლარი)**

ეკონომიკური რეფორმების გატარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციები და დონორი ქვეყნები. დონორ ორგანიზაციებს შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია, მსოფლიო ბანკი, ევროკავშირი, ევროპის საბჭო, აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტო, ამერიკის საერთაშორისო ჯანმრთელობის კავშირი, დიდი ბრიტანეთის საერთაშორისო განვითარების დეპარტამენტი, შვედეთის საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების სააგენტო, კანადის საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების სააგენტო, ექიმები საზღვრებს გარეშე, დია საზოგადოების ინსტიტუტი, გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია, გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკი, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია.

საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ საქართველოში განხორციელებულმა პირდაპირმა ინვესტიციებმა 2006-2008 წლებში შესაბამისად 8,7; 14,3; და 22, 2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (იხ. ნახ. 3). ინვესტიციების დიდი ნაწილია ჩადებული საწარმოთა რეკონსტრუქციასა და ტექნიკურ გადაიარაღებაში ისეთ დარგებში, როგორიცაა ელექტროენერგეტიკა, გადამმუშავებელი მრეწველობა, ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა. ენერგეტიკის სფეროში ინვესტორების დახმარებით ხორციელდება პროექტები, რომლებიც ითვალისწინებს ელექტროსადგურების სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებას. კავშირგაბმულობის სფეროში განხორციელებულმა სამუშაოებმა უზრუნველყო მუდმივი და შეუფერხებელი კავშირი როგორც საზღვარგარეთ, ისე საქართველოს რაიონულ ცენტრებთან.



ნახ. 3. საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ საქართველოში განხორციელებული პირდაპირი ინვესტიციები 2006-2008 წლებში (მლნ აშშ ლოდარი)

უცხოური და ადგილობრივი ინვესტიციების დახმარებით ხორციელდება ჯანდაცვის, განათლების, ბუნების დაცვის პროექტები, სასტუმროების, ტურიზმისა და გაჭრობის ობიექტების მშენებლობა, რომელთა დასრულება ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას. თუმცა აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელებისას, არსებობს იმის რეალური საშიშროება, რომ საქართველოს ეროვნული აქტივების მფლობელი გახდეს რომელიმე უცხო სახელმწიფო, რაც, ერთი მხრივ, ეწინააღმდეგება ამ პროცესის არს და, მეორე მხრივ, ქმნის საქართველოზე გარეული ზეგავლენის მოხდების შესაძლებლობას. საქართველოში რუსეთის საინვესტიციო აქტიურობა ჯერ კიდევ 2003 წლის ზაფხულში გამოიკვეთა, როდესაც გაკოტრებული აშშ კომპანიის „ეი ი ეს სილქ როუდ“-ის აქციები „რაო ეერ“-მა შეისყიდა. ს/ს „მადნეულის“, შპს „კვარციტის“ და „ტრანს ჯორჯიან რესოურსის“-ის პრივატიზების დროს მსურველებს შორის იყო ქართული „ინდუსტრია და ენერგია კომპლექსი“, ავსტრალიური, ბრიტანული, შვეიცარიული, ავსტრიული კომპანიები, თუმცა ტენდერში რუსული პოლდინგის – „პრომიშლენინი ინვესტორის“ მიერ დაუყმნებულმა კომპანია „სტენტონ ექუიტიზ“-მა გაიმარჯვა, რომელიც „პრომიშლენინი ინვესტორის“ შეილობილი კომპანიაა. ცხადია, „მადნეულის“-ს აქციების რეალური მფლობელი „პრომიშლენინი ინვესტორი“ გახდა. მისი აქციების მფლობელი კი რუსეთის სათბობ-ენერგეტიკის ყოფილი მინისტრია [1].

უქმოაღნიშნულიდან ცხადი ხდება, რომ უცხოური ინვესტიციების დროს იქმნება შესაძლებლობა, უცხო სახელმწიფოების კონტროლირებადი კომპანიების ან ფონდების მიერ მოხდეს სახელმწიფოს განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების აქციათა საკონტროლო პაკეტის შექმნა, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს ეროვნულ ინტერესებს. საინტერესოა ამ სფეროში ევროკავშირისა და კანადის გამოცდილება. ევროკავშირმა 2007 წლის ენერგოსისტების რეფორმის გეგმაში მოითხოვა ენერგოკომპანიებისაგან საწარმოო და სადისტრიბუციო არხების განცალკევება და უცხოურ კომპანიებს გარკვეული ლიმიტი დაუწესა ევროკავშირის ენერგობაზარზე. ამით თავი დაიცვა უცხო სახელმწიფოთა ზეგავლენისაგან. ასევე კანადის მთავრობამ 2007 წლის ივლისში დააფუძნა სპეციალური საბჭო, რომელსაც დაევალა საინვესტიციო აქტის გადასინჯვა იმ თვალსაზრისით, რომ ეროვნული ინტერესების დაცვისათვის შემუშავებულიყო არაკომერციული მიზნების მქონე უცხოური საწარმოების აღკვეთის ლონისძიებანი [2].

საინტერესო იქნებოდა ჩვენთვის აღნიშნული გამოცდილების გაზიარება და საინვესტიციო გადაწყვეტილებათა მიღება საქართველოს მთავრობასთან კოორდინაციით. თუ ასეთი ობიექტების ნუსხა განისაზღვრება კანონში „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“ შესაბამისი შესწორებების შეტანის შემდეგ, შეზღუდვების დაწესება არანაირ საფრთხეს არ

შეუქმნიდა თავისუფალი ბიზნესგარების განვითარებას და არ გააუარესებდა საქართველოს საინვესტიციო კლიმატს. ასეთი ცვლილებების განხორციელება მნიშვნელოვანია სახელმწიფო ინტერესების დაცვისათვის. როგორ მოახერხებს ქართული სახელმწიფო, რომ შექმნას განვითარების ინსტიტუტები, რომლებიც მხარს დაუჭერებ ინვესტიციებს ახალ ინოვაციურ პროექტებში, სტიმულს მისცემენ ინოვაციურ აქტივობას ეკონომიკური ზრდის პრესპექტიულ მიმართულებებზე?

ინოვაციებში ინვესტირების მექანიზმები მოქმედებს მხოლოდ მაშინ, თუ გათვალისწინებულია ამ პროცესში საბანკო სტრუქტურების მონაწილეობა. საბანკო სტრუქტურები ახდენენ უზარმაზარი სახსრების აკუმულირებას ფინანსური და საინვესტიციო ინსტიტუტების შექმნის გზით. ბანკების მონაწილეობა ამ სფეროში ქმნის დამატებით სტიმულებს საინვესტიციო პროექტებისათვის. არც ერთი ფინანსური ინსტიტუტი ისე კარგად არ უზრუნველყოფს საინვესტიციო რესურსების მოძრაობის მართვასა და კონტროლს, როგორც ამას ბანკები ახორციელებენ. „ევრობანკი“ (EBRD) ერთ-ერთი უმსხვილესი ინვესტორია საქართველოს კერძო სექტორში. მან ჩვენი ქვეყნის ენერგეტიკის, ტრანსპორტის, აგრობიზნესსა და საბანკო სექტორებში 81 საინვესტიციო პროექტი განახორციელა. მის მიერ განხორციელებული ინვესტიციების საერთო მოცულობამ 600 მლნ ევრო შეადგინა.

2007 წლის სექტემბერში ბანკ „რესპუბლიკასა“ და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციას შორის ხელი მოეწერა ხელშეკრულებას, რომლის მიხედვითაც, „რესპუბლიკას“ 20 მლნ აშშ დოლარის კრედიტი გამოეყო მცირე და საშუალო ბიზნესის დასაფინანსებლად. 2008 წლის ბოლოს კი „ევრობანკსა“ და ბანკ „რესპუბლიკას“ შორის ხელი მოეწერა პროექტს, რომლის ბიუჯეტი 5 მლნ დოლარს შეადგენს და, ენერგოფუძექტურის პროგრამის ფარგლებში, როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირებზე, სესხების გაცემაა გათვალისწინებული. ცხადია, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები ეხმარებიან ჩვენს ქვეყნას, მაგრამ აქცენტი უნდა კეთდებოდეს სამამულო წარმოების, ინტელექტუალური წარმოების განვითარებასა და მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლებაზეც.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ვ. პაპავა, „ქართული ოქრო“, გაზ. „24 საათი“, 12 ოქტომბერი, 2007.
2. Canada:Foreign State-Owned Investors Spark „National Security“ Concerns 23 Oktober 2007./www.mondaq.com/.
3. [www.statistics.ge](http://www.statistics.ge).

*Giuli Keshelashvili  
Academic doctor of Economics  
TSU Asistent professor*

## INVESTMENT PROJECTS AND STATE INTERESTS

### Summary

Work provides analysis of the investment projects implemented by the international financial institutions in Georgia. It justifies necessity of protection of the state interests with respect of the direct foreign investments and offers analysis of EU and Canadian experience in this sphere.

**ხათუნა ბარბაქაძე  
თხუ ასოცირებული პროფესორი  
ირინე მამალაძე  
გეონომიკის აკადემიური დოქტორი**

**საინვესტიციო მიმულდებლობა და მისი ამაღლების გზები**

საბაზო ეკონომიკის პირობებში პრაქტიკულად ბიზნესის ყველა მიმართულებას ახასიათებს კონკურენციის მაღალი დონე. თავიანთი პოზიციების შესანარჩუნებლად და ლიდერობის მისაღწევად კომპანიები იძულებული არიან, მუდმივად ვითარდებოდნენ, ითვისებდნენ ახალ ტექნოლოგიებს, აფართოებდნენ საქმიანობის სფეროს. ასეთ პირობებში აუცილებლად დგება ის მომენტი, როცა კომპანიის ხელმძღვანელობა ხვდება, რომ შემდგომი განვითარება შეუძლებელია ინვესტიციების მოზიდვის გარეშე. ინვესტიციების მოზიდვა კომპანიას დამატებით კონკურენტულ უპირატესობებს სძენს და ხშირად მისი ზრდის უმდლავრეს საშუალებად გვევლინება. საწარმოს თუ ინვესტიციების მოზიდვა სჭირდება, მაშინ მისმა ხელმძღვანელობაში აუცილებლად უნდა შეიმუშაოს და ჩამოაყალიბოს საინვესტიციო მიმულდებლობის ამაღლების დონისძიებათა მედუმი სისტემა.

ინვესტიციების მოზიდვის ძირითადი მიზანია საწარმოს საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლება. ასე რომ, საინვესტიციო სახსრების დაბანდების არჩეული ხერხის შედეგი, მათი გონივრული მართვის შემთხვევაში, უნდა იყოს კომპანიის დირექტორებისა და მისი საქმიანობის სხვა მაჩვენებლების გადიდება.

არსებობს გარე წყაროებიდან საწარმოს დაფინანსების შემდეგი ძირითადი სახეები: ინვესტირება სააქციო კაპიტალში და სახესხო სახსრების გაცემა.

**ინვესტირება კომპანიის სააქციო კაპიტალში (პირდაპირი ინვესტირება)**  
სააქციო კაპიტალში ინვესტიციების მოზიდვის ძირითადი ფორმებია:

- ფინანსური ინვესტორების ინვესტიციები;
- სტრატეგიული ინვესტირება.

ფინანსური ინვესტორების ინვესტიციები არის გარე პროფესიონალი ინვესტორის მიერ, როგორც წესი, კომპანიის აქციების დამბლოკავი, მაგრამ, არა საკონტროლო პაკეტის შეძენა ინვესტიციებზე გაცვლით ან კომპანიის აქციების განთვალება ფასიანი ქაღალდების ბაზარზე ინვესტორთა ფართო წრისათვის. ინვესტორი ამ შემთხვევაში ძირითად შემოსავალს იღებს აქციათა თავისი პაკეტის გაყიდვის ხარჯზე (კ.ი. ბიზნესიდან გამოსვლის ხარჯზე).

ფინანსური ინვესტორების ინვესტიციების მოზიდვა მიზანშეწონილია საწარმოს განვითარებისთვის: წარმოების მოდერნიზაციისა და გაფართოებისთვის, გაყიდვათა მოცულობის გადიდებისთვის, საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლებისთვის, რის შედეგადაც გაიზრდება კომპანიის დირექტორება და, შესაბამისად, ინვესტორის მიერ დაბანდებული კაპიტალი.

სტრატეგიული ინვესტირება წარმოადგენს ინვესტორის მიერ კომპანიის აქციების მსხვილი (შესაძლოა – საკონტროლოც ან) პაკეტის შეძენას. იგი, როგორც წესი, გულისხმობს ინვესტორის სანგრძლივად ან მუდმივად დარჩენას კომპანიის მესაკუთრეებს შორის. სტრატეგიული ინვესტირების ბოლო სტადიად ხშირად გვევლინება კომპანიის შესყიდვა ან მისი შერწყმა ინვესტორ კომპანიასთან.

სტრატეგიული ინვესტორების როლში, ჩვეულებრივ, გამოდიან დარგის ლიდერი საწარმოები და მათი მსხვილი გაერთიანებები. სტრატეგიული ინვესტორის ძირითადი მიზანია საკუთარი ბიზნესის ეფექტიანობის ამაღლება და ახალი რესურსებისა და ტექნოლოგიების მოპოვება.

## ინგესტიორება სასესხო სახსრების მიღების ფორმით

მირითადი ინსტრუმენტებია – კრედიტი (საბანკო, სავაჭრო), ობლიგაციური სესხები, სალიზინგო სქემები. მოზიდული დაფინანსების მოცულობები ათეულათასობით დოლარიდან ათეულმილიონობით დოლარამდე. დაფინანსების ვადებიც მერყეობს – რამდენიმე თვიდან რამდენიმე წლამდე. ამ დროს ინგესტორის ძირითადი მიზანია დაბანდებულ კაპიტალზე პროცენტის მიღება რისკის მოცემული დონის პირობებში. ამიტომ მოცემული ჯგუფის ინგესტორებს აინტერესებთ საწარმოს შემდგომი განვითარება იმ თვალსაზრისით, რომ მათ შეეძლოთ პროცენტების გადახდისა და ვალის ძირითადი თანხის დაბრუნების ვალდებულებათა შესრულება.

ამგვარად, უველა ინგესტორი ორ ჯგუფად შეგვიძლია დავყოთ: **პირველი**, პროცენტების ფორმის მქონე შემოსავლების მიღებით დაინტერესებული კრედიტორები; **მეორე** ბიზნესის ის მონაწილეები, რომლებიც კომპანიის დირექტორების ზრდიდან შემოსავლის მიღებით არიან დაინტერესებული.

თითოეული ჯგუფის ინგესტორისთვის საწარმოს საინვესტიციო მიმზიდველობას განსაზღვრავს მათ მიერ დაბანდებულ სახსრებზე მისაღები შემოსავლის დონე. მას, თავის მხრივ, განაპირობებს კაპიტალის დაუბრუნებლობისა და კაპიტალზე შემოსავლის გერმილების რისკის დონე. ამასთან, აშკარად, რომ პრედიტორი ინგესტორებისთვის ძირითადი მოთხოვნაა საწარმოს იმ უნარის დადასტურება, რომ იგი შეასრულებს კაპიტალის დაბრუნებისა და პროცენტების გადახდის ვალდებულებას, ხოლო, ბიზნესში მონაწილე ინგესტორებისთვის – იმ უნარის დადასტურება, რომ აითვისებს ინგესტიციებს და ინგესტორის აქციათა პაკების დირექტულებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საწარმომ მთელი რიგი დონისძიებები უნდა გაატაროს თავისი საინვესტიციო მიმზიდველობის ასამაღლებლად – ინგესტორის მოთხოვნების სრულად დასაქმაყოფილებლად. აღნიშნული დონისძიებები შეიძლება იყოს:

- განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავება;
- ბიზნესდაგეგმვა;
- იურიდიული ექსპერტიზა და სამართალდამდგრენი დოკუმენტების მოყვანა კანონმდებლობასთან შესაბამისობაში;

- საკრედიტო ისტორიის შექმნა;
- რეფორმების (რესტრუქტურიზაციის) დონისძიებათა გატარება.

იმის გასარკვევად, თუ რა დონისძიებები სჭირდება საწარმოს საინვესტიციო მიმზიდველობის ასამაღლებლად, მიზანშეწონილია არსებული სიტუაციის ანალიზის ჩატარება (საწარმოს მდგომარეობის დიაგნოსტიკა). იგი საშუალებას გვაძლევს: განისაზღვროს კომპანიის საქმიანობის ძლიერი მხარეები; დადგინდეს რისკები და კომპანიის მიმღინარე მდგომარეობაში არსებული სუსტი მსარეები, მათ შორის – ინგესტორის თვალსაზრისით; შემუშავდეს კონკურენტუნარიანობის განვითარების, საქმიანობის ეფექტურების ამაღლებისა და საინვესტიციო მიმზიდველობის გაძლიერების დონისძიებები.

დიაგნოსტიკის პროცესში განიხილავენ საწარმოს საქმიანობის სხვადასხვა მიმართულებებს: გასაღებას, წარმოებას, ფინანსებს, მართვას. ასევე, გამოყოფებ საწარმოს საქმიანობის იმ სფეროს, რომელიც უველაზე მეტადაა დაკავშირებული რისკებთან და უველაზე მეტი სუსტი მხარე აქვს. ცალკე უნდა განვიხილოთ საწარმოს, როგორც ინგესტიციების ობიექტის იურიდიული ექსპერტიზის ჩატარება. მისი საინვესტიციო მიმზიდველობის შეფასების დროს ექსპერტიზის ძირითადი მიმართულებებია: მიწის ნაკვეთებისა და სხვა ქონებაზე საკუთრების უფლებები; საწარმოს აქციონერთა უფლებები და მართვის ორგანოების უფლებამოსილებანი, რომლებიც სადამფუძნებლო დოკუმენტებშია აღწერილი; კომპანიის ფასიან ქაღალდებზე უფლებების იურიდიული სისუფთავე და აღრიცხვის კორექტულობა.

ექსპერტიზის შედეგების მიხედვით უნდა გამოვლინდეს კანონმდებლობის თანამედროვე ნორმებთან შეუსაბამობა აღნიშნულ მიმართულებებში. ამ შეუსაბამობათა აღმოფხვრა უდიდესი მნიშვნელობის მქონე ნაბიჯია, რადგან საწარმოს ანალიზის დროს ნებისმიერი ინვესტორი დიდ ყურადღებას აქცევს იურიდიულ აუდიტს. მაგალითად, საწარმოსთან მოლაპარაკების პროცესში კრედიტორისთვის მნიშვნელოვანი ეტაპია გირაოდ წარმოდგენილ ქონებაზე საკუთრების უფლებათა დადასტურება. პირდაპირი ინვესტორებისთვის, რომლებიც საწარმოთა აქციების პაკეტებს იძენენ, არსებითი მომენტია აქციონერთა უფლებები და კორპორაციული მართვის ის სხვა ასპექტები, რომლებიც უშუალოდ მოქმედებენ დაბანდებული სახსრების ხარჯვის მართვის კონტროლის უნარზე.

საწარმოს მდგომარეობის დიაგნოსტიკა განვითარების სტრატეგიის შემუშავების საფუძველია. განვითარების სტრატეგია გენერალური გეგმაა, რომელსაც, როგორც წესი, 3 – 5 წლით შეიმუშავებენ. სტრატეგია აღწერს როგორც მთლიანად საწარმოს, ისე მისი ფუნქციური მიმართულებების ძირითად მიზნებს. ასევე, განისაზღვრება ძირითადი მიზნობრივი, რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები. სტრატეგია შესაძლებლობას უქმნის საწარმოს, ერთიანი კონცენტრირების ფარგლებში განახორციელოს დაგეგმვა დროის უფრო მოკლე პერიოდებისთვის. პოტენციური ინვესტორისთვის სტრატეგია წარმოადგენს საწარმოს მიერ გრძელვადიანი პერსპექტივების ხედვას და საწარმოს მენეჯმენტის აღკვაბურობას მუშაობის როგორც შიდა, ისე გარე პირობების მიმართ.

საწარმოები, რომლებსაც განვითარების გრძელვადიანი სტრატეგია აქვთ, გადაღიან ბიზნესგეგმის დამუშავებაზე. ბიზნესგეგმაში დაწვრილებით განიხილება საქმიანობის ყველა ასპექტი, დასაბუთდება საჭირო ინვესტიციების მოცულობა და დაფინანსების სქემა, ინვესტიციების შედეგები საწარმოსთვის. ბიზნესგეგმაში გაანგარიშებული ფულადი ხაგდების გეგმა საშუალებას იძლევა, შეფასდეს საწარმოს მიერ ინვესტორისგან ნახესხები სახსრების დაპრუნებისა და მისთვის პროცენტების გადახდის უნარი. მესაკუთრე ინვესტორისთვის ბიზნესგეგმა წარმოადგენს საწარმოს დირექტულების შეფასებისა და, შესაბამისად, იმ კაპიტალის დირექტულების შეფასების ჩატარების საფუძველს, რომელიც საწარმოშია დაბანდებული. გარდა ამისა, იგი საწარმოს განვითარების პოტენციალის დასაბუთებაცაა. საჭირო ინვესტიციების თანხასთან შედარებით საწარმოს აქტივების დაბალი დირექტულების მიუხედავად, ინვესტორმა შეიძლება ინვესტიციურად მიმზიდველად შეაფასოს საწარმო, თუკი ბიზნესგეგმა ასაბუთებს საწარმოს ზრდის პოტენციალს და კაპიტალის დირექტულების ზრდას.

ინვესტორთა ნებისმიერი ჯგუფისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს საწარმოს საკრედიტო ისტორიას, რადგან იგი შესაძლებლობას აძლევთ მათ, იმსჯელონ საწარმოების მიერ გარე ინვესტიციების ათვისებისა და კრედიტორი და მესაკუთრე ინვესტორების წინაშე არსებული ვალდებულებების შესრულების გამოცდილებაზე. მაგალითად, საწარმოს შეუძლია გამოუშვას შედარებით მცირეთანხმის ობლიგაციური სესხი დაფარვის მოკლე ვადით. სესხის დაფარვის შემდეგ საწარმო ინვესტორების თვალში ახალ დონეზე გადაინაცვლებს, როგორც კრედიტორი, რომელსაც აქვს ვალდებულებათა თავისძროულად შესრულების უნარი. შემდგომ საწარმო შეძლებს უფრო ხელსაყრელი პირობებით მოიზიდოს როგორც მომდევნო გამოშვების ობლიგაციური სესხების ფორმის მქონე სასესხო სახსრები, ისე პირდაპირი ინვესტიციებიც.

საწარმოს საინვესტიციო მიმზიდველობის ამაღლების ერთ-ერთი რთული ღონისძიებაა რეფორმირების (რესტრუქტურიზაციის) ჩატარება. რეფორმირების სრული პროგრამა მოიცავს იმ ღონისძიებათა ერთობლიობას, რომლებმაც კომპანიის საქმიანობა კომპლექსურ შესაბამისობაში უნდა მოიყვანოს ბაზრის ცვალებად პირობებთან და მისი განვითარებისთვის შემუშავებულ სტრატეგიასთან. რესტრუქტურიზაციის ჩატარება რამდენიმე მიმართულებით შეიძლება:

**1. საბაზის კაპიტალის რეფორმირება.** ეს მიმართულება მოიცავს კაპიტალის სტრუქტურის ოპტიმიზაციის ღონისძიებებს – აქციების დანაწევრება, კონ-

სოლიდაცია, კანონში აღწერილი რეორგანიზაციის ყველა ფორმა. ასეთ მოქმედებათა შედეგად ვლინდება კომპანიათა ჯგუფის მართვადობის ამაღლება;

**2. მართვის ორგანიზაციული სტრუქტურისა და მეთოდების შეცვლა.** რეფორმირების ამ მიმართულების მიზანია გააუმჯობესოს მართვის ის პროცესები, რომლებიც ეფუძნება მოქმედი საწარმოს მირითად ფუნქციებს უზრუნველყოფები, და საწარმოს ის ორგანიზაციული სტრუქტურები, რომლებიც მართვის ახალ პროცესებს უნდა შეესაბამებოდეს. საწარმოების მართვის სისტემებისა და ორგანიზაციული სტრუქტურის რესტრუქტურიზაციამ შეიძლება მოიცვას: ბიზნესის ზოგიერთი მიმართულების გამოყოფა ცალკე იურიდიულ პირებად, პოლინგების წარმოქმნა, ორგანიზაციული სტრუქტურის სხვაგარი ცვლილებები; მართვაში ზედმეტი რგოლების აღმოფენა; საინფორმაციო ნაკადების მოწყობა მმართველობითი ინფორმაციის ნაწილში;

**3. აქტივების რეფორმირება.** საწარმოს რესტრუქტურიზაციის ეს მიმართულება გულისხმობს მისი აქტივების სტრუქტურის ნებისმიერ ცვლილებას ჭარბი, არაპროფილური აქტივების გაყიდვასა და საჭირო აქტივების შექმნასთან დაკავშირებით, მოკლე და გრძელვადიანი ფინანსეური აქტივების, მარაგებისა და დებიტორული დავალიანების შემადგენლობის ოპრიმიზაციას;

**4. წარმოების რეფორმირება.** რესტრუქტურიზაციის ამ მიმართულების მიზანია საწარმოს წარმოებითი სისტემების გაუმჯობესება. წარმოების რესტრუქტურიზაციამ შემდეგი ღონისძიებები შეიძლება მოიცვას: არარენტაბელური პროდუქციის მოხსნა წარმოებიდან, თუკი ამ დროს არ არსებობს დანახარჯების შემცირების, პროდუქციის კონკურენტურიანობის ამაღლების და ა.შ. უზრუნველყოფი რეალური საინვესტიციო პროექტები; მომგებიანი პროდუქციის გამოშვებისა და გაყიდვის გაფართოება; კომერციულად პერსპექტიული ახალი საქონლის ან მომსახურების ათვისება.

საინვესტიციო მიმზიდველობის ამაღლების პროცესში მართვის სისტემის რეფორმირება იძულებითი ნაბიჯი შეიძლება იქმნოს კომპანიის ხელმძღვანელობისათვის, თუკი მან ვერ მოახერხა საჭირო მოცულობის ინვესტიციების მოზიდვა. გატარებულ ღონისძიებათა შედეგი ხდება საქმიანობის რენტაბელობის გადიდება და ინვესტიციების მისი რეალური საფუძვლის შექმნა, რომ მან ინვესტიციების ეფუძნებად ათვისების უნარის ქონება მიზნით საწარმო.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, როცა საინვესტიციო მომზიდველობის ამაღლების მიზანი საწარმოს გაყიდვაა. ამ პროცესს გაყიდვისწინა სამზადისს უწოდებენ და მისი მიზანია საინვესტიციო მიმზიდველობის ამაღლება და, იმავდროულად, მისი დირებულების გადიდება პოტენციური მყიდველებისათვის.

გაყიდვისწინა სამზადისი გულისხმობს იმ დარგის ანალიზს, რომელშიც საწარმო მოქმედებს, აგრეთვე, იმ დარგებისას, რომლებიც მისი მომზოდებები და მომხმარებლები არიან. ანალიზის მიზანია იმ კომპანიებისა და გაერთიანებების გამოვლენა, რომლებსაც ლიდერის ან მასთან ახლოს მდგომის პოზიცია უჭირავთ.

ამგვარად, საწარმოს მომზადება ინვესტიციების მოსაზიდად საკმაოდ გაფიოდ განსაზღვრული, მაგრამ რთული პროცესია. საწარმოს შეუძლია ჩამოიყალიბოს საინვესტიციო მიმზიდველობის ამაღლების ღონისძიებათა პროგრამა თავისი ინდივიდუალური თავისებურებებიდან და კაპიტალის ბაზარზე ჩამოყალიბებული კონიუნქტურიდან გამომდინარე. ასეთი პროგრამის რეალიზაცია ფინანსეური რესურსების მოზიდვის დაჩქარების და მათი დირებულების შეცირების შესაძლებლობას იძლევა. აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნული შესაძლო ღონისძიებები არსებით მატერიალურ ხარჯებს არ მოითხოვს, მაგრამ მათი რეალიზაციის შედეგად, კომპანიის მიმართ ინვესტიციების ინტერესის ზრდის გარდა, ამ კომპანიის მუშაობის ეფუძნების ეფუძნებაც მაღლდება.

## **გამოყენებული ლიტერატურა**

1. ლ. ქოქიაშვილი. საინვესტიციო მენეჯმენტი და პოლიტიკა, გ. I-II, თბ. 2008.
2. Брейли Р. Майерс С. Принципы корпоративных Финансов. ЗАО «Олимп-Бизнес». М. 2007.
3. Ковалев В.В. Финансовый менеджмент, изд., М., 2007.
4. Зви Боден. Роберт К. Мerton Финансы. Изд. Дом Вильмс Москва Санкт-Петербург Киев. 2004.
5. Бочаров В.В., Леонтьев В.Е. Корпоративные финансы. Санкт-Петербург изд., Питер. 2002.

*Khatuna Barbakadze  
TSU Associated Professor  
Irine Mamaladze  
Academic Doctor of Economics*

## **INVESTMENT ATTRACTION AND THE WAYS TO MAKE IT HIGHER**

### **Summary**

Bringing in more investments gives a company additional competitive advantage and it often turns out to be the best way for promoting the growth of a company's showing. The main purpose of bringing investments is to raise effectiveness of the company activity. The result of investing money should be the growth of the company assets and other showings of its activities. The company should take various steps to attract more investments and to fully satisfy the investors' demands.

In order to higher its investment attractiveness it is advisable to work out and form a clear system of activities on the base of its individual peculiarities and the state of capital on the market. Putting such plan into practice makes it possible to attract more financial resources and cut down costs. It should be mentioned that the plan of possible activities does not require any expenditures, but in case it is realized the investors' interest towards the company become significantly higher and at the same time it raises the effectiveness of the company.

## დაზღვევა

ნათია ლეუაგა  
გეონომიკის აკადემიური დოქტორი

### ქონების დაზღვევის განვითარების პირითადი მიმართულებები და პერსპექტივები

ეროვნული სადაზღვევო ინდუსტრიის ჩამოყალიბება კარდინალური რეფორმების გატარებას მოითხოვს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. საქართველოს ეკონომიკის სტაბილიზაციის პროგრამის მოთხოვნათა შესაბამისად დაიწყო სადაზღვევო სისტემის სრული რეორგანიზაცია. 1996 წელს შემუშავებულმა სადაზღვევო საქმის განვითარების კონცეფციამ, ფაქტობრივად, რეფორმის დაწყებას ჩაუყარა საფუძველი. დაიწყო ცივილიზებული სადაზღვევო სისტემისა და სადაზღვევო ბაზრის მოწესრიგება-განვითარების საჭირო ღონისძიებების განხორციელება. კონცეფციაში დაფიქსირებულია, რომ საქართველოში სადაზღვევო სისტემის ფორმირების პროცესში ძირითადი ამოცანაა სადაზღვევო შენატანების საფასურად ფიზიკური და იურიდიული პირების დაცვა სხვადასხვა სახის ზიანის ფინანსური შედეგებისაგან.

დაზღვევა ნებისმიერ ცივილიზებულ ქვეყანაში ეკონომიკური ურთიერთობების ერთ-ერთი მძლავრი ბერკეტია. განსაკუთრებით გარდამავალ პერიოდში, მიზანშეწონილია, სახელმწიფომ თავის თავზე აიღოს სოციალური პრობლემების მარეგულირებელი, დაზღვევის აუცილებელი სახეების საგადაბულო ფორმით განხორციელება: ქონების დაზღვევა, ბინების და საცხოვრებელი სახლების დაზღვევა, მგზავრთა დაზღვევა, ეკოლოგიური დაზღვევა.

საქართველოში ბაზრის ინფრასტრუქტურა ნელი ტემპით ყალიბდება. არა-და ქვეყნის მაკროეკონომიკური სატაბილიზაციისა და ცენტრალიზებული დირექტიული სისტემიდან საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის პროცესი მოითხოვს წარმოების საშუალებების, მოხმარების საგნების, სამუშაო ძალის, კაპიტალისა და უძრავი ქონების ბაზრის ჩამოყალიბებას. სრულყოფილ საბაზრო ეკონომიკასთან მაშინ გვაქს საქმე, როდესაც ხეთივე ბაზარი ფუნქციონირებს და ერთმანეთს შორის მჭიდრო კავშირი აქვთ. ერთიანი ეროვნული ბაზრის შექმნა შესაძლებელია მხოლოდ ერთი პირობით – საკუთრების მრავალსახეობა კერძო საკუთრების პრიორიტეტით. რა თქმა უნდა, ეს ძირითადი პირობა აუცილებელია დაზღვევისა და სადაზღვევო ბაზრის უზრუნველყოფისთვისაც.

საქართველოში, საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ქონების დაზღვევას. როგორც აღვნიშნეთ, დამზღვევის ქონებრივი ინტერესები დაკავშირებულია ქონების ფლობასთან, გამოყენებასა და განკარგვასთან და, ამასთან, არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს კანონმდებლობას.

ურბანიზაციის დღევანდველი მასშტაბები, მეგაპოლისების საცხოვრებელ ბინებში თავმოყრილი მილიარდობით ადამიანთა ცხოვრების დონე, მასში არსებული საყიფაცხოვრებო პირობები უფრო მეტად იმით განისაზღვრება, თუ როგორი მოხერხებულია საცხოვრებელი ბინები, როგორია კომუნიკაციები, რომლებიც ამ საცხოვრებელ ბინებს აკავშირებს გარე საქალაქო ინფრასტრუქტურასთან, როგორ არის დაცული ბინები ბუნებრივი სტიქიური მოვლენებისაგან (მიწისძვრები, ხანძარი, ქარიშხალი, წყალდიდობა და სხვ). მსოფლიოში მიმდინარე ბუნებრივი კატაკლიზმები, მათ შორის საქართველოში უკანასკნელი წლების სტიქიური მოვლენები და მათ მიერ გამოწვევული უზარმაზარი ზარალი, თვალნათლივ მოწმობს იმას, თუ რაოდენ საჭიროა საცხოვრებელი ბინების მტკიცე სადაზღვევო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება. საქართველოს ტერიტორია მდებარეობს აქტიურ სეისმურ ზონაში, სადაც, გარდა მიწისძვრისა,

ადგილი აქვს სხვადასხვა სტიქიურ მოვლენებსაც, რომელიც დიდ საშიშროებას უქმნის საცხოვრებელ ბინებს, სხვადასხვა დანიშნულების შენობებს, ნაგებობებს, კომუნიკაციებს. სახელმწიფომ, არსებული რისკების პირობებში კომერციული დაზღვევის განვითარების ხელშეწყობის გზით, უნდა შექმნას მტკიცე სადაზღვევო გარანტიები.

მსოფლიო ქვეყნების სადაზღვევო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ამ ქვეყნების მოსახლეობის უმრავლესობა ნებაყოფლობით ეწევა საცხოვრებელი სახლების ხანძრისა და სხვა სტიქიური უბედურებებისაგან დაზღვევას. ჩვენს ქვეყანაში, საბაზო ეკონომიკურ გარდამავალ პერიოდში, ამ მხრივ მნიშვნელოვანი პრობლემებია შექმნილი.

1992 წლამდე საქართველოში, სხვა რისკებთან ერთად, ხდებოდა მიწისძვრის რისკებისაგან საცხოვრებელი სახლების დაზღვევა. უკანასკნელი ცამეტი წლის მანძილზე თოთქმის არც ერთი რისკით არ არის დაზღვეული საცხოვრებელი სახლები და ბინები, ეს მაშინ, როცა სადაზღვევო რისკები სისტემაზეურად იზრდება. მოსახლეობის საცხოვრებელი სახლებისა და ბინების გარანტირებული სადაზღვევო დაცვის უზრუნველსაყოფად სახელმწიფომ უნდა შეიმუშაოს ერთიანი, მწყობრი სადაზღვევო პოლიტიკა. სახელმწიფო, თავისი სადაზღვევო რეზერვების კომერციული დაზღვევის მეშვეობით, ხელს უნდა უწყობდეს საბინაო დაზღვევის უზრუნველყოფას, რაც ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების დაცვის ერთ-ერთი გარანტია. ეკონომიკური უსაფრთხოება არის ეკონომიკის უნარი, უზრუნველყოფას საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე; სხვა სიტყვებით, ეკონომიკური უსაფრთხოება იმ საშინაო და საგარეო პირობების ერთობლიობაა, რომელიც ქვეყნის გკონომიკის ფინანსური განვითარების საფუძვლს ქმნის. ამ პოზიციიდან „საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა“ დაკმაყოფილებას უნდა მივაკუთხოვ გაუთვალისწინებელი მოვლენებისაგან, რისკებისაგან ეკონომიკური თავდაცვის უზრუნველყოფა, რომლის მყარ გარანტიდ უნდა იქცეს საბინაო ფონდის დაზღვევა [1].

საქართველოში საცხოვრებელი ბინებისა და სახლების, აგრეთვე სხვა ნაგებობათა განადგურების ან დაზიანების ძირითადი რისკების წარმოშობა და მოქმედება დაკავშირებულია სეისმური, ჰიდროლოგიური, ტექტონიკური და მეტეოროლოგიური წარმოშობის მოვლენებთან. გეოლოგიური სამსახურების მონაცემებით დაფიქსირებული გეოლოგიური პროცესების 200 ათასზე მეტი კერა, მდინარეთა ნაპირების 1000 კილომეტრ სიგრძეზე მდებარე ტერიტორია, ჰიდროლოგიურ საშიშროებას განიცდის. საქართველო მეტწილად მთიანი ქვეყანაა, მისი ტერიტორიის 53,6% მთაზე მოდის, 33,4% მთისძირზე, ბარის ტერიტორიას უჭირავს მხოლოდ 13%. მოყვანილი მონაცემებიდან თვალისათვალივ ჩანს, რომ საქართველო განსაკუთრებულ გეოლოგიურ რეაქტივი არსებული ტერიტორიაა, რომლის სიმწვევე თავს იჩენს შენობების დაპროექტებისა და აშენების პრაქტიკში.

საქართველოს მთელ ტერიტორიაზე კერძო ბინათმშენებლობა უმეტესად ქანების, გრუნტის და სხვა გეოლოგიური მონაცემების შესწავლის გარეშე მიმდინარეობს. კაპიტალური საცხოვრებელი ბინების მშენებლობის ასეთი ზერელე წარმართვა იწვევს აშენებულ შენობათა საძირკვლის მორკევას, გრუნტის დაწევას, მეწყერულ მოვლენებს და დაზღვევის პრობლემებთან დაკავშირებულ სხვა რისკებს.

საცხოვრებელი შენობებისა და ბინების დაზღვევის სწორი ორგანიზებისათვის აუცილებელია რისკების ტერიტორიული, გეოლოგიური, ჰიდროლოგიური და კლიმატური პირობების გათვალისწინება, აგრეთვე მოსახლეობის გადახდის უნარი, სადაზღვევო ტარიფების ოპტიმალურად დადგენა, სადაზღვევო კომპანიის და დამხმარევებისათვის ეკონომიკურად ურთიერთმისაღები სადაზღვევო პრემიების განსაზღვრა.

საქართველოს რეგიონებში საცხოვრებელი ბინების უმეტესი ნაწილი თოთქმის ამორტიზებულია და საკმარისია 5 – 7 ბალიანი მიწისძვრა, რომ მან დიდი

მატერიალური ზარალი გამოიწვიოს. ქ. თბილისში ავარიულია თითქმის 5,0 ათასამდე საცხოვრებელი სახლი 1,3 მლნ კვ.მ საერთო ფართით, რომელშიც 37-38 ათასი ოჯახი ცხოვრობს; საქართველოში ავარიული ბინების თითქმის 80% ქ. თბილისზე მოდის. ასეთ დროს შენობების, საცხოვრებელი ბინების დაზღვევა შეუძლებელია მხოლოდ ნებაყოფლობითი პრინციპების საფუძველზე. საჭიროა, სახელმწიფო სავალდებულო დაზღვევის მეშვეობით გააკეთოს სადაზღვევო რეზერვების მობილიზაცია და შექმნას სადაზღვევო ფონდები [2].

ხანძარი ერთ-ერთი სტიქიური უბედურებაა, რომელიც მნიშვნელოვანი სადაზღვევო რისკებს ქმნის. ხანძარი განსაკუთრებით მასტებაბური რისკის გამომწვევია მრავალსართულიან სახლებში, სადაც, გაუფრთხილებლით ან სხვა ტექნიკური შემთხვევების გამო, ერთ წერტილში, ერთ ბინაში სახანძრო შემთხვევამ შეიძლება ყველა ბინა გაანადგუროს ან მნიშვნელოვნად დააზიანოს.

მრავალბინიან სახლებში ლოკალიზდება მრავალი რისკფაქტორი: წყალკანალიზაციის, კომუნიკაციების, გაზის, ელექტროენერგიისა და სხვა ტექნიკური ფაქტორები.

საცხოვრებელი ბინებისა და შენობების დაზღვევა სხვა დიდ რისკებთანაც არის დაკავშირებული: ქარიშხალი, გრიგალი, შტორმი, საერთოდ, ჰაერის მასის დიდი სიჩქარით გადაადგილება. საშიშ რისკებს წარმოადგენს აგრეთვე, თოვლის ზავები და ნამქერები, დავარცოფული ნაკადები და სხვა, აგრეთვე, ისეთი ტექნიკური რისკები, რომელიც დაკავშირებულია სხვადასხვა სახის აფეთქებებთან, ავარიებთან და ა.შ.

რისკის სიტუაციები ადამიანის საშიშროების ქვეშ არსებობაა, მას რაციონალური განსტერება და განსაზღვრა ესაჭიროება. შესაბამისად, საჭიროა ადგევატური პრევენციული (დაცვითი) ღონისძიების შემუშავება, რისკის სარგებლიანობის ანალიზი. საცხოვრებელი ბინების დაზღვევის რისკების მართვისას აუცილებლად გასათვალისწინებელია ბინის ადგილმდებარება, მისი კონსტრუქცია (ხის, აგურის, ქვის და ა.შ.), ბინის ექსპლუატაციის პირობები, უსაფრთხოების დაცვა (ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებების ქონა), მიწისძრა, მეწყერა, მეხის დაცემა, საფრენი აპარატების შედეგად რისკი, გათბობის სისტემის, საკვამლე მილების, მძლავრი ანგენების დაცემა, გრუნტის დაჯდომა, მიწისქვეშა კომუნიკაციების ავარიები და სხვ.

თანამედროვე ეტაპზე, დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის მონაცემებით, საცხოვრებელი სახლებისა და ბინების უმნიშვნელო ოდენობაა დაზღვეული. არც ერთ სადაზღვევო კომპანიას არ აქვს შემოღებული რისკის იმ ძირითადი სახეობების მიხედვით ბინების დაზღვევა, რომლებიც ხშირია და მასშტაბურ ზიანს აქცევს საცხოვრებლებს.

უკანასკნელმა მოვლენებმა ერთხელ კიდევ მწარედ დაგვანახა, რომ ეკონომიკური ხასიათის იურიდიული კანონების მიღებისას უნდა გამოირიცხოს სუბიექტური დაინტერესება და აწერება, რაც სახელმწიფოს და საზოგადოებას მძიმე ეკონომიკურ და სოციალურ პრობლემებს შეუქმნის. არ შეიძლება დაზღვევა დავუმორჩილოთ ექსპერიმენტებს, დაზღვევა, სადაზღვევო ფონდების შექმნა, უნდა დაეჭვამდებაროს მოვლენათა რისკების სწორად შეფასებებს, გაანგარიშებებს. დაზღვევა არასოდეს ყოფილა ექსპერიმენტული ცდის საგანი, იგი მუდამ უნდა იყოს დიდი და ძნელად გასათვალისწინებელი მოვლენებით გამოწვეული ზარალის ანაზღაურების გარანტი.

ტიპური პროექტებით აშენებული 9 – 12 – 16 სართულიანი სახლების ნაწილი, მშენებლობის ჩქარი ტექნების („გაშენოთ ხარისხიანად, იაფად და სწრაფად“) პირობებში დაშვებული უხეში შეცდომების და უხარისხობის გამო, მნიშვნელოვნად დეფორმირებულია და დაჩქარებას მოითხოვს მათი გამაგრების სამუშაოები, რაც დიდი მოცულობის ფინანსებთან არის დაკავშირებული. უზარმაზარი სიდიდის ახალი მშენებლობები ქალაქის ცენტრში აძლიერებს ქანების ტექნიკურ მოძრაობას და ეს პროცესი იმ შენობების დაზიანებასაც გამოიწვევს, რომლებიც ადრე არ იმყოფებოდა საშიშ მდგომარეობაში. არც ერთ

ქონების დაზღვევასთან მჭიდრო კავშირშია საცხოვრებელი ბინების მასობრივი პრივატიზაცია, რომელიც 1991 წლის აგვისტოს ბოლოს დაიწყო. ბინების პრივატიზება ისეთნაირად მოხდა, რომ საბინაო რეფორმა არ დამუშავებულია, რეფორმის პროგრამის არქონა კი ხელს უშლის არა მარტო საბინაო მშენებლობის განვითარებას, არამედ საბინაო ფონდების მოვლასა და შენარჩუნებას, რაც მთლიანად წარმოშობს დამატებით რისკებს, აუარესებს მცხოვრებთა სოციალურ პირობებს. პრივატიზებული ბინები არსებობს ერთი შენობის შიგნით, სადაც ათეულობით და ასეულობით ბინის მესაკუთრეა, შენობის საერთო ინფრასტრუქტურა კი მოკლებულია ყოველგვარ დაცვას. ბინების დაზღვევისას აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული როგორც ცალკეული ბინების, ისე მთლიანად შენობის კომპლექსურად დაზღვევის პირობები. სახელმწიფომ არ უნდა დატოვოს საცხოვრებელი ბინები მხოლოდ ნებაყოფლობითი დაზღვევის იმედად. უცილებლად უნდა იქნეს შემოღებული სახლებისა და ბინების დირებულების (50-60%) სავალდებულო დაზღვევა. ეს მოსახლეობისათვის და ბინების სადაზღვევო ორგანიზაციების დაზღვევისათვის ეკონომიკურად ხელსაყრელ ფინანსურ გარანტებს შექმნის და ხელს შეუწყობს მათ მდგრადობას. შეუძლებელია მაღალი სადაზღვევო რისკები შიშველ კონკურენციას მიანდოს სახელმწიფომ და არ შეიმუშაოს საბინაო ფონდების დაზღვევისათვის შესაბამისი სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა. პროფესორი მ. პერგამენტი ჯერ კიდევ 1922 წელს წერდა: „არც ეკონომიკური და არც იურიდიული თვალსაზრისით სავალდებულო დაზღვევა არ შეიცავს ძალდატანებას, მასში არ არის იძულება, რომელიც ბრძად თრგუნავს სამეურნეო დამოუკიდებლობას.... დაზღვევის მოვალეობა სხვა არაფერია, თუ არა ბუნებრივი შედეგები იმ სოციალური საწყისებისა, რომელიც ჩადებულია თვით დაზღვევის უპირატესად სოციალური ინსტიტუტის ბუნებაში“[3].

საცხოვრებელი სახლებისა და ბინების დაზღვევაში უდიდესი სოციალური და ეკონომიკური მნიშვნელობა აქვს მათი ღირებულების შეფასებას, პრიტერიუმებს. დღვიჩნდელი ლიბერალური ეკონომიკის პირობებში, სადაც ფასებს ბაზარი აწესებს, საჭიროა ტარიფების სადაზღვეო თანხების განაკვეთს საფუძვლად დაედოს საბაზო ფასები. ეს იქნება ამ დარგში სადაზღვეო რისკების ფინანსური უზრუნველყოფის ორგანიზაციისა და მართვის ყველაზე მისაღები და გარანტირებული დაზღვევა.

თანამედროვე ეტაპზე საქართველოში ქონების ნებაყოფლობითი დაზღვევის შესაძლებლობას განაპირობებს მოსახლეობის შემოსავლები, რაც დღეისათვის საკმაოდ დაბალია. ამის გამო მოსახლეობა ქონებას ვერ აზღვევს. ძნელია დაბალი შემოსავლების პირობებში ადამიანს გაუჩნდეს საცხოვრებელი სახლებისა და ბინების დაზღვევის სურვილი, თუმცა ეს ყველაზე მნიშვნელოვანია.

საბაზო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში საქართველოში თავი იჩინა იძულებითმა უმუშევრობამ. საწარმოების უმეტესი ნაწილი დაიკატა ან ნაწილობრივ მუშაობს, ამან გამოიწვია შრომისუნარიანი მოსახლეობის გამოდევნა საწარმოებიდან, რამაც უკიდურესად გააუჯრესა მოსახლეობის ეკონომიკური მდგრამარეობა. ადამიანებს არაფერი დარჩათ, გარდა საკუთარი სამუშაო ძალისა და იძულებულნი გახდნენ თავის და ოჯახის გადასარჩენად მიგრანტებად ქვეყნისაკვეთ.

როგორც საცხოვრებელი სახლებისა და ბინების დაზღვევის რეტროსპექტული ანალიზი გვიჩვენებს, აუცილებელი ხდება საცხოვრებელი სახლების და ბინების სავალდებულო დაზღვევის აღდგენა, რაშიც უდიდესი როლი უნდა ითამაშოს სახელმწიფომ. მან, ბიუჯეტის მეშვეობით, მნიშვნელოვანი მონაწილეობა უნდა მიიღოს სადაზღვევო კომპანიების ფინანსური რეზერვების ფორმირებაში, სადაზღვევო კომპანიებთან ერთად თანადაფინანსების პირობებით. სასურველია, ასეთი სახის დაზღვევა დაევალოს სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით შექმნილ სადაზღვევო კომპანიას, ხოლო შექმნილი სადაზღვევო რეზერვები განთავსდეს მხოლოდ ეროვნულ ბანკში ან სხვა კომერციულ ბანკებში. ყოველივე ამის შედეგად, მომავალში, სახელმწიფოს უდიდესი პრობლემა მოეხსნება ბუნებრივი კატაკლიზმებით გამოწვეული საცხოვრებელი სახლების აღდგენის საქმეში. მაგალითად, აშშ-ში უძრავი ქონებისათვის სადაზღვევო ტარიფი განისაზღვრება 0,3%-0,45%-მდე [4].

მანქანა-დანადგარების დაზღვევის დროს ხორციელდება საწარმოო პროცესის განმავლობაში მექანიკური, პირდაპირი თუ არაპირდაპირი დაზიანებისაგან დაზღვევა. სადაზღვევო ტარიფი განისაზღვრება ჯამური სადაზღვევო თანხის 0,6%-1,6%-მდე.

ელექტრონული მოწყობილობების დაზღვევისას ანაზღაურება მოხდება თუ ელექტრონული მოწყობილობები ექსპლუატაციის პროცესში გამოვა მწყობრიდან. სადაზღვევო რისკებს წარმოადგენს: მოკლე ჩართვა; ინდუქცია; ძაბვის მოვარდნა; ქონებრივი რისკებისაგან დაზღვევა. სადაზღვევო ტარიფი განისაზღვრება ჯამური სადაზღვევო თანხის 1%-1,6%-მდე.

ტვირთების დაზღვევა ხდება შემდეგი ფაქტორებისაგან: ნებისმიერი ტრანსპორტით გადაზიდული ტვირთის ნებისმიერი სახეობა; გადაზიდვასთან დაკავშირებული სატრანსპორტო და ზედნადები ხარჯები; ტვირთის სრული განადგურება.

სადაზღვევო ვადა განისაზღვრება ტრანსპორტირების მთელი პერიოდით. სადაზღვევო მომსახურების დაანგარიშება ხდება ინდივიდუალურად, შესაძლო ტვირთის სახეობის, დაფარვის სახისა და მიმართულების მიხედვით. სადაზღვევო ტარიფი ტვირთის დაზღვევისათვის შეადგენს: 0,064%-0,538%.

სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების დაზღვევის ობიექტს წარმოადგენს: სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები; სამშენებლო მასალები; დასამონტაჟებელი მოწყობილობა; დროებითი შენობები და ნაგებობები; სამშენებლო-სამონტაჟო ტექნიკა; დამკვეთის საკუთრება სამშენებლო მოვდანზე; მესამე პირის წინაშე პასუხისმგებლობის დაზღვევა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების ჩატარებისას.

დაზღვევა ხორციელდება შემდეგი ფაქტორებისაგან: ხანდარი, აფეთქება, სტიქიური უბედურება (მიწისძვრა, დატბორვა, მეწყერი და ა.შ.); ქურდობა, ყაჩაღობა, ძარცვა; ელექტროსადენების ზემოქმედება (მოკლე ჩართვა); ტექნიკური პერსონალური გაუფრთხილებლობა; მესამე პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედება; მასალებისა და მექანიზმების ქურდობა; შეცდომა პროექტირებისაგან.

სადაზღვევო პერიოდი განისაზღვრება: სამუშაოების წარმოებისას; წინასწარი დასაწყიობებისას; აშენებული ობიექტების ჩაბარება-გამოცდისას; შემსრულებლის მიერ მიცემული საგარანტიო მომსახურების მანილზე. სადაზღვევო მომსახურების დაანგარიშება ხდება ინდივიდუალურად, შესაძლო რისკების ანალიზის შედეგად. სადაზღვევო ტარიფი შერყეობს სადაზღვევო თანხის 0,4-1,5%-ის ფარგლებში. დასაზღვევად მისაღები ქონების ნუსხა განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებისამებრ და ფორმდება სადაზღვევო ხელშეკრულების ცალკე დანართად. სადაზღვევო ტარიფი დგინდება მზღვეველის მიერ ქონების სახეობის, რისკის ხარისხის და სხვა გარემოებათა გათვალისწინებით. სადაზღვევო ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 12 თვით ან ხელშეკრულებაში მითითებული სადაზღვევო პერიოდით. სადაზღვევო ხელშეკრულების ხელმოწერამდე მზღვეველი ახორციელებს დაზღვევის საგარაუდო ობიექტის

საგალდებულო დათვალიურებას, ამოწმებს მის ტექნიკურ მდგომარეობას (გამართულობას, მთლიანობას, ცვეთის ხარისხს), ქონების განცხადებული და ნამდვილი სადაზღვევო ღირებულების შესაბამისობას, ადგენს მის აღწერილობას, აანალიზებს ობიექტის სადაზღვევო რისკებისადმი დაქვემდებარებას. დათალიურების ჩატარების შემდეგ მზღვეველი იდებს გადაწყვეტილებას რისკის აქცევტირების თაობაზე, განსაზღვრავს სადაზღვევო თანხას, ადგენს სადაზღვევო შესატანს, დაზღვეულის სხვა დამატებით პირობებს (ფრანშიზას, ცალკეული რისკებით პასუხისმგებლობის ლიმიტებს და სხვ.).

სადაზღვევო ხელშეკრულება ძალაში შედის მზღვეველის საანგარიშსწორებო ანგარიშზე სადაზღვევო შესატანი თანხის ჩარიცხვის მომდევნო დღის 00.00 სთ-ზე. ხელშეკრულების მოქმედების ვადა წყდება იმ დღის 24.00 სთ-ზე, რომელიც მითითებულია ხელშეკრულებაში. ხელშეკრულების მოქმედების ვადაში სადაზღვევო პოლისის დაკარგვის შემთხვევაში მზღვეველმა უნდა გასცეს დუბლიკატი. დუბლიკატის გაცემის შემდეგ დაკარგული პოლისი უქმდება და მის მიხედვით გადახდები არ ხორციელდება.

დამზღვევი ვალდებულია: გადაიხადოს სადაზღვევო შესატანი (პრემია) 5 საბანკო დღის განმავლობაში ხელშეკრულების დადების დღიდან; ხანძრის, ქონების ძარცვის შემთხვევაში, დამნაშავეთა პირის შესახებ ინფორმაციის ფლობისას, დაუყოვნებლივ შეატყობინოს შესაბამის ორგანოებს (შსს, სახანძრო სამსახური და ა.შ.) ამის შესახებ; 48 საათის განმავლობაში შეატყობინოს მზღვეველს სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შესახებ; უნდა წარუდგინოს მზღვეველს დაზიანებული ქონება მის რემონტამდე ან დაზიანებული ქონების ნარჩენები, აგრეთვე დაზიანებული ნაწილები, დეტალები და ა.შ. ყველა ცნობა დამზღვევმა უნდა მიაწოდოს წერილობითი ფორმით, რომელიც დადასტურდება მზღვეველის ხელმოწერით.

მზღვეველი ვალდებულია: გააცნოს დამზღვევს დაზღვევის წესები; სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას გადაუხადოს სადაზღვევო ანაზღაურება 20 საბანკო დღის განმავლობაში ყველა საჭირო დოკუმენტის მიღების შემდეგ; არ გაახმაუროს მონაცემები დამზღვევის და მისი ქონებრივი მდგომარეობის შესახებ.

ქონების დაზღვევას მიეკუთვნება აგრეთვე ავტომანქანების დაზღვევა, რომელიც საქართველოში ხორციელდება როგორც ნებაყოფლობით, ასევე საგალდებულო ფორმით. სადაზღვევო კონტრაქტის გაფორმებისათვის საჭირო განაცხადის წარდგენა და ავტომობილის ტექნიკური პასპორტი. დაზღვევის გაფორმება დასრულებულად ითვლება პოლისის გაცემით, რომელიც სხვადასხვა ფორმით არსებობს: „შეზღუდული კასკო“; „სრული კასკო“; „დამატებითი დაფარვა“; „სამოქალაქო პასუხისმგებლობა“; „მდლოლისა და მგზავრების დაზღვევა“. „შეზღუდული კასკო“ – ფარავს ავტომობილების დაზიანებას ან სრულ განადგურებას შემდეგი მოვლენების შედეგად: ავტოსაგზაო შემთხვევა; ხანძრი ან აფეთქება; სტიქიური უბედურება; მესამე პირის მიერ ქონების დაზიანებით ან განადგურებით მიეკუთვნდება ზიანი.

ასეთი ტიპის დაზღვევა ასევე ფარავს სასწრაფო გადაუდებელი დახმარების, დაზიანებული ავტომობილის ევაკუაციის და საჯარიმო დაყოვნების ყველა ხარჯს, მაგრამ ხარჯები არ უნდა აჭარბებდეს პოლისში მითითებულ სადაზღვევო თანხებს.

„სრული კასკო“ – ფარავს ზიანს, რომელიც გამოწვეულია ქურდობის, ძარცვის და ყაჩაღობის შედეგად.

„დამატებით დაფარვაში“ იგულისხმება დაზღვეული ავტომობილის მინისაგან დამზადებული ლუქის, მინების, სარკეების და კარების ცალკეულ დაზიანებისა და ქურდობისაგან მიენებული ზარალის ანაზღაურება. ასეთი სახის ზარალის ანაზღაურება სადაზღვევო პერიოდში მხოლოდ ერთხელ გაიცემა.

„სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა“ ანაზღაურდება კანონის შესაბამისად დაკისრებული მატერიალური პასუხისმგებლობით, რომელიც გამოწვე-

ულია დაზღვეული ავტომობილის ექსპლუატაციის შედეგად მესამე პირის ქონების, სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის ზიანის მიუწების გამო. დაზღვევით არ დაიფარება დაზღვეული ავტომობილის მძღოლის ან მგზავრებისათვის ჯანმრთელობის ზიანის მიუწება.

„მძღოლისა და მგზავრების უბედური შემთხვევისაგან დაზღვევის“ დროს დაზღვეულად ითვლება დაზღვეული ავტომობილის ნებისმიერი მგზავრი, მძღოლის ჩათვლით. სადაზღვევო შემთხვევად ითვლება მგზავრების ან მძღოლის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება (ტრაქმული შრკი, კომა, კიდურების მოტებილობა, ამპუტაცია, მუდმივი პარალიზმი) ან გარდაცვალება, რომელიც პირდაპირ არის გამოწვეული ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად, დაზღვეული ავტომობილით მგზავრობისას მაქსიმუმ ავტოსაგზაო შემთხვევიდან ერთი თვის განმავლობაში. ავტოსაგზაო შემთხვევით გამოწვეული დაზღვეულის გარდაცვალებისას წარმოდგენილი უნდა იყოს: სამართალდამცავი ორგანოების მიერ შედგენილი სადაზღვევო შემთხვევის დამადასტურებელი დასკვნა; სადაზღვევო პოლისის ორიგინალი; დაზღვეულის გარდაცვალების დამადასტურებელი ოფიციალური ცნობა, რომელშიც მითითებული უნდა იყოს ასაკი და დაბადების თარიღი; სამედიცინო ცნობა, რომელშიც მითითებული იქნება გარდაცვალების გამომწვევი მიზეზები; გარდაცვალების ეპიკრიზის (ამონაწერი ავადმყოფობის ისტორიიდან) ასლი.

დაუშვებელია ავტომანქანის გამოყენება შემდეგი მიზნებით: სისწავეში შეჯიბრი და სამაშველო სამსახური. დაზღვევა არ ვრცელდება მძღოლებზე, რომელთა ასაკიც ადგენატება 65 წელს ან 21 წელზე ნაკლებია. სადაზღვევო ანაზღაურების მაქსიმალური თანხა შეესაბამება ავტომანქანის საბაზრო ღირებულებას უშეალოდ სადაზღვევო შემთხვევის დადგომამდე [5]. სადაზღვევო ანაზღაურება განისაზღვრება დაზიანებული ავტომანქანის აღდგენითი (შენაცვლებითი) ღირებულების მიხედვით, მაგრამ მისი ოდენობა არ უნდა იყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სადაზღვევო თანხაზე მეტი. თუ ნებისმიერი ზიანის დადგომის დროისათვის დაზღვეული ავტომანქანა ან მისი რომელიმე ნაწილის აღდგენითი ან შენაცვლებითი ღირებულება აღმოჩნდება სადაზღვევო პოლისში აღნიშნულზე უფრო მეტი, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ზიანის ასანაზღაურებელი თანხა შემცირდება ისეთივე პროპორციით, როგორსაც შეადგენს სადაზღვევო თანხა ავტომანქანის აღდგენით (შენაცვლებით) ღირებულებასთან. საბაზრო ღირებულების ამორტიზაციის გრაფიკი განისაზღვრება: ახალი (ერთ წლამდე) ავტომანქანისათვის: 5% – პირველი თვე; 3%-მეორე თვე; 1%-უმცესი მომდევნო თვე. ნახმარი (ერთ წლზე მეტი წელი) ავტომანქანებისათვის – 1% ყოველი თვე.

სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას დამზღვევი ვალდებულია: დაუყოვნებლივ დაუკავშირდეს საპატრულო პოლიციას; უმოკლეს ვადაში წარუდგინოს ავტოსაგზაო შემთხვევის ოქმი თანდართული სქემით, სიმთვრალე-სიფხიზღლის აქტი, სადაზღვევო სერტიფიკატი და ავტომანქანის აღდგენის ღირებულების შეფასება.

სრულ ზარალად ითვლება შემთხვევა, როდესაც ავტომანქანის ღირებულება შეადგენს სადაზღვევო თანხის 60%-ზე მეტს [6]. სრული ზარალის შემთხვევაში მზღვეველი გასცემს სადაზღვევო ანაზღაურებას ავტომანქანის სადაზღვევო ღირებულების იდენტობით ან ჩაანაცვლებს იმავე მონაცემების მქონე ავტოტრანსპორტით, რომელიც მისთვის უფრო ხელსაყრელი იქნება. მზღვეველს უფლება აქს, დაზიანებულის სანაცვლოდ შეძენილი ავტოტრანსპორტის დაზღვევისას წამოაყენოს დაზღვევის სპეციალური პირობები. სრული ზარალის ანაზღაურების შემდეგ დაზღვეული ავტომანქანა გადადის სადაზღვევო კომპანიის საკუთრებაში. მძღოლისა და მგზავრების უბედური შემთხვევის ანაზღაურება ხდება სადაზღვევო თანხის ქვემოთ მოცემული პროცენტით, მაგრამ სამედიცინო ხარჯების ღირებულება არ ანაზღაურდება.

სადაზღვევო პრემია დგინდება ყოველი კონკრეტული რისკისა და მოთხოვნილი პასუხისმგებლობის ლიმიტის საფუძველზე. სადაზღვევო რისკი შეფასდება დამზღვევის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე. შეფასება ხდება დამზღვევის მიერ სადაზღვევო სერტიფიკატში (პოლისში) მითითებული წესითა და ოდენობით. მზღვეველი უფლებამოსილია, სადაზღვევო პრემიის გადახდის ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისთვის დამზღვევს დააკისროს პირგასამტებლოს გადახდა დავალიანების თანხის 0,2%-ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის. მზღვეველსა და დამზღვევს შორის წარმოშობილი დავა წყდება მხარეთა ურთიერთმოლაპარაკების გზით, შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში – საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

სადაზღვევო ურთიერთობების განვითარებას საქართველოში მნიშვნელოვნად აფერხებს ძლიერი სადაზღვევო კომპანიების ფაქტობრივად მონოპოლიური მდგრმარეობა, რომელიც მათზე სუსტ კომპანიებს აკარგვინებს ბაზარზე გასვლის საშუალებას. თუმცა როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირები დაზღვევას მსხვილ სადაზღვევო კომპანიებში ამჯობინებენ, ვინაიდან ნდობის ფაქტორი აქ უფრო მაღალია. საქართველოში სადაზღვევო ბაზარზე პირები მოგილი რეიტინგით უჭირავს „ალდაგინებისაის“; „ირაოს“; „საპენსიო და სადაზღვევო პოლინეგს“; „აი სი ჯგუფს“.

„ალდაგი ბისიას“ კლიენტები არიან ისეთი მსხვილი ფირმები, როგორებიცაა: „საქართველოს ნავთობის კომპანია“; „საქართველოს რკინიგზა“; „ფოთის პორტი“; „თბილწყალგანალიი“; „ვითიბი ბანკი“; „საფოსტო ბანკი“; „თბილკომბანკი“; „ინტელექტბანკი“; „ბანკი რესპუბლიკა“; „საერთაშორისო შავი ზღვის ბანკი“; „ქართუ ბანკი“; „გუდვილკომი“; „GWS“; „ქასოფელ გეორგია“; „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია“; „ბოლნისის ოქროს გადამამუშავებელი ქარხანა“; „კომპანია ყაზბეგი“; „გლობალ 1“; „რუსთავი 2“; საფრანგეთის, ისრაელის, თურქეთის საელჩოები; ბრიტანეთის ავიაბაზები; „კასტელი“; „მაკდონალდსი“; „მაკონელდაუელი“; „სტიმოროლის წარმომადგენლობა საქართველოში“; „ებესტ ფონდი“; „Care“; „GPC“; „ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭო“; „ჯეოსელი“; „ოლიმპიური ვარსკვლავი“; „კალასი“; საქართველოს პარლამენტი; საქართველოს პროკურატურა; ბათუმის აეროპორტი.

უცხოელ პარტნიორებს წარმოადგენენ: „Swiss Re“ (შვეიცარია); „Miunich Re“ (გერმანია); Lloyds of London, Royal&Sunalliance, AXA (საფრანგეთი); ჯენერალი (იტალია). ადსანიშნავია ის ფაქტი, რომ საქართველოს ფარგლებს გარეთ მოგზაურთა 70% ამავე კომპანიის სამოგზაურო დაზღვევის პოლისით სარგებლობს.

ყველივე ზემოაღნიშნული „ალდაგის“ გაბატონებას ადასტურებს საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე.

„ჯი-პი-აი“ პოლიდინგის სხვადასხვა საპენსიო დაზღვევით სარგებლობს მრავალი ადგილობრივი კომპანია და ორგანიზაცია, მათ შორის: სასტუმრო მარიობი; GMT ჯგუფი; TBC ბანკი; კონსულტაციისა და ტრეინინგის ცენტრი; სინერჯი ჯგუფი; IPM; გერმანული კულტურის ინსტიტუტი და სხვა მრავალი მცირე და საშუალო კომპანია.

კომერციული სადაზღვევო კომპანიების ჩამოყალიბებიდან დღემდე ძალიან ცოტა დროა გასული, მაგრამ მათ უკვე დაიმკვიდრეს ლირსეული ადგილი ქვეყნის ეკონომიკუში. სადაზღვევო კომპანიებისათვის ყველაზე საუკეთესო რეკლამაა ვალდებულებების დროული და სრულყოფილი ანაზღაურება. სადაზღვევო ინდუსტრიაში ჩამოყალიბების ეტაპი უკვე გაიარა და ფორმირების და განვითარების ახალ ფაზაში შევიდა. ამაზე მეტყველებს განვლილი წლების ფინანსური მაჩვენებლების ანალიზი.

„ალდაგი“ პირველი სადაზღვევო კომპანიაა საქართველოს ბაზარზე, რომელიც 1990 წელს დაარსდა და მას შემდეგ 2006 წლის ბოლომდე ლიდერის პო-

ზიცია ეკავა. 2006 წლის ბოლოს „ალდაგის” აქციების 100% სადაზღვევო კომპანია „ბისიაი”-მ შეიძინა. „ბისიაი” 1998 წელს დაარსდა, ის ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი კომპანია იყო, რომლის აქციების 100%-ის მფლობელი „საქართველოს ბანკი” გახდა, 2005 წელს ორივე კომპანიამ მნიშვნელოვანი შესყიდვები განახორციელა. „ალდაგმა” შეიძინა სადაზღვევი კომპანია „სელბი”, ხოლო „ბისიაიმ” – „ეგროპეისი”.

სადაზღვევო ბაზრის ექსპერტები ამ გარიგებას ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენად თვლიან ქართული სადაზღვევო ბაზრის სფეროში, ამასთან, ვარაუდობენ, რომ ამ ორი სადაზღვევი კომპანიის აქციების გაერთიანების შედეგად ბაზარზე ინოვაციები უფრო სწრაფად დამკიდრდება. გაერთიანებული კომპანია „ალდაგი ბისიაი” საერთო ბაზრის წილი 41.3%-ს შეადგენს. ამასთან, იგი „საქართველოს ბანკის” – ქვეყნის ყველაზე ძლიერი ფინანსური ინსტიტუტის წევრია. ამ გაერთიანებით მოხდა სადაზღვევო პროდუქტების გადახალისება და მომხმარებელს მიეწოდა უფრო გამარტივებული, მრავალფეროვანი და ხელსაყრელი სადაზღვევო მომსახურება. სადაზღვევო კომპანია „ალდაგი ბისიაი” საქართველოს მასშტაბით ემსახურება ათასობით მომხმარებელს ახალი პროდუქტებით, მათ შორის ქონების დაზღვევის სფეროში. ეს კომპანია უკვე 2007 წელს ქართულ სადაზღვევო ბაზარზე ხოვატორი იყო და საკმაოდ დივერსიფიცირებული პროდუქტი შესთავაზა ბაზარს (გარდა აღნიშნული კომპანიისა, 2006 წლის საუკეთესო ბრენდად გამოცხადდა სადაზღვევო კომპანია „ჩემბი”).

„ალდაგი ბისიაი” 80-მდე ტიპის დაზღვევას სთავაზობს როგორც კორპორატიულ, ისე ინდივიდუალურ მომსახურებას. დღეისათვის მას დაზღვეული აქვს 1000-ზე მეტი უმსხვილესი კომპანია. უძრავი ქონების დაზღვევის პრემია საერთო ღირებულების 0.6%-ს არ აღემატება. „ალდაგი ბისიაიმ” 2007 წელს უძრავი ქონების დაზღვევის კიდევ ახალი ინოვაცია შემოიღო. ეს არის ბიზნესთან დაკავშირებული ქონების დაზღვევის ისეთი პაკეტი, რომელიც რამდენიმე რისკს აერთიანებს და მცირე და საშუალო ბიზნესით დაკავებულ კომპანიებს საშუალებას აძლევს, დასხვიონ თავიანთი ქონება. ამ პაკეტში შედის აგრეთვე ბანკიდან აღებული სესხის გაჩერებული საბანკო პროცენტების ანაზღაურება. ეს ხდება როგორც 50 ათასიანი, ისე 100 ათასიანი პაკეტის ყიდვის შემთხვევაში.

„ალდაგი ბისიაი” ყველაზე მაღალი კაპიტალიზაციის ქონება საქართველოში არსებულ სადაზღვევო კომპანიებს შორის. მისი კაპიტალი 17 მლნ ლარს შეადგენს. მართალია, მისი მომსახურების პორტფელში სოლიდური ნაწილი ჯანმრთელობის დაზღვევას უჭირავს, მაგრამ, უკანასკნელ პერიოდში, განსაკუთრებით 2008 წლიდან, გააქტიურდა ქონების დაზღვევა. ქონების დაზღვევის პროდუქტი, რომელიც ძვირფასეულობას აზღვევს, ახალია საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე, იგი ხელმისაწვდომია ყველასთვის. დაზღვევის ღირებულება წლიურად სადაზღვევო თანხის 1.5%-ს შეადგენს. ქონების დაზღვევის ეს სახე საკმაოდ აპრობირებულია მსოფლიოში. მოსახლეობა აზღვევს სამკაულებს, ხელოვნების ნიმუშებს, ანტიკვარიატს, ფერწერულ ტილოებს და ა.შ. ასევე მუზეუმებიც. მართალია, ძვირფასეულობის დაზღვევა ნაკლებად განვითარებული პროდუქტია, მაგრამ ქვეყნის ეკონომიკის განვითარების საფუძველზე მომსახურების ეს ხაზიც გაიზრდება. სადაზღვევო კომპანიას გათვალისწინებული აქვს ყველა რისკი: ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა, მეხის დაცემა, აფეთქება, დატბორვა და ა.შ.

ცნობილია, რომ ვერ გაიყიდება პროდუქტი, თუ არ ფარავს ისეთ რისკებს, რომლებიც აქტუალურია მომხმარებლისათვის. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ბინების დაზღვევა. 2008 წელს „ალდაგი ბისიაი”-მ ბაზარზე შემდეგი ახალი პროდუქტები გამოიტანა: „ჩემი ეზო”, „ხის სახლი”, „ახალი ბინა”, „ძველი ქალაქი”. თითოეული მათგანი დიდი რისკის მატარებელია. მაგალითად, „ძველი ქალაქი” XVIII საუკუნეში აგებულ სახლებსა და ძველ, ისტორიულ უძნებში მდებარე ბინებს აზღვევს. არანაკლები რისკების შემცველია ხის სახლების დაზღვევაც. დაზღვევას ექვემდებარება 1950 წლის შემდეგ ხის მასალით

აგებული კერძო სახლები თბილისა და მის ფარგლებს გარეთ. ანალოგიურ მომსახურებას ითვალისწინებს ახალი სადაზღვევო პროცესში „ჩემი ეზო“. ამ შემთხვევაში ქვის ან აგურის სახლების დაზღვევა ხდება როგორც ქალაქში, ისე აგარაკზე. იგი ითვალისწინებს აგრეთვე ავეჯის, ტექნიკის, საყოფაცხოვრებო ნივთების დაზღვევასაც.

„ახალი ბინა“ 1998 წლის შემდეგ აშენებულ ბინებზე ვრცელდება. ამ პროცესში მფლობელებს შეუძლიათ ერთი წლით 1 მ<sup>2</sup> 1 აშშ დოლარად 15 წუთში დაზღვიოს, ბინის წინასწარი დათვალიერების გარეშე. კომპანია ამ პროცესში მფლობელების ავეჯისა და საცხოვრებელი ტექნიკის უფასო დაზღვევას ახდენს.

„ალდაგი ბისიან“-ს დაზღვევის სახეობებში, 2008 წლის მონაცემებით, ქონების დაზღვევას მესამე ადგილი უჭირავს სამედიცინო დაზღვევის (6.117 მლნ ლარი) და სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევის (2.719 მლნ ლარი) შემდეგ და შეაღების 1.382 მლნ ლარს.

ზოგადად საქართველოში, 2008 წლის I კვარტლის მონაცემებით, დაზღვევის სახეობებიდან სამედიცინო დაზღვევის შემდეგ, ქონების დაზღვევა 8,287 მლნ ლარით მესამე ადგილზეა. ამ მიმართულებით კომპანია „ალდაგი ბისიან“-ს მოზიდული პრემიის 16% უკავია. ბოლო სამი წლის განმავლობაში საქართველოში უძრავი ქონების დაზღვევა ძალზე პოპულარული გახდა. ქონების დაზღვევის ბაზარი ყოველწლიურად 20-25%-ით იზრდება. ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია ის, რომ იპოთეკური კრედიტების მატებაზე ბანკები უარს ამბობენ თუ კლიენტის ქონება დაზღვეული არ არის. ამასთან, უძრავი ქონების დაზღვევის გააჩტიურებას ხელს უწყობს უცხოელი ინვესტორების მოთხოვნა. ცნობილია, რომ ისინი ფულს არ დებენ ბიზნესში, რომლებიც რისკებისაგან არ არის დაზღვეული.

ქონების სადაზღვევო პროცესში დანართის, „სმართლეიდი“, რომელიც სპეციალურად ქალბატონებისთვისაა განკუთხნილი და სხვადასხვა სახის შედავათებს მოიცავს. ეს საკმაოდ კომფირტული სადაზღვევო პროცესშია. იგი მანქანის დაზღვევას კონკრეტულ რისკებზე გულისხმობს: ავტოსაგზაო შემთხვევა, ქურდობა, ყაჩაღობა, სტიქიური უბედურებები, ვანდალიზმი და ა.შ.

არსებობს აგრეთვე მესამე პირთა წინაშე წარმოქმნილი პასუხისმგებლობის დაზღვევა. ეს პაკეტი მთლიანად ფარავს ნებისმიერ მიერნებულ ზარალს. კომპანია ზარალს 100%-ით ანაზღაურებს. დაზღვევის ორივე სახის გამოყენების შემთხვევაში, მაგალითად, BMW-ს მარკის ავტომობილი, რომლის ფასი 10 ათასი ლოდარია, მზღვეველს მომსახურების ეს პაკეტი წლიურად 545 დოლარი უჯდება.

„ჯიპიაი პოლდინგი“ დაარსდა 2001 წელს, როგორც პირველი კერძო საპენსიო ფონდი საქართველოში. დამფუძნებელთა შორის წარმოდგენილი არიან „თიბისი ბანკი“ და TBI ჯგუფი – აღმოსავლეთ ევროპის ერთ-ერთი უმსხვილესი საფინანსო კომპანია. ეს კომპანია საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე აქტიურად შევიდა 2002 წლიდან. „ჯიპიაი პოლდინგში“ ქონების დაზღვევა ერთ-ერთი პრიორიტეტია. ეს კომპანია ეკროპის ერთ-ერთი სადაზღვევო კომპანიის „ვენის სადაზღვევო ჯგუფის“ შეიღობილი კომპანიაა. მისი კლიენტ-კომპანიებია: მერიობ თბილისი; მერიობ ქორთიარდ თბილისი; თიბისი ბანკი; პროკრედიტ ბანკი; მაგთო; ვისოლი; საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანია; ბრიტიშ პეტროლიუმი; ყაზბერანსგაზი თბილისი; თბილისის წყალი; ელიტ ელექტრონიკსი; სტანდარტ ბანკი; ბილაინი და მრავალი სხვა.

2008 წლის მონაცემებით, „ჯიპიაი პოლდინგი“-ს პორტფელში 17% მოდის ქონების დაზღვევაზე. კველაზე მაღალი წილი ჯანმრთელობის დაზღვევას უჭირავს (49%). მისი ჯამური გაყიდვები 2008 წელს, წინა წელთან შედარებით, 104%-ით გაიზარდა, ხოლო ანაზღაურებულმა ზარალმა 17700000 დოლარი შეადგინა. დღეს მას მეორე ადგილი უჭირავს სადაზღვევო ბაზარზე.

## **გამოყენებული ლიტერატურა**

1. ფაჩულია რ. დაზღვევა, პრობლემები და მოსაზრებები. თბ., 1998.
2. ფაჩულია რ. „სავალდექტულო დაზღვევის აუცილებლობა და ორგანიზაცია თანამდებოვე ეტაპზე“. „ქონიმიკა“, 1994, №9-12.
3. Вобли К. Г. Основы экономики, страхования. М. „АНКИЛ,” 1993.
4. Государство и рынок: американская модель. Под. ред. Д.Э.Н., М.А. Портного и В.Б. Супяна. М., „Анкил”, 1999.
5. Ахвледiani Ю.Т. Имущественное страхование. Учеб. пособие для вузов 2-е изд., перераб. и доп. М. „ЮНИТИ-ДАНА“, 2002.
6. Балабанов И. Т., Балабанов А. И. Страхование. М., 2004.

*Natia Lezhava  
Academic Doctor of Economics*

### **THE MAIN DIRECTIONS AND PERSPECTIVES OF THE PROPERTY INSURANCE DEVELOPING**

#### **Summary**

Insurance market's mastering and broadening depends not only on the relationships between the civil and insurance companies but also on the government's flexible, active politic. In the transitional period of marketing very important is property insurance. Its object performs insurer's interests of property, which is connected to using it and which will not be resisted to the Georgian's legislation.

In the insurance activities very important is to foresee all the conditions of environment. Current natural cataclysms in the world, among them the latest natural phenomena which happened in Georgia visually confirm that how necessary is insuring our property, concretely we need to work out and realize strong insurance politic of residences.

In the modern stage in Georgia having a possibility to insure property voluntarily depends on an income of population, which is very low nowadays. That why the population refuse to ensure property. In these terms to have a wish for it is very hard, despite an importance of it.

In Georgia to develop insurance relationships significantly limit to strong insurance companies attribute state. They lose an opportunity because of their monopoly. Nevertheless, physical and juridical persons prefer to insure in the large insurance companies for the trust factor which is very high.

For the insurance companies the best advertisement is obligations relevant and improved execution. They have gone a forming way already and have entered in a new phase of development. I hope, all the insurance companies will reinforce in the future and they will do one's bit in the country's economic development.

## მარკეტინგი

ნანა ქაციტაძე  
თხუ ასოცირებული პროფესორი,  
აღექსანდრე თუშიშვილი  
ასოცირებული პროფესორი

### რეპლამის რებულირების ზოგიერთი ასახტი სამართველოში

რეპლამა მიღიონობით ადამიანის ეკონომიკურ ინტერესებთან არის დაკავშირებული. ძალიან ხშირად, ეკონომიკური საქმიანობის მონაწილეობა ინტერესები არათუ ემთხვევა, არამედ ერთმანეთთან წინააღმდეგობაშიც მოდის. რათქმა უნდა, მწარმოებელ რეპლამის დამკვეთს სურს თავისი პროდუქცია რამდენადაც შესაძლებელია მაქსიმალურად მაღალ ფასში, მაქსიმალურად სწრაფად გაასაღოს და მაქსიმალურად მაღალი მოგება მიიღოს. ხოლო მომხმარებელს, რომლისკენაც არის მიმართული სარეკლამო მიმართვები, სურს შეიძინოს რამდენადაც შესაძლებელია მაღალი ხარისხის პროდუქცია, რამდენადაც შესაძლებელია დაბალ ფასში. ასეთი წინააღმდეგობები ხშირად წარმოქმნის კონფლიქტებს სარეკლამო კომუნიკაციების მონაწილეობა შორის.

სარეკლამო ბიზნესში წარმოქმნილი ურთიერთობები, ისევე, როგორც სხვა სფეროებში, გვარდება და რეგულირდება სამართლებრივი გზით. რამდენადაც რეპლამა ხშირად შეგნებულად მანიკულირებს ადამიანთა ქცევასა და ცნობიერებაზე, ამ ურთიერთობების მორალურ და ეთიკურ მხარეებზე, კანონმდებლობის გარდა, დიდ გავლენას ახდენს სამოქალაქო საზოგადოებაც. ალბათ ამიტომ, ეკონომიკაში არცოუ ისე ბევრია ბიზნესის დარგი, რომლის საქმიანობას ასეთი მკაცრი მოთხოვნებით აკონტროლებდეს და ზღუდავდეს როგორც სახელმწიფო კანონმდებლობა, ასევე მრავალი, სხვადასხვა ტიპის მარეგულირებელი უწყება თუ საზოგადოებრივი ორგანიზაცია.

საზღვარგარეთის ქვეყნებში სარეკლამო საქმიანობის რეგულირების სისტემის ჩამოყალიბება დაიწყო XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან. კანონი სარეკლამო საქმიანობის შესახებ პირველად მიღებულ იქნა ინგლისის პარლამენტში 1752 წელს [2, გვ.83].

მსოფლიოში დღეს მოქმედებს რეკლამის საერთაშორისო კოდექსი. იგი დისციპლინური ხასიათისაა და ადგენს ეთიკურ ნორმებს, რომელიც უნდა დაიცვას სარეკლამო პროცესის ყველა მონაწილეზე. მისი ძირითადი პრინციპების მიხედვით, რეკლამა პასუხს აგებს მომხმარებლისა და საზოგადოების წინაშე; რეკლამა უნდა უყვარებარებოდეს დირსეული კონკურენციის პრინციპებს, რომლებიც საჭმიან ურთიერთობებშია მიღებული; რეკლამის წარმატება საზოგადოებრივ აღიარებაზეა დამოკიდებული, ამიტომაც სარეკლამო საქმიანობა ურთიერთნდობის განმტკიცებას ყველანაირად უნდა უწყობდეს ხელს.

ქვეყნებს შორის ეკონომიკური ურთიერთობების დარეგულირებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს საბაზო საქმიანობის შეფასების ერთიანი კრიტერიუმები, რომლებსაც ადგენს საერთაშორისო სავაჭრო პალატის კოდექსი – “სარეკლამო პრაქტიკის კოდექსი”, “გასაღებაზე ზემოქმედების კოდექსი”, “დირქტ-მეილისა” და “საფოსტო შეკვეთებით პრაქტიკის კოდექსი”, “პირდაპირი გაყიდვების პრაქტიკის კოდექსი”, “მარკეტინგული და სოციალური კვლევების პრაქტიკის კოდექსი”[3, გვ.64-96].

ჩვენს ქვეყნაში რეკლამა მხოლოდ მას შემდეგ რეგულირდება, რაც 1998 წელს „რეკლამის შესახებ“ კანონი იქნა მიღებული, მაშინ, როცა ევროპაში რეკლამის რეგულირების ორსაუკუნოვანი გამოცდილება არსებობს. ეს აისხება იმით, რომ საბჭოთა პერიოდში, გეგმური ეკონომიკის პირობებში, არ არსებობდა

მოთხოვნა რეკლამასა და სარეკლამო საქმეზე, შესაბამისად არ არსებობდა სარეკლამო პრაქტიკის და ეთიკის რეგულირების აუცილებლობა. საქართველოში სარეკლამო საქმე, როგორც დამოუკიდებელი საქმიანობა, მხოლოდ 10-15 წელს ითვლის და საინტერესოა განვითარების რა დონეს მიაღწია რეკლამის რეგულაციამ ჩვენთან მოცემულ პერიოდში.

საქართველოს კანონი „რეკლამის შესახებ”, ძირითადად შემუშავებულია წამყვანი განვითარებული ქვეყნების გამოცდილებებზე დაყრდნობით და, ამასთან ერთად, მეტ-ნაკლებად გათვალისწინებულია მსოფლიო პრაქტიკაში მიღებული რეკლამისა და სარეკლამო საშუალებების სინთეზი ადგილობრივ მენტალიტთან, მომსარებლის ინტერესების გათვალისწინებით. კანონში დროდადრო შეიტანება გარკვეული ცვლილებები და შესწორებები.

საქართველოს კანონმდებლობა „რეკლამის შესახებ” შედგება საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, ამ კანონისა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო ნორმატიული აქტებისაგან [1, თავი 1, მუხლი 1]. იგი არეგულირებს საქართველოს სასაქონლო (სამუშაოთა, მომსახურების) და საფინანსო ბაზარზე (ფასიანი ქაღალდების ბაზრის ჩათვლით) რეკლამის წარმოების, განთავსებისა და გავრცელების დროს წარმოქმნილ ურთიერთობებს. მისი მიზანია რეკლამის სფეროში ჯანსაღი კონკურენციის განვითარება. საზოგადოებრივი ინტერესების, რეკლამის სუბიექტებისა და მომსარებელთა უფლებების დაცვა, არასათანადო რეკლამის თავიდან აცილება და სხვა[1, გვ. თავი 1, მუხლი 2].

საქართველოში მიმდინარე სავაჭრო და საწარმოო პროცესების ფონზე კანონმდებლობა მოიცავს ზოგად და სპეციალურ მოთხოვნებს რეკლამისადმი და რეკლამირების პროცესისადმი ნორმატივების დასადგენად, გამოსაყნებლად და ცხოვრებაში გასატარებლად. საქართველოში მოქმედ სარეკლამო საქმიანობის მარეგულირებელ საკანონმდებლო და ნორმატიულ აქტებს შორის აღსანიშნავია აგრეთვე, კანონი „მაუწყებლობის შესახებ”, კანონი „რეგულირების საფასურის შესახებ”, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დადგნინდება „რეგულირების საფასურის განსაზღვრისა და გადახდის წესის შესახებ” და სხვა [1, თავი IV, მუხლი 4].

სარეკლამო პროცესში ჩართულია კონკურენციით ერთმანეთს დაპირისპირებული რეკლამის დამკვეთები, სარეკლამო სააგენტოები, რეკლამის გამავრცელებლები და მომსარებელი. საქართველოს კანონით “რეკლამის შესახებ” დადგმნილია სარეკლამო პროცესში მონაწილეობა პასუხისმგებლობა. კარძოდ, რეკლამის დამკვეთი პასუხს აგებს რეკლამის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევისათვის რეკლამის შესაქმნელად წარდგენილი ინფორმაციის შინაარსზე, თუ არ დამტკიცდა, რომ ეს დარღვევე მოხდა რეკლამის მწარმოებლის ან გამავრცელებლის მიზეზით. რეკლამის მწარმოებლი პასუხს აგებს რეკლამის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევისათვის იმ ნაწილში, რომელიც ეხება რეკლამის გაფორმებას, წარმოებას ან მომზადებას. რეკლამის გამავრცელებელი პასუხს აგებს რეკლამის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევისათვის იმ ნაწილში, რომელიც ეხება რეკლამის გამორჩევას. მისი საფუძველია საბაზრო რეგულირება, მეორე იარუსია რეგულირება ფირმების მიერ, ხოლო მწვერვალი სახელმწიფო რეგულირება. პირველი და მეორე მიეკუთვნება ოვითორგულირებას.

2006 წლამდე საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სარეკლამო საქმიანობას თავისი კომპეტენციის ფარგლებში კანონმდებლობის დაცვით არეგულირებდა ანტიმონპოლიტრი სამსახური. იგი საქართველოს კანონის მე-5 მუხლის

შესაბამისად ახორციელებდა გამაფრთხილებელ ღონისძიებებს, მომხმარებელთა უფლებების დაცვას და არასათანადო რეკლამის ადგენერას. საქართველოს ანტიმონპოლიური სამსახური რეკლამის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დამრღვევს კანონით დადგენილი წესით ადმინისტრაციულ სახედელს აკისრებდა, ასევე უფლებამოსილი იყო მიეღო გადაწყვეტილება კონტრრეკლამის განხორციელებაზე და სხვა.

გარე რეკლამაზე გასულ წლებში კონტროლს ქალაქის მერიის ზედამხედველობის სამსახური ახორციელებდა. დღესდღეობით სახელმწიფო ორგანოები არ ახდენენ რეაგირებას არც რეკლამის კეთილსინდისიერებაზე და არც მის კორექტულობაზე. ზედამხედველობის სამსახური იმ შემთხვევაში ხსნის ბანქს, თუ უსახური ან დაზიანებულია. იგივე სამსახური სარეკლამო კონსტრუქციის დემონტაჟს ახდენს იმ შემთხვევაშიც, თუ მიიჩნევენ საჭიროდ ისე, რომ მესაკუთრეს ზარალი არ უნაზღაურდება.

ამჟამად არც ერთი სახელმწიფო თუ არასახელმწიფი ტრგანიზაცია გარე რეკლამის კონტროლს არ ახორციელებს. რაც შეეხება თვითორეგულირების სისტემას, ის ძალიან სუსტია არა მარტო გარე რეკლამის, არამედ, ზოგადად, რეკლამის სხვა სახეების მიმართაც. რიგმა შეხედულებები თამბაქოსა და სპირტიან სასმელებზე, რომელიც გამოიწვია კანონში ცვლილებების მოულოდნელმა შეტანაში, ზარალი მიაყენა ქართულ სარეკლამო ბიზნესს. განვითარებულ ქვებში არაკომერციული საზოგადოებრივი ორგანიზაციები იქმნება არა მარტო მომხმარებლების, არამედ რეკლამის დამკვეთების, რეკლამის მწარმოებლების მიერაც. დასავლეთში რეკლამისტების საზოგადოებრივი მოძრაობა მეცხრამეტე საუკუნის ბოლოდან იწყება და დღემდე ისინი ამ დარგში კონტროლის გარდა სახელმწიფოსა და საზოგადოების წინაშე მათი ინტერესების დამცველებიც არიან. მაგალითად, ამერიკის რეკლამის ფედერაციამ, სარეკლამო სააგენტოების ასოციაციამ, რეკლამის დამკვეთა ნაციონალურმა ასოციაციამ შექმნა რეკლამის ნაციონალური კონტროლის საბჭო, სადაც განიხილება და რეგულირდება ამ დარგში წარმოქმნილი ყველა სახის პრობლემა და მხოლოდ საქმეთა 5% შედის სასამართლოში [2, გვ.841-856]. საქართველოში რეკლამისტთა ასოციაცია დღესაც კი არ არსებობს, თუმცა რამდენიმე წლის წინ იყო მცდელობა, შეიქმნა კიდევ, რეკლამისა და პიარ-ის ასოციაცია, რომელმაც, სამწუხაოოდ, მხოლოდ რამდენიმე თვე იარსება.

საქართველოს კანონშიც „რეკლამის შესახებ“, შესატანია გარკვეული ცვლილებები ჯარიმებთან დაკავშირებით, ვინაიდან დღეისათვის, კანონით რეკლამის დამკვეთის წარმოებისა და გაგრცელების წესების დარღვევისათვის ფიზიკური პირი ჯარიმდება 250 ლარიდან 500 ლარამდე. საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების პასუხისმგებელი თანამდებობის პირები – 500-დან 1500 ლარამდე [1. თავი V მუხლი 21-ე]. დღეს ტელევიზიით სარეკლამო ბლოკში ერთი სარეკლამო ქლიპის გაშებით შესაძლებელია ამ ჯარიმის გადახდა. ამიტომ ეს დამსჯელი სანქცია არ მუშაობს, რადგან რეკლამის ფასების ზრდამ ის უაზრო გახადა და საჭიროა კანონში შესაბამისი ცვლილების შეტანა. ტელეარხები საკუთარი პოლიტიკიდან გამომდინარე წყვეტებ საკითხებს სოციალური და ეთიკური თვალსაზრისით როგორი რეკლამები გაუშენ ეთერში. ასეთივე პრინციპით ხდება არასათანადო რეკლამის გაშვებაც. ამის ნათელი დადასტურებაა გასახდომი საშუალებების, ტელემარკეტინგის და სხვა საეჭვო შემოავაზებების აქტიური ჩვენება გარკვეულ ტელეარხებზე.

მომხმარებელი – უმრავლესი სარეკლამო მიმართვების ადრესატი, თანდათანობით უფრო და უფრო შესამჩნევ როლს თამაშობს ამ პროცესებში. მისი ტრადიციული უფლებებია: შექმნილი საქონლის მოხმარების უსაფრთხოების უფლება, საქონლის შესახებ ამომწურავი ინფორმაციის ფლობის უფლება, საეჭვო, ჯანმრთელობისათვის საშიში საქონლისა და არაკეთილსინდისიერი მარკეტინგული მოქმედებებისაგან დაცვის უფლება, მიეკნებული ზარალის ანაზღაურების უფლება და სხვა. ამ დროისათვის კონსუმერიზმი, მომხმარებელთა

უფლებების დაცვის მოძრაობა პრაქტიკულად ყველა განვითარებულ ქვეყანაშია გავრცელებული. მომხმარებელთა კავშირებს უფლება აქვს, სასამართლო პროცესებზე გამოვიდეს მოსარჩევის სახით ინდივიდუალურ მომხმარებელთა სახელით. მაგრამ როგორია ჩვენი მომხმარებელი? ის გაცილებით პასიურია თავის უფლებების დაცვაში, ასევე, შეიძლება ითქვას, უფრი ლოიალურია და, შესაბამისად, ის ნაკლებად ერთვება რეკლამის რეგულირებაში. ასეთი დამოკიდებულება ჩამოყალიბა საბჭოთა პერიოდის დაფიციტურმა ბაზარმა და იგი განსხვავებულია განვითარებული ქვეყანის მომხმარებლის განწყობისაგან, რომელიც კარგი ხანია შეეჩინა იმ მდგომარეობას, რომ იგი მბრძანებელია. თუმცა, ქართული კანონმდებლობაც ითვალისწინებს აასუხისმგებლობას რეკლამის შესახებ კანონის ხებისმიერი მუხლის დამრღვვეთათვის. პირებს, რომელთა უფლებები და ინტერესები დარღვეულია არასათანადო რეკლამის შედეგად, უფლება აქვთ, დადგენილი წესით სარჩელით მიმართონ სასამართლოს ჯანმრთელობისა და ქონებისათვის, სახელის, ლირსებისა და საქმიანი რეპუტაციისათვის მიყენებული ზიანის კომპენსაციის თაობაზე და მოითხოვონ არასათანადო რეკლამის საჯაროდ უარყოფა. საქართველოს ბაზარზე კონკურენტი ფირმები იყენებენ კანონით მინიჭებულ ამ უფლებებს, მაგრამ, როგორც უპა აღნიშნეთ, ქართველი მომხმარებელი იშვიათად იყენებს ამ უფლებებს, რასაც ხელს უწყობს მომხმარებელთა უფლებების დამცველი საზოგადოებრივი ორგანიზაციების არარსებობა, თუ არ ჩავთვლით მართლმადიდებელ მშობელთა კავშირს, რომელიც, შეიძლება ითქვას, ზღვაში წევთია და რომელიც მხოლოდ ეთოკური ნორმების დარღვევის გაპროტესტებით შემოიფარგლება.

განვითარებულ ქვეყნებში რეკლამასთან დაკავშირებული ფირმები უპა თვითონვე გრძნობენ სოციალურ პასუხისმგებლობას და ზრუნავენ თვითდისციპლინასა და თვითრეგულირებაზე, რაც იმას ნიშნავს, რომ თავიანთ საქმიანობაში ისინი უყრდნობიან თანამდროვე სოციალურ-ეთიკური მარკეტინგის კონცეფციის. ეს გულისხმობებს, რომ კარგად იციან: არაკეთილსინდისიერი, არაკორექტული და დაბალი სარისხის რეკლამა მათ იმიჯს მიაუენებს ზარალს. თუმცა ბევრია ისეთი შემთხვევა როდესაც კრიზისის დასაძლევად ან, უბრალოდ, შემოსავლების სწრაფი გაზრდის მიზნით შეიძლება მიმართონ მომხმარებლის მოტყუებასაც, რომ არაფერი ვოქვათ კონკურენტების მიმართ კანონდარღვევაზე.

დღეს მსოფლიო გლობალურმა კორიზისმა თუ ქვეყანაში შექმნილმა მრავალმხრივმა კრიზისმა ძალიან სწრაფი ასახვა პოვა ისეთ დარგში, როგორიცაა სარეკლამო ბიზნესი, რომელიც ქვეყნის ეკონომიკურ ინდიკატორად შეიძლება მივიჩნიოთ. თუ 2005-2008 წლებში რეკლამის ზრდის ტენდენციები მკვეთრი იყო, საშუალოდ 30-40% წლიწადში, 2009 წლის იანვარ-ოქტომბერის მონაცემებით მდგომარეობა უკვე სავალალოა. ასე მაგალითად, ბილბორდების რაოდენობა 78%-ით შემცირდა [5]. ეს შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს, ქალაქის გამზირებაზე სამი ბილბორდიდან ორი, ხოლო ქალაქის შემოსასვლელ გამზირებაზე თოთქმის 90% ცარიელია. ყოველივე ეს იმას ნიშნავს, რომ რეკლამის დამკვეთი შემცირდა და ამან, შესაძლოა, ბევრ კომპრომისსა და დარღვევაზე წაიყვანოს რეკლამის დამამზადებლები და შემსრულებლები. ასე მაგალითად, უკვე გამოჩნდა უცხოებრივი ტექსტები გარე რეკლამაში.

სარეკლამო საქმიანობის განხორციელების შედეგად, სამართლებრივის გარდა, წარმოიქმნება სოციალური და ეთიკური პრობლემები. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ იგი მასობრივი კომუნიკაციაა და მას შეუძლია ზეგავლინა მოახდინოს საზოგადოების ცნობიერების, გემოვნებისა და ცხოვრებისგული დირექტულებების ჩამოყალიბებაზე. გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენს ქვეყანაში დიდი ადგილი უჭირავს ექსპორტს, შესაბამისად ხდება უცხოური რეკლამის შემოსვლა. საერთაშორისო რეკლამა გვთავაზობს არა მარტო საქართველოზო პროდუქციას, ის, ამავდროულად, ახდენს დასავლური ცხოვრების წესის, მორალური ნორმების, გარკვეული მოვლენებისა და საგნებისადმი განსხვავებული დამოკი-

დებულების რეკლამირებას. ეს ფრიად საყურადღებოა, რადგან ჩვენი საეთერო დროს დიდი ნაწილი დაკავებული აქვს საერთაშორისო რეკლამას, ხოლო ქუჩები აჭრელებულია ასეთივე შინაარსის გარე რეკლამით. საერთაშორისო სარეკლამო სააგენტოების მიერ შემოთავაზებული რეკლამა შესაძლებელია ძალზე მაღალი ხარისხის იყოს, მაგრამ მან ვერ, ან არ გაითვალისწინოს ზემოთ აღნიშნული კრიტერიუმები და ხანგრძლივვადიანი პერსპექტივებისათვის უარყოფითი შედეგები მივიღოთ.

ამდენად, რეკლამა უნდა ეხმიანებოდეს იმ საზოგადოების სოციალურ-კულტურულ და ისტორიულ-მემკვიდრულ ნიშნებს, სადაც იგი ხორციელდება. იგი მიწოდებულ უნდა იქნეს იმ დოზით, იმ დროში და ისეთი ფორმით, რომ სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით მაღალი შედეგი მოიტანოს და ამაში საზოგადოებამ თავისი აქტიურობით დიდი წელილი უნდა შეიტანოს.

ამასთან, აუცილებელია რეკლამის გამართები სამართლებრივი ბაზის შექმნა. კანონი „რეკლამის შესახებ“, რომელიც წამყვანი განვითარებული ქვეყნების გამოცდილებაზე დაყრდნობით იქნა მიღებული, საკმარისი არა, რადგან, კანონის შინაარსის გარდა, ასევე მნიშვნელივინა მისი შესრულების დახვეწილი მაკონტროლებელი სისტემის არსებობა, ამიტომ საჭიროა შეიქმნას როგორც აღგილობრივი, ასევე ერთიანი სახელმწიფო სტრუქტურა, რომელიც რეკლამას გააკონტროლებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

კანონში, დღიდან მიღებისა, შეტანილია მრავალი შესწორება, მაგრამ ეს ცვლილებები დარგში მიმდინარე პროცესებს ჩამორჩება. ასე მაგალითად: დაჯარიმების მექანიზმი არაეფექტურია, ვინაიდან რეკლამის დღევანდელი ფასების ფონზე საჯარიმო თანხა მიზერულია. შესაბამისად, რეკლამის არც მწარმოებელი და არც გამავრცელებელი კანონდარღვევებს არ ერიდებიან. ამიტომ, საჭიროა თვალყურის დევნება დარგში მიმდინარე პროცესებზე რათა კანონი მუდამ ქმედითი იყოს.

ვინაიდან საქართველოში მომხმარებელი ნაკლებად ერთვება რეკლამის რეგულირებაში, საჭიროა შეიქმნას სპეციალური ორგანიზაციები, როგორც ეს მიღებულია დასავლეთის ქვეყნებში, სადაც ამ საქმიანობის მეტი გამოცდილებაა. ასეთი ტიპის ორგანიზაციები იცავენ დარგის ინტერესებს და დარგის განვითარებასაც ასტიმულირებენ. ამასთან, შეიძლება განახორციელონ უფრო მკაცრი კონტროლი ვიდრე სახელმწიფო ორგანოებმა და ამ დარგის მიმართ საზოგადოების ნდობის ამაღლებას შეუწყონ ხელი.

როგორც ვხედავთ, სარეკლამო ბიზნესი მუდამ იყო, არის და იქნება საზოგადოებრივი ცხოვრების ცხოველი უურადღების ცენტრში. სარეკლამო საჭმიანობის რეგულირების ეფექტიანად ფუნქციონირებადი სისტემის შექმნა და მისი შემდგომი სრულყოფა საკანონმდებლო ორგანოების მუდმივი ზრუნვის საგნად უნდა გადაიქცეს და იგი სარეკლამო კომუნიკაციისა და მთლიანად სარეკლამო ინდუსტრიის კველი მონაწილის ინტერესებს მაქსიმალურად უნდა ითვალისწინებდეს. ამიტომაც ამ ბიზნესთან დაკავშირებული სხვადასხევა სპეციალობის კველი პირი ვაღდებულია, იმუშაოს უდიდესი სოციალური პაუზისმგებლობის გრძნობითა და შეგნებით.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს კანონი „რეკლამის შესახებ“. ობ., 1998.
2. *William Wells; John Burnett; Sandra Moriarty. Advertising-Principles & Practise. C Upper Saddle River, New Jersey 07458*
3. *Kleppner's Advertising phocedure J. Thomas Russell, N. Ronald Lane Phentice Hall. New Jersey 07458 New York*
4. AD Corporation:- [www.adcorp.ge](http://www.adcorp.ge) IPM Geor

*Nana Katsitadze*  
*TSU Associated Professor*  
*Aleksandr Tushishvili*  
*Associated Professor*

## **SOME ASPECTS OF ADVERTISMENT REGULATION IN GEORGIA**

### **Summary**

The following work considers the problems of regulating the advertisement in Georgia and the ways, how these problems could be solved. From the author's point of view, though there exists the statute about the advertising, where western experiences is shared, that's not enough; because in addition to the fact, that the advertisement is connected to the interests of the million people, it manipulates human's conductions and their consciousness, so this relationship, alongside the statutes and laws, must be limited and controlled both, by governmental and nongovernmental organizations and by the entire society. So, in Georgia, as in the Western countries, there must be the three circled advertising regulation mechanism, which, besides the government, implicates far strong mechanism of self-regulation, and among them is society's high activity.

## 06 ფინანსების მიმდევრული კონკურენცია

2008 წლიდან დაარსდა პატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, რომელიც გამოდის პერიოდულად.

შრომების კრებულში დაიბეჭდება მეცნიერ ეკონომისტთა (მეცნიერებათა დოქტორები, აკადემიური დოქტორები) შრომები, ასევე, ბაკალავრების, მაგისტრების, დოქტორანტების და პრაქტიკოს ეკონომისტთა სათანადო მეცნიერული დონის სტატიები.

ავტორთათვის კრებულში სტატიების გამოსაქვეყნებლად მოქმედებს შემდეგი წესები:

1. კრებულში გამოსაქვეყნებლად განკუთვნილი სამეცნიერო ნაშრომები უნდა იყოს დამოუკიდებელი პალეოს შედეგი. ნაშრომი არ უნდა არღვევდეს საავტორო უფლებებს და არ უნდა იყოს გამოქვეყნებული რომელიმე სხვა ორგანოში.
2. რედაქციაში წარმოდგენილი სტატიის ორიგინალი ხელმოწერილი უნდა იყოს ავტორის, ხოლო თანაავტორობის შემთხვევაში ყველა თანაავტორის მიერ სახელის, გვარის, სამუშაო ადგილის, სამეცნიერო ხარისხისა და წოდების, სრული საფოსტო მისამართის, ტელეფონის, ფაქსის, ელექტრონული ფოსტის მითითებით.
3. სტატია დაბეჭდილი უნდა იყოს 1,5 ინტერვალით, A4 ფორმატზე, 12 ფონტით. რედაქციაში სტატიების წარმოდგენა აუცილებელია ორ ნაბეჭდ ებზემპლარად, ელექტრონულ ვერსიასთან ერთად (MS WORD, ქართული ტექსტი შრიფტით ACADNUSX, ხოლო ინგლისური – TIMES NEW ROMAN). ტრანსლიტერაციის დროიდან დაწერებულებაა 5 ლარი.

ნაშრომების გამოგზავნა შეგიძლიათ ელექტრონული ფოსტით შემდეგ მისამართზე: [economist1@rambler.ru](mailto:economist1@rambler.ru), [tealazarashvili@rambler.ru](mailto:tealazarashvili@rambler.ru)

ინსტიტუტის ხელმძღვანელობა და კრებულის რედაქცია მზადაა თანამშრომლობისათვის.

**დაგაფეხითი ცხოგალისათვის დაგვიკავშირდით შემდეგ მისამართზე:**  
ქ. თბილისი, ქიქოძის ქ. №14, ოთახი 13, ტ.: 99-66-46; 99-74-09.

## პარტნერების ეკონომიკის ინსტიტუტის გამოცემლობა

ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე

**შეღავათის ფასებში**

გთავაზობთ ნებისმიერ საგამომცემლო საქმიანობას:

- მასალის აპრეფა, დაკაბადონება, რედაქტირება  
გამოიცემა:

- სამეცნიერო წიგნები და ნაშრომები, ენციკლოპედიები, ლექსიკონები, ცნობარები
- პერიოდული გამოცემები (სამეცნიერო შრომათა კრებული, სამეცნიერო ჟურნალები, კონფერენციის მასალები)

- ორიგინალური და ნათარგმნი მსატერიული ლიტერატურა, სახელმძღვანელოები, საბავშვო წიგნები, ალბომები და გზამკვლევები
- ელექტრონული დარგობრივი ჟურნალები

**მისამართი:** თბილისი, გერონტი ქიქოძის ქ. №14

**36 94 77; 93 22 60; 99 66 46; 8(55) 33 01 38.**

**ელ.ფოსტა:** [gamomcemloba@rambler.ru](mailto:gamomcemloba@rambler.ru)

### **პაატა გუბურვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სასრაპლო ცენტრი**

**იღებს მსმენელებს ტრენინგებზე, შემდეგი სასერტიფიკატო  
სპეციალობების მიხედვით:**

- საბანკო საქმე (მოლარე, ოპერატორი, საკრედიტო ექსპერტი, ფინანსური ანალიზი, საერთაშორისო და ლოკალური გადარიცხვები, საბანკო პროდუქტები, საოპერაციო მოქმედებები და ა.შ.)
- საბუღალტრო აღრიცხვა და პრაქტიკული ბუღალტერია
- კომპიუტერული ბუღალტერია (ორისი, სუპერფინი, ინფო)
- თანამედროვე მენეჯმენტის საფუძვლები
- ადამიანური რესურსების მენეჯმენტი (HR - მენეჯმენტი)
- ტურისტული ფირმის მენეჯმენტი
- სასტუმროს მენეჯმენტი
- ფინანსური მენეჯმენტი
- პიარმენეჯმენტი
- ოფისმენეჯმენტი
- პრაქტიკული მენეჯერული უნარ-ჩვევები (საქმიანი ეტიკეტი, პრეზენტაციის წარმართვა, დროის მენეჯმენტი და სხვა)
- პროექტის მენეჯმენტი
- მომსმარებლებთან ურთიერთობის მენეჯმენტი
- გაყიდვების მენეჯმენტი
- ბრენდინგი
- პრეზენტაციისა და კომუნიკაციის უნარ-ჩვევები
- საგადასახადო საქმე
- როგორ დაგიწყოთ ბიზნესი (ბიზნესის მართვა, ბიზნესის წარმოების ხელოვნება)
- მარკეტინგი
- საბაჟო საქმე
- სადაზღვევო საქმე
- გამოყენებითი ეკონომიკა
- უნარ-ჩვევები (მოსამსახურეთათვის და დასაქმების მსურველთათვის)
- უცხო ენა
  - კომპიუტერული პროგრამები (Windows, Word, Excel, Internet, Photoshop, Pagemaker და სხვა).

**მისამართი:** თბილისი, გერონტი ქიქოძის ქ. №14

**93 22 60; 99 68 53; 99 66 46; (893) 76 85 45.**

**ელ.ფოსტა:** [ganatleba@rambler.ru](mailto:ganatleba@rambler.ru)

## შურნალ ეკონომისტის სტატიების ფარმოდგენის ჟურნალი

1. შურნალში გამოსაქვეყნებლად განკუთვნილი სამეცნიერო ნაშრომები უნდა იყოს დამოუკიდებელი კვლევის შედეგი. ნაშრომი არ უნდა არღვევდეს საავტორო უფლებებს და არ უნდა იყოს გამოქვეყნებული რომელიმე სხვა ორგანოში.
2. რედაქციაში წარმოდგენილი სტატიის ორიგინალი ხელმოწერილი უნდა იყოს ავტორის, ხოლო თანაავტორობის შემთხვევაში ყველა თანაავტორის მიერ სახელის, გვარის, სამუშაო ადგილის, სამეცნიერო ხარისხისა და წოდების, სრული საფოსტო მისამართის, ტელეფონის, ფაქსის, ელექტრონული ფოსტის მითითებით.
3. სტატია დაბეჭდილი უნდა იყოს 1,5 ინტერვალით, A4 ფორმატზე, 12 ფონტით. რედაქციაში სტატიების წარმოდგენა აუცილებელია ორ ნაბეჭდ ეგზემპლარად, ელექტრონულ ვერსიასთან ერთად (MS WORD, ქართული ტექსტი შრიფტით ACADNUSX, ხოლო ინგლისური TIMES NEW ROMAN).
4. შურნალში სტატიები გამოქვეყნდება რედაქციაში მათი შემოსვლის რიგის მიხედვით. რედაქციის მიერ სტატიის წარმოდგენის თარიღად ჩაითვლება რედაქციის მიერ საბოლოო ტექსტის მიღების თარიღი.
5. სტატია, რომელიც სრულად არ პასუხობს ზემოთ მოყვანილ მოთხოვნებს, რედაქციის მიერ არ მიიღება. ერთი გვერდის დირებულებაა 5 ლარი.

ნაშრომების გამოგზავნა შეგიძლიათ ელექტრონული ფოსტით შემდეგ მისამართზე: [economist1@rambler.ru](mailto:economist1@rambler.ru), [tealazarashvili@rambler.ru](mailto:tealazarashvili@rambler.ru)

ინსტიტუტის ხელმძღვანელობა და შურნალის რედაქცია მზადაა თანამშრომლობისათვის.

**დამატებითი ცნობებისათვის დაგვიკავშირის შემდეგ მისამართია:**  
ქ. თბილისი, ქიქოძის ქ. №14, ოთახი 13, ტ. 99-66-46; 99-74-09.

**სს ”საქართველოს ბანკი” კლიენტის ანგარიშზე თანხების ეროვნულ  
ვალუტაში (ლარი)**

**ჩარიცხვისათვის აუცილებელი საბანკო რეკვიზიტები**

**მიმღების ბანკი:**

სააქციო საზოგადოება “საქართველოს ბანკი”

ცენტრალური ფილიალი (კოდი) 220101502

მიმღების დასახელება: სსიპ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი

მიმღების ანგარიშის ნომერი: 247786300

ტელ: +995-32-444444-7842

ფაქსი: 444176

ელ.ფოსტა: [tmetreveli@bog.ge](mailto:tmetreveli@bog.ge)

## **THE RULES OF HANDING-IN SUBMISSION THE REPORTS TO THE JOURNAL “ECONOMISTI”**

1. Scientific works sent to publish should be the result of independent research. The work should guarantee copyrights and should not be published in other organs.
2. An original paper sent to editorial board must be signed by the author, and in case of coauthorship – by all authors, providing names, first names, position, degrees, titles, full address, telephone, fax and e-mail.
3. The paper should be printed by computer with 1,5 spacing, A4 format, 12 font. The articles should be send to editorial board in two printed copies together with electronic version (MS WORD, Georgian text font -AcadNusx, English text font-Times New Roman).
4. Articles are published in succession of their receiving by the editorial staff. If an article is sent back to the autor for revision the date of receiving the final text is regarded as date of submission for consideration. Price of a page – 10 \$.  
The paper not meeting these requirements is not taken for consideration.

The articles should be sent by e-mail to the address: [economist1@rambler.ru](mailto:economist1@rambler.ru), [tealazarashvili@rambler.ru](mailto:tealazarashvili@rambler.ru)

Institute managers and editorial staff is ready for collaboration.

For additional information, please, connect to the address: Tbilisi, 14 Kikodze str., tel: 99.66.46,

### **BANK DETAILS FOR TRANSFERS IN US DOLLAR IN FAVOUR OF CUSTOMERS OF JSC BANK OF GEORGIA**

#### **Intermediary Bank**

Citibank N.A., New York, USA  
SWIFT: CITIUS33

#### **Account With Institution**

Bank of Georgia, SWIFT:BAGAGE22  
3, Pushkin Street, 0105 Tbilisi, Georgia

**Beneficiary:** LEPL PAATA GUGUSHVILI INSTITUTE OF ECONOMICS

**Account:** 247786300

Tel: +995-32-444444-7842

Fax: 444176

E-mail: [tmetreveli@bog.ge](mailto:tmetreveli@bog.ge)

**BANK DETAILS FOR TRANSFERS IN EURO  
IN FAVOUR OF CUSTOMERS OF JSC BANK OF GEORGIA**

**Intermediary Bank**

Commerzbank, Frankfurt, Germany

SWIFT: COBADEFF

**Account With Institution**

Bank of Georgia, SWIFT:BAGAGE22

3, Pushkin Street, 0105 Tbilisi, Georgia

**Beneficiary:** LEPL PAATA GUGUSHVILI INSTITUTE OF ECONOMICS

**Account:** 247786300

Tel: +995-32-444444-7842

Fax: 444176

E-mail: tmetreveli@bog.ge

ქურნალი “ეკონომისტი”

მისამართი: ობილიძი, 0105, გ. ქიქოძის ქ. 14; ტელ.: 996646; 932804; 899 970103.

E-mail: [economisti1@rambler.ru](mailto:economisti1@rambler.ru)

Journal “Economisti”

Edress: Tbilisi, 0105, Kikodze street, tel. (+995 32) 996646; 893 314628.

E-mail: [economisti1@rambler.ru](mailto:economisti1@rambler.ru)

პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა  
გამომცემლობის რედაქტორი სესილი ხანჯალაძე

Publishing House of Paata Gugushvili Institute of Economics

Redactor of Publishing House Sesili khandjaladze